

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

გიორგი გორაშვილი

ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება

ხელმძღვანელი: იურიდიულ მეცნიერებათა  
დოქტორი, სრული პროფესორი გურამ ნაჭყებია

ნაშრომი წარდგენილია სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად



თბილისის  
უნივერსიტეტის  
განმცემლობა

2011

## შინაარსი

გამოყენებული აბრევიატურა ----- 5

შესავალი----- 6

### თავი I ტერორიზმის კონცეპტუალური სათავეები

§ 1. ტერორის კონცეფციის ფორმირება----- 13

§ 2. ტერორიზმის დეფინიცია ----- 16

### თავი II ტერორიზმის სათავეებიდან დღევანდლობამდე (მიზეზები და პირობები)

§ 1. ადრეული ტერორიზმის ხანა ----- 25

§ 2. რევოლუციური ტერორიზმის ხანა -----29

§ 3. ცივი ომის ტერორიზმის ხანა ----- 32

§ 4. ტერორიზმის თანამედროვე ხანა ----- 36

§ 5 ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში ----- 43

§ 6 ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია ----- 46

### თავი III საქართველოსთვის ტერორიზმის ტეროგენური სახეები

§ 1. სახელმწიფო ტერორიზმი ----- 50

1.1. სახელმწიფო ტერორიზმის ფენომენოლოგია ----- 50

1.2. სახელმწიფო ტერორიზმის გამოვლენის ფორმები ----- 53

§ 2. რელიგიური ტერორიზმი ----- 55

2.1. რელიგიური ტერორიზმის ფენომენოლოგია ----- 55

2.2. ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგი ----- 56

2.3. კონფლიქტის ისლამისტური გაგება ----- 58

§ 3. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმი

3.1. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმის ფენომენოლოგია ---- 62

3.2. ირლანდიის ნაციონალურ – გამათავისუფლებელი არმია -- 64

3.3. ქვეყანა და თავისუფლება ბასკებს ----- 66

3.4. თამილ-ილამის გამანთავისუფლებელი ვეფხეები ----- 68

3.5. ტერორიზმი ჩეჩნეთში ----- 70

§ 4. თვითკვლევლობა თანამედროვე ტერორიზმის არსენალში ---- 74

## თავი IV საქართველოს ტეროგენური

### საფრთხეების ანალიზი

§1. ზოგადი ასპექტები -----	77
§2. სეცესიის უფლება ანუ ორმაგი სტანდარტები -----	78
§3. ეთნო-სეპარატისტული საფრთხეები -----	82
§4. ჩრდილო-კავკასიური საფრთხეები -----	84
§5. პრობლემის საბოლოო ანალიზი -----	90

## თავი V ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის

### ფორმები და საშუალებები

§1. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადთეორიული საფუძვლები -----	92
§ 2. ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებები -----	99
2.1. ერთა ლიგა ტერორიზმის წინააღმდეგ -----	99
2.2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო ნორმები ტერორიზმის წინააღმდეგ -----	103
2.2.1. საერთაშორისო ნორმები საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების ხელშეწყობის აქტების წინააღმდეგ და მათი ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში -----	103
2.2.2. საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენცია და მისი დებულებების ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში -----	107
2.2.3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ და მისი დებულებების ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში -----	110
2.2.4. საერთაშორისო ნორმები ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ და მათი ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში -----	116
2.2.5. საერთაშორისო ნორმები საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტების აკრძალვის შესახებ და მისი	

დებულებების ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ----- 126

2.2.6. გაეროს კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით ----- 130

2.2.7. კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ და მისი დებულებების ასახვა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ----- 130

2.2.8. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ და მისი დებულებების ასახვა ქართულ ნორმატიულ სივრცეში ----- 132

2.2.9. გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია ----- 140

2.2.10. ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ----- 141

§ 3. ტერორიზმთან ნორმატიული საშუალებებით ბრძოლის ფრანგული მოდელი ----- 143

§ 4. ამერიკის შეერთებული შტატების კონტრტერორისტული კანონმდებლობის მიმოხილვა ----- 147

§ 5. ტერორიზმთან ბრძოლის ნორმატიული საშუალებები საქართველოში ----- 153

§ 6. ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმების საკანონმდებლო სრულყოფისათვის - ----- 164

§ 7. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის ანალიზი ----- 167

დასკვნა ----- 173

ბიბლიოგრაფია ----- 183

## გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ა ბ რ ე ვ ი ა ტ უ რ ა :

1. სსკ – სისხლის სამართლის კოდექსი;
2. სსსკ – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
3. ე.წ. – ეგრეთ წოდებული;
4. ე.ი. – ესე იგი;
5. იხ. – იხილეთ;
6. დასახ. ნაშრ. – დასახელებული ნაშრომი;
7. გგ. – გვერდი;
8. სხვ. – სხვა;
9. ა.შ. – ასე შემდეგ;
10. აშშ – ამერიკის შეერთებული შტატები
11. გამომც. – გამომცემლობა;
12. თბ. – თბილისი;
13. მუხ. – მუხლი;
14. Изд. – Издательство;
15. Гос. – Государство;
16. М. – Москва;
17. С. – Страница.

## შესავალი

**კვლევის აქტუალობა.** ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში ტერორიზმი სათანადოდ არაა დამუშავებული. ტერორიზმი არის სოციალური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური მაგრამ, უპირველეს ყოვლისა სამართლებრივი, ამასთან სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რადგანაც ტერორიზმი დანაშაულია. ტერორიზმის კრიმინოლოგიური ანალიზი კი საშუალებას იძლევა დასმული პრობლემა ფართო, სოციოლოგიურ ასპექტში გაანალიზდეს, რაც აღნიშნულის შედარებით ღრმა წვდომაში დაგვეხმარება.

ტერორიზმი ხშირად თანაარსებობს ისეთ მოვლენებთან, როგორცაა : ეთნიკური სეპარატიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ექსტრემისტული მემარჯვენე, ან მემარცხენე პოლიტიკური მოძრაობები. საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, კი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა და რუსეთის მხრიდან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებამ ცხადყო, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტული მოთხოვნების უკან რუსეთის სახელმწიფო დგას. აღნიშნულ ვითარებაში დღის წესრიგში დადგა მომხდარის გაანალიზება და მომავალი საფრთხეების პროგნოზირება. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში მკვლევარებმა გაამახვილეს ყურადღება იმ პერიოდის მსოფლიოში ახლად გამოკვეთილ ტენდენციაზე. კერძოდ, გარკვეული სახელმწიფოთა მხრიდან, სხვა სახელმწიფოების მიმართ, საყოველთაოდ აღიარებულ დიპლომატიურ მეთოდებთან ერთად, ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების შესახებ. კერძოდ, ე.წ. რევოლუციის იატაკქვეშა მზადების, ამ მიზნით შესაბამისი კადრების მომზადების, იარაღით და ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, დაფინანსების და პროპაგანდის წარმოების შესახებ. 2008 წელს საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაცია საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად სეპარატიზმის წაქეზებას კვლავაც იყენებს, ისევე როგორც ცივი ომის პერიოდში. **მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სეპარატიზმის ხელშეწყობიდან ტერორიზმის ხელშეწყობამდე ერთი ნაბიჯია და, ზოგიერთ შემთხვევაში, კი ეს ორივე მოვლენა ერთად თანაარსებობს.** უკანასკნელ პერიოდში მრავალი სახელმწიფო თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას, რომელმაც შეიძლება დიდი ხარჯები გამოიწვიოს და სასურველი მიზანი მაინც ვერ იქნეს მიღწეული. ამის გამო, აღნიშნული სახელმწიფოები ეძებენ ზემოქმედების სხვა საშუალებებს, მათ შორის, პირველ პლანზე ტერორიზმია.

საქართველოს ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე აუცილებელია გაანალიზდეს ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც შეიძლება ქვეყანა აღმოჩნდეს და დაისახოს პროფილაქტიკის გზები და

საშუალებები. მნიშვნელოვანია ტერორიზმის იმ სახეების და ფორმების ცალკე გამოყოფა და შესწავლა, რომელთა წარმოშობის საფრთხე შეიძლება შეიქმნას საქართველოში. საქართველოსთვის ტეროგენულად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივად ხელშეწყობილი, რელიგიური და ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის სახეები.

საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მხარდაჭერის ფონზე ინტერესის საგანს წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი ფედერალური რესპუბლიკების სამართლებრივ სტატუსთან და ზოგადად სეცესიის უფლების მიმართ, რაც შესაძლებლობას იძლევა გაივლოს პარალელები და გამოაშკარავდეს ერთი და იმავე საკითხისადმი ორმაგი სტანდარტის არსებობა.

ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ტერორიზმის გამიჯვნა ომის, პარტიზანული ან ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის, ასევე კონფლიქტის სხვა ფორმებისგან დიდ მნიშვნელობას იძენს, აღნიშნული მოვლენის სწორი შეფასების და მის მიმართ რეაგირების ადეკვატური, სამართლებრივად დასაბუთებული ზომების გასატარებლად.

ტერორიზმთან ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნორმატიული საშუალებები, როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი ასპექტით. კარგად გააზრებული და ეფექტური ანტიტერორისტული კანონმდებლობა არის სახელმწიფოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა და სამართლებრივი დასაყრდენი ტერორიზმთან ბრძოლაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი კონტრტერორისტული კანონმდებლობის არსებობას, რომელიც ეფექტურობასთან ერთად არ არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს. ამ ასპექტით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კონტრტერორისტული კანონმდებლობის შესწავლა.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** წინამდებარე სადისერტაციო კვლევის მიზანია იურიდიულ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი იქნეს ტერორიზმის კრიმინოლოგიური არსი, მიზეზები, მისი გამოვლენის ფორმები, გაანალიზდეს საქართველოს ტეროგენური საფრთხეები, ტერორიზმთან ბრძოლის ზოგადთეორიული საფუძვლები, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი რეგულირების მექანიზმები.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი.** დასმული პრობლემის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული, შედარებით - ისტორიული,

ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, შედარებით-სამართლებრივი, სისტემურ-სტრუქტურული და სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.

**კვლევის თეორიული საფუძველი.** სადისერტაციო კვლევისას გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორების დოქტრინული ნაშრომები, რომლებიც შესრულებულია შემდეგ სამეცნიერო დისციპლინებში: სისხლის სამართალში, კრიმინოლოგიაში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ფილოსოფიაში. სადისერტაციო ნაშრომი ეყრდნობა ისეთ მეცნიერთა ნააზრევს როგორებიც არიან : გ. მამულაშვილი, მ. ლეკვეიშელი, ლ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, ლ. სანიკიძე, ა. ტრაინინი, ი. ანტონიანი, ი. კარპეცი, ვ. კუდრიავცევი, ა. გუროვი, ე. ლიახოვი, მ. კირეევი, გ. მინკოვსკი, ვ. რევენი, ვ. პეტრიშევი, ვ. უსტინოვი, ა. ბლინი, გ. შულცი, ვ. ნანდა, მ. ფლორი, გ. სტრეიკი, დ. პოილკი, ა. შმიტი, რ. ერიქსონი, უ. ლაკუარი, დ. ბიმანი, პ. ჩოლქი, ე. სკოტი, ბ. ჯენკინსი, რ. ერიქსონი და სხვები.

**კვლევის ნორმატიული საფუძველი.** სადისერტაციო კვლევისას გამოყენებულია ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტები, კერძოდ : გაერთიანებული ერების ეგიდით მიღებული 13 კონტრტერორისტული კონვენცია და მათზე დამატებითი 3 ოქმი, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიღებული გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია, საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, საფრანგეთის სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, აშშ-ს კონტერორისტული ნორმები და ა.შ.

**დისერტაციის მეცნიერულ სიახლეზე** საუბრისას ხაზი უნდა გაესვას შემდეგს:

1. დისერტაცია ტერორიზმის კრიმინოლოგიური კვლევის პირველი ცდაა ქართულ სამეცნიერო სივრცეში.
2. ტერორიზმის მიზეზები და პირობები განხილულია მოვლენის ისტორიული განვითარების ფონზე, ვინაიდან ტერორიზმი ყოველთვის დეტერმინირებული იყო კონკრეტული ეპოქის სინამდვილით და, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენდა მასზე.
3. ნაშრომში მოცემულია თანამედროვე ტერორიზმის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები.



4. ტერორიზმი გამიჯნულია სოციალური კონფლიქტის სხვა ისეთი სახეებისგან, როგორცაა ომი, პარტიზანული ბრძოლა, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობა და ა.შ.
5. ტეროლოგიაში გავრცელებული კლასიფიკაციებისაგან განსხვავებით ნაშრომში მოცემულია ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნების, მოტივისა და მიზნის და არაძირითადი – გამოყენებული ხერხის და საშუალების, სამოქმედო ფარგლების, განმახორციელებელი სუბიექტის მიხედვით.
6. შესწავლილია “ეთნიკური”, “სახელმწიფო” და “რელიგიური” ტერორიზმი, რადგანაც თანამედროვე ეტაპზე ტერორიზმის ზემოსხენებულ სახეებს საქართველოსთვის ტეროგენული მნიშვნელობა გააჩნია.
7. ნაშრომში დადგინდა ორმაგი სტანდარტის არსებობა, რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ მიდგომებში, სეცესიის უფლების მიმართ.
8. გაანალიზდა საქართველოს ტეროგენური საფრთხეები და მოხდა მათი დაჯგუფება რეგიონალური და გლობალური მნიშვნელობის მიხედვით.
9. გამოთქმულია წინადადება, მომავალში სეპარატისტული და სხვა ისეთი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება, კონტროლის დაკარგვა ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე, ანდა სოციალურ ჯგუფზე დაწესდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.
10. გამოთქმულია მოსაზრება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 329 –ე მუხლით გათვალისწინებული ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების დროს, გაფართოვდეს ტერორისტთა მოთხოვნის ადრესატთა წრე და აღნიშნულ წრეში მოაზრებულ იქნენ ფიზიკური და იურიდიული პირები.
11. ნაშრომში გაანალიზებულია ტერორისტული აქტის და ზოგადად ტერორისტული ხასიათის დანაშაულების მიზნად მიჩნეული “საზოგადოების დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება.” კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნა, რომ ტერორისტული აქტის მიზანი დაშინება არ არის. დაშინება და სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედება არის ტერორისტთათვის სასურველი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალება და შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშანს წარმოადგენს.
12. კვლევის შედეგად დადგინდა ტერორიზმის ძირითადი იმანენტური ელემენტები, რომლებიც ყველა დროისა და ფორმის ტერორიზმს ახასიათებს. აღნიშნული ნიშნების საფუძველზე ნაშრომში შეთავაზებულია ტერორისტული აქტის (სსკ-ის 323-ე მუხ.) საკანონმდებლო დეფინიცია.

13. გამოთქმულია წინადადება, გაფართოვდეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრე საქართველოს ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სპეციალური 38-ე თავით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, სსკ-ით გათვალისწინებული სხვა ქმედებები, ტერორიზმისთვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ჩაითვალოს ტერორისტული ხასიათის დანაშაულებად. კვლევის შედეგად გამოყოფილია ტერორისტული ხასიათის შემდეგი დანაშაულები: საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.); სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup> მუხ.); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup> –ე მუხ.); მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.); ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.);

14. ტერორისტული ხასიათის ქმედებების სისხლისსამართლებრივად სრული რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია შეიცვალოს აღნიშნულ დანაშაულთა განსაზღვრის დღემდე არსებული საკანონმდებლო ტექნიკა. მოხდეს ტერორისტული ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზაცია მათი სწორი და სამართლიანი შეფასების, ასევე ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის მიზნით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დისერტაციაში მოცემულია კონკრეტული წინადადებები.

15. დისერტაციაში გამოთქმულია წინადადება საქართველოს სსკ-ის 325-მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაში, “საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმა”, გაფართოვდეს სისხლის სამართლის ნორმით დაცულ სუბიექტთა წრე.

16. “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში მრავალი პროგრესული დებულების მიუხედავად, რეგულაციური სფერო შეზღუდულია და აკრძალულ ქმედებათა წრე კონკრეტიზაციას მოითხოვს. ამასთან, ტერორიზმის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის ფარგლები ბუნდოვანია. დისერტაციაში გამოთქმულია მოსაზრება ზემოხსენებული კანონის რეგულაციური სფეროს გაფართოების და დაზუსტების შესახებ.

17. “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონში ტერორიზმის დეფინიცია აკრძალული ქმედებების ჩამოთვლის პრინციპითაა მოცემული. აკრძალული ქმედებების ჩამოთვლით ტერორიზმის განსაზღვრება ვერ ამოწურავს მოვლენის ყველა ფორმას. აქედან გამომდინარე, ტერორიზმის ცნებაში, რომელიც მოცემულია

კანონის პირველ მუხლში, განსაზღვრული უნდა იყოს მოვლენის იმანენტური ელემენტები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შეუფასებელი არ დარჩეს ტერორიზმის არც ერთი გამოვლინება.

18. “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ბ” ქვეპუნქტში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323 –ე მუხლის იდენტურად მოცემულია “ტერორისტული აქტის” ცნება. ტერორისტული აქტის არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ შეესაბამება მოვლენის სოციალურ ბუნებას. კერძოდ, ტერორისტთა მიზანი არ შეიძლება იყოს მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება. ტერორისტთათვის დაშინება და ზემოქმედების სხვა საშუალებები მიზნის მიღწევის ხერხს წარმოადგენს.

19. “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის პირველი მუხლის “გ” ქვეპუნქტში განსაზღვრულია ტერორისტული საქმიანობა, რომელშიც იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული, XXXVIII თავით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. ნორმის ამგვარ ფორმულირებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ტერორისტული საქმიანობა სცილდება სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავით გათვალისწინებულ ტერორისტული ხასიათის დანაშაულებს.

20. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტების თანახმად “ტერორისტული ჯგუფი” და “ტერორისტული ორგანიზაცია” არის მხოლოდ “ტერორისტული აქტის” ჩასადენად შეკავშირებულ პირთა ერთობა. ეს დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმას, რომელიც კრძალავს ტერორისტული ორგანიზაციის შექმნას, ხელმძღვანელობას ანდა მასში მონაწილეობას. საქართველოს სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ტერორისტულ ორგანიზაციად ჩაითვლება პირთა ნებისმიერი ერთობა, იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად რომელი ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენა აქვს გამიზნული.

21. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სსსკ-ით გარანტირებული ადვოკატი – ბრალდებულის ურთიერთობის კონფიდენციალურობა, აშშ-ს კანონმდებლობის მსგავსად, შესაძლებელია გადაიხედოს. იგულისხმება, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, წარსულში უკვე მომხდარის, ან მომავალში დაგეგმილის, ინფორმაციის მიღება და ტერორისტული ხასიათის დანაშაულების გახსნა ანდა მათი თავიდან აცილება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** დისერტაციის კვლევის ობიექტია: ტერორიზმი როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენა,

ტერორიზმის გამოვლენის ფორმები და სახეები, ტერორიზმის მიზეზები და პირობები ისტორიული განვითარების კონტექსტში, საქართველოს ტეროგენური სახეების გამოყოფა და ანალიზი, ტერორიზმის დეფინიცია, ტერორიზმთან ბრძოლის ზოგადთეორიული ასპექტები, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ნორმატიული აქტები და შიდასახელმწიფოებრივი ნორმები, უცხოეთის ქვეყნების კონტრტერორისტული კანონმდებლობა.

კვლევის საგნად გვევლინება იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრებები ტერორიზმის მიზეზების, სოციალური ბუნების, გამოვლენის სახეების და ფორმების, ბრძოლის საშუალებების შესახებ. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი, მათ შორის, უცხოეთის ქვეყნების ნორმატიული საშუალებები ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს ანტიტერორისტული კანონმდებლობის სრულყოფისთვის შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავება.

**დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.**

დისერტაციაში გამოთქმული მოსაზრებები, რეკომენდაციები და წინადადებები საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, საკანონმდებლო ორგანოსა და სპეციალური სამსახურებისათვის. ნაშრომი საინტერესო იქნება არაიურისტი, რიგითი მკითხველისთვისაც, რადგანაც მასში მეცნიერულად იქნება დამუშავებული თანამედროვე ტერორიზმის პრობლემები და საქართველოს ადგილი მსოფლიო ტეროლოგიის რუკაზე.

ნაშრომი ნაწილობრივ შეავსებს ქართულ იურიდიულ ლიტერატურას ტერორიზმის პრობლემის კვლევის საკითხში. ნაშრომში არის მცდელობა ამომწურავად იქნეს შესწავლილი ტერორიზმის დეფინიციური პრობლემები, მოვლენის ისტორიული განვითარება, მისი მიზეზები, საერთაშორისო და საქართველოს ნორმატიული საშუალებები ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტით.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.**

ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავის, 23 პარაგრაფის, 21 ქვეპარაგრაფისგან, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა სულ შეადგენს 197 გვერდს, რომელსაც თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 13 გვერდზე.

# თავი I

## ტერორიზმის კონცეპტუალური სათავეები

### § 1. ტერორის კონცეფციის ფორმირება

ტერორიზმმა, როგორც მოვლენამ, განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი განვლო, რომელიც მოიცავს “შილოტ სიკარებისა” და “ჰა-შაშინების” საქმიანობას, პარიზის ქუჩებში დატრიალებულ იაკობინელთა ტერორს, რუსი რევოლუციონერების ბრძოლას, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩაღებულ ანტიკოლონიურ მოძრაობებს, მემარჯვენე, მემარცხენე, რელიგიურ, ეთნო-ნაციონალური მიმართულების ჯგუფების ტერორისტულ საქმიანობას.

საფრთხის უზარმაზარი მნიშვნელობის გამო, ტერორიზმზე ბევრი ითქვა და დაიწერა. მოვლენას სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა ასპექტით იხილავდნენ და იკვლევდნენ, თუმცა ვერანაირად ვერ მოხერხდა ტერორიზმის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის, ერთიანი, ყველასათვის მისაღები იურიდიული განსაზღვრების შემუშავება, ხოლო ერთიანი ნორმატიული განსაზღვრების გარეშე, შეუძლებელია ერთიანი სამართლებრივი მიდგომებიც. ამიტომაც, რომ, თუკი საზოგადოების ერთი ნაწილისთვის გარკვეული ჯგუფი ტერორისტულია, მეორე ნაწილისთვის ეროვნულ-ნაციონალური, რელიგიური, ან სოციალური უფლებებისათვის მებრძოლია. „საყოველთაოდ ცნობილი განცხადება იმის შესახებ, რომ „ერთისთვის ტერორისტი, თავისუფლებისთვის მებრძოლია მეორესთვის“ იქცა არა მხოლოდ ერთგვარ კლიშედ, არამედ ერთ-ერთ რთულად გადასალახავ წინააღმდეგობად ტერორიზმთან ბრძოლაში“.<sup>1</sup>

სიტყვა “Terrorer” (ტერერე) ლათინურად დაშინებას ნიშნავს<sup>2</sup>, იგი ორი მნიშვნელობით გამოიყენება: პირველი - “შიში”, “საშინელება”, მეორე - “დაშინების საშუალება”, “შიშის საგანი”, “საშიში გარემოება”.<sup>3</sup> ლათინური “Terrorer” - დან არის ნაწარმოები ფრანგული სიტყვა “terreur”-ი, რომელიც, თავის მხრივ, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ძალადობრივი სოციალური მოვლენის აღმნიშვნელად იქცა. ფრანგული განმარტებითი ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავს როგორც “რევოლუციური ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობრივი აქტების ერთობლიობას, რაც ტერორიზმის მეშვეობით მიზნად ისახავს საზოგადოების ყურადღების მიპყრობას.” ტერორიზმდაა, აგრეთვე, მიჩნეული “სახელმწიფოს მიერ დამყარებული ძალადობრივი რეჟიმი”.<sup>4</sup> ს. ოჟეგოვის და ნ. შვედოვას რედაქციით გამოცემული რუსული განმარტებითი ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავს, როგორც “ტერორის პოლიტიკასა და პრაქტიკას”, რაშიც იგუ-

<sup>1</sup> იხ. В.В. Устинов Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика. М., 2002, с. 8.

<sup>2</sup> იხ. Histoire du Terrorisme de l'Antiquite a al Qaida. Sous la direction de Gerard Chaliand et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004, p. 9.

<sup>3</sup> იხ. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография. М., 2008, с. 16.

<sup>4</sup> იხ. Larousse trois volumes en couleurs. Tome trois. Librairie Larousse, P., 1966. P. 828.

ლისხმება “პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაშინება, გამოხატული ძალადობაში, თვით მათ ფიზიკურ განადგურებამდე”, აგრეთვე “მოსახლეობის დაშინება”<sup>5</sup>. დაშინება, ძალადობრივი ქმედება, ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა.<sup>6</sup> ტერორიზმზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც ქმედების საზრისს შიშის დანერგვა, დაშინება შეადგენს, ეს არის ტერორიზმის უძირითადესი ნიშანი...<sup>7</sup>

ტერმინი “ტერორი” და მისგან ნაწარმოები ტერორიზმი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (1789-1794), კერძოდ, კი იაკობინელთა დიქტატურის, პერიოდში იქცა ძალისმიერი გზით მიზნის მიღწევის გარკვეული მეთოდის აღმნიშვნელად, რომლის საფუძველიც მოწინააღმდეგის დაშინება, თავზარის დაცემა, მისთვის პერმანენტული შიშის განცდის თავს მოხვევაა.

“ტერორის”, როგორც სისტემატურად გამოყენებული ძალადობის კონცეფცია, რომელიც მიმართულია გარკვეული პოლიტიკური შედეგების მიღწევისკენ, ჩამოაყალიბა მაქსიმილიან რობესპიერმა საფრანგეთის რევოლუციის დროს:

“საჭიროა დავთრგუნოთ რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მტრები, ან და დავიღუპოთ რესპუბლიკასთან ერთად. ასე რომ, აღნიშნულ სიტუაციაში ჩვენი პოლიტიკის უპირველესი მიზანია ვმართოთ ხალხი გონიერების, ხოლო ხალხის მტრები ტერორის მეშვეობით. თუკი სახალხო სახელმწიფოს დასაყრდენი მშვიდობის დროს არის კეთილგონიერება, რევოლუციის დროს კეთილგონიერებასთან ერთად აუცილებელია ტერორიც; კეთილგონიერების გარეშე ტერორი დამღუპველია; ტერორის გარეშე კეთილგონიერება უსუსური.”<sup>8</sup> იაკობინელთა ტერორით ბატონობის დროს, მხოლოდ 1793 წლის შემოდგომიდან 1794 წლის ზაფხულამდე სიკვდილით დაისაჯა დაახლოებით 40 ათასი ადამიანი, განადგურდა ათასობით რეალური, თუ პოტენციური მოწინააღმდეგე, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. მათი უმრავლესობა საერთოდ უდანაშაულო ადამიანი იყო. ტერორის კონცეფციის მამამთავარს მაქსიმილიან რობესპიერს, თვითონ უადრესად მორალურ პიროვნებას, სურდა ჩამოეყალიბებინა იდეალური საზოგადოება, რომელიც მარადიული ეთიკური პრინციპების შესაბამისად იქნებოდა მოწყობილი, თუმცა ამ კეთილშობილური მიზნების მიღწევის საშუალებად მან ტერორი შეარჩია.<sup>9</sup>

ტერორიზმი, როგორც გარკვეული მიზნის მიღწევის ხერხი, გამართლებულია ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის. საინტერესოა, რომ გაეროს ტერორიზმის პრობლემათა კვლევის სპეციალური, საერთაშორისო კომიტეტის მიერ ტერორიზმის გამომწვევ მიზეზებად დასახელებულია : „ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, აგრესიის პოლიტიკა, ოკუპაცია და მისი შედე-

<sup>5</sup> იხ. С. И. Ожегов, Н.Ю. Шведова «Толковый словарь русского языка». М., 1995 г., с. 784.

<sup>6</sup> იხ. В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка. Т. IV. –М.: «Русский язык», 1980. с. 401; С.И. Ожегов Словарь русского языка. –М.: «Русский язык», 1968.с. 784.

<sup>7</sup> იხ. Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М.: Щит-М, 2001. с.8

<sup>8</sup> იხ. М. Robespierre, “Principes de morale politique,” 1794 წლის 5 თებერვალს საფრანგეთის ნაციონალურ კონვენტზე წარმოქმნილი სიტყვა. <http://membres.lycos.fr/discours/1794.htm> <http://membres.lycos.fr/discours/1794.htm>. 2009

<sup>9</sup> იხ. С. А. Эфиров Покушение на будущее. Логика и футурология «левого» экстремизма. М.: Мол. гвардия, 1984. сс. 145-153

გები : უსამართლობა, უთანასწორობა, ჩაგვრა და ექსპლუატაცია.<sup>10</sup> ტერორიზმის დეტერმინანტებად ზემოაღნიშნული მიზეზების დასახელება, გარკვეულწილად, ამართლებს ტერორისტებს, ანიჭებს მათ მართალი საქმისთვის წამებულთა სტატუსს, ჰქმნის მათგან გოლიათთან მებრძოლი დავითის სახეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარკვეულ წრეებში ყალიბდება აზრი ტერორისტების ქმედებების ლეგიტიმურობის შესახებ. ტერორისტული საქმიანობის ლეგიტიმაცია გამოიხატება იმაში, რომ ტერორისტები ბოროტებას ებრძვიან და თავისი საქმით კეთილი შედეგის მიღწევა სურთ. აღნიშნულში მდგომარეობს ტერორისტული იდეოლოგიის საკვანძო საკითხი, რომელიც გაცილებით ადრე, საუკუნეების გადაღმა, თეორიულად წამოაყენა ნიკოლო მაკიაველმა, ხოლო იეზუიტთა ორდენმა სამოქმედო დევიზად აღიარა : „მიზანი ამართლებს საშუალებას.“ აღნიშნული დევიზი მუდამ თან სდევს ყველა დროის და მიმართულების ტერორისტულ იდეოლოგიას, როგორც თვითგამართლების უნიკალური საშუალება.

ტერორისტული თვითგამართლების დოქტრინა მდგომარეობს იმაში, რომ სიმართლისთვის მებრძოლები იძულებულნი არიან დაადგინონ ტერორისტული მეთოდებით ბრძოლის გზას, რადგან სხვა არჩევანი არ გააჩნიათ და რადგან ნათელი მიზნის მიღწევა სურთ, ზუსტად ამგვარი იდეოლოგიით ცდილობენ ისინი ლეგიტიმურობის მოპოვებას და საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში აღწევენ კიდევაც მიზანს. როგორც ერნესტ გენრი ამბობდა : ტერორისტებს, მათ ორგანიზაციებს რომ არ ჰქონდეთ გარკვეული სოციალური ჯგუფებისგან მხარდაჭერა ტერორისტულ საქმიანობაში, იდეებში, ფინანსურ უზრუნველყოფაში, ლეგიტიმურობისთვის ბრძოლაში, დღემდე, ალბათ, აღარცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ იარსებებდა. მის წინააღმდეგ დაუძინებელი ბრძოლის მიუხედავად, ტერორიზმი ვითარდება, იქნეს ახალ მომხრეებს, ხორციელდება ახალი ტერორისტული აქტები...<sup>11</sup> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რაოდენ სამართლიანიც არ უნდა იყოს მიზეზი, ვერასოდეს ვერ გაამართლებს ტერორისტულ საშუალებებს. ტერორისტული საშუალებები არის აღნიშნული სამართლიანი საფუძვლების დისკრედიტაცია. . . <sup>12</sup>

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მოგვიანებით მიღებულ 1269-ე რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ წარმომშობი მიზეზების და დასახული მიზნების მიუხედავად, ტერორიზმის ნებისმიერი გამოვლინება დანაშაულია. „უპირობოდ განიკითხავს ტერორიზმის ყოველ აქტს, მეთოდს და პრაქტიკულ გამოვლინებას, როგორც დანაშაულებრივს და გაუმართლებელს, მისი მოტივაციის, ფორმის, ჩადენის ადგილის და ჩამდენი პირების მიუხედავად, განსაკუთრებით კი ისეთს, რომელიც ხელყოფით ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას და უშიშროებას.“<sup>13</sup>

<sup>10</sup> იხ. UN.Doc. A/C.6/34/5 SR.10. P. 14.

<sup>11</sup> იხ. Г.Э. Против терроризма. М.: АПН, 1981. с. 8.

<sup>12</sup> იხ. G. P. Shultz, Terrorism and the Modern World., Terrorism: An International Journal 7, 1985, №.4, p. 437.

<sup>13</sup> იხ. 1999 წლის 1269-ე რეზოლუცია. S/Res/1269 www.un.org, 1999

## § 2. ტერორიზმის დეფინიცია

შეფასების ორმაგი სტანდარტის და ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში, როგორც დოქტრინაში, ასევე, ოფიციალურ ნორმატიულ აქტებში, ხშირია ტერორიზმის ადრევა სხვა სოციალურ-სამართლებრივ მოვლენებთან. განსაკუთრებით ხშირია ომის, პარტიზანული ბრძოლის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, დეკლონიალიზაციის პროცესების ტერორიზმთან გაიგივება. ზოგიერთი ავტორი ტერორიზმისა და ძალადობის სხვა ფორმების განმასხვავებელ ინდიკატორად ასახელებს პოლიტიკური ოპონენტების სხვადასხვა მეთოდებით სისტემატურ დაშინებას მათზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით.<sup>14</sup> მოცემული ინდიკატორი არსებითად არასაკმარისია აღნიშნულ სოციალურ მოვლენებს შორის ასე თუ ისე მკვეთრი ზღვარის გასაველებად.

იმის გამო, რომ ტერორიზმი არ არის მოქცეული მკაცრ იურიდიულ ჩარჩოებში, საზოგადოებაში გავრცელდა მისი არასამართლებრივი, პოპულისტური გაგება. ტერორიზმის ცნება ასახავს გარკვეულ სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას. დღეს ასეთი დოქტრინული, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში შემუშავებული ტერორიზმის ცნებათა რიცხვი, ზოგიერთ ავტორთა მონაცემებით, ორ ასეულს აღემატება და ჯერჯერობით არცერთი საყოველთაოდ აღიარებული არ არის. ტერორიზმის იურიდიული განსაზღვრების გარშემო აზრთა ასეთი სხვადასხვაობა, ჩვენი აზრით, გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: 1) ტერორიზმის მრავალფეროვანი და რთული ბუნებით, რის გამოც ჭირს მოვლენის ზოგად-იურიდიული ანალიზი და მოქნილი სამართლებრივი ნორმის შემუშავება ; 2) მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ტერორიზმის მიმართ განსხვავებული დამოკიდებულებით, ე.წ. ორმაგი სტანდარტების არსებობით. (ტერორიზმისთვის ხელის შეწყობიდან მასთან ბრძოლამდე); 3) თვითონ ტერორიზმის, როგორც სოციალური მოვლენის განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთულობით. ტერორიზმი ხომ ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდა, მიუხედავად იმისა, თუ რა სარჩული ედო მას, ნაციონალური, რელიგიური თუ სხვა.

ტერორიზმის ცნების შემუშავება უმნიშვნელოვანესია. აღნიშნული ჩამოყალიბებს ერთიან მიდგომას სახელმწიფოთა მხრიდან, გამოიწვინებს ერთმანეთისგან ზემოქმედების სამართლებრივ და უკანონო საშუალებებს.<sup>15</sup> საერთაშორისო სიხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში ტერორიზმის ვერ მოხვედრის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ტერორიზმის იურიდიული ცნების არარსებობაც მივიჩნიოთ <sup>16</sup>

ტერორიზმის აკრძალვა ერთ ქვეყანაში არ არის საკმარისი ტერორისტული თავდასხმების თავიდან ასაცილებლად სხვა დანარჩენ ქვეყნებში. საყოველთაოდ მიღებული ცნების არსებობა აუცილებელია მსოფლიოში

<sup>14</sup> იხ. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография. М. 2008, с. 16.

<sup>15</sup> იხ. V. Nanda, The Role of International Law in Combating Terrorism, 10 Mich. St. U. Dcl. Intl L. pp. 603, 604 2001.

<sup>16</sup> იხ. R. J. Goldstone & J. Simpson, Evaluating the Role of the International Criminal Court as a Legal Response to Terrorism, 16 Harv. Hum. Rts. №. 13,14. 2003.



“ერთნაირი მინიმალური იურიდიული სტანდარტის” დასადგენად. ტერორისტების მიერ გამოწვეული მავნე შედეგი შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობით იხვევოდეს სამართლის ზოგადი ნორმებით, მაგალითად, მკვლელობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ა.შ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართალი ავალდებულებს სახელმწიფოებს ებრძოლონ ტერორიზმს<sup>17</sup> და განახორციელონ შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ტერორისტული დანაშაულების კრიმინალიზაცია.<sup>18</sup>

გაეროს უშიშროების საბჭოს 1373-ე გადაწყვეტილების მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ მნიშვნელოვანი ვალდებულებები ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტით<sup>19</sup>. ტერორიზმის ერთიანი იურიდიული დეფინიციის არარსებობის პირობებში ღიად რჩება საკითხი, რას და ვის უნდა ებრძოლონ სახელმწიფოებმა, შესაბამისად, აღნიშნული ხდება იმის საბაბი, რომ ზოგიერთი სახელმწიფო საერთოდ თავს არიდებს ტერორიზმთან ბრძოლის ვალდებულებას, ზოგიერთი კი ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით ახშობს კანონიერ პოლიტიკურ ოპოზიციას. მაგალითად, რუსეთში და ეგვიპტეში ტერორიზმთან ბრძოლის სახელით კანონიერი პოლიტიკური ოპოზიციის სტრუქტურა განადგურდა<sup>20</sup>.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიღებული აქვს 21 გლობალური და რეგიონალური შეთანხმება, აქედან 12 გლობალურ კონვენციას წარმოადგენს.<sup>21</sup> გაეროს ერთ-ერთი ბოლო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აღმოფხვრის წინააღმდეგ

---

<sup>17</sup> იხ. M. Flory International Law: Instruments to Combat Terrorism, in Terrorism and International Law 31, Rosalyn Higgins & Maurice Flory eds., 1997.

<sup>18</sup> იხ. G. Starke, The Convention for the Prevention and Punishment of Terrorism, 19 Brit. Y.B. Intl. L. pp. 214, 215. 1938.

<sup>19</sup> იხ. S.C. Res. 1373, U.N. Doc. S/Res/1373. Sept. 28, 2001

<sup>20</sup> იხ. Human Rights Watch, in the Name of Counter-Terrorism: Human Rights Abuses Worldwide. 2003, <http://www.hrw.org/un/chr59/counter-terrorism-bck.pdf>.

<sup>21</sup> იხ.: International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, Dec. 9, 1999, S. Treaty Doc. No. 106-49, G.A. Res. 54/109, V.N. Gaor, 54th Sess., Supp. No. 49, U.N. Doc. A/54/49 [hereinafter Financing Convention]; International Convention for the Suppression of Terrorist Bombings, Dec. 15, 1997, S. Treaty Doc. No. 106-6, 37 I.L.M. 249 [hereinafter Bombings Convention]; Convention on the Marking of Plastic Explosives for the Purpose of Detection, Mar. 1, 1991, U.S. Treaty Doc. No. 103-8, 2122 U.N.T.S. 359 [hereinafter Plastic Explosives Convention]; Protocol for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Fixed Platforms Located on the Continental Shelf, Mar. 10, 1988, 27 I.L.M. 685 [hereinafter Fixed Platforms Convention]; Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation, Mar. 10, 1988, S. Treaty Doc. No. 101-1, 27 I.L.M. 668 [hereinafter Maritime Convention]; Protocol for the Suppression of Unlawful Acts of Violence at Airports Serving International Civil Aviation [supplement to the Montreal Convention], Feb. 24, 1988, S. Treaty Doc. No. 100-19, 1589 U.N.T.S. 474 [hereinafter Montreal Airports Protocol]; Convention on the Physical Protection of Nuclear Material, Mar. 3, 1980, T.I.A.S. No. 11080, 1456 U.N.T.S. 101 [hereinafter Nuclear Materials Convention]; International Convention Against the Taking of Hostages, Dec. 17, 1979, T. I. A. S. No. 11081, 1316 U.N.T.S. 205 [hereinafter Hostages Convention]; Convention on the Prevention and Punishment of Crimes Against Internationally Protected Persons, Including Diplomatic Agents, Dec. 14, 1973, 28 U.S.T. 1975, 1035 U.N.T.S. 167 [hereinafter Internationally Protected Persons Convention]; Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Civil Aviation, Sept. 23, 1971, 24 U.S.T. 5465, 974 U.N.T.S. 178 (Jan. 26, 1973) [hereinafter Montreal Convention]; Convention for the Suppression of Unlawful Seizure of Aircraft, Dec. 16, 1970, 22 U.S.T. 1641, 860 U.N.T.S. 105 [hereinafter The Hague Convention]; Convention on Offences and Certain Other Acts Committed on Board Aircraft, Sept. 14, 1963, 20 U.S.T. 2941, 704 U.N.T.S. 219 [hereinafter Tokyo Convention].

არის მიმართული.<sup>22</sup> ტერორიზმთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლისთვის დამახასიათებელი დღევანდელი ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ აქცენტი გადატანილია საერთაშორისო კონვენციების დებულებების შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ასახვაზე და არა ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიციის შემუშავებაზე, საერთაშორისო დანაშაულად გამოცხადებაზე.<sup>23</sup>

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი დეფინიციის მიხედვით: ტერორისტია ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გარკვეული ქვეყნის მხრიდან აღიარების უქონლობის მიუხედავად, მოქმედებს მარტო, ან როგორც გარკვეული ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც არ არის მიჩნეული საკუთარი ერის ოფიციალურ ნაწილად და მოქმედებს, რათა გაანადგუროს, ან დააზიანოს სამოქალაქო მოსახლეობა, აგრეთვე, რათა გაანადგუროს ან დააზიანოს საკუთრება, რომელიც ეკუთვნის სამოქალაქო მოსახლეობას ან ხელისუფლებას, გარკვეული პოლიტიკური მიზნის მიღწევის მიზნით. ტერორიზმი არის სამოქალაქო პირების სიცოცხლის განადგურება ან ჯანმრთელობის დაზიანება, აგრეთვე, სამოქალაქო, ან სახელმწიფო საკუთრების განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი გარკვეული ქვეყნის ხელისუფლების ოფიციალური გადაწყვეტილების გარეშე, გარკვეული ინდივიდუმებისა თუ ჯგუფების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად ან ხელისუფლების დაკვეთით ან თანხმობით, ცდილობენ რა პოლიტიკური მიზნის მიღწევას.<sup>24</sup>

ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო სამართლებრივი დებულებების ქმედითობა დამოკიდებულია კონკრეტულ სახელმწიფოთა შიდასამართლებრივ ბაზაზე. საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული და ნათელი დეფინიციის არარსებობა ფატალურ პრობლემას არ წარმოადგენს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ტერორისტული დანაშაულობების ზუსტ და ამომწურავ განსაზღვრებას უნდა შეიცავდეს.<sup>25</sup> მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის სამართლებრივ სისტემას გააჩნია სადავო საკითხები დოქტრინული თვალსაზრისით, იურისპრუდენციაში უდავო ჭეშმარიტებად ითვლება ის, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს კანონის სწორად განმარტებას და ერთგვაროვნად გამოყენებას.<sup>26</sup>

<sup>22</sup> იხ. საერთაშორისო კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აღმოფხვრის შესახებ (ღია ხემოსაწერად 2004 წლის 14 სექტემბრიდან) [http://untreaty.un.org/English/notpubl/English\\_18\\_15.pdf](http://untreaty.un.org/English/notpubl/English_18_15.pdf) 2009

<sup>23</sup> იხ. Davis Polk & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline - 29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23 2006. p.35.

<sup>24</sup> იხ. <http://www.inlink.com/~civitas/mun/res9596/terror.html>.

<sup>25</sup> იხ. Davis Polk & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline -- 29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23 2006 p.69.

<sup>26</sup> აღნიშნულ საკითხზე იხილეთ, აგრეთვე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2007 წ., გვ. 90.

ტერორიზმის შიდასამართლებრივი დეფინიციის შემუშავებას გააჩნია ოთხი ძირითადი ფუნქცია:

პირველი, შიდასამართლებრივ მექანიზმებზე დამოკიდებული კონკრეტული პირებისთვის (ფიზიკური ან იურიდიული) “ტერორისტის” ან “ტერორისტული ორგანიზაციის” სისხლისსამართლებრივი სტატუსის მინიჭება. აღნიშნული სტატუსი შესაძლებლობას იძლევა კონფისკაციას ან გაყინვას დაექვემდებაროს ტერორისტული დანაშაულების ჩამდენ პირთა ფინანსური აქტივები. ტერორისტული ხასიათის დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილების მიმართ განხორციელდეს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებები: დაკავება, დაკითხვა, გაძლიერებული თვალთვალი და სხვა.

მეორე, შიდასამართლებრივი დეფინიცია ტერორიზმს გამიჯნავს სხვა მსგავსი დანაშაულებისგან.

მესამე, საფუძვლად უდევს შიდასახელმწიფოებრივი სტრუქტურების კოორდინაციას. მაგალითად შეერთებულ შტატებში ტერორისტული ხასიათის დანაშაულებს იძიებს გამოძიების ფედერალური ბიურო, იუსტიციის სამინისტრო და არა ადგილობრივი პოლიცია, რაც პრობლემის მოგვარებაში სპეცსამსახურების ჩართვის შესაძლებლობას იძლევა.

მეოთხე, ა) ტერორიზმის ზუსტი დეფინიცია აუცილებელია კონტრტერორისტული საშუალებების და მეთოდების სწორი შერჩევისთვის სახელმწიფოს ძალისმიერი ორგანოების მხრიდან, ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით;<sup>27</sup> ბ) სამოქალაქო საზოგადოების კანონიერი უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის თავიდან აცილებისთვის; გ) ტერორისტების ეფექტურად გამოვლენისა და დასჯისთვის; დ) ორგანიზებული დანაშაულების სხვა ფორმებისგან ტერორიზმის გამიჯვნისთვის.<sup>28</sup>

როგორც აღინიშნა, ტეროლოგიაში ტერორიზმის ორ ასეულზე მეტი ცნებაა შემუშავებული, საილუსტრაციოდ მიზანშეწონილია რამდენიმე მათგანის განხილვა:

გ. ვიტიუკი აყალიბებს ტერორიზმის ძირითად ნიშნებს:

1. ტერორიზმი არის პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი და სისტემატური ძალადობრივი ქმედებების განხორციელებასთან. ტერორიზმი ორგანიზებული დანაშაულობისგან პოლიტიკური ბუნებით განსხვავდება.

2. ტერორიზმს ახასიათებს არა მარტო ამა თუ იმ გავლენიანი პირების, არამედ თვით ხელისუფლების და გარკვეული სოციალური ჯგუფების, ფიზიკური პირების დაშინება.

3. ტერორიზმს ახასიათებს ტაქტიკა, რომელიც მდგომარეობს პოლიტიკური მკვლევარების სისტემატურ ორგანიზებაში, რაც არ არის დაკავშირებული მასების რევოლუციურ ბრძოლასთან.<sup>29</sup>

<sup>27</sup> იხ. W. M. Reisman, International Legal & sponses to Terrorism, 22 Hous. J. Int'l. № 3, 1999. p.9

<sup>28</sup> იხ. D. Polk & Wardwell, Defiining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and it's Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline -- 29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23, 2006. p.70

<sup>29</sup> იხ. В. В. Витюк Социальная сущность и идеино-политические концепции современного левого терроризма. Автореф. дисю доктпо философ.наук. М.,1985, С. 9.

რ. ერიქსონის აზრით, ტერორიზმი არის ძალადობის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება ან გამოყენების მუქარა, მიმართული ინდივიდების წინააღმდეგ, შიშის გამოსაწვევად, რათა აიძულოს ან დააშინოს სახელმწიფო, საზოგადოება ან ინდივიდი, პოლიტიკური, სოციალური, თუ იდეოლოგიური მიზნების მიღწევისთვის.<sup>30</sup>

ტერორიზმის იურიდიული დეფინიციის თემატიკაზე განსაკუთრებულად საინტერესო ნაშრომი აქვს შექმნილი ჰოლანდიელ მეცნიერს, პოლიტოლოგს ალექს შმიდტს. აღნიშნულ ნაშრომში მას გაანალიზებული აქვს ტერორიზმის 140-ზე მეტი განსაზღვრება, რომელიც შემუშავებულია 1936-1981 წლებში. ამ შესწავლის შედეგად, მან გამოყო ტერორიზმის მახასიათებელი 22 ძირითადი შემადგენელი ელემენტი და 20 ძირითადი მიზანი (რომლის მიღწევისკენაც ყველაზე ხშირად არის ხოლმე მიმართული ტერორისტული საქმიანობა).

ტერორიზმის ძირითად ელემენტებს შეადგენს: 1) ძალადობა; 2) პოლიტიკური ხასიათი; 3) დაშინება, ტერორი; 4) მუქარა; 5) ფსიქოლოგიური ეფექტები და აღნიშნულით გამოწვეული რეაქცია; 6) მსხვერპლისა და საფრთხის დიფერენციაცია (აღნიშნულ ნიშანზე ყურადღება გაამახვილა, აგრეთვე, გერმანელმა კრიმინოლოგმა შნაიდერმა, როდესაც აღნიშნა, რომ ტერორიზმში გამოკვეთილია სამი მხარე: ტერორისტი, მსხვერპლი (რომელიც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა ტერორისტისთვის) და ე.წ. “სამიზნე ჯგუფი”, რომლებიც მსხვერპლის მეშვეობით ფსიქოლოგიური ზემოქმედება ხორციელდება);<sup>31</sup> 7) მიზანმიმართული, დაგეგმილი, სისტემატური და ორგანიზებული მოქმედება; 8) ბრძოლის მეთოდი, ერთგვარი სტრატეგია, ტაქტიკა; 9) მიღებული ნორმების, ჰუმანიტარულის ჩათვლით, განსაკუთრებით უხეში დარღვევა; 10) თანხმობის მიღწევის იძულებითი, გამოძალავითი ხასიათი; 11) საქმიანობის ფართოდ გახმაურება, რეკლამირება; 12) განურჩევლობა მსხვერპლის შერჩევისას; 13) სამოქალაქო საზოგადოებაზე, შეუიარაღებელ ადამიანებზე თავდასხმა; 14) დაშინება; 15) მსხვერპლის უდანაშაულობა; 16) ჯგუფი, მოძრაობა, ან ორგანიზაცია, როგორც სამართალდამრღვევი; 17) სიმბოლური, დემონსტრაციული ხასიათი; 18) მოულოდნელობა არაპროგნოზირებადობა; 19) საიდუმლო ხასიათი; 20) განმეორებადობა, სერიული ხასიათი, ძალადობის ერთგვარი კამპანია; 21) ტერორიზმის დანაშაულებრივი ხასიათი (აღნიშნული ქმედების დანაშაულებრივი კრიმინალიზაცია. შენიშვნა ჩემია-გ.გ) 22) მოთხოვნები, რომლებიც მიმართულია მესამე პირებზე.<sup>32</sup>

რაც შეეხება ტერორიზმის ძირითად მიზნებს, შმიდტის აზრით, ესენია: 1) ტერორიზება, ფართო მასების დაშინება; 2) ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების პროვოცირება; 3) ძალების მობილიზება; 4) მასებში საკუთარ მოქმედებებზე დადებითი ან უარყოფითი შეხედულების შექმნა, საზოგადოების პოლარიზაცია და რადიკალიზაცია; 5) პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება, გარკვეული ხელისუფლების დამხობა; 6) წინა-

<sup>30</sup> იხ. R. J. Erikson. Legitimate USE of military force against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532. 1989.p.22.

<sup>31</sup> იხ. Н. Шнайдер, Криминология, М., 1994 с. 439.

<sup>32</sup> იხ. A. P. Schmid, Political Terrorism: A Research Guide to Concepts, Theories, Data Bases and Literature, Amsterdam: North-Holland Publishing Co., 1983, pp. 76 -77.

აღმდგომის დასუსტება და განადგურება; 7) თანხების მოპოვება, შეიარაღების შექმნის ანდა სხვა აქტივობის დასაფინანსებლად; 8) სიძლიერის შენარჩუნება, კარგი დისციპლინა, მოქნილი მმართველობა, სამიზნე ჯგუფების გადმობირება და მათი ერთგულების მიღწევა; 9) საზოგადოების დემორალიზაცია, მასში არეულობის, უწყესრიგობის შეტანა, პერმანენტული განგაშის და აფორიაქებულობის განწყობის ჩამოყალიბება, პანიკური, კოლაფსური კლიმატის შექმნა; 10) სახელმწიფო საკუთრების, მისი მოსამსახურეების განადგურება და დაზიანება, სახელისუფლებო ძალების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის თავიდან აცილების მიზნით; 11) ხელისუფლების დასუსტება და დისკრედიტაცია, ხელისუფლების უძღურების დემონსტრაცია, რათა განადგურებული იქნეს დემოკრატიული ინსტიტუტები, დამსხვრეულ იქნეს საზოგადოების რწმენა საკუთარი ხელისუფლების მიმართ; 12) საქმიანობის დაგეგმვა საზღვარგარეთ; 13) საკუთარი თავის რეკლამირება, საზოგადოების ყურადღების მიქცევა, მისი მხარდაჭერის მოპოვება. 14) სახელმწიფო აპარატისა და უსაფრთხოების სამსახურისთვის დაბრკოლებების შექმნა, შეფერხება; 15) ახალი კადრების მოზიდვა ტერორისტული საქმიანობისათვის; 16) ტერორისტული ჯგუფის შიგნით, აგრეთვე, მის მხარდამჭერებში გარკვეული მორალური დოგმების თუ ნორმების შექმნა; 17) ტერორისტული ჯგუფის ფარგლებში მკაცრი დისციპლინის შენარჩუნება, მოღალატეების და შინაგანაწესის დამრღვევთა დასჯა; 18) გამარჯვების მიღწევა იძულებითი დათმობების ხარჯზე (მაგ. დაპატიმრებულ თანამებრძოლთა გათავისუფლება და ა.შ.); 19) ტერორისტული ჯგუფის მოწინააღმდეგე ძალებისთვის დახმარების გამწვევ, ან რაიმე სხვა ბრალის მქონე წევრთა დასჯა; 20) საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე დომინირებული მდგომარეობის მიღწევა, მათი დაქვემდებარება და პარალიზება, დამონება და დაშინება. ტერორიზმის მახასიათებელი 22 ელემენტიდან და 20 მიზნიდან ავტორი ხუთ ძირითადს გამოყოფს თითოეულისთვის. კერძოდ, ტერორიზმის ხუთი ძირითადი ელემენტი: ძალადობა, პოლიტიკური ხასიათი, ტერორი ანუ დაშინება, მუქარა, მესამე პირებზე ზემოქმედება. რაც შეეხება ტერორიზმის ხუთ ძირითად მიზანს ესენია: მასების დაშინება და ტერორიზება, ხელისუფლების მხრიდან განურჩეველი რეპრესიების პროვოცირება, ტერორისტული ძალების გაძლიერება, მობილიზება და ხელისუფლების ძალების შესუსტება, საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენა დადებითი ან უარყოფითი ფორმით, პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მმართველი რეჟიმის დამხობა.<sup>33</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ტერორიზმის ერთიანი ცნების შემუშავება არა მხოლოდ საერთაშორისო მასშტაბით, არამედ ერთი სახელმწიფოს შიგნითაც საკმაოდ ჭირს. 1985 წელს აშშ-ის სენატის მითითებით ყველა სამთავრობო დაწესებულებას დაევალა შეემუშავებინა ტერორიზმის განსაზღვრება საკუთარი შეხედულების შესაბამისად.<sup>34</sup> საბოლოო ჯამში ყველა ფედერალურმა დაწესებულებამ შეიმუშავა ტერორიზმის საკუთარი დეფინიცია და, მიუხედავად განსაზღვრებების დიდი სიმრავლისა, ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ, რაზეც უოლტერ ლაკუარმა, საერთაშორისო სტრატეგიული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, განაცხადა, რომ მხოლოდ აშშ-ის მთავრობამ შეიმუშავა ტერორიზმის უამ-

<sup>33</sup> იხ. A. P. Schmid, დასახელებული ნაშრომი, გვ. 97-99.

<sup>34</sup> იხ. Senate, Committee on the Judiciary, Subcommittee on Security and Terrorism, Report on .State-Sponsored Terrorism., 99th Cong., 1st sess., June 1985.

რავი განსაზღვრება, რომელთაგანაც ერთმანეთის იდენტური არცერთი არ არის. . .<sup>35</sup>

ა. შ. შ. -ის სამათავრობო დაწესებულებების მიერ შემუშავებულ ტერორიზმის განსაზღვრებათა შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

ა. ვიცე-პრეზიდენტს დაქვემდებარებული, აგრესიული ტერორიზმის შემსწავლელი კომისიის მიერ შემუშავებული ცნება:

ვიცე პრეზიდენტის მიზნობრივი ჯგუფი: ტერორიზმი - ძალადობის უკანონო გამოყენება, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა, მიმართული ადამიანებისა ანდა საკუთრების მიმართ, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მიღწევის მიზნით. როგორც წესი, ხელისუფლების, ადამიანთა ანდა ჯგუფების დაშინების ან იძულების განზრახვით, მათი ქმედებისა თუ პოლიტიკის შეცვლის მიზნით.<sup>36</sup>

ბ. სახელმწიფო დეპარტამენტი: წინასწარ განზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა, მიმართული მშვიდობიანი სამიზნის წინააღმდეგ, ჩადენილი ნაციონალისტური მიმართულების ჯგუფების თუ სახელმწიფოს საიდუმლო აგენტების მიერ, როგორც წესი, ფართო მასებზე ზემოქმედებისთვის.<sup>37</sup>

გ. თავდაცვის სამინისტრო: ტერორიზმი - ეს არის ძალადობის მართლსაწინააღმდეგო გამოყენება, ან მისი გამოყენების მუქარა, პირთა თუ საკუთრების წინააღმდეგ, ხელისუფლებისა, თუ საზოგადოების დაშინების ან იძულებისათვის, პოლიტიკური, რელიგიური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად.<sup>38</sup>

სირთულეს წარმოადგენს ტერორის და ტერორიზმის ცნებების ურთიერთგამიჯნავ და ხშირად ლიტერატურაში ისინი სინონიმებად გამოიყენება, თუმცა აღნიშნული ცნებები ერთი და იმავე სოციალური დატვირთვით არ ხასიათდებიან.

ტერორის და ტერორიზმის ცნებების ურთიერთმიმართების შესახებ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების კლასიფიკაცია სამ ძირითად ჯგუფადაა შესაძლებელი:

1) ტერორისა და ტერორიზმის ცნებები იდენტური სოციალური მოვლენების გამომხატველად მიჩნეული და მათ შორის ტოლობის ნიშანი ძვეს. ეს შეხედულება საკმაოდ გავრცელებულია.

<sup>35</sup> იხ. W. Laqueur, „Reflections on Terrorism,“ Foreign Affairs. №1. 1986 p. 65.

<sup>36</sup> იხ. Vice President, Public Report of the Vice President's Task Force on Combatting Terrorism. Washington, D.C., February 1986, p. 1.

<sup>37</sup> იხ. Department of State, Patterns of Global Terrorism: 1984. Washington, D.C.: November 1985, inside front cover.

<sup>38</sup> იხ. Defense Department: Terrorism is the unlawful use or threatened use of force or violence against individuals or property to coerce or intimidate governments or societies, often to achieve political, religious, or ideological objectives. Source: <http://www.periscope.usni.com/demo/terms/t0000282.html>.

2) როდესაც ტერორს უფრო ფართო მნიშვნელობა ეძლევა, ხოლო ტერორიზმი განხილულია როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, მისი გამოხატულება.<sup>39</sup>

3) როდესაც ეს ორი ცნება მკვეთრადაა გამიჯნული. ცნებებს “ტერორსა” და “ტერორიზმს” შორის არსებობს მკვეთრი ზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნაწარმოებია პირველისგან. “ტერორიზმი - ეს არის პირველ რიგში, სუსტების იარაღი, რომელსაც იყენებენ იმის გამო, რომ მათ არ შეუძლიათ მოწინააღმდეგესთან პირდაპირი შერკინებით მიაღწიონ გამარჯვებას (ამ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა ომს), “ტერორი, კი არის მათი იარაღი ვის ხელშიცაა ხელისუფლება, რაც ანიჭებს მას ოფიციალურ (ინსტიტუციონალიზებულ) ხასიათს.”<sup>40</sup> “ტერორი – ეს არის რეპრესიის პოლიტიკა სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ემყარება მის ძალისმიერ ინსტიტუტებს. ტერორიზმი – ეს არის ძალადობა, განხორციელებული ოპოზიციური დაჯგუფებების მიერ. ტერორის იარაღი – რეპრესიაა, ტერორიზმის იარაღი – ტერორისტული აქტი.”<sup>41</sup>

საკმაოდ ორიგინალური მოსაზრება აქვს გამოთქმული აღნიშნულ საკითხზე ეფიროვს. მისი აზრით, ტერორიზმი შეიძლება მოვიაზროთ ფართო და ვიწრო მნიშვნელობით. ფართო მნიშვნელობით ტერორიზმს ავტორი მიაკუთვნებს სახელმწიფო ტერორს, ტერორისტულ პოლიტიკას, სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველა სახეს და გენოციდს. ვიწრო მნიშვნელობით ტერორიზმად შეიძლება განვიხილოთ სისხლისსამართლებრივად რელევანტური კონკრეტული ტერორისტული აქტები. ტერორის ცნებაში ავტორი მოიაზრებს იმავე შინაარსს, რაც აღნიშნულ ცნებას ჰქონდა იაკობინელთა დიქტატურის დროს, კერძოდ კი, სახელმწიფო ტერორს.<sup>42</sup>

ჩვენი აზრით, სამივე მოსაზრებას თავისი სუსტი მხარე გააჩნია. ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ ტერორს ჩვენ განვიხილავთ როგორც ხერხს, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთმა მხარემ დაშინებით აიძულოს მეორე მხარე შეასრულოს მისთვის სასურველი ქმედება. აქედან გამომდინარე, ტერორი, როგორც ხერხი და მეთოდი, არსებობს როგორც შედარებით უფრო ფართო, ზოგადსოციალური მოვლენა ტერორიზმისგან განსხვავებით. ტერორი თანაარსებობს ომებთან, რევოლუციებთან, აჯანყებებთან, სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის შიგნით ტოტალიტარულ, ხოლო ქვეყნის გარეთ კოლონიალურ პოლიტიკასთან და სხვა. ტერორი ზემოაღნიშნული მოვლენების ნაწილს წარმოადგენს.

ტერორი პოულობს გამოხატულებას სისხლის სამართლის დანაშაულებშიც, რომელთა შორის ტერორიზმიცაა. ზოგიერთი ავტორი სისხლის სა-

<sup>39</sup> იხ. С. И. Ожегов, Н.Ю. Шведова Толковый словарь русского языка. М., 1994. С. 784.

<sup>40</sup> იხ. М.В. Назаркин. Криминологическая характеристика и предупреждение терроризма. Диссертация на соискание ученой степени к.ю.н, М.1998, с. 30.

<sup>41</sup> იხ. Е. Кожушко Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000, с. 10

<sup>42</sup> ციტატა მოყვანილია წიგნიდან Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. Щит-М, 2001. с.11

მართლის მთელ რიგ დანაშაულებს გამოყოფს ტერორიზების ელემენტებით.<sup>43</sup>

ტერორიზმი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული (შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტით), რომელსაც გააჩნია ნორმატიულად განსაზღვრული ნიშნები. ტერორი, მართალია, ტერორიზმშიც პოულობს გამოსატყულებას, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, გაცილებით ფართო სოციალურ სპექტრზე ვრცელდება.

გაეროს მხრიდან აღიარებული იქნა თვითგამორკვევის უფლება, თუმცა ამ უფლების ფარგლები ბურუსშია გახვეული და გაუგებარია, რა შემთხვევაშია სახეზე ტერორიზმი და რა შემთხვევაში ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა.<sup>44</sup>

სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ნაციონალურ გამათავისუფლებელი ბრძოლისთვის მხარდაჭერით, ცდილობდნენ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიმართული ქმედებები ტერორიზმის დეფინიციის ქვეშ არ მოქცეულიყო. მაშინდელი მსოფლიოს პოლარიზაცია საბჭოთა, დასავლურ და მესამე მსოფლიოს ქვეყნების ბანაკებად, ტერორიზმის ცნების განსაზღვრის საკითხებშიც განსხვავებულ მიდგომებს განაპირობებდა.<sup>45</sup>

---

<sup>43</sup> იხ. В. П. Емельянов, Уголовная Ответственность за Терроризм и Преступления с Признаками Терроризиввния. Диссертация на соискание ученой степени доктора юридических наук. М.1998. с. 30  
доктора юридических наук. М.:2001. с. 104 – 193.

<sup>44</sup> იხ. J. E. Alvarez, The u.n. s 'War' on Terrorism, 31 Int'l. Legal Info. 2003. P. 238

<sup>45</sup> იხ. P. J. Van Krieken, Terrorism and the Internationa Legal Order With Special Reference to the Un, the Eu and Cross-Border Aspects 13 (2002) p. 114.



## თავი II ტერორიზმის სათავეებიდან დღევანდლობამდე (მიზეზები და პირობები)

ისტორიამ ტერორიზმის შინაარსზე დიდი გავლენა იქონია. აღნიშნულ მოვლენაზე საუბარი თითქმის შეუძლებელია ისტორიულ კონტექსტში მისი განხილვის გარეშე. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ხასიათით და ფორმით გვევლინებოდა თავის თავში ასახავდა რა კონკრეტული პერიოდის თავისებურებებს. ტერორიზმი ყოველთვის დეტერმინირებული იყო კონკრეტული ეპოქის სინამდვილით და, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენდა მასზე. ტერორიზმის განვითარება შეიძლება რამდენიმე ეპოქად, ეტაპად დაიყოს. ყოველივე ეს ტერორიზმის, როგორც მოვლენის, უკეთესად გათავისებაში ძალიან დაგვეხმარება.

ტერორიზმის ისტორიული განვითარების ეტაპებიდან შეიძლება რამდენიმე ხანა გამოიყოს: ადრეული, რევოლუციური, ცივი ომის დროინდელი, თანამედროვე.

### § 1. ადრეული ტერორიზმის ხანა

ტერორიზმი, როგორც ბრძოლის მეთოდი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან არ დაწყებულა. საფრანგეთიდან ბრძოლის აღნიშნულმა მეთოდმა ტერორიზმის სახელი მიიღო, თუმცა, როგორც სოციალური მოვლენა, როგორც გარკვეული მიზნის მიღწევის ძალადობრივი ხერხი, მსოფლიო ისტორიაში ადრეიდანვე ცნობილია.<sup>46</sup> იმის მიუხედავად, რომ ტერორიზმი ყოველთვის არსებობდა, იგი სხვადასხვანაირად იწოდებოდა და აღიქმებოდა დროის სხვადასხვა მონაკვეთში.<sup>47</sup> ”ადრეულ საუკუნეებში ტერორიზმი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთ ხერხადაც კი ჩამოყალიბდა. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფები თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორს იყენებდნენ. ტერორს მიმართავდნენ ინკვიზიციის, სასახლის გადატრიალებისა და მონარქის ჩამოგდების დროს; იგი განსაკუთრებით მძვინვარებდა რევოლუციების დროს, როცა რევოლუციის მოწინააღმდეგეებს (პოლიტიკურ მტრებს) სასტიკად უსწორდებოდნენ.”<sup>48</sup> ტერორიზმის (ტერორის) თავდაპირველი გამოვლინებები ისტორიულად შეიძლება ჯერ კიდევ ძველ მონათმფლობელურ მსოფლიოში ვეძიოთ.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა დაგვანახა, რომ ტერორიზმის ”ფორმულა” იგივე რჩება და მასში უმთავრესია არა ძალადობა, არამედ დაშინება, თავზარდაცემა. 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო კი არ შეცვლილა,

<sup>46</sup> იხ. Ю.В. Чуфаровский, Терроризм - глобальная проблема современности (методологический анализ) // Следователь, 1998. №5

<sup>47</sup> იხ. Ю. М. Антонян, Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. Щит-М, 2001. с. 6.

<sup>48</sup> М. Квачадзе. Характеристика современного терроризма. В кн. Российский ежегодник международного права. 1995, с. 203-204. ციტატა მოყვანილია წიგნიდან: მ. ლეკვიშვილი, გ. მამულაშვილი. დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ, 2002, გვ.

არამედ შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება ტერორიზმის მიმართ... სახელში მოკალათებულებმა ტელევიზორის ეკრანებიდან დაინახეს საშინელი რეალობა და გააცნობიერეს საკუთარი უსურობა...<sup>49</sup>

ტერორის მეთოდს, შიშის ქვეშ მორჩილებაში ყოფას, ემყარებოდა მსოფლიოში ყველა იმპერია. ზუსტად ტერორსა და შიშზე იყო დაფუძნებული შუამდინარეთში სარგონის მიერ ჩამოყალიბებული ასურეთის პირველი იმპერია, შემდგომ ანტიკური ხანის სამხედრო იმპერიები...<sup>50</sup> რომის იმპერიას ტერორის მეთოდი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში ჰქონდა აყვანილი. აღნიშნული მეთოდის მეშვეობით იმპერიას მორჩილებაში ჰყავდა როგორც მონების დიდი მასები, ისე დაპყრობილი სახელმწიფოები და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები როგორც რომში, ისე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის დასტურია სისხლში ჩახშობილი მონათა აჯანყებები (მარტო სპარტაკის აჯანყების შემდეგ ჯვარზე გაკვრით სიკვდილით დასაჯეს ექვსი ათასზე მეტი მონა). რომში პირველი და მეორე ტრიუმვირატის დროს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 60-53წწ. და 43-36წწ.) მასობრივად ხდებოდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურება. იმპერატორები ნერონი, სულა, პომპეუსი, ცეზარი და სხვები მოწინააღმდეგეების ფიზიკური განადგურების გარდა, მიზნად ისახავდნენ მათ დაშინებას და იძულებას, გადაედგათ ისეთი ნაბიჯები, როგორც ეს რომის მმართველებს აწყობდათ. ტირანები იხოცებოდნენ, მაგრამ მათ მეთოდები სხვების შეიარაღებაში გადადიოდა.<sup>51</sup>

უძველესი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იყო მონური შრომიდან მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური სარგებლის ამოღებისკენ. აღნიშნული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო ძალადობაზე და ტერორზე დაფუძნებული მეთოდები, რათა ფსიქოლოგიურად გაეტეხათ, დაემორჩილებინათ ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში თავისუფალი ადამიანები.<sup>52</sup> მონათმფლობელურ საზოგადოებაში ძალადობა იყო “საწარმოო ბერკეტი”, ეკონომიკური ურთიერთობის ელემენტი, მმართველი ფენის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ნამატი პროდუქციის შექმნა.<sup>53</sup>

მონათმფლობელურ სახელმწიფოში ტერორიზმის მთავარ სუბიექტს სახელმწიფო წარმოადგენდა, რომელიც იყენებდა ტერორს, როგორც კანონიერ საშუალებას მასობრივი იძულებითი შრომისთვის, საზოგადოების მართვისთვის, ომების წარმოებისთვის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დათრგუნვისთვის. ტერორისტული საქმიანობა მიმართული იყო როგორც ქვეყნის შიდა, ისე გარე ფუნქციების განხორციელებისკენ... შესაბამისად,

<sup>49</sup> იხ. Д.В. Ольшанский, Психология терроризма, СПб. 2002, с. 30.  
<sup>50</sup> იხ. Histoire du Terrorisme de l'Antiquite a al Qaida. Sous la direction de Gerard Chaliand et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004, p.9.  
<sup>51</sup> იხ. И. И. Карпец, Преступное общество. М.,1983, с. 29.  
<sup>52</sup> იხ. Я. И. Кузьминов и др. Отчуждение труда. История и современность. Монография, М.,1989, С. 129.  
<sup>53</sup> იხ. В.В. Денисов. Социология насилия. М.,1975, с. 50.

## ადრეულ ტერორიზმს პოლიტიკურთან ერთად გააჩნდა ეკონომიკური მოტივაციაც.<sup>54</sup>

მონათმფლობელურ საზოგადოებაში გამოყენებული ძალადობა იყოფოდა კანონიერად და კანონსაწინააღმდეგოდ იმის მიხედვით, თუ ვინ ვის მიმართ ახორციელებდა ძალადობას. სახელმწიფოდან მომდინარე ძალადობა, მათ შორის მონის მიმართ, არ ითვლებოდა კანონსაწინააღმდეგოდ. ამგვარად ჩაეყარა საფუძველი მიდგომას, რომ სახელმწიფო ტერორი არის პოლიტიკური ბრძოლის კანონიერი მექანიზმი, ხოლო ოპოზიციური – უკანონო, რომელსაც სახელმწიფო უნდა ებრძოდეს ყველა არსებული საშუალებით. ტერორი ხდება პოლიტიკური ბრძოლის საშუალება და გამოიყენება: მმართველი კლასის მიერ ხალხის მასების მორჩილებაში ყოფილის, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დამარცხების და მათზე ზეწოლის მიზნით; ოპოზიციის მიერ ხელისუფლებისთვის ძირის გამოთხრის და მისი დეზორგანიზაციის მიზნით; მონების მიერ, როგორც საპასუხო რეაქცია და შურისძიება. **ტერორიზმმა ყველა სოციალურ წრეში საყოველთაოდ აღიარებული საშუალების სახე მიიღო.**<sup>55</sup>

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქრისტიანების მასობრივი დევნა-განადგურება რელიგიური ტერორის თავისებურ გამოვლინებად უნდა შეფასდეს. რომაელი მმართველების მხრიდან ხშირი იყო ქრისტიანების მასობრივი განადგურების ფაქტები, IV საუკუნეში რომის არმიიდან გაათავისუფლეს ყველა ქრისტიანი, დაანგრეს ეკლესიები, გაანადგურეს საეკლესიო წიგნები, ქრისტიანული აღმსარებლობის შემთხვევაში რომაელები კარგავდნენ მოქალაქეობას... 304 წელს გამოიცა ედიქტი, რომლის მიხედვითაც, ქალაქის მთელი ქრისტიანული მოსახლეობა მსხვერპლად უნდა შეეწირათ კერპებისათვის.<sup>56</sup> ქრისტიანული გადმოცემის თანახმად, პირველ ქრისტიანთა ხვედრი მძიმე იყო, მათ დევნიდნენ, დასცინოდნენ, სიკვდილით სჯიდნენ.<sup>57</sup> მოციქული პეტრე და პავლე 64 წელს აწამეს რომში, სხვა მოციქულების უმრავლესობაც მოწამეობრივად აღესრულა: წმ. მოციქული თომა ინდოეთში, წმ. იაკობ ალფესი ეგვიპტეში ჯვარზე გააკრეს, წმ. იაკობ ზებედესი იერუსალიმში ჰეროდე აგრიპამ სიკვდილით დასაჯა, წმ. იუდა იაკობისა არმენიაში ჯვარზე აღესრულა...<sup>58</sup>

რამდენიმე საუკუნის შემდეგ უკვე კათოლიკური ეკლესია ჯვაროსნული ლაშქრობებით, კოლონიალური დაპყრობითი ომებით ფიზიკური განადგურების შიშით ძალადობით მოაქცევს მრავალრიცხოვან ერებს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. კათოლიკური ეკლესიის მხრიდან ტერორის სახედ შეიძლება მივიჩნიოთ ინკვიზიციაც<sup>59</sup>, რომელმაც განსაკუთრებული მასშ-

<sup>54</sup> იხ. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М, 2008, с. 20.

<sup>55</sup> იხ. Ю. С. Горбунов, Терроризм и правовое регулирование противодействия ему. Монография, М, 2008, с. 21-22.

<sup>56</sup> იხ. С.Г. Лозинский. История папства. 3-е изд. М.,1986, С. 20-21.

<sup>57</sup> იხ. <http://www.shemoqmedi.ge/Ivlisis%20Mixedvit%20Moxsenieba/19.htm> 2008.

<sup>58</sup> იხ. გ. ქავთარაძე, ქრისტიანობის მოსვლა რომის იმპერიის სათავეში, [http://www.lib.ge/body\\_text.php?6527](http://www.lib.ge/body_text.php?6527), 2009.

<sup>59</sup> იხ. Х. А. Льюренте. Критическая история испанской инквизиции. Том I [www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html](http://www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html). 2010.

ტაბები გერმანიასა და ესპანეთში მიიღო<sup>60</sup>. მხოლოდ 1481–1498 წლებში ინკვიზიციის კოცონზე დაწვეს 9 ათასი ადამიანი და 6,5 იმ ადამიანების გამოსახულება, რომლებმაც თავს გაქცევით უშველეს ანდა განაჩენის აღსრულებამდე წამებით მოკლეს. კონფისკებული იქნა 90 ათასი ადამიანის ქონება.<sup>61</sup>

აღსანიშნავია ესპანელი კათოლიკეების ომი მავრი მუსულმანების წინააღმდეგ პირინეის ნახევარკუნძულის დასაუფლებლად. მუსულმანები აღნიშულ ნახევარკუნძულს ფლობდნენ XIII საუკუნიდან. 1492 წელს როდესაც ქრისტიანებმა საბოლოოდ გაიმარჯვეს, მუსულმანები დააყენეს არჩევანის წინაშე: ან უნდა გადმოსულიყვნენ ქრისტიანულ რელიგიაზე ან არადა დაეტოვებინათ ქვეყანა. აღნიშნული ულტიმატუმი წაუყენეს ებრაელებსაც, რომელთა რელიგიური თავისუფლება მუსულმანთა მმართველობის პერიოდში ეჭვის ქვეშ არ დამდგარა.<sup>62</sup>

საქართველოს მთელი ისტორია არის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ისტორია, რომელიც საგნა უცხოური ძალების მხრიდან ქვეყნის პოლიტიკური სისტემისა და მოსახლეობის მიმართ ტერორის მაგალითებით. თანამედროვე გადასახედიდან ტერორისტული ხასიათის დანაშაულად, კერძოდ კი, პოლიტიკური თანამდებობის პირზე თავდასხმად უნდა შეფასდეს ეგრისის მეფის გუბაზის მკვლელობა 554 წელს ხობისწყალთან. გუბაზ მეფე სპარსეთის წინააღმდეგ იბრძოდა. მან რამდენიმე დიდ წარმატებას მიაღწია თავისუფლებისთვის ბრძოლაში. სპარსელების წინააღმდეგ მის ეგრეთწოდებულ მოკავშირეებს ბიზანტიელები წარმოადგენდნენ, თუმცა ბიზანტიელები მხოლოდ საკუთარ გამდიდრებასა და გამორჩენაზე ზრუნავდნენ. მეფე გუბაზი არ მაღავედა თავის უკმაყოფილებას მედროვე, მომხვეჭელი სარდლების მიმართ და ამის შესახებ იმპერატორსაც ატყობინებდა. ბიზანტიელმა სარდლებმა იმპერატორის რისხვისგან თავის გადასარჩენად გუბაზ მეფეს სპარსელებთან მოკავშირეობა მოუგონეს და მდინარე ხობისწყლის პირას 554 წელს, მუხანათურად მოკლეს. გუბაზ მეფის მკვლელობას დიდი პროვოკაციული ეფექტი მოჰყვა და მაშინდელი ეგრისის საგარეო პოლიტიკის მიმართულების შეცვლის საფრთხე წარმოშვა. განრისხებული ეგრისელთა ერთი ნაწილი ითხოვდა ბიზანტიელებთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეს გადასვლას. აღნიშნული კარგად არის ასახული ბიზანტიელი ისტორიკოსის აგათია სქოლასტიკოსის შემოქმედებაში. აღწერილია, რომ მეფის მკვლელობით განრისხებული ეგრისელები სახალხო კრებაზე განიხილავდნენ ქვეყნის მომავალ საგარეო პოლიტიკას და ბჭობდნენ ბიზანტიელების მოკავშირეობად დარჩენილიყვნენ თუ სპარსელების მხარეს გადასულიყვნენ. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მომავალზე მსჯელობა ბიზანტიელმა ისტორიკოსმა აღწერა აიეტის და ფარტადის ცნობილი ორატორული გამოსვლით. <sup>63</sup> საქართველო იმ პერიოდში მხოლოდ საღმა აზრმა და რწმენის სიყვარულმა გადაარჩინა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლისგან.

<sup>60</sup> იხ. P.P. Рахманова, Инквизиция. [www.atheism.ru/library/Rahmanova\\_1.phtml](http://www.atheism.ru/library/Rahmanova_1.phtml) 2008

<sup>61</sup> იხ. Ф.А. Брокгауз, И.А. Ефрон. Энциклопедический словарь. СПб., 1894, Т. 25, С. 200.

<sup>62</sup> იხ. А.А. Крамсков. Терроризм и западное христианство. Терроризм и религия. М., 2005. С.49.

<sup>63</sup> იხ. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბილისი.1993წ., წიგნი პირველი, გვ. 155-162.

საქართველოს ისტორიიდან რელიგიური ტერორის მაგალითია ჯალალ ედ-დინის მიერ 1226 წელს თბილისში ასიათასამდე ქრისტიანის სიკვდილით დასჯა იმის გამო, რომ მათ თავიანთი რწმენა არ უარყვეს.<sup>64</sup> “ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოველად წმინდისა ღმრთისმშობლისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა დატევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკუეეთა თავთა. და ვითარ აღასრულებდეს ბრძანებულსა ამას, მოჰყვანდეს მამაკაცი დედათა თანა და აიძულებდეს ესრედ ყოფად. მრავალთა უკუე ბრწყინვალე ძღვევა აჩვენეს არა თავს-დებად შეურაცხებად წმიდათა ხატთა და დატევებად სჯულისა. ხოლო მრავალი სიმრავლე მამათა და დედათა იპოვა ახოვნად, რომელთა მიიღეს გვირგვინი წამებისა, რომლისა აღრაცხვა შეუძლებელ არს სიმრავლისათვის, რამეთუ ვჰგონებ, ვითარმედ ათ ბევრ აღიწია რიცხვი მოკლულთა.”<sup>65</sup>

## § 2. რევოლუციური ტერორიზმის ხანა

მე-19 საუკუნის შუახანებიდან ტერორიზმმა შინაარსი შეიცვალა და ხელისუფლების წინააღმდეგ რევოლუციურად განწყობილი ძალების შეიარაღებაში გადავიდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ტერორიზმი სხვადასხვა სახის ჯგუფების დასახასიათებლად გამოიყენებოდა, როგორებიც იყო მუშათა ორგანიზაციები, ანარქისტები, ნაციონალური მიმართულების ჯგუფები და სხვანი.<sup>66</sup>

სახელმწიფოს არსენალიდან გამოსულმა ტერორიზმმა რევოლუციურად განწყობილი ოპოზიციური ძალების საბრძოლო ტაქტიკაში საპატიო ადგილი დაიკავა. აღნიშნული პერიოდი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის ოციან წლებამდე გრძელდებოდა და მას “რევოლუციური ტერორიზმის” ხანას დავარქმევთ პირობით.

მე-19 საუკუნის დასაწყისი პოლიტიკური რადიკალიზმის აღმავლობით გამოირჩევა. ამ პერიოდში აღმოცენდა ანარქიზმი, სოციალიზმი, ნაციონალიზმი და სხვანი. ეს მიმდინარეობები აქტიურად იყენებდნენ ტერორიზმს, როგორც თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევის ეფექტურ ხერხს. ამ პერიოდის ტერორისტული აქტივობის დიდი ნაწილი ევროპის სახელმწიფოებზე მოდის. განხორციელებულ ტერორისტულ აქტთა შორის, აღსანიშნავია 1894 წელს იტალიელი ანარქისტის მიერ საფრანგეთის პრეზიდენტის სადი კარნოს მკვლელობა; 1897 წელს, ისევ ანარქისტების მიერ სასიკვდილოდ დაიჭრა ავსტრიის დედოფალი ელიზავეტა; 1900 წელს ტერორისტული აქტის მოწყობით მოკლეს იტალიის ხელმწიფე უმ-

<sup>64</sup> იხ. ლ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, თბილისი.1993წ., წიგნი პირველი, გვ. 390.

<sup>65</sup> იხ. ქართველი მემკვიდრე ჯალალ ედ - დინის მიერ თბილისში დატრიალებული საშინელი ხოცვა - რბევის შესახებ. მოტანილია საქართველოს ისტორიის 1990 წელს თბილისში გამოცემული სახელმძღვანელოდან. გვ. 18.

<sup>66</sup> იხ. Dr. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism. Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu

ბერტო პირველი, ხოლო 1901 წელს აშშ -ს პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი.<sup>67</sup>

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებული ტერორისტული აქტივობით გამოირჩეოდა რუსეთი, სადაც ტერორიზმმა მანამდე არნახულ მასშტაბებს მიაღწია. რუსეთში ჩამოყალიბდა ისეთი რადიკალური პოლიტიკური მოძრაობები, როგორიც იყო “ნაროდნიკები”, “ესერები”, “ანარქისტები” და სხვანი, რომელთაც ძალიან მოქნილი, კარგად მოფიქრებული, მყარი ორგანიზაციული სტრუქტურები შექმნეს და თავიანთ საბრძოლო არსენალში ტერორისტულ მეთოდებს საპატიო ადგილი დაუთმეს. რუსმა “ნაროდნიკებმა” 1878 წლის 4 აგვისტოს ქ. პეტრობურგში მოკლეს რუსეთის ქანდარმერიის შეფი ნ. ვ. მეზენცევი.<sup>68</sup>

იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობის მიზნით, 1879 წელს ალექსანდროვკასთან (ახლანდელი ზაპოროჟიე) სცადეს რკინიგზის აფეთქება.<sup>69</sup> 1880 წლის 5 თებერვალს ვინმე ხალტურინმა განახორციელა აფეთქება ზამთრის სასახლეში იმპერატორის სასაფლაო ოთახის ქვემოთ დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობით, რის შედეგადაც დაიღუპა 10, ხოლო დაიჭრა 56 ადამიანი. თვითონ იმპერატორი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა.<sup>70</sup> მრავალრიცხოვანი უშედეგო მცდელობების (სულ იყო რვა თავდასხმა) შემდეგ, 1881 წლის 1 მარტს ბომბის აფეთქებით მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე.

1900–1910 წლებში მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტივობა ჰქონდა სოციალისტ-რევოლუციონერების ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო ორგანიზაციას (БО ЦК ПСР) აღნიშნული საბრძოლო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედებდნენ ე.წ. “მფრინავი რაზმები” რომლებიც ახორციელებდნენ ოპერაციებს რუსეთის სხვადასხვა რეგიონში.<sup>71</sup> მათ მიერ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს შორის აღსანიშნავია 1904 წელს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის პლევკეს მკვლელობა, 1905 წელს გენერალ სახაროვის მკვლელობა და სხვ.<sup>72</sup>

“რევოლუციური ხანის” ტერორიზმს აშკარად გამოხატული პოლიტიკური ხასიითი ჰქონდა, დამყარებული იყო კარგად გააზრებულ და დამუშავებულ იდეოლოგიაზე. ამ პერიოდის ტერორისტთა მოთხოვნები ძირითადად სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური წყობის დანგრევისკენ, ნაციონალური, სოციალური და პოლიტიკური უფლებების მოპოვებისკენ იყო მიმართული. “რევოლუციური ხანის” ტერორისტული აქტები ობიექტის მიხედვით უფრო სელექციურია, ვიდრე მასობრივი. მკვლევარები “სელექციური” ტერორიზმის ცნებაში რომელიმე ერთი კონკრეტული პიროვნების, ან პირთა ჯგუფის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტს გულის-

<sup>67</sup> იხ. Е. Кожушко, Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000, с. 3.

<sup>68</sup> იხ. История терроризма в России в документах, биографиях, исследованиях, Автор-составитель О. В. Будницкий. Ростов н/д: Феникс, 1996. с. 32-88.

<sup>69</sup> იხ. М. Г. Седов, Героический период революционного народничества. М., Мысль, 1966, с. 208.

<sup>70</sup> იხ. С. С. Волк, Народная воля. 1879-1882. М.-Л., Наука, 1966, с. 102.

<sup>71</sup> იხ. К.В. Жаринов, Терроризм и террористы (исторический справочник) Минск 1999. с.7.

<sup>72</sup> იხ. იქვე, გვ. 374-375.

ხმობენ. შემთხვევებს, როდესაც ტერორისტული აქტი პირთა განუსაზღვრელი წრის წინააღმდეგაა მიმართული, “ბრმა” ტერორიზმად მოიაზრებენ.<sup>73</sup>

თანამედროვე ტერორისტული აქტივობისგან განსხვავებით, “რევოლუციური ტერორიზმის” ხანა, ნაკლები მსხვერპლიანობით ხასიათდება, რადგანაც მისი ობიექტის ქვეშ ძირითადად კონკრეტული პირები ხვდებოდნენ. ტერორისტები შეძლებისდაგვარად თავს არიდებდნენ “უდანაშაულო” მასებში მსხვერპლს. ლიტერატურაში აღწერილია ამ პერიოდის ტერორისტებში გარკვეული ღირსების კოდექსის არსებობაც კი. “ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ისინი (ტერორისტები. შენიშვნა ჩემია-გ.გ.) თავს იკავებდნენ ტერორისგან, როდესაც სამიზნე მსხვერპლის ირგვლივ იმყოფებოდნენ ქალები ან ბავშვები.”<sup>74</sup>

ბრაიან ჯენკინსი მნიშვნელოვან განსხვავებას ხედავს “რევოლუციურ” და “თანამედროვე” ტერორიზმის მახასიათებლებს შორის: “საუკუნის დასაწყისში (ავტორს მხედველობაში მე-20 საუკუნე აქვს) სოციალ-რევოლუციონერები რუსეთში ამაყად უწოდებდნენ თავიანთ თავს ტერორისტებს. . . ისინი ცდილობდნენ, სელექციური მკვლელობებით ტერორი დაეთესათ რუსეთის მმართველ ელიტაში. მოქმედებისას ფრთხილობდნენ, რათა არ დაეზიანებინათ “უდანაშაულო პირები” და იმ შემთხვევაში, თუკი მათი სამსხვერპლე გარშემორტყმული იქნებოდა ოჯახის წევრებით, წყვეტდნენ თავდასხმას (აქ ავტორი რუსი ტერორისტების ერთგვარ მორალურ კოდექსზე ამახვილებს ყურადღებას). როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, დღევანდელი ტერორისტები გაცილებით ნაკლებად ფრთხილობენ თავიანთ მოქმედებებში. მათ გაცილებით აინტერესებთ ტერორისტული აქტის საზოგადოებრივი რეზონანსი. მასობრივი ინფორმაციის როლის ზრდასთან ერთად “ტერორიზმი” დამამცირებელ (ცუდი ტონის გამომხატველ, შენიშვნა ჩემია) ტერმინად იქცა...”<sup>75</sup>

**ტერორისტული აქტივობა კლებულობს, ხოლო მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან და მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე მოვლემარე მდგომარეობაში გადადის (თუ არ ჩავთვლით ირლანდიის გამათავისუფლებელი არმიის და სხვა, ძირითადად ეთნიკურ-რელიგიური ჯგუფების საქმიანობას, რომლებიც საერთო წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდნენ). აღნიშნული განაპირობა მაშინდელ მსოფლიოში ორი ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, როგორც იყო საბჭოთა კავშირი და ფაშისტური გერმანია. ტერორისტული ჯგუფების აქტივობის შენელებაზე იმოქმედა მეორე მსოფლიო ომმაც, რომლის დროსაც მსოფლიო სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი საომარ მოქმედებებში იქნა ჩართული. ტეროლოგიაში ცნობილია, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოში, სადაც სახელმწიფო თვითონ ატარებს საკუთარი მოქალაქეების მიმართ ტერორის პოლიტიკას, როდესაც სახელმწიფოში დათრგუნულია ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სუფევს საყოველთაო შიშისა და უნდობლობის ატ-**

<sup>73</sup> იხ. В. Замкова, М. Ильчиков, Терроризм-глобальная проблема современности, М., 1996, с. 4-5.

<sup>74</sup> იხ. К.Н.Салимов Современные проблемы терроризма (криминологическое исследование) Диссертация на соискание ученой степени доктора юр.наук. 2000 с. 18

<sup>75</sup> იხ. В. М. Jenkins, Terrorism The Other World War, November 1985 . Project Air Force report prepared for the United States Air Force; Rand R-3302-Af. p.2

მოსფერო, სახელმწიფო ძალისმიერ ორგანოებს მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები, ხორციელდება ყოველსმომცველი კონტროლი, ტერორიზმი შეუძლებელია. ცნობილი ტეროლოგი უოლტერ ლაკუერი ზუსტად ამ საკითხზე წერდა რომ : “ტერორიზმის განვითარებისთვის აუცილებელია სულ მცირე თავისუფლება მაინც. ისეთ ... სახელმწიფოში როგორც კომუნისტურია, ტერორისტებს არა აქვთ შესაძლებლობა ჩამოყალიბდნენ ორგანიზაციულად. და თუკი ისინი მაინც გაერთიანდებიან, მათ გაანადგურებს სახელმწიფო უსფრთხოების სამსახური, რომელიც არ არის ადამიანის უფლებების შესახებ კანონებით შებოჭილი.”<sup>76</sup> უოლტერ ლაკუერის მოსაზრების მოყვანის შემდეგ ვუსტინოვი იქვე სავსებით სამართლიანად დასძენს: “დასკვნა იმის შესახებ, რომ ტოტალიტარულ ხელისუფლებას და მკაცრ ზომებს შეუძლია გადაარჩინოს საზოგადოება ტერორიზმის ჭლექისგან, არა მარტო ძალიან გამარტივებულია, არამედ საშიშიცაა, რადგანაც თვითნებურად, მოქალაქეთა უმრავლესობისათვის ძირითადი უფლებების და თავისუფლების ჩამორთმევა უფრო დიდი კატასტროფა იქნება, ვიდრე ყველაზე საშინელი ტერორისტული აქტი.”<sup>77</sup>

### § 3. ცივი ომის ტერორიზმის ხანა

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ტერორიზმის ძირითად დეტერმინანტებად გვევლინება ორი დიდი ბანაკის: სოციალისტურის და კაპიტალისტურის დაპირისპირება და დეკოლონიზაციის პროცესების ტალღა. ამ პერიოდში ტერორიზმად შეფასდა ევროპული კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ნაციონალური ჯგუფების საქმიანობა. “1945 წლის შემდეგ დეკოლონიზაციის პროცესებმა ტერორიზმის მძლავრი ტალღა მოიტანა, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, როგორცაა აფრიკის ჩრდილოეთი და საჰარის რაიონი, სამხრეთი და სამხრეთ აღმოსავლეთი აზია, აგრეთვე ახლო აღმოსავლეთი...”<sup>78</sup>

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა და დეკოლონიზაციის პროცესი არ შეიძლება გაიგივდეს ტერორიზმთან, თუმცა ძალიან ხშირად არა მხოლოდ დოქტრინაში, არამედ ზოგიერთი ქვეყნის ოფიციალურ წყაროებში, ზემოაღნიშნული მოვლენები ერთმანეთთან იგივედება. ტერორიზმისა და მსგავსი სოციალური მოვლენების ურთიერთგამიჯვნა ნაშრომის შემდგომ თავებში იქნება განხილული. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ტერორიზმი შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მეთოდი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის დროს, თუმცა ეს ორი მოვლენა ერთმანეთზე არ დაიყვანება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის ბანაკი: სოციალისტური და კა-

<sup>76</sup> ციტი. მოყვანილია В.В.Устинов „Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика. М., 2002 с. 54. მიხედვით

<sup>77</sup> იხ. В. В. Устинов, Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика. М., 2002, с.54.

<sup>78</sup> იხ. G. E. Fuller, “Redrawing the World’s Borders,” World Policy Journal, Vol. 14, No. 1, Spring 1997. p. 100.



პიტალისტური. აღნიშნული დაპირისპირება “ცივი ომის” სახელითაა ცნობილი და ითვლება, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამთავრდა. მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური ვითარება ტერორისტული აქტივობის მძლავრი დეტერმინანტი აღმოჩნდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი არნახული ტერორისტული მრავალფეროვნებით ხასიათდება. ამ პერიოდში განსაკუთრებული აქტივობით მოქმედებდნენ მემარჯვენე თუ მემარცხენე, ეთნო-ნაციონალური თუ რელიგიური მიმართულების ჯგუფები. აღსანიშნავია, რომ ზემოსხენებულ პერიოდში ტერორიზმის დინამიკაზე უდიდეს გავლანას სწორედ “ცივი ომი” ახდენდა. მართალია აღნიშნულ პერიოდში არსებობდნენ ტერორისტული ჯგუფები, რომლებიც მოქმედებდნენ ისე, რომ არ შედიოდნენ მჭიდრო კონტაქტში, ან არ ექვემდებარებოდნენ დაპირისპირებულ მხარეებს, მაგრამ ასეთი ჯგუფები ზოგადი წესიდან უფრო გამონაკლისს წარმოადგენდნენ. ზუსტად აღნიშნულ პერიოდში აქტუალური გახდა მოვლენა, რომელიც შემდგომ ტეროლოგებმა დაახასიათეს როგორც “სახელმწიფოს ხელშეწყობით წარმოებული ტერორიზმი”.

ორი დიდი ბანაკი, რომელთა სათავეში, ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირი, ხოლო, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები იდგა, არიდებდა თავს პირდაპირ კონფრონტაციას, თუმცა ცდილობდა დაესუსტებინა მოწინააღმდეგე არაპირდაპირი, დიპლომატიურად მიუღებელი მეთოდებით. დაპირისპირებულები აწარმოებდნენ ერთმანეთის მიმართ ძირგამომთხრელ საქმიანობას და სხვა საშუალებებთან ერთად ეფექტურად იყენებდნენ ტერორიზმს. მაშინ, როდესაც მიღებული, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით დაშვებული მეთოდებით ომის წარმოება საკმაოდ ძვირი უჯდება სახელმწიფოს, ტერორიზმი წარმოადგენს მოწინააღმდეგის თანდათანობითი დასუსტების ეფექტურ გამოსავალს, გააჩნია ერთგვარი სისხლის გამოშვების ეფექტი. საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფების წაქეზებით, დაფინანსებით და ხელშეწყობით ცდილობდნენ დაესუსტებინათ მოწინააღმდეგე და მოეპოვებინათ მსოფლიო ჰეგემონობა.

მსოფლიოს ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის ძირგამომთხრელი საქმიანობა საიდუმლოდ ხორციელდებოდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მასშტაბით, ზოგჯერ აღნიშნული ქვეყნების თანხმობით, ზოგჯერ კი მათი თანხმობის გარეშე, სუვერენიტეტის უხეშად გათეღვით, მათ ტერიტორიებზე სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებების შექმნის ორგანიზებით თუ წაქეზებით, დაფინანსებით და იდეოლოგიური მხარდაჭერით... საბჭოთა კავშირს და აშშ-ს ტერორიზმი აძლევდა საშუალებას, ებრძოლათ მოწინააღმდეგესთან ოფიციალური საომარი მოქმედებების გარეშე, დაესუსტებინათ იგი უფრო მეტად და გაცილებით ნაკლები დანახარჯებით, ვიდრე ამას ჩვეულებრივი საომარი მოქმედებებით შესძლებდნენ.<sup>79</sup>

“ტერორიზმის სახელმწიფოებრივი სპონსორობა და მფარველობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ერთგვარი ინსტრუმენტი, დამახასიათებელი იყო ცივი ომის პერიოდისთვის. შეერთებული შტატები იყენებდა რა ნიკარაგუელ რევოლუციონერებს, ავღანელ მოჯაჰიდებს, ტიბეტელ ბუდისტ

<sup>79</sup> იხ. <http://president.kremlin.ru/withflash/varPriorityFullTemplPriorId5748.shtml>. 2009

მეომრებს და სხვებს, ცდილობდა შეეჩერებინა კომუნიზმი. ვაშინგტონი, ამ მხრივ, არ წარმოადგენდა გამონაკლისს. საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მფარველობდნენ კომუნისტ პარტიზანებს ანგოლაში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში, ვიეტნამში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. . .”<sup>80</sup>

ბრაიან ჯენკინსი 1985 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში “საერთაშორისო ტერორიზმი, მსოფლიო ომის განსხვავებული სახე”, ცივი ომის ხანის ტერორიზმის საინტერესო თავისებურებებზე მსჯელობს: “არსებობს მრავალი ჰიპოთეზა თანამედროვე ტერორიზმის წარმოშობის შესახებ, სახელდება სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიული ფაქტორები, თუმცა მეოცე საუკუნის 60 –იანი წლების ბოლოდან ტერორისტული აქტივობის ზრდის გამომწვევად არც ერთი კონკრეტული მიზეზი არ არის საყოველთაოდ აღიარებული. ტერორისტული ტაქტიკა ზოგადად გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტის სხვა საშუალებები, აგრეთვე, მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლა დასახულ მიზანს ვერ აღწევდა. ლათინურ ამერიკაში, კუბის მაგალითზე, ფიდელ კასტროს წარმატებით შთაგონებული მემარცხენე რევოლუციონერების მიერ, პრაქტიკაში სოფლის პარტიზანული ბრძოლის მეთოდების შემოღებამ მეოცე საუკუნის 60 –იანი წლების ბოლოს მარცხი განიცადა. მემარცხენე რევოლუციონერებმა გადაწყვიტეს პარტიზანული ბრძოლა გადაეტანათ ქალაქში. ქალაქის პარტიზანული ბრძოლის ტაქტიკა ავტომატურად მიდიოდა ტერორისტული მეთოდების გამოყენებამდე. სოფლის პარტიზანებს შეეძლოთ მოეგოთ ბრძოლა, მაგრამ მის შესახებ ვერასდროს ვერავის ვერ გაეგო, ხოლო ქალაქში ანალოგიური გამარჯვება მიიპყრობდა ქვეყნის და საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღებას.”<sup>81</sup>

“ცივი ომის” პერიოდის ლიტერატურა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე აშშ –ში აჭრელებული იყო მოწინააღმდეგე ბანაკის მიმართ ტერორიზმის ორგანიზების ბრალდებებით. საბჭოთა კავშირში გამოცემული მონოგრაფიების მხოლოდ სათაურების მოყვანაც კი საკმარისია: ბოლშაკოვის “ტერორიზმი ამერიკულად”<sup>82</sup>; ასევესკის “ვინ უწევს ორგანიზებას და წარმართავს საერთაშორისო ტერორიზმს? ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ნამსახურობის ნუსხიდან”<sup>83</sup> და ა.შ.

მაშინდელ დოქტრინულ ნაშრომებში შეიძლება ხშირად შევხვდეთ შემდეგი შინაარსის ტექსტს: “ამ წიგნში ჩვენ გვინდა შევახსენოთ მკითხველებს, რომ ძირითად გუნდს, რომელიც ნერგავს ტერორიზმს ჩვენს პლანეტაზე, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს აშშ–ს სპეცსამსახურები. თავდაპირველად გადავინაცვლოთ ევროპაში, სადაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, ნატოს ძირგამომთხრელ ცენტრებთან ერთად,

<sup>80</sup> იხ. D. Byman, P.Chalk, B. Hoffman, W. Rosenau, D. Brannan. Trends in Outside Support for Insurgent Movements. Published 2001, by Rand, p. 1.

<sup>81</sup> იხ. B. M. Jenkins, International Terrorism The Other World War, Rand R-3302-Af. pp. 11-12

<sup>82</sup> იხ. В.В. Большаков, Терроризм по-Американски. М. «Международные отношения», 1983.

<sup>83</sup> იხ. А. И. Асеевский, Кто организует и направляет международный терроризм? Из послужного списка ЦРУ. М., Политиздат, 1982.

აქტიურად მოქმედებს, ჩართული ჰყავთ რა აღნიშნულ საქმიანობაში ნეო-ფაშისტები, სხვადასხვა სახის ექსტრემისტები, მაფია და მასონები.”<sup>84</sup>

პარალელური ტენდენცია შეინიშნება დასავლურ ლიტერატურაშიც, სადაც გაბატონებული აზრის მიხედვით, საერთაშორისო ტერორიზმის მთავარი სულისჩამდგმელი და წარმმართველი საბჭოთა კავშირი იყო.<sup>85</sup> რიჩარდ ერიქსონი პირდაპირ სდებს ბრალს საბჭოთა კავშირს ტერორიზმის სპონსორობაში,<sup>86</sup> ხოლო ზოგიერთი საუბრობს იმ ძველ კეთილ დღეებზე, როდესაც ტერორიზმის ქსელი იმართებოდა მოსკოვიდან.<sup>87</sup>

იმის მიუხედავად, რომ დაპირისპირებული ბანაკების წარმომადგენელ ავტორთა ლიტერატურულ წყაროებში ბრალდებები ოდნავ გამუქებულია, მათში მაინც შეიძლება ჭეშმარიტების მარცვლების პოვნა. როგორც საბჭოთა კავშირი, ისე აშშ საკმაოდ ეფექტურად იყენებდნენ იმ იარაღს, რომელსაც ტერორიზმი ჰქვია. ზუსტად ამ პერიოდს ემთხვევა ერთგვარი კლიშეს წარმოშობა “რომ, ტერორიზმი ერთისთვის არის თავისუფლებისთვის მებრძოლი, მეორესთვის” შეფასების ორმაგი სტანდარტი. ტერორიზმის საყოველთაოდ მიღებული იურიდიული ცნების არარსებობა, საშუალებას იძლეოდა ტერორისტის იარაღი მიეკერებინათ და ბრძოლა გამოეცხადებინათ გარკვეული პოლიტიკური თუ საერთაშორისო სამართლის სუბიექტისთვის სუბიექტური რეალპოლიტიკური მიზნების შესაბამისად. მაშინ, როდესაც “ჰამასი” და მისი მეთაური იასირ არაფატი აშშ-სთვის წარმოადგენდა ტერორისტულ ორგანიზაციას, საბჭოთა კავშირის ოფიციალური შეფასებით, თავისუფლებისთვის მებრძოლი იყო. “ის ვინც მართალი საქმისთვის იბრძვის, ტერორისტი არ არის”, – განაცხადა იასირ არაფატმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.<sup>88</sup> აშშ კუბას ტერორიზმის უდიდეს კერად მიიჩნევდა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირისთვის იგი ამერიკის კონტინენტზე სოციალიზმის პლაცდარმი და რევოლუციის უპირველესი ექსპორტიორი იყო. ტერორიზმში “საქმის სიმართლე” ხშირად მხოლოდ ერთი მხარისთვის არსებობს, იმ მხარისთვის, რომელიც მისით აპელირებს, რომლისთვისაც ტერორიზმი მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ტერორისტული ეპოქა, რომელსაც ტერორიზმის “ცივი ომის ხანა” ეუწოდეთ, გაუღენთილია სოციალისტური და კაპიტალისტური ბანაკების დაპირისპირების მუხტით. ამ პერიოდის მემარცხენე თუ მემარჯვენე, რელიგიური და ეთნო-ნაციონალური ტერორისტული ჯგუფების უმრავლესობა განიცდიდა ერთი, ან მეორე ბანაკის ზეგავლენას, ჰქონდა მათგან აქტიური მხარდაჭერა, ანდა სარგებლობდა პასიური მდუმარებით, რაც თანხმობის ნიშანს წარმოადგენდა.

<sup>84</sup> იხ. Вадим Нассис, Леонид Колосов, Терроризм Без Маски, Издательство “Молодая гвардия”, 1983 г. с.3.

<sup>85</sup> იხ. T. M. Franck, International Legal Action Concerning Terrorism., Terrorism: An international Journal I, no. 2 (1978): p. 189; Benjamin Netanyahu, .Terrorism: How the West Can Win., lime, 14 April 1986, p.49.

<sup>86</sup> იხ. R. J. Erikson, Legitimate USE of military forse against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532 , 1989. p.34.

<sup>87</sup> იხ. Editor: S. C. Pelletiere, Terrorism: national security policy and the home front. May 15, 1995, Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050.p.51.

<sup>88</sup> იხ. B. M. Jenkins, International Terrorism The Other World War. 1985, Rand R-3302-Af, p.2.

## § 4. ტერორიზმის თანამედროვე ხანა

ოცდამეერთე საუკუნის დადგომას, კაცობრიობას ტერორიზმი 2001 წლის 11 სექტემბერის უსაზარლესი ტერაქტით, ნიუ-იორკის ცათამბჯენ ტყუპებს შემსკდარი ავიალაინერებით და ხუთი ათასზე მეტი ადამიანის სიკვდილით “ულოცავს”. ნიუ-იორკს მალე მოსდევს მადრიდი (2004 წლის 11 მარტი) და ბესლანი (2004 წლის 1 სექტემბერი), რითაც ოცდამეერთე საუკუნის ტერორიზმმა განაცხადა, რომ იგი ისეთი ძლიერია და სისხლიანი, როგორც არასდროს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ გავროს უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ “საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საფრთხეს 21-ე საუკუნის მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროებისათვის.”<sup>89</sup>

თანამედროვე ტერორიზმი გაცილებით უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს, ვიდრე ოდესმე. მსხვერპლიანობის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ “როგორც ხალხი, ისე მასობრივი საინფორმაციო საშუალებები თითქოს შეეჩვია და დაკარგა მგრძობელობა ტერორისტთა ტრადიციული ქმედებების მიმართ. აღნიშნულმა ფაქტორმა ტერორისტებს უბიძგა იმოქმედონ უფრო დრამატულად, დაღვარონ უფრო მეტი სისხლი, რათა მიაღწიონ ძველებურ ეფექტს... ტერორისტებს დიდი მსხვერპლი აძლევს გარკვეულ გარანტიას იმისა, რომ მათი ქმედებები სათანადოდ გაშუქდება საინფორმაციო საშუალებებში და მიიპყრობს საზოგადოების ყურადღებას.”<sup>90</sup>

ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ათწელიწადში, კერძოდ 1973 წ-დან 1984 წ-მდე, განხორციელდა 5661 ტერორისტული აქტი, რის შედეგადაც დაიღუპა 4111 ადამიანი,<sup>91</sup> ხოლო აშშ-ს ტერორიზმთან ბრძოლის სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორის ე. ჰალის მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, 2000 წელს მსოფლიოში განხორციელდა 423 ტერორისტული აქტი, რაც 8 პროცენტით მეტია 1999 წლის მონაცემებზე. გაიზარდა, აგრეთვე, ტერორიზმის მსხვერპლთა რიცხვიც: 405 მოკლული და 791 დაჭრილი (1999 წელს 233 მოკლული და 706 დაჭრილი), მაგრამ აშშ-ს და მასთან ერთად მთელ მსოფლიოს მთავარი განსაცდელი თურმე წინ ჰქონდა: 2001 წლის 11 სექტემბრის მხოლოდ ერთმა ტერორისტულმა აქტმა 5000 ადამიანზე მეტი იმსხვერპლა<sup>92</sup>, ე.ი. უფრო მეტი ვიდრე ზემოთ მოყვანილი ათი წლის (1973-1984) მანძილზე განხორციელებულმა და ერთად აღებულმა 5661 ტერორისტულმა აქტმა.

მე-20 საუკუნის მრავალი ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო ცხოვრობდა ორი დაპირისპირებული სისტემის პირობებში. აღნიშნულმა დაპირისპირებამ არაერთგზის დააყენა კაცობრიობა განადგურების საფრთხის

<sup>89</sup> იხ. S.C. Res. 1377, Annex, U.N. Doc. S/res/1377 . www.un.org. 2001.

<sup>90</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. 1999 Rand, p.13.

<sup>91</sup> იხ. [http://xx.lipetsk.ru/txt/xx\\_04\\_33.shtml](http://xx.lipetsk.ru/txt/xx_04_33.shtml). 2010

<sup>92</sup> იხ. <http://usinfo.state.gov/rusски/topics/terror/homepage.htm>. 2009

წინაშე. ცივილიზაცია იმდენად მიეჩნია ცხოვრებას კატასტროფის მოლოდინში, რომ ვერ შეძლო თავის დროზე გაეგო და შეეფასებინა მიმდინარე ცვლილებები. მსოფლიო უკვე აღარ იყოფა ორ დაპირისპირებულ ბანაკად, იგი გაცილებით უფრო რთული გახდა. მოუმზადებელი კაცობრიობის თვალწინ ტერორიზმის საშინელი ევოლუცია მოხდა. მსოფლიო მოულოდნელად პირისპირ აღმოჩნდა ახალი საუკუნის გლობალურ საფრთხესთან.<sup>93</sup>

ცივი ომის დროს არსებული წონასწორობა თანამედროვე ეპოქაში დაირღვა. ისტორიის კუთვნილებად ქცეულ, ყოფილ საბჭოთა კავშირის ფარგლებში მყოფ სოციალისტურ რესპუბლიკებში წარმოშობილ ნაციონალურ მოძრაობებს მალე მოჰყვა გარკვეული ჯგუფების ეთნიკურ-სეპარატისტული მოთხოვნებიც. აღნიშნულ სეპარატისტულ მოთხოვნებს ხშირად პოლიტიკური ძალადობაც ახლდა თან, ტერორიზმის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში აღმოცენდა სხვადასხვა ფორმის დაბალი ინტენსივობის კონფლიქტები, რომელიც სწრაფად გადაიზარდა სამოქალაქო ომში ან ორგანიზებულ დანაშაულობაში. მერყეობა ჩამოვარდა აღმოსავლეთ ევროპაშიც, სადაც ყოფილი სოციალისტური ბანაკის მოკავშირეები ცდილობდნენ, დაეძლიათ დემოკრატიზაციისადმი მასების უნდობლობა. ამჟამად მოსკოვი და ვაშინგტონი, წარსულის მსგავსად, ერთმანეთის წინააღმდეგ აღარ იყენებენ რეგიონალურ კონფლიქტებს. “დღეს, აღარც მოსკოვი და აღარც ვაშინგტონი არ გამოხატავს სურვილს წარსულის მსგავსად აკონტროლოს რეგიონალური ქვეყნები, რომლებიც სამომავლოდ პოტენციურ სუპერსახელმწიფოებს წარმოადგენენ. ავიღოთ მაგალითად ირანი, ერაყი და მისი მსგავსი სახელმწიფოები.”<sup>94</sup>

თანამედროვე მსოფლიოში სოციალისტური ბანაკის კრახით გამოწვეული “ახალი მსოფლიო უწესრიგობის გამო”, მნიშვნელოვნად დაეცა მრავალი სახელმწიფოს ხელისუფლების სიძლიერე, მისი ორგანოების მაკონტროლებელ-პროფილაქტიკური უნარი, რაც დიდ იმპულსად იქცა ტრანსნაციონალური მასშტაბით ორგანიზებული დანაშაულობის გაძლიერებისთვის. ორგანიზებული დანაშაულობის მხრიდან დაიწყო ტერორისტული ჯგუფების მომარაგება იარაღით, ფინანსებით და ა.შ. ორგანიზებული დანაშაულობის სფეროში ბრძოლის ტერორისტული მეთოდების გამოყენება პოლიტიკური და ფინანსური გავლენის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ტერორისტებს, ასევე მათ მომხრეებს, სრული შესაძლებლობა აქვთ თავისუფლად იმოქმედონ “თანამედროვე საერთაშორისო ჯუნგლებში” ე.წ. “ნაცრისფერი ზონების” მეშვეობით. “ნაცრისფერ ზონებად” მივიჩნევთ იმ რეგიონებს, სადაც შეიცვალა ძლიერი სახელმწიფოებრივი მმართველობა და ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფოებრივი წყობა, ისეთი ხელისუფლებით, რომელსაც ჯერ კიდევ არ შესწევს უნარი, სრულად აკონტროლოს საკუთარი ტერიტორია. “ნაცრისფერ ზონებად” შეიძლება მივიჩნიოთ, აგრეთვე, ის ტერიტორიები, სადაც ჩამოყალიბდა ნახევრად კრიმინალური ხელისუფლებები, სადაც ხელი-

<sup>93</sup> იხ. <http://president.kremlin.ru/withflash/varPriorityFullTemplPriorId5748.shtml>. 2010

<sup>94</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Stephen C. Pelletiere Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p. 64.

სუფლებასა და კრიმინალს შორის ზღვარი ან სრულად წაშლილია, ან მეტად უმნიშვნელოა.<sup>95</sup>

თანამედროვე ტერორიზმის თვისებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი გამოიყოს :

**პირველ** ასეთ მახასიათებელად შეიძლება მივიჩნიოთ ტერორისტული ჯგუფების მიერ საერთაშორისო ქსელის შექმნა, რომლის მეშვეობითაც ისინი თანადგომას უწევენ ერთმანეთს.<sup>96</sup>

**მეორე** მნიშვნელოვანი მახასიათებელია ის, რომ სახელმწიფოთა მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერა ცივი ომის პერიოდს არ ჩაბარებია. აშშ -ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ტერორიზმის “პატრონად” შექმნილი სახელმწიფოები სახელდება: კუბა, ირანი, ერაყი (ბოლო პერიოდამდე), ავღანეთი, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, სუდანი და სირია.<sup>97</sup>

სახელმწიფო ხელშეწყობა გაცილებით აძლიერებს ტერორისტული ჯგუფის რეალურ შესაძლებლობებს. აღნიშნული შეეხება ტერორისტული საქმიანობის ისეთ სფეროებს, როგორცაა შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება, ფინანსური მხარდაჭერა, სამხედრო სწავლება, ტერორისტების ზურგში უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.<sup>98</sup> გარკვეული სახელმწიფოები ამარაგებენ ტერორისტებს იარაღით, კომუნიკაციის საშუალებებით, უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებას. სახელმწიფოები მფარველობენ და ასპონსორებენ ტერორიზმს იმ მოტივითაც, რომ, როგორც ბრაიან ჯენკინსი ამბობს, ტერორიზმი გაცილებით იაფი საშუალებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ომის წარმოება. აღნიშნულის გარდა ტერორიზმის დროს რისკი გაცილებით დაბალია, ხოლო მიღწეული ეფექტი საკმაოდ შთამბეჭდავი. დღეს ჩვეულებრივი ომის წარმოება საკმაოდ არაპრაქტიკული გახდა, რადგანაც ძალზედ დამანგრეველია და ძვირი ჯდება.<sup>99</sup> შესაბამისად, ტერორიზმი “შესანიშნავი საშუალებაა” დაინტერესებული სახელმწიფოებისთვის, როგორც ზემოქმედების მაღალეფექტური და იაფი საშუალება.

თანამედროვე ტერორიზმის **მესამე** მნიშვნელოვანი მახასიათებელია შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება.<sup>100</sup> თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები საშუალებას აძლევს პატარა ჯგუფს იმოქმედოს ფართო შესაძლებლობებით. ტერორისტებმა თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები შეიძლება გამოიყენონ ორი მიმართულებით: პირველი, როგორც იარაღი თავიანთი მიზნების მისაღწევად; მეორე, როგორც ტერორისტული ხელყოფის ობიექტი.

<sup>95</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Stephen C.Pelletiere Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p. 53.  
<sup>96</sup> იხ. C. Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism (New York: Reader.s Digest Press, 1981)  
<sup>97</sup> იხ. The U.S. Department of State, State-Sponsored Terrorism. <http://www.state.gov/s/ct>. 2003.  
<sup>98</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand, 1999. p.14.  
<sup>99</sup> იხ. B. M. Jenkins, .Combatting Terrorism: Some Policy Implications.. Rand Corp., Santa Monica, Calif., August 1981, pp. 3-6.  
<sup>100</sup> იხ. S. C.Pelletiere, Terrorism: national security policy and the home front. Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p.64.

თანამედროვე ტერორიზმის მუდმივი ზრდა არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი უნიკალური პოლიტიკური მოვლენებით. პოლიტიკურ გარემოებებთან ტერორიზმის მძლავრ დეტერმინატებს ტექნოლოგიური მიღწევებიც წარმოადგენდა, რამაც საბოლოო ჯამში წარმოშვა თანამედროვე ტერორიზმი.

თანამედროვე ტერორისტული ტაქტიკა შეიძლება ამჟამად ივივეა, რაც ერთი საუკუნის წინ, მაგრამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა იგი გაცილებით ეფექტური გახადა. ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით შესაძლებელი გახდა გლობალური საერთაშორისო ტერორიზმი. გადაადგილების თანამედროვე საშუალებების წყალობით ტერორისტებს შეუძლიათ იერიში მიიტანონ დედამიწის ნებისმიერ კონტინენტზე. რადიო, ტელევიზია და თანამგზავრული კავშირი უზრუნველყოფს მომენტალურ დაკავშირებას ფართო აუდიტორიასთან. იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები ადვილად მოსაპოვებელი გახდა. თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებას გააჩნა მრავალი სუსტი წერტილი, დაწყებული საჰაერო ხომალდებიდან და დამთავრებული ატომური რეაქტორებით.<sup>101</sup>

თანამედროვე ტერორიზმზე მსჯელობისას აუცილებლად აღსანიშნავია ტერორისტების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაც, დაწყებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, კომპიუტერული პროგრამებით და ინტერნეტით დამთავრებული. მეოცე საუკუნის ბოლოდან ტერორიზმის დამოუკიდებელი ფორმაც კი ჩამოყალიბდა კიბერტერორიზმის სახით, როდესაც ტერორისტები იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს სახელმწიფოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციებზე ზემოქმედების მიზნით. ზოგიერთი ტერორისტული ორგანიზაცია იყენებს ინტერნეტს და ელექტრონულ ფოსტას ინფორმაციის მიღება – გაცემისთვის. ზოგიერთ მათგანს საკუთარი ელექტრონული ვებგვერდებიც კი გააჩნია. მაგალითად, “ჰეზბოლას” ინტერნეტში სამი პროპაგანდისტული ხასიათის საიტი აქვს. პირველია ტერორისტული ორგანიზაციის პრესცენტრი<sup>102</sup>, მეორე ისრაელზე თავდასხმებს აღწერს<sup>103</sup>, ხოლო მესამე ახალი ამბებისა და ინფორმაციისთვის არის განკუთვნილი.<sup>104</sup> კავკასიელ მოჯაჰედებს, რომლებიც იბრძვიან რუსეთისგან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფისა და მუსულმანურ იმირატად ჩამოყალიბებისთვის, აქვთ საინფორმაციო ვებგვერდი, სადაც დეტალურად არის აღწერილი მათი აქტივობა, სამომავლო მიზნები, იდეოლოგიური პლატფორმა<sup>105</sup>.

ტერორისტები ცდილობენ გაახმაურონ თავიანთი მოქმედებები. ამ საქმეში მათ ხელს უწყობს მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, რომელთა წყალობით ხდება მათი საქმიანობის “რეკლამირება” და სტიმული ექვევა ტერორიზმის ახალ გამოვლინებებს.

თანამედროვე ტერორიზმზე საუბრისას აღსანიშნავია ის ფაქტორიც, რომ

<sup>101</sup> იხ. B. M. Jenkins, International Terrorism The Other World War. 1985. Rand. p.12

<sup>102</sup> იხ. www.hizbollah.org. 2010.

<sup>103</sup> იხ. www.moqawama.org. 2011.

<sup>104</sup> იხ. www.almanar.com.lb. 2011.

<sup>105</sup> იხ. www.kavkazcenter.com. 2010.

ტერორისტები საკმაოდ დახელოვდნენ თავიანთ საქმიანობაში, შეისწავლეს შეიარაღების უახლესი სახეები და ფლობენ აღნიშნულთ. “პროფესიონალი ტერორისტები”, წინამორბედებთან შედარებით, უდაოდ უფრო მეტად არიან გაცნობიერებულები სიკვდილისა და ნგრევის ხელოვნებაში, შეიტანეს ტაქტიკური სიახლეები თავდასხმის მეთოდებში, გაცილებით მოხერხებულნი გახდნენ გამოვლენისა და დაკავებისაგან თავის დაღწევის საკითხებში. თითქოს ტერორისტები გადიან დარვინის თეორიის თანახმად ბუნებრივი გადარჩევის პროცესს, რომლის შედეგადაც ტერორისტთა ყოველი ახალი თაობა სწავლობს ძველი თაობისაგან და ხდება გაცილებით უფრო ძლიერი, უღმობელი და მოუხელთებელი სამართალდამცავთათვის. ტერორისტები ხშირად აანალიზებენ იმ შეცდომებს, რომლებმაც გამოიწვია მათი წინამორბედების ფიზიკური განადგურება ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. ახალი თაობის ტერორისტები სწავლობენ სასამართლოს განაჩენებს, სასამართლო მტკიცებულებებს, მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესულურ ხერხებს და აღნიშნულ ცოდნას იყენებენ უსაფრთხო სტრატეგიის შემუშავებისათვის. ძალიან ხშირად სწორედ ოფიციალური სასამართლო დოკუმენტაციის, რომელიც საჯაროა და ყველასათვის ხელმისაწვდომი, შესწავლის შედეგად იგებენ ტერორისტები ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი გამოვლენის და დაკავების ხერხების შესახებ. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ გერმანიის ყოფილ ფედერაციულ რესპუბლიკაში წითელარმიული ფრაქციის წევრთა მიერ სასამართლო დოკუმენტაციის შესწავლის ფაქტები.<sup>106</sup>

თანამედროვე ტერორისტები ეფექტური ასაფეთქებელი მექანიზმების დამზადების დიდოსტატები გახდნენ. საამისოდ მათ განკარგულებაშია უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებით დამზადებული ასაფეთქებელი ნივთიერებები. ზოგიერთი მონაცემებით, მხოლოდ ჩეხოსლოვაკიამ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ლიბიას 1000 ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება “სემტექსი” მიჰყიდა, ხოლო სირიას, ჩრდილოეთ კორეას, ირანს და ერაყს ერთად 40 000 ტონა. აღნიშნული ქვეყნები აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დასახელებულნი არიან ტერორიზმის ხელშემწყობ ქვეყანათა შორის.<sup>107</sup> ამ ციფრებში გამოხატული გრანდიოზული საფრთხე ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილობის დასამზადებლად სულ რაღაც 300 გრ. “სემტექსია” საჭირო. 1990 წელს დიდ ბრიტანეთში ვიზიტის დროს ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა განაცხადა: “თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საჰაერო ხომალდის ასაფეთქებლად საკმარისია სულ რაღაც 200 გრამი. . . უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ტერორიზმს “სემტექსის” მარაგი 150 წელზე მეტხანს ეყოფა.”<sup>108</sup>

ტერორისტების მხრიდან გახშირდა პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებების (მათ რიცხვს შეადგენს: ამერიკული C-4, ბრიტანული P.E., ჩეხური Semtex-H და საბჭოთა MP1) გამოყენების შემთხვევები, აღნიშნული ნივთიერებების აღმოსაჩენად ჩვეულებრივი ლითონმძებნები და რენტგენის აპარატები უძღურია. ამის გარდა, ისინი გამოირჩევიან დიდი დამანგრევე

<sup>106</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand. 1999. p.20.

<sup>107</sup> იხ. The U.S. Department of State, State-Sponsored Terrorism. <http://www.state.gov/s/ct>. 2003.

<sup>108</sup> იხ. “Sale of Explosive to Libya Detailed,” Washington Post, March 23, 1990.



ლი ძალით, უძლებენ გარემო პირობებს, არ ფეთქდებიან დროზე ადრე ფიზიკური ზემოქმედების ანდა დარტყმის შედეგად, არა აქვთ სპეციფიკური სუნი, წარმოადგენენ რბილ პლასტიკურ მასალას, რომელსაც შეიძლება ნებისმიერი ფორმა მიეცეს.

ტერორისტთა არსენალში ასაფეთქებელი ნივთიერებები შეიძლება ითქვას, “უწყინარ სათამაშოს” წარმოადგენს, ბირთვულ, რადიოაქტიურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ იარაღთან შედარებით. ახალი თაობის ტერორისტები მიხვდნენ, რომ უფრო მეტი ნგრევის მოტანა შეუძლიათ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი შეძლებენ დაეუფლონ და გამოიყენონ აღნიშნული იარაღი. მრავალი ავტორი შემოთავაზებს გამოთქვამს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რადიოაქტიურ ნივთიერებებზე სახელმწიფოებრივი კონტროლის შესუსტებისა და აღნიშნული ნივთიერებების შავ ბაზარზე მოხვედრით გამოწვეული საფრთხის გამო.<sup>109</sup> მართალია, შავ ბაზარზე გასაყიდი რადიოაქტიური ნივთიერებებიდან უმრავლესობა ბირთვული იარაღის შესაქმნელად არ გამოდგება, მაგრამ სპეციალისტების აზრით, თუ ტერორისტები აღნიშნულ რადიოაქტიურ ნივთიერებებს ჩვეულებრივ ასაფეთქებელ მოწყობილობას დაუმატებენ, მიიღებენ რადიოლოგიურ იარაღს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება არ მოხდეს მოსახლეობის მასობრივი ფიზიკური ჟლეტა, მაგრამ გარემოს ძლიერი რადიაციული დაბინძურება გარდაუვლად მოხდება.<sup>110</sup>

თანამედროვე ტერორიზმის მეოთხე მახასიათებელი რელიგიურად მოტივირებული ტერორისტული აქტივობის ხვედრითი წილის ზრდაა. “რელიგია უზრუნველყოფს ტერორის ერთადერთ მისაღებ გამართლებას” (religion provided the only acceptable justifications for terror)<sup>111</sup> დევიდ რაპოპორტმა რელიგიურ ტერორიზმს “წმინდა ტერორი” უწოდა. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში რელიგიური ტერორიზმი ნაციონალურ-ეთნიკური, თუ იდეოლოგიურ-სეპარატისტული ტერორიზმის ჩრდილქვეშ იყო მოქცეული. მაგ: 1968 წელს თერთმეტი საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფიდან არცერთი არ იყო რელიგიურად მოტივირებული. მხოლოდ 1980 წლიდან, ირანის ისლამური რევოლუციის შედეგად, ყალიბდება პირველი “თანამედროვე” რელიგიურ-ტერორისტული ჯგუფები. უნდა აღინიშნოს, რომ 1980 წლისთვის მოქმედი 64 საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფიდან მხოლოდ ორი იყო რელიგიურად მოტივირებული. თორმეტი წლის შემდეგ ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა: 1992 წელს მოქმედი საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მეოთხედს უკვე რელიგიური ჯგუფები შეადგენდნენ. (48 ჯგუფიდან 11) 1994 წლისთვის მაჩვენებელი გაიზარდა და მესამედი შეადგინა (49 ჯგუფიდან 16) ტერორისტული ჯგუფები საერთო რაოდენობაში. რაც შეეხება 1995 წელს რელიგიური ტერორისტული ჯგუფების მაჩვენებელმა საერთაშორისო ტერორისტუ-

<sup>109</sup> იხ. Phil Williams and Paul N. Woessner, “Nuclear Material Trafficking: An Interim Assessment,” Transnational Organized Crime, Vol. 1, No. 2, Summer 1995; Paul N. Woessner, “Recent Developments: Chronology of Nuclear Smuggling Incidents, July 1991–May 1995,” Transnational Organized Crime, Vol. 1, No. 2, Summer 1995.

<sup>110</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand. 1999. p. 30.

<sup>111</sup> იხ. D. C. Rapoport, Fear and Trembling: Terrorism in Three Religious Traditions, American Political Science Review, Vol. 78, No. 3, September 1984, p. 659.

ლი ჯგუფების საერთო რაოდენობაში თითქმის ნახევარს მიაღწია. (56 ჯგუფიდან 26, ანუ 46%)...<sup>112</sup>

თანამედროვე ტერორიზმის ერთ-ერთ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ე.წ. “სამოყვარულო ტერორიზმის” განვითარება. თუკი ადრე ტერორისტი ძირგამომთხრელ საქმიანობას შეიძლებოდა დაუფლებოდა მხოლოდ გარკვეული ტერორისტული ორგანიზაციის ფარგლებში ან ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ შესაბამის სასწავლო ბანაკებში, ამჟამად ასეთი ცოდნის დაუფლება ნებისმიერი მსურველისთვის ადვილად ხელმისაწვდომია წიგნებიდან, კომპიუტერული დისკებიდან და განსაკუთრებით ინტერნეტიდან... ტერორიზმი ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის...<sup>113</sup>

ტერორიზმი იკავებს სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს კონფლიქტურ სპექტრში. დღეს ტერორიზმი უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ნაციონალური, რელიგიური, პოლიტიკური, თუ სხვა ტრადიციული სფეროებით. თანამედროვე ტერორისტები ხშირად ეწევიან ისეთ საქმიანობას, რომელიც ძნელად გასარჩევია ჩვეულებრივი კრიმინალური საქმიანობისგან. ნარკოტიკებით ვაჭრობით მიღებულმა უდიდესმა შემოსავლებმა გამოკვეთა ნარკოტერორიზმი, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებაზე ან კონკურენტ ნარკოკარტელებზე ზემოქმედების საშუალება.<sup>114</sup>

ზოგიერთი სპეციალისტის პროგნოზით ტერორისტთა ერთ-ერთი მთავარი სამიზნე გახდება ინფორმაციული ინფრასტრუქტურები, განსაკუთრებით მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. <sup>115</sup> უოლტერ ლაკუარის აზრით, თუკი თანამედროვე ტერორიზმი მიმართავს თავის ენერგიას ინფორმაციული ომისაკენ, მისი დამანგრეველი ძალა გაცილებით უფრო დიდი იქნება. იმასთან შედარებით, რაც ტერორიზმის ისტორიას დღემდე ახსოვს, იგი შეიძლება თვით ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღის საშიშროებასაც კი აღემატებოდეს.<sup>116</sup>

<sup>112</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand. 1999. pp 16-17.

<sup>113</sup> იხ. Dr. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism. Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu. 2003.

<sup>114</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. Countering the New Terrorism. Rand. 1999. p. 98.

<sup>115</sup> იხ. M. Littleton, “Information Age Terrorism,” Ma thesis, U.S. Naval Postgraduate School, 1995; Brigitte Nacos, Terrorism and the Media, Columbia University Press, New York, 1994; Roger Molander, Andrew Riddile, and Peter Wilson, Strategic Information Warfare: A New Face of War, Rand, Mr-661-Osd, 1996;

<sup>116</sup> იხ. W. Laqueur, “Postmodern Terrorism,” Foreign Affairs, Vol. 75, No. 5, September/October 1996, p.35.

## §. 5 ტერორიზმი სოციალურ კონფლიქტთა სპექტრში

ტერორიზმი უნდა განვასხვავოთ ომისგან, პარტიზანული ბრძოლისგან და სხვა სოციალური მოვლენებისგან. აღნიშნული მოვლენები არა მხოლოდ ობიექტურად განსხვავდება ერთმანეთისგან, არამედ ქმედების განმასხვავებელი სუბიექტითაც. სამხედრო მოსამსახურე, პირველ რიგში, იმით განსხვავდება ტერორისტისგან, რომ თუ სამხედრო მოსამსახურის ე.წ. “კომბატანტი”-ს სამართლებრივი სტატუსი დარეგულირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, ტერორისტები ჩვეულებრივ დამნაშავეებს წარმოადგენენ. “კომბატანტებს” წარმოადგენენ: რეგულარული შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, პარტიზანები, მოხალისეები, სამოქალაქო ავიაციის ეკიპაჟი და სავაჭრო გემების ეკიპაჟი, თუ ისინი გადამზადებული არიან საომარი მოქმედებებისთვის. ნებისმიერი გაერთიანებების თუ აჯანყების მონაწილეები შესაძლებელია ჩაითვალოს “კომბატანტებად”, თუ ისინი ღიად ატარებენ იარაღს და მოქმედებენ ომის წესების და ჩვეულებების შესაბამისად. საომარი მოქმედებების პირობებში, არაკომბატანტებისაგან განსხვავებით, კომბატანტების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერ ზომები, რომელებიც პირდაპირ არ არის აკრძალული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, თვით ფიზიკურ განადგურებამდეც კი.<sup>117</sup>

1949 წლის 12 აგვისტოს უნევის კონვენციის მე-4 ოქმის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეს (კომბატანტი), როდესაც იგი აღმოჩნდება მოწინააღმდეგე მხარის ხელში, უფლება აქვს მოითხოვოს სამხედრო ტყვის სტატუსი. სახელმწიფოს კი, რომლის სამხედრო მოსამსახურეც არის დატყვევებული, შეუძლია მოსთხოვოს მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიანიჭოს დატყვევებულს შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი. ამასთან, კომბატანტს, ტერორისტისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის უფლება აქვს.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ იცავს ე.წ. “იატაქვეშა მოღვაწეებს”, “ქალაქის და სოფლის პარტიზანებს”. აღნიშნული პირები ეწევიან ძირგამომთხრელ, ტერორისტულ, დივერსიულ მოქმედებებს და, შესაბამისად, არ შეუძლიათ იმოქმედონ აშკარად, ატარონ მოწინააღმდეგე შეიარაღებული მხარის ამოსაცნობი ნიშნები და ჩაითვალოს “კომბატანტებად”. ზემოაღნიშნული პირები დაკავების შემთხვევაში ითვლებიან ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავეებად და ვერ ისარგებლებენ საერთაშორისო სამართლებრივი დაცვით.<sup>118</sup>

ტერორიზმი ომის, პარტიზანული ბრძოლის და კონფლიქტის სხვა ფორმებისგან განსხვავდება, აგრეთვე, ხელყოფის საგნით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა მაშინ, როდესაც ტერორიზმის მთავარი სამიზნე ზუსტად სამოქალაქო მოსახლეობაა. ტერორისტები შეიძლება თავს დაეს-

<sup>117</sup> იხ. А.В.Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008, с. 239.

<sup>118</sup> იხ. А. В. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно–правовые и криминологические аспекты. М., 2008, с. 242.

ხნენ აგრეთვე შინაგან საქმეთა თუ სახელმწიფო თავდაცვის შეიარაღებულ ძალებს, მაგრამ მათი თავდასხმის სტრატეგია გამოირჩევა იმით, რომ ხელყოფა ხორციელდება ისეთ ძალებზე, რომლებიც არ მიიჩნევიან მეომარ მხარედ (არ არიან ჩართული საომარ მოქმედებებში. შენიშვნა ჩემია - გ.გ.). ხელყოფა არ ატარებს სამხედრო მიზანს, ხოლო გამოყენებული საშუალებები ხშირად არ შეესაბამება ომის კანონებით გათვალისწინებულ წესებს.<sup>119</sup>

შეიარაღებული კონფლიქტის ნორმების მიხედვით, ტერორისტის, პარტიზანის, ანდა თავისუფლებისთვის მებრძოლის ურთიერთ გამიჯვნა საკმაოდ მარტივია. შეიარაღებული კონფლიქტის ნორმები ბრმაა გამომწვევი მიზეზების მიმართ, ისინი ძირითად აქცენტს საშუალებებზე აკეთებენ. ცნობილია, რომ ტერორიზმის დროს ძალადობა მიმართულია სამოქალაქო მოსახლეობასა და ობიექტებზე მაშინ, როცა პარტიზანთა თუ თავისუფლებისთვის მებრძოლთა სამიზნეს სამხედრო ძალები წარმოადგენს. ტერორისტთა თავდასხმა სამხედრო სამიზნეზე, როგორც წესი, გამონაკლისია. პარტიზანთა თავდასხმა კი, სამხედრო ძალებზე წარმოადგენს ძირითად წესს და არა გამონაკლისს.

**საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერორიზმი ომის, პარტიზანული ბრძოლის და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა სახეებისაგან განსხვავდება როგორც განმასხვრციელებელი სუბიექტით, აგრეთვე ხელყოფის საგნით.**

ტერორიზმის, ომის და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა სახეების ურთიერთგასამიჯნად ნათელი კრიტერიუმების ჩამოყალიბებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრობლემაზე სამართლებრივად სწორად რეაგირებისათვის. ტერორიზმი არ წარმოადგენს შეიარაღებული კონფლიქტის ფორმას, შესაბამისად ტერორისტები არ არიან მეომარი მხარეები. ტერორიზმი არ არის სამხედრო პრობლემა, იგი სამართლებრივი პრობლემაა და დანაშაულს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ტერორიზმს ჩავთვლით შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთ ფორმად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ტერორისტები მეომარ მხარეს წარმოადგენენ, რაც, საბოლოო ჯამში, ტერორისტული ბრძოლის მეთოდების აღიარებამდე მიგვიყვანს. შეიარაღებული კონფლიქტის ნორმები არ უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივ კრიმინალურ საქმიანობაზე. იგი ვრცელდება იმ სამხედრო დანაშაულებზე, რომლებიც დასჯადადაა აღიარებული 1949 წლის ჟენევის კონვენციის თანახმად.

ომი და ტერორიზმი, მართალია, როგორც სამართლებრივად, ისე სოციალურად განსხვავებულ მოვლენებს წარმოადგენენ, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მხარეებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის არსებობისას ომის აღიარებულ მეთოდებთან ერთად გამოყენებული იქნეს ტერორიზმიც. სამაგალითოდ შესაძლებელია მოვიყვანოთ საქართველოს მეზობლად, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს გამოყენებული ტერორისტული აქტები.

<sup>119</sup> იხ. R. J. Erikson. Legitimate USE of military force against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532, 1989, p. 59.

იმ შემთხვევებში, როდესაც ტერორიზმი გამოყენებულია დამატებით იარაღად შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ომის წარმოების ერთ-ერთ მეთოდად, სამართლებრივი შეფასება უნდა მოხდეს არა აღნიშნული მოვლენების ერთმანეთთან გაიგივებით და ერთმანეთზე დაყვანით, არამედ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე. თუ მეომარი მხარე იყენებს ტერორიზმს, როგორც ომის წარმოების მეთოდს, ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ომი და ტერორიზმი (თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე ომის დანაშაულის შემადგენლობაც არ არის სახეზე).

იქიდან გამომდინარე, რომ ომი, პარტიზანული ბრძოლა და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა აღიარებული ფორმები წარმოადგენენ ტერორიზმისგან სოციალურ-სამართლებრივად განსხვავებულ ფენომენს, მათი ურთიერთთანხვედრა დაუშვებელია შეფასდეს ცალსახად როგორც ტერორიზმი, ან ომი, პარტიზანული ბრძოლა და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მეომარი მხარეები გამოიყენებენ ტერორისტული ხასიათის რომელიმე ქმედებას, აღნიშნული ქმედება არ შეიძლება მოვიაროთ ომში ჩადენილად და საჭიროა ტერორიზმად მისი ცალკე სამართლებრივი შეფასება.

## §. 6 ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია

ტერორიზმს, როგორც სოციალურ-სამართლებრივ მოვლენას, მრავალგვარი გამოვლინება ახასიათებს. იგი სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა დანაშაულებრივი დაჯგუფების ფარგლებში განსხვავებული ფორმებით გვევლინება. ტერორიზმის ბუნების უკეთესად გაგების, უკეთ შესწავლის მიზნით მიზანშეწონილია მოვახდინოთ მისი კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით. “ტერორიზმის გარკვეული ტიპის უკეთესად შესწავლის შემდეგ შედარებით მარტივია მასთან ბრძოლის მექანიზმის შემუშავება.”<sup>120</sup>

კლასიფიკაციას საფუძვლად ყოველთვის უდევს გარკვეული ნიშანი ან ნიშანთა ჯგუფი. არსებობს ტერორიზმის მრავალგვარი კლასიფიკაცია. მაგალითად, მინკოვსკი და რევინი, კლასიფიკაციის საფუძვლად იღებენ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს და გამოყოფენ ტერორიზმის შემდეგ სახეებს: “სახელმწიფო ტერორიზმი (ორგანიზებული ან მხარდაჭერილი ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ), საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი სისტემური, სხვა სახის შიდასახელმწიფოებრივი, რელიგიური, წერტილოვანი. უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე ისეთი ფორმები, როგორცაა ტერორიზმი, გამოხატული ამბოხებაში (ტერიტორიების ხელში ჩაგდება), მასობრივი არეულობები, დივერსიები, მძევლად ხელში ჩაგდება.”<sup>121</sup>

აღნიშვნის ღირსია, რომ ავტორები ტერორიზმის გამოხატულებას ხედავენ, აგრეთვე, ამბოხებებში, დივერსიებში, მასობრივ არეულობებში... აღნიშნული მიდგომა ტერორისტული მოვლენების სოციალურ-სამართლებრივ წრეს ძალზედ აფართოებს და დაუსაბუთებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში, ამბოხების, მასობრივი არეულობების, ომის და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა სახეების დროს შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ტერორიზმი, როგორც ერთ-ერთი მეთოდი, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ამბოხება და სხვა ზემოჩამოთვლილი მოვლენები ტერორიზმის გამოვლინებებია.

ს. ეფიროვი ტერორიზმის სახეების კლასიფიკაციისას გამოყოფს სახელმწიფო, ულტრამემარჯვენე ანუ ნეოფაშისტურ, ულტრამემარცხენე და სეპარატისტულ ტერორიზმს.<sup>122</sup>

ფრანგი მკვლევარი ლორან დისპო გამოყოფს მემარჯვენე, სახელმწიფოებრივ მემარცხენე, სახელმწიფოებრივ მემარჯვენე, ოპოზიციურ მემარ-

<sup>120</sup> იხ. Dr. D. J.W. Vanderhoof, The Criminology of Terrorism, Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, www.uncp.edu. 2003

<sup>121</sup> იხ. Г.М. Миньковский, В. П. Ревин Характеристика терроризма и некоторые направления повышения эффективности борьбы с ним. // Государство и право. 1997. № 8, с.85.

<sup>122</sup> იხ. С.А.Эфиров Покушение на будущее. М., 1984. с. 35-39.

ცხენე და ნაციონალურ-გამათავისუფლებელ ტერორიზმს.<sup>123</sup> სამწუხაროდ, დისპოსეული კლასიფიკაცია მოკლებულია ნათლად გამოკვეთილ საფუძველს. ამასთან, ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გაიგივებულია ტერორიზმთან, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

ბ. ჩურკოვი ტერორიზმის კლასიფიკაციას შემდეგ სახეებად ახდენს: “სოციალურ-პოლიტიკური ტერორიზმი, რომელიც იყოფა მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობად, ეთნოპოლიტიკური ტერორიზმი, რელიგიური ტერორიზმი, სეპარატისტული ტერორიზმი, რომელიც შეიძლება ატარებდეს ნაციონალურ ან რელიგიურ ხასიათს, ან ნაციონალურ – რელიგიურ ხასიათს ერთდროულად.”<sup>124</sup>

ბოიარ სოზანოვიჩი ტერორიზმის კლასიფიკაციის საფუძველად ტერორიზმის განმარტებულ სუბიექტს მიიჩნევს და გამოყოფს სამ ძირითად სახეს:

1. სახელმწიფოებრივი ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ან მისი ხელშეწყობით;
2. ჯგუფური ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ჯგუფების ან ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის გარეშე. აღნიშნულ ჯგუფში იგი მოიაზრებს მემარჯვენე, მემარცხენე, რელიგიური, ეთნო-ნაციონალური მიმართულების ჯგუფებს;
3. სტიქიური (ინდივიდუალური) ტერორიზმი, რომელიც ხორციელდება ცალკეული პირების მიერ.<sup>125</sup>

ნაზარკინი ტერორიზმის კლასიფიკაციას სამ ჯგუფად ახდენს :

1. იდეური ტერორიზმი (რომელშიც ავტორი მოიაზრებს იდეოლოგიური პლატფორმის ქვეშ მოქმედ ყველა ტერორისტულ გამოვლინებას);
2. მარტოხელების ტერორიზმი (ავტორი მოიაზრებს ინდივიდუალურ ტერორისტულ აქტებს);
3. კრიმინალური ტერორიზმი (რომელშიც მოაზრებულია ანგარებითი მოტივაციის მქონე ჩეულებრივი დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც იყენებენ ძალისმიერ მეთოდებს კრიმინალურ საქმიანობაში, გავლენის სფეროების გადანაწილებისას და ა.შ.)<sup>126</sup>

ნაზარკინისეული კლასიფიკაცია მოკლებულია ნათლად გამოხატულ საფუძველს, რადგანაც გაუგებარია, რა ნიშნით არის შესაძლებელი ტერორიზმის ისეთი ფორმების გამოყოფა, როგორცაა იდეური, მარტოხელების და კრიმინალური ტერორიზმი. ამასთან, ვერ დავეთანხმებით ცალკე სახედ კრიმინალური ტერორიზმის გამოყოფას, რადგანაც ძალადობრივი მეთოდებით მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების მოტივაციას ფინანსური სარგებლის მოხვეჭა შეადგენდა და ისინი არ უნდა ჩაითვალოს ტერორისტულ ორგანიზაციებად. 1990-იანი წლებში პოსტსაბჭოურ სივრცეში

<sup>123</sup> იხ. L. Dispot. La machine a terreur. P., Edition Grasset, 1978. p. 57.

<sup>124</sup> იხ. Б. Г. Чурков, Социально-философские аспекты современного терроризма. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. М., Мпгу, 1993, с. 12.

<sup>125</sup> იხ. Т.С. Бояр-Созонович Проблемы классификации современного терроризма. Университет дружбы народов имени Патриса Лумумбы Государственного комитета СССР по народному образованию. М., 1989, С. 11.

<sup>126</sup> იხ. М. В. Назаркин, Криминологическая характеристика и предупреждение терроризма, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. М., 1998, с. 41-60.

მოქმედ ჩვეულებრივ კრიმინალურ დაჯგუფებებს არაფერი ჰქონდათ საერთო ტერორიზთან. ისინი, როგორც წესი, წარმოადგენდნენ რეკეტულ დაჯგუფებებს, რომლებიც ძალადობის მუქარით ეუფლებოდნენ მატერიალურ ფასეულობებს, ინაწილებდნენ კრიმინალური გავლენის სფეროებს, იმორჩილებდნენ და კონტროლის ქვეშ აქცევდნენ ახლად აღმოცენებულ ბიზნესის სახეებს და მეწარმეებს.

აღნიშნული კლასიფიკაციების გარდა, იურიდიულ დოქტრინაში გამოიყოფა ტერორიზმის სხვადასხვა სახეები, როგორებიცაა: კიბერტერორიზმი: საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივი, ბირთვული, ტექნოლოგიური, ინფორმაციული ტერორიზმი და ა.შ.

**ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია შესაძლებელია ძირითადი ნიშნის – მოტივისა და მიზნის და არაძირითადი – გამოყენებული ხერხის და საშუალების, სამოქმედო ფარგლების, განმასხვრციელებელი სუბიექტის მიხედვით.**

სამოქმედო მოტივაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს. იმის მიხედვით, თუ რა არის ტერორისტების სამოქმედო მოტივი და სავარაუდო სასურველი შედეგი, ტერორისტული აქტივობის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს რელიგიურ, სეპარატისტულ, ეთნიკურ, მემარჯვენე, მემარცხენე და სხვა მოძრაობებად.

იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ საშუალებას და ხერხს შეარჩევს ტერორისტული აქტივობისთვის სუბიექტი, შეიძლება გამოიყოს ბირთვული, ქიმიური, ფეთქებადი, კომპიუტერული და სხვა სახის ტერორიზმი.

ტერორისტული მოქმედების ფარგლების მიხედვით, შესაძლებელია არსებობდეს საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი. საერთაშორისო ტერორიზმს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი განსაზღვრავს შემდეგნაირად: საერთაშორისო ტერორიზმი ნიშნავს ტერორიზმს, რომელშიც ჩართულია ერთზე მეტი ქვეყნის კუთვნილი ტერიტორია ან მოქალაქე.<sup>127</sup> საერთაშორისო ტერორიზმს ბრაიენ ჯენკინსი განსაზღვრავს როგორც ინციდენტებს, რომელთა დროსაც მიზნისთვის დარტყმის მისაყენებლად ტერორისტები გადალახავენ უცხო სახელმწიფოს საზღვრებს, შეარჩევენ თავიანთ მსხვერპლს თუ სამიზნეს უცხოეთის რომელიმე სახელმწიფოსთან კავშირის გამო (დიპლომატები, უცხოური კორპორაციები და ა.შ.), თავს ესხმიან საერთაშორისო ავიახაზებზე მფრინავ საჰაერო ხომალდებს, ძალადობით ხელში იგდებენ ასეთ ხომალდებს და აიძულებენ გადაადგილებას მათთვის სასურველი მიმართულებით. საერთაშორისო ტერორიზმში არ შედის ინციდენტები, რომლებიც განხორციელებულია ტერორისტების მიერ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში.<sup>128</sup> ჯენკინსს ეკუთ-

<sup>127</sup> იხ. R. J. Erikson, Legitimate USE of military force against state-sponsored international terrorism. Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532, 1989, p.24.

<sup>128</sup> იხ. B. M. Jenkins, .The Study of Terrorism: Definitional Problems., Rand, 6563, Rand Corp., Santa Monica, Calif., November 1980, p.40.



ვნის ასევე განსაზღვრება: საერთაშორისო ტერორიზმი არის ძალადობა სახელმწიფოს წინააღმდეგ, სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ...<sup>129</sup>

საერთაშორისო ტერორიზმად შესაძლებელია მივიჩნიოთ ტერორისტული აქტივობის ისეთი სახე, რომელიც სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს, დაიწყო, გაგრძელდა ან დამთავრდა სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ანდა მასში მონაწილე პირები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები ან მუდმივად მაცხოვრებლები არიან ანდა ხორციელდება ტრანსნაციონალური ტერორისტული ორგანიზაციის მიერ. შიდასახელმწიფოებრივი ტერორიზმი სახეზეა, როდესაც ტერორისტული აქტივობა არ სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. განმახორციელებელი სუბიექტების მიხედვით, შეიძლება არსებობდეს ჯგუფურ-ორგანიზაციული, ინდივიდუალური ან სახელმწიფო ტერორიზმი.

ტერორიზმი არ არსებობს ძირითადი ნიშნის, კონკრეტული მოტივაციისა და იდეოლოგიური პლატფორმის გარეშე. დანარჩენი ფაკულტატური ნიშნები შეიძლება ახასიათებდეს ან არ ახასიათებდეს ტერორიზმის ამა თუ იმ სუბიექტს. მაგალითად, რელიგიური მოტივაციის მქონე ჯგუფმა შეიძლება იარაღად გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები, ასაფეთქებელი მოწყობილობები, ასევე ბირთვული, ქიმიური და სხვა იარაღი. აღნიშნული ჯგუფის სამოქმედო არეალი შეიძლება იყოს როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე, საერთაშორისო მასშტაბით. გამოყენებული იარაღის და საშუალებების, სამოქმედო ფარგლების მიუხედავად, ჯგუფი წარმოადგენს რელიგიური ტერორიზმის სუბიექტს.

---

<sup>129</sup> იხ. B. Jenkins, International Terrorism: A New Mode of Conflict. Los Angeles: Crescent Publications, 1975, № 2, p. 48.

### თავი III

## საქართველოსთვის ტეროგენური ტერორიზმის სახეები

ტერორიზმის თანამედროვე ტენდენციებიდან საქართველოსთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ეთნიკური, სახელმწიფო და რელიგიური ტერორიზმის ფენომენის განსაკუთრებულად შესწავლა, რადგანაც თანამედროვე ეტაპზე ტერორიზმის ზემოხსენებულ სახეებს საქართველოსთვის ტეროგენული მნიშვნელობა გააჩნია. ტერორისტული საქმიანობის კლასიფიკაცია ეთნიკურ, რელიგიურ და სახელმწიფოებრივ ტერორიზმად პირობით ხასიათს ატარებს და დამოკიდებულია ტერორისტთა იდეოლოგიურ პლატფორმაზე. იდეოლოგიური პლატფორმის საფუძვლით კლასიფიკაციისას შეიძლება გამოიყოს ტერორიზმის სხვა სახეებიც, როგორცაა: მემარჯვენე, მემარცხენე და ა.შ. ხშირად ხდება, რომ ეთნიკური ტერორიზმი შერწყმულია რელიგიურთან, ანდა სახელმწიფო ტერორიზმი ამოფარებულია რელიგიური ან ეთნიკური ტერორისტული დაჯგუფებების საქმიანობას.

### § 1. სახელმწიფო ტერორიზმი

#### ა. სახელმწიფო ტერორიზმის ფენომენოლოგია

1969 წლის ნაშრომში ენდრიუ სკოტი ამახვილებს ყურადღებას იმ პერიოდის მსოფლიოში ახლად გამოკვეთილ ტენდენციაზე, სახელმწიფოთა გარკვეულ ჯგუფების მხრიდან სხვა სახელმწიფოების მიმართ საყოველთაოდ აღიარებულ დიპლომატიურ მეთოდებთან ერთად ძირგამომთხრელი საქმიანობის გამოყენებაზე, კერძოდ, ე.წ. რევოლუციის იატაკქვეშა მზადების, ამ მიზნით შესაბამისი კადრების მომზადების, იარაღით და ტექნიკური საშუალებებით მომარაგების, დაფინანსების და პროპაგანდის წარმოების შესახებ. მაშინ ამ მოვლენას ე.წ. რევოლუციურ ბრძოლას მან კონკრეტული შეფასება ვერ მისცა. მისი თქმით, რთული იყო იმის განსაზღვრა, ეს ტენდენცია დადებით მოვლენას წარმოადგენდა თუ უარყოფითს? ამ კითხვისათვის პასუხი დროს უნდა გაეცა.<sup>130</sup>

ოდნავ მოგვიანებით, მსგავსი მოვლენები 1970 წელს გაეროს 39/159 რეზოლუციაში “სახელმწიფო ტერორიზმად” შეფასდა. აღნიშნულ რეზოლუციაში პირველად საერთაშორისო სამართალში პირველად დაფიქსირდა “სახელმწიფო ტერორიზმის” ცნება, რომელიც განისაზღვრა როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში ერთი სახელმწიფოს მხრიდან ძალადობით ან ძალადობის გამოყენების მუქარით სხვა სახელმწიფოს ან ხალხებს დაშინება, რათა შეიცვალოს “მსხვერპლი” სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო პოლიტიკა, ანდა შეიზღუდოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი.

<sup>130</sup> იხ. A. M. Scott, *The Revolution in Statecraft: informal Penetration*, New York: Random House, 1969, p. 166.

39/159 რეზოლუციაში მითითებულია, რომ დაუშვებელია “სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკის ან სხვა ქმედებების განხორციელება, რომლებიც მიმართულია სხვა სუვერენული სახელმწიფოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების დამსობისკენ ან სხვაგვარად ხელყოფისკენ”.

იურიდიულ დოქტრინაში თანდათან ჩნდება მოსაზრებები “სახელმწიფო ტერორიზმზე”, როგორც ომის ახალ საშუალებაზე, სტრატეგიის ასიმეტრიულ ფორმაზე და ა.შ. მაგ: ჟაკ ბერჟიეს აზრით, მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის ისტორიაში ბოლო გლობალური ომი იყო. თუ კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი უწერია, ეს იქნება ტერორისტული მეთოდებით წარმოებული ომი.<sup>131</sup> სტეფან სლოანის მიხედვით, სახელმწიფო ტერორიზმი არის “ხანგრძლივი პოლიტიკური ომი არაპირდაპირი აგრესიის ფორმით”.<sup>132</sup> ტერორიზმის ექსპერტის, პაულ ვილკინსონის აზრით, “ინტერნაციონალური ტერორისტული თავდასხმები – უბრალოდ ომის წარმოების განსხვავებული საშუალებაა”,<sup>133</sup> ბრაიან ჯენკინსის აზრით, “ტერორიზმი მართლაც იქცა ომის წარმოების ახალ მეთოდად. . .”<sup>134</sup>

საერთაშორისო სამართალი გმობს “სახელმწიფო ტერორიზმის” პოლიტიკას, მიიჩნევს რა მას საერთაშორისო პრინციპების დარღვევად, თუმცა არ აწესებს პასუხისმგებლობას იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც მსგავს პოლიტიკას ეწევიან. საერთაშორისო სამართალში მსგავსი პოზიცია სხვა მიზეზებთან ერთად გამოწვეულია ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული ცნების არარსებობით. ცნობილი გამოთქმა “ტერორისტი ერთისთვის მეორისთვის არის თავისუფლებისთვის მებრძოლი” ქმედების ტერორიზმად კვალიფიკაციისას სირთულეებს წარმოშობს. თავის დროზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ტერორიზმის შესახებ არსებობდა ორი შეხედულება: პირველი კონცენტრირებული იყო ქმედების შინაარსზე, ხოლო მეორე მიზეზებზე. პირველი შეხედულებით ტერორიზმი წარმოადგენს უკიდურეს ბოროტებას მისი გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, ხოლო მეორე ანსხვავებდა ტერორიზმის დადებით და უარყოფით სახეობას იმის მიხედვით, თუ რა მიზეზით იყო იგი გამოწვეული და რა მიზანს ემსახურებოდა.

შეერთებული შტატები და დასავლეთის სხვა დემოკრატიული ქვეყნები მხარს უჭერენ პირველ პრინციპს. რაც შეეხება მესამე სამყაროს ქვეყნებს, რომელთაც მხარს უჭერდა საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, ხელმძღვანელობდნენ მეორე პრინციპით.<sup>135</sup>

ამ მხრივ, საგულისხმოა გაეროს 1972 წლის სხდომებზე გაკეთებული ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლის განცხადება:

<sup>131</sup> იხ. G. J. Schamis, War and Terrorism in international Affairs (New Brunswick, N.J.: Transaction Books, 1980, pp. 35-38.

<sup>132</sup> იხ. S. Sloan, Beating international Terrorism: An Action Strategy for Preemption and Punishment. Maxwell Afb, Ala.: Air University Press, December 1986.

<sup>133</sup> იხ. P. Wilkinson, Terrorism and the Liberal State .New York: J. Wiley & Sons, Halstead Press, 1977, p. 179

<sup>134</sup> იხ. B. M. Jenkins, .Combatting Terrorism Becomes a War,. Rand, 6988, Rand Corp., Santa Monica, Calif., May 1984, p.7

<sup>135</sup> იხ. R. J. Erikson. Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism, Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 36112-5532 1989. p.15

ა. გვინების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მხარს უჭერენ ნაციონალურ გამათავისუფლებელ მოძრაობას და მიაჩნით გამართლებურად ნებისმიერი ხერხი, რომელიც გამოყენებული იქნება ქვეყნის დამოუკიდებლობის მისაღწევად.<sup>136</sup>

ბ. კუბის წარმომადგენლის განცხადებით, ბრძოლის ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ნაციონალურ გამათავისუფლებელი მოძრაობების მიერ, არ შეიძლება იქნეს ცნობილი როგორც ტერორისტული.<sup>137</sup>

გ. მადაგასკარის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ტერორისტული ინციდენტები, რომელთაც პირადი გამორჩენის მოტივაცია უდევს საფუძვლად, დაგმობილ უნდა იქნეს. რაც შეეხება პოლიტიკურ ტერორიზმს, რომელიც გამოიყენება გაეროს მიერ აღიარებული ღირებულებების დასამყარებლად, მხოლოდ და მხოლოდ მისასაღმებელია.<sup>138</sup>

უკანასკნელ პერიოდში მრავალი სახელმწიფო თავს არიდებს პირდაპირ კონფრონტაციას, რომელმაც შეიძლება დიდი ხარჯები გამოიწვიოს და სასურველი მიზანი ვერ იქნეს მიღწეული. ამიტომ აღნიშნული სახელმწიფოები ეძებენ ზემოქმედების სხვა საშუალებებს, მათ შორის წინა პლანზე ტერორიზმი. შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ ჩრდილოეთ კორეის მიერ ტერორიზმის ხელშეწყობა სამხრეთ კორეის წინააღმდეგ. სირიისა და ირანის მიერ “ქურთთა მუშათა პარტიისთვის” ხელშეწყობა თურქეთის წინააღმდეგ, სუდანისა და ირანის მიერ ისლამური ტერორიზმის ხელშეწყობა ეგვიპტესა და ახლოაღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში, პაკისტანის მიერ ტერორიზმისთვის ხელშეწყობა ქაშმირში ინდოეთის წინააღმდეგ...<sup>139</sup>

ამბოხებების სახელმწიფოებრივი სპონსორობა და მფარველობა, როგორც საგარეო პოლიტიკის ერთგვარი ინსტრუმენტი, დამახასიათებელი იყო ცივი ომის პერიოდისთვის. შეერთებული შტატები იყენებდა რა ნიკარაგუელ რევოლუციონერებს, ავღანელ მოჯაჰიდებს, ტიბეტელ ბუდისტ მეომრებს და სხვებს, ცდილობდა შეეჩერებინა კომუნიზმი. ვაშინგტონი, ამ მხრივ, არ წარმოადგენდა გამონაკლისს, საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მფარველობდნენ კომუნისტ პარტიზანებს ანგოლაში, საბერძნეთში, სამხრეთ აფრიკაში, ვიეტნამში და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში...<sup>140</sup>

**ამბოხებული სეპარატისტული რეჟიმების ხელშეწყობის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ომი, ხოლო ამის შემდგომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება.**

<sup>136</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია / Un Sixth (Legal) Committee, 1362d meeting, Un Gaor, 27th sess., A/C.6/Sr. 1362. 1972.

<sup>137</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია / Un Sixth (Legal) Committee, 1358th meeting, Un Gaor, 27th sess., A/C.6/Sr. 1358. 1972.

<sup>138</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია / Un Sixth (Legal) Committee, 1365th meeting, Un Gaor, 27th sess., A/C.6/Sr.1365. 1972.

<sup>139</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins, Countering the New Terrorism. Copyright © 1999 Rand p. 103.

<sup>140</sup> აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ: Shafer, D. Michael, Deadly Paradigms: The Failure of U.S. Counterinsurgency Policy, Princeton, N.J.: Princeton University Press, 1988; Blaufarb, Douglas, The Counterinsurgency Era: U.S. Doctrine and Performance, New York: Free Press, 1977; Odom, William, On Internal War: American and Soviet Approaches to Third World Clients and Insurgents, Durham, N.C.: Duke University Press, 1992.

## ბ. სახელმწიფო ტერორიზმის გამოვლენის ფორმები

სამართლებრივ დოქტრინაში სახელმწიფოსა და ტერორიზმის ურთიერთმიმართების, სახელმწიფოებრივად ხელშეწყობილი ტერორიზმის შესახებ გამოვლინებების კლასიფიკაციის კლასიკურ ნიმუშად პროფესორ ჯონ მარფისეული სქემა ითვლება.<sup>141</sup> მან სახელმწიფოსა და ტერორიზმის ურთიერთმიმართების ოთხი ძირითადი გამოვლინება გამოყო:

### 1) სახელმწიფოებრივი სპონსორობა

ტერორიზმის სახელმწიფოებრივი სპონსორობას აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო უშუალოდ გამოიყენებს საერთაშორისო ურთიერთობებში ტერორიზმს, როგორც მეთოდს, რათა მიაღწიოს სტრატეგიულ უპირატესობას და აღნიშნული მიზნის მისაღწევად, გარკვეული მიზეზების გამო არ შეუძლია საყოველთაოდ აღიარებული საშუალებების გამოყენება. აღნიშნული სტრატეგია გარკვეულწილად გამოხატულია კარლ ფონ კლაუზევიცის სიტყვებში: ომის წარმოება განსხვავებული საშუალებებით... ტერორიზმი გახდა იარაღი, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება მოვიდეს მოქმედებაში, როდესაც რომელიმე სახელმწიფოს სურს მძიმე ზიანი მიაყენოს მეორე სახელმწიფოს ისე, რომ არ იკისროს მომხდარზე პასუხისმგებლობა ომის დადგენილი წესების შესაბამისად. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორიზმის სახელმწიფოებრივი სპონსორებს მიაკუთვნებს შემდეგ ქვეყნებს: ლიბიას, ირანს, სირიას, სამხრეთ იემენს და სხვა.<sup>142</sup>

### 2) სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა

სახელმწიფოებრივი ხელშეწყობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო ეხმარება ტერორისტებს თავისი რესურსებით და უზრუნველყოფს მათ დაფინანსებას, მომარაგებას საბრძოლო მასალებით, მათ სამხედრო სწავლებას, უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტებით, ინფორმაციით, კომუნიკაციური საშუალებებით და სხვა საჭირო დახმარებით. აღნიშნული ფორმა განსხვავდება სახელმწიფო სპონსორობისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფო პირდაპირ და უშუალოდ არ წარმართავს ტერორისტების საქმიანობას. ამგვარ ქვეყანათა ჯგუფს ამერიკელი ტეროლოგები აკუთვნებდნენ საბჭოთა კავშირს, ბულგარეთს, კუბას და სხვ.<sup>143</sup>

<sup>141</sup> იხ. J. F. Murphy, Punishing International Terrorists: The Legal Framework for Policy Initiatives. Totowa, N.J. Rowman and Allanheld, 1985, pp.49-55.

<sup>142</sup> იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი / The U.S. Department of State, State-Sponsored Terrorism. <http://www.state.gov/s/ct>. 2003.

<sup>143</sup> იხ.: Department of Defense, Soviet Military Power, Washington. 1986, pp. 124-128; S. T. Francis, The Soviet Strategy of Terror, Washington, Heritage Foundation, 1981; R. Goren, The Soviet Union and Terrorism London, G. Allen and Unwin, 1984. Claire Sterling, The Terror Network: The Secret War of International Terrorism, New York, Reader.s Digest Press, 1981.

### 3) სახელმწიფოებრივი თანხმობა

საერთაშორისო ტერორიზმის მიმართ სახელმწიფოებრივი თანხმობა არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფომ იცის მის ტერიტორიაზე არსებული ტერორისტული ჯგუფების შესახებ, იგი არ ეხმარება ასეთ ჯგუფებს, მაგრამ არც ავიწროებს მათ. სახელმწიფომ იცის ასეთი ტერორისტული ჯგუფების საერთაშორისო ტერორისტული საქმიანობის შესახებ და უსიტყვოდ მხარს უჭერს მათ. როგორც წესი, ამგვარი ტერორისტული ჯგუფები საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან ან თვითონ აფინანსებენ საკუთარ საქმიანობას.

### 4) სახელმწიფოებრივი უმოქმედობა

ამ შემთხვევაში სახელმწიფოს, მართალია, სურს ზეწოლა მოახდინოს ტერორისტებზე, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ გააჩნია გარკვეული მიზეზების გამო. (მაგ., არ გააჩნია შესაბამისად მომზადებული შეიარაღებული ძალები ანდა განიცდის შესაბამისი ტექნოლოგიების უქონლობას). ასეთ სიტუაციებში, როგორც წესი, სახელმწიფო მიმართავს სხვა სახელმწიფოს, ან საერთაშორისო ორგანიზაციას დახმარებისთვის. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სომალის დედაქალაქ მოგადიშოში ტერორისტების მიერ გატაცებული თვითფრინავში მძევლების გათავისუფლების შემთხვევა, როდესაც სომალის მთავრობამ დახმარებისთვის დასავლეთ გერმანიას მიმართა.

## § 2. რელიგიური ტერორიზმი

### 2.1. რელიგიური ტერორიზმის ფენომენოლოგია

“რელიგია უზრუნველყოფს ტერორის ერთადერთ მისაღებ გამართლებას”  
დევიდ რაპოპორტი

რელიგიური ტერორიზმის სათავეები შორეული ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს. ზოგიერთი რელიგიურ-ტერორისტული ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მათ უნდა გაწმინდონ მსოფლიო ახალი ეპოქისათვის.<sup>144</sup> მისი ცალკეული გამოვლინებები, როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ფიქსირდება მსოფლიო ისტორიაში. შუა საუკუნეები რელიგიური ტერორის არნახული მასშტაბებით ხასიათდებოდა ინკვიზიციისა და ჯვაროსნული ომების პერიოდში. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ისლამურმა ტერორიზმმა საერთაშორისო, გლობალური ხასიათი მიიღო. მუსულმანური აღმოსავლეთი ქრისტიანული დასავლეთის წინააღმდეგ, როგორც ერთგვარი ჯვაროსნული ლაშქრობა დასავლური კულტურის წინააღმდეგ რეალურ საფრთხედ იქცა.<sup>145</sup> რელიგიური ტერორიზმი საერთოა შედარებით გაცილებით უფრო დამანგრეველია. აღნიშნული გამოწვეულია ღირებულებითი სისტემის რადიკალური განსხვავებულობით, ლეგიტიმაციისა და თვითგამართლების თავისებური მექანიზმის არსებობით, განსხვავებული მორალური ნორმებისა და მსოფლმხედველობის ქონით. რელიგიური ტერორისტისთვის ძალადობა ღვთისგან დადგენილ წმინდა ვალდებულებად აღიქმება, რომელიც ხორციელდება თეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად და სრულიად გამართლებულია წმინდა წერილის მიხედვით. რელიგია, აქედან გამომდინარე, მოქმედებს როგორც გარკვეული სანქციონერი, ძალადობის დამკანონებელი, რომელსაც ფართო მასშტაბი აქვს და მიმართულია ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც არ წარმოადგენს ტერორისტთათვის მისაღებ რელიგიის, თუ კულტის მიმდევარს.<sup>146</sup> დღემდე არ არის აზრთა ერთიანობა იმ საკითხში, თუ რა უნდა ეწოდოს თანამედროვე ისლამურ მოძრაობებს, რადგანაც ზოგიერთი ავტორი მათ მოიხსენიებს როგორც ფუნდამენტალისტებს, ზოგიერთი როგორც რადიკალებს და ექსტრემისტებს.<sup>147</sup> ფრენსის ფუკიამას ახალი ცნებაც კი შემოაქვს "ისლამო ფაშიზმი".<sup>148</sup> მიგვანია, რომ ობიექტური სინამდვილიდან თუ ამოვალთ, უმჯობესი იქნება შეგვეჩინა აღნიშნული მოვლენისთვის ტერმინი “რადიკალური ისლამიზმი” და “შესაბამისად მიმ-

<sup>144</sup> იხ. D. J.W. Vanderhoof, *The Criminology of Terrorism*, Copyright © 2001, The University of North Carolina at Pembroke, [www.uncp.edu](http://www.uncp.edu). 2003.

<sup>145</sup> იხ. S. P. Huntington, “The Clash of Civilizations?,” *Foreign Affairs*, Summer 1993, pp. 22-49.

<sup>146</sup> იხ. I. O. Lesser, B. Hoffman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins. *Countering the New Terrorism*. Rand publications Isbn: 0-8330-2667-4, MR-989-AF. Copyright © 1999 Rand. p. 20.

<sup>147</sup> იხ. E. Sivan, *Radical Islam: Medieval Theology and Modern Politics*. New Haven, Ct: Yale University Press, 1985; O. Roy, *The Failure of Political Islam*. Cambridge, Ma: Harvard University Press, 1994; J. L. Esposito, ed., *Voices of Resurgent Islam*. New York: Oxford University Press, 1983.

<sup>148</sup> იხ. F. Fukuyama, “Their Target: The Modern World,” *Newsweek* January 2002, Internet: <http://www.msnbc.com/news/672448.asp>. 2003.

დეერებისთვის “რადიკალ-ისლამისტები”, რადგანაც მათი უმთავრესი მიზანი ისლამური სახელმწიფოს შექმნაა, რომელიც დაფუძნებული იქნება ყურანის ნორმების მკაცრ აღსრულებაზე.

მართალია, აღ-ქაიდა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციები მთლიანი მუსულმანური სივრცის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ. შეიძლება ითქვას, რომ მათი რწმენა და მეთოდები ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ყურანის ძირითად დებულებებს და ტრადიციულ ისლამურ ნორმებს. აღ-ქაიდა, ისევე როგორც ჰეზბოლა, ჰამასი და სხვანი წარმოშობილია იმ ძირითადი მუსულმანური ფუძიდან, როგორც სხვა არაძალდობრივი მუსულმანური მიმდინარეობები. მაგალითისთვის შეიძლება პარალელი გაივლოს ებრაელ ტერორისტებთან, რომლებიც გეგმავდნენ კლდის ქიმის აფეთქებას იერუსალიმში. ებრაელთა უმრავლესობა, მართალია, დაგმობდა ამგვარ საქციელს, მაგრამ ის ფაქტი, რომ აღნიშნული აქტი დაიგეგმა ებრაელი ფანატიკოსების მიერ და იუდაიზმის სახელით, რათა დაწყებულყო ტაძრის აღდგენითი სამუშაოები, ტერორისტულ აქტს აძლევს იუდაისტურ ხასიათს. ანდა მაგ., კუ-კლუს-კლანი, რომელიც იდეურ საფუძვლად ბიბლიას და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას იყენებს. აღსანიშნავია, რომ კუ-კლუს-კლანის ყველაზე აქტიური ჯგუფი აშშ-ში ამერიკელ რაინდთა ეკლესიაა.

როდესაც ვმსჯელობთ ისლამურ ტერორიზმზე, არ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი მუსულმანური სამყარო, არც ტერორისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ მთელი მუსულმანური სამყაროს სახელით.<sup>149</sup>

## 2.2. ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგი

იდეა “ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგი” რადიკალ-ისლამისტებში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა. განსაკუთრებული ღვაწლი იდეოლოგიური პლატფორმის მომზადებასა და მსოფლმხედველობის ახალი ტიპის ჩამოყალიბებაში ეკუთვნის ირანის ისლამური რევოლუციის სულისჩამდგმელს აიათოლა ჰომეინის (სრული სახელია აიათოლა სეიედ რუჰოლა მუსავი ჰომეინი). ჰომეინი ირანის შიიტების სულიერ მამადაა მიჩნეული და იმამად მოიხსენიებენ. ჰომეინი იყო პირველი რადიკალ - ისლამისტი, რომელმაც შემოიღო 12 შიიტი იმამის კანონი თანამედროვე მუსულმანური საზოგადოებისთვის.

ჰომეინის შეხედულებით, მსოფლიოს სინამდვილეში არსებობს სახელმწიფოთა სამი სისტემა: ლიბერალური, კაპიტალისტური დასავლეთი; ათეისტური, კომუნისტური აღმოსავლეთი და მორალურ, ღვთიურ კანონებზე დამყარებული ისლამური სისტემა. პირველი ორი სისტემა, როგორც დაწინაურებული სისტემები ურთიერთქმედებაში არიან, თუმცა ორივე ეწინააღმდეგება მესამე, ისლამურ სისტემას, რადგანაც წარმოადგენენ რა გარკვეულ პოლიტიკურ ბლოკებს, მათი იდეოლოგიური ფესვები იკვებება არა უმაღლესი ჭეშმარიტების წყაროდან, არამედ ძალაუფლების სატანის-

<sup>149</sup> იხ. J. M. Schachter, The Eye of the Believer Psychological Influences on Counter-Terrorism Policy-Making, Rand, 2002, p.17.



ტური სურვილიდან. კაპიტალიზმი და კომუნიზმი, ორივე ისწრაფვის სიმდიდრისკენ და ისინი აუცილებლად განიცდიან მარცხს, რადგანაც ისინი საზრდოობენ ადამიანური იდეოლოგიით, აღიარებენ მხოლოდ ფიზიკურ დომინირებას ადამიანისა ადამიანზე, და ადამიანური კანონის დომინირებას ღვთის კანონზე.<sup>150</sup>

ისლამური კანონი უნივერსალური და ჭეშმარიტია. იგი სცილდება ტერიტორიულ და ნაციონალურ შეზღუდვებს. . . ზუსტად ზემოთ აღნიშნული ჰომეინისტური ისლამიზმის იდეოლოგიური რადიკალიზმი და იმის აღიარება, რომ ისლამისთვის საზღვრები არ არსებობს, იძლეოდა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ისლამური რევოლუციის ექსპორტის მცდელობა იქნებოდა ირანის საზღვრებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ ირანის კონსტიტუციის თანახმად, აკრძალულია სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა, ნებადართულია მხოლოდ თავდაცვა უცხოური აგრესიის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, თუ რა პირობით შეიძლება ჰომეინისტები ისლამური რევოლუციის გაჩაღებას მთელს მსოფლიოში? შეიძლება თუ არა ამ პირობად ჯიჰადი გამოიყენონ? ნებადართულია თუ არა ტერორიზმი და ძირგამომთხრელი საქმიანობა ჯიჰადის დროს? “ტერორიზმი და ჯიჰადი წარმოადგენენ დოქტრინალურ წინააღმდეგობას. ტერორიზმს არა აქვს არავითარი საფუძველი “შარიათში”, ამიტომ ტერორისტები არ შეიძლება იყვნენ “მუჯაჰიდები” (“mujahidun” people involved in jihad).<sup>151</sup>

ირანი მუსულმანი რადიკალებისთვის განხორციელებული ოცნებაა, კერძოდ, ეს არის სახელმწიფო მუსულმანური წესრიგით, იგი რეალურად არსებობს და იმედის მომცემია მსოფილო მუსულმანური წესრიგისთვის ბრძოლის საქმეში.

1979 წლის ირანის რევოლუცია კვლავაც დიდ გავლენას ახდენს დღევანდელი ახლო აღმოსავლეთის სინამდვილეზე, ზურგს უმაგრებს რადიკალურად განწყობილ ისლამისტ აქტივისტებს და ამართლებს მათ მიერ ძალადობის – ჯიჰადის - გამოყენებას.<sup>152</sup> თავის დროზე ჰომეინი, ხოლო შემდგომ მისი მიმდევრები, ახორციელებენ ისლამური რევოლუციის ექსპორტს მსოფლიოში. აღნიშნული გამოიხატება იდეოლოგიურ პროპაგანდაში, შესაბამისი საგანმანათლებლო რელიგიური სკოლების, ე.წ. მედრესების დაარსებაში, სეპარატისტული მოძრაობების, ისლამოტერორიზმის და სხვა დაფინანსებაში, იარაღით მომარაგებაში, სამხედრო – ძირგამომთხრელი მეთოდების სწავლებაში და ა.შ.

**უკანასკნელ წლებში ტერორიზმის მიზნობრივმა მხარემ ცვლილებები განიცადა. თუკი ადრე ტერორიზმის მიზანს სახელმწიფო ხელისუფლებაზე**

<sup>150</sup> იხ. F. R. Homeyni on Man, State, and International Politics, Vol. 13, Lanham, Md: University Press of America, 1984, pp. 75-77

<sup>151</sup> იხ. M. M. Elbakry, “Different Conceptions of Jihad and Its Relevance to Contemporary Trends of Islamic Movements,” Jerusalem Journal of International Relations, Vol. 9, No. 4, 1987, p.64.

<sup>152</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. S. C. Pelletiere Editor May 15, 1995 Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Pa 17013-5050. p.28.

ზემოქმედება წარმოადგენდა, ამჟამად აღნიშნული მიზანი სახელმწიფოს სრული დემონტაჟი და ახალი ისლამური ტიპის სახელმწიფოს აგება.<sup>153</sup>

### 2.3. კონფლიქტის ისლამისტური გაგება

რელიგიურ კულტურათა უმრავლესობაში ჩადებულია კონფლიქტის გარკვეული კონცეფცია, რომელიც მიიჩნევა რელიგიის განადგურებისაგან დაცვის საშუალებად. ამ მხრივ, არც ისლამია გამონაკლისი. კონფლიქტის ისლამური გაგება, რომელიც “ჯიჰადად” იწოდება, გულისხმობს “ბრძოლას ღვთის ერთი ბილიკისათვის” (jihad fi sabil Allah). ჯიჰადი როგორც “უმმაჰ“-ის (ummah –ი, ეს არის ჭეშმარიტი რწმენის მიმდევარი საზოგადოება) ფიზიკური და სულიერი დაცვა ყოველი მუსულმანის საპატიო ვალია, ხოლო ჯიჰადის დროს გარდაცვლილი თავდადებული მუსულმანი თავისუფლდება ცოდვებისგან და დაუყოვნებლივ სამოთხეში ხვდება.<sup>154</sup> ყურანის მიხედვით, რომელიც არის ისლამური კანონმდებლობის ძირითადი მატერიალური წყარო, ჯიჰადი ნებადართულ ძალადობაზე უფრო მეტს ნიშნავს. ჯიჰადი სამართლიანი ომის იურიდიული სანქციაა.<sup>155</sup>

შიიტი ფილოსოფოსი სეიდ ჰოსეინ ნასრის სიტყვები: “ჯიჰადი არა მხოლოდ ისლამური გავლენის სფეროების დაცვა ან მათი გაფართოებაა, არამედ ყოველი მუსულმანის მარადიული შინაგანი ბრძოლა ყოველივე ომის წინააღმდეგ, რაც შეიძლება წინ აღუდგეს ჭეშმარიტებას და დაარღვიოს მათი სულიერი წონასწორობა. დიდი საღვთო ომი (al-jihad al-akbar), პირველ რიგში, გამოიხატება მართლმორწმუნის უხილავ სულიერ ბრძოლაში. ბრძოლაში, რომელიც არის საშუალება გაუკვალოს ბილიკი უფალს (ალაჰს) საკუთარი გულის სიდრმისკენ.<sup>156</sup>

“ისტორიულად ჯიჰადს არასოდეს ჰქონია სტატიკური გაგება, ადაპტაციური და მოქნილი, იგი მოწოდებულია იმისთვის, რომ აღასრულოს ისლამური იმპერიალიზმის მოთხოვნები საერთაშორისო არენაზე. არამუსულმანურ სამყაროსთან მიმართებაში ჯიჰადი წარმოადგენს საშუალებას, რისი მეშვეობითაც რადიკალური მუსულმანური იდეოლოგია ცდილობს გარდაქმნას მუსულმანური სოციალ-პოლიტიკური ღირებულებები. . . ისლამისტების მიზანს წარმოადგენს მუსულმანური ახლო აღმოსავლეთის შექმნა და განვითარება, ხოლო ჯიჰადი რადიკალურ-ისლამისტური რევოლუციის გამარჯვების უპირველესი პირობაა. რადიკალ-ისლამისტებისათ-

<sup>153</sup> იხ. В.П. Емельянов. Проблемы ответственности за международный терроризм//Государство и право. 2000 №1, сс. 70-77.

<sup>154</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Editor S. C.Pelletiere, May 15, 1995, p. 29

<sup>155</sup> იხ. M. Khadduri, War and Peace in the Law of Islam, Baltimore: Johns Hopkins University Press, 1955, p. 57.

<sup>156</sup> იხ. S. H. Nasr, Islamic Life and Thought, Albany, State University of New York Press, 1981, p. 195.

ვის ჯიჰადი არის სრულიად მისაღები და კანონიერი საშუალება ისტორიული ისლამური ძლიერების აღდგენისთვის.”<sup>157</sup>

ყურანი, რომელიც არის ღვთის უცვლელი, მარადიული და საბოლოო სიტყვა, ქვეშევრდომებს ავალდებულებს იტვირთონ ჯიჰადის ტვირთი. ჯიჰადი ძალას იღებს იმ უძირითადესი პრინციპიდან, რომ ისლამი არის ერთადერთი ჭეშმარიტება, რომელიც შეუცვლელია დასაბამიდან.<sup>158</sup>

ჯიჰადი, როგორც ტერმინი, მექას გამოცხადებებში განმარტებულია, როგორც ალაჰთან დაახლოებისათვის მართლმორწმუნე მუსულმანის სულიერი ბრძოლა. მუსულმან მეცნიერთა უმრავლესობა ჯიჰადს განმარტავს როგორც არაძალადობრივ ბრძოლას ყურანით დადგენილი წესების აღსასრულებლად, ე.ი. კამათს (ურწმუნოებთან) და ისლამის ქადაგებას. მედინას სურის მიხედვით, ყურანი ნებას აძლევს მუსულმანს, ხმალი აღმართოს მხოლოდ თავდაცვის მიზნით.

როდესაც მუსულმანური ქვეყნები მოექცნენ ევროპის ძლიერი კულტურულ-პოლიტიკური გავლენის ქვეშ, დასავლეთის აქტიური “თავდასხმის” პასუხად თითოეულ მუსულმანში უნდა ჩამოყალიბებულიყო აქტიური “თავდაცვა”, რათა დაეცვათ თავიანთი ცხოვრების წესი, როგორც ეს მითითებულია მუსულმანურ წმინდა წერილში. განსაკუთრებით უნდა დაეცვათ ახალგაზრდობა დასავლეთის დამლუპველი გავლენისგან.<sup>159</sup> “მილიონობით მუსულმანისთვის, რომლებიც თვლიან, რომ მათ თრგუნავს ებრაულ-ქრისტიანული სამყარო, პირველ რიგში კი, ამერიკა, ბენ-ლადენის ისტორია დავითისა და გოლიათის შერკინების თანამედროვე ლეგენდას წარმოადგენს.”<sup>160</sup>

ისლამის განშტოებებში, სუნიზმსა და შიიტოზმში ჯიჰადის ისტორიულად ორი განსხვავებული გაგებაა. კლასიკური სუნიზმის მიხედვით, რომელიც გავრცელებული იყო არაბთა ისლამურ იმპერიაში, ჯიჰადი გაგებული იყო, როგორც მართლმორწმუნეთა (მუსულმანური აღმსარებლობის საზოგადოების) დაცვა და სახელმწიფოს ტერიტორიული გაფართოება იმპერიული წყობის სახით (აბსოლიტური ძალაუფლება ქვეშევრდომ ხალხებზე თუ სახელმწიფოებზე). სუნიზმისგან განსხვავებით, შიიტური ტრადიცია მოითხოვდა, რომ ჯიჰადი გამოცხადებული ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა მართლმორწმუნეთა (მუსულმანთა) დისკრიმინაციას, უსამართლობას, შევიწროებას ე.ი. სატანურ მოქმედებებს.<sup>161</sup>

კონფლიქტის სუნიტურ და შიიტურ გაგებაში აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვანი განსხვავება ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ისტორიუ-

<sup>157</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Editor S. C. Pelletiere, May 15, 1995, p. 44.

<sup>158</sup> იხ. The Encyclopedia of Islam, 2nd ed., Vol. 2, London: Luzae and Co., 1960, p. 538.

<sup>159</sup> იხ. R. Peters, Islam and Colonialism: The Doctrine of Jihad in Modern Islam, The Hague, Netherlands: Mouton, 1979, p.133.

<sup>160</sup> იხ. P. Жаккар. Именем Усамы Вен Ладена. Москва, “Олма-пресс” 2002, с. 32.

<sup>161</sup> იხ. A. M. Mutahhari, Fundamentals of Islamic Thought: God, Man and the Universe, ed., Hamid Algac, trans., R. Campbell, Berkeley, Ca: Mizan Press, 1985, p. 93

ლად შიიტები სუნიტების მხრიდან დათრგუნულ მდგომარეობაში იყვნენ. მრავალი საუკუნის განმავლობაში შიიტები ცხოვრობდნენ სუნიტების დაქვემდებარებაში და შეადგენდნენ უმცირესობას. შიიტების თვალში სუნიტები იყვნენ უზურპატორები, რომლებსაც ბრალი მიუძღვოდათ შიიტური საზოგადოების წინააღმდეგ. სუნიტების მმართველობა ტერიტორიებზე, სადაც შიიტური უმრავლესობა ცხოვრობდა, ანიჭებდა ასეთ ტერიტორიებს შიიტური თვალთახედვით დარ-ალ ჰარბის (Dar al-Harb ბრძოლის ადგილი, სადაც მუსულმანი იბრძვის “შაითანებთან” (ურწმუნოებთან)) სტატუსს. აქედან გამომდინარე შიიტური ჯიჰადის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გაწმინდოს სამყარო უსამართლობისაგან, რომელიც მიმართულია შიიტური საზოგადოების წინააღმდეგ სუნიტების და სხვა ერეტიკოსების მხრიდან....<sup>162</sup>

საბოლოო ჯამში, შეხედულებებში მცირე სხვაობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ჯიჰადი სუნიტებისთვის და შიიტებისთვის არის კანონიერი იარაღი და საშუალება, რომლის მეშვეობითაც “უმმაჰ” (მუსულმანური აღმსარებლობის საზოგადოება) არეგულირებს ურთიერთობას არა მუსულმანურ სამყაროსთან, ჯიჰადი არის კონფლიქტის გადაჭრის რელიგიურად აღიარებული ხერხი.<sup>163</sup>

აღსანიშნავია, რომ ჯიჰადის კონცეფციაში თავდასხმისა და თავდაცვის ასპექტებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს. ჯიჰადის სუნიტური მოდელის ძირითად ნიშანს შეადგენს პრინციპი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა რელიგიისგან განუყოფელია. აღნიშნული პრინციპი “ჯიჰად“-ს, როგორც კონფლიქტის გადაჭრის კონცეპციას დამატებით დამაჯერებლობას მატებს. პოლიტიკის და რელიგიის განუყოფლობა, როგორც პრინციპი, სათავეს იღებს ისლამურ-თეორიული დებულებიდან, რომლის თანახმად, “უმმაჰ“-ი (მუსულმანური აღმსარებლობის საზოგადოება) და ხელისუფლება გაერთიანდა ალაჰის ნებით ხალიფატად. ხალიფატი ახორციელებს ალაჰის ნებას, იგი ვალდებულია განავრცოს და გააძლიეროს ისლამი.

ყურანი კრძალავს ჯიჰადს მუსულმანებს შორის, ისტორიულად არსებულ კონფლიქტებს მუსულმანი თეოლოგები აძლევენ უბრალოდ ომის (ჰარბ) კვალიფიკაციას და კიცხავენ ასეთ მოვლენებს, თვლიან რა ასეთ ფაქტებს სოციალურ გადახრად, რომელიც ეწინააღმდეგება “შარიათს”.<sup>164</sup>

ისლამისტების თვალთახედვით მსოფლიო რამდენიმე სფეროდ იყოფა:

1. “უმმაჰი” (ummah), სადაც ბატონობს “შარიათი” და რწმენა მტკიცეა.
2. “დარ ალ-ისლამი” (Dar al-Islam) – ადგილი, რომელიც მუსულმანთა ხელისუფლების ქვეშაა და სადაც ჯიჰადი ჰეგემონობისთვის ბრძოლის იარაღია.

<sup>162</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Editor S. C. Pelletiere, May 15, 1995, p. 36.

<sup>163</sup> იხ. M. Khadduri, War and Peace in the Law of Islam, Baltimore: Johns Hopkins University Press, 1955, p. 57.

<sup>164</sup> იხ. Terrorism: national security policy and the home front. Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, Editor S. C. Pelletiere, May 15, 1995, pp. 31 -33.

3. “დარ ალ-ჰარბი” (Dar al-Harb) – ბრძოლის ადგილი, სადაც მუსულმანი იბრძვის “შაითანებთან” (ურწმუნოებთან).

4. “ჯიჰადის” კონცეპციაში, ისტორიულ კანონზომიერებების გამო ჩამოყალიბდა “დარ ალ-სულჰი” (Dar al-Sulh) ანუ დაზავების ზონა. სადაც თანაარსებობის აუცილებლობიდან გამომდინარე, დადებული შეთანხმებების გამო, “შარიათს” ყველასთვის სავალდებულო ძალა არა აქვს.<sup>165</sup>

მუსულმანი ტერორისტები ჯიჰადისკენ ბავშვებსაც მოუწოდებენ. აღწერილია შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივი მოლას მოწოდების შედეგად 500 მოზარდი მზად იყო შეერთებოდა თალიბანის მოძრაობას. მოლას მოწოდება ასე ჟღერდა: “ის ვინც სარწმუნოებისთვის ომს ეწირება, არ კვდება! ის, ვინც მიდის ჯიჰადში, სამუდამოდ ცოცხლობს სამოთხეში”<sup>166</sup>

---

<sup>165</sup> იხ. R. Peters, Islam and Colonialism: The Doctrine of Jihad in Modern Islam, The Hague, Netherlands: Mouton, 1979, pp. 34-35.

<sup>166</sup> იხ. J. Gettleman, “Prisoner of Jihad,” Los Angeles Times, July 21, 2002, p.1.

### § 3. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმი

#### 3.1. ეთნო-სეპარატისტული ტერორიზმის ფენომენოლოგია

ეთნო – სეპარატისტული ტერორიზმი ეთნიკური კონფლიქტის ერთ-ერთი ფორმაა. ეთნო - სეპარატისტებისთვის ტერორიზმი ხშირად ხდება სასურველი პოლიტიკური შედეგის მიღწევის საშუალება. ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტოლოგიაში აღიარებულია, რომ ეთნიკურ კონფლიქტებს საფუძვლად ეთნიკური პლურალიზმი უდევს. პოლიტიკური სისტემის ეთნიკური პლურალიზმის ცნებაში იგულისხმება საზოგადოების ერთი პოლიტიკური სისტემის საზღვრებში სხვადასხვა ეთნოსის არსებობა... თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური სისტემების დიდი უმრავლესობა პოლიეთნიკურია... ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ მსოფლიოში არსებული სახელმწიფოებიდან მხოლოდ 9% (132-დან 12) თავისი მოსახლეობით წარმოადგენდა ეთნიკურად ჰომოგენურს.<sup>167</sup> დღეს მსოფლიოში სახელმწიფოთა რიცხვი 200 აღემატება, თუმცა ამის მიუხედავად, ეთნიკური პლურალიზმი კიდევ უფრო გაიზარდა. ეთნოკონფლიქტოლოგები თავიანთ შრომებში ეთნიკური პლურალიზმის სამ ძირითად მიზეზს გამოყოფენ: 1) ტერიტორიული ექსპანსია ანდა დაპყრობითი ომები, 2) ევროპული კოლონიზაციის და შემდგომი დეკოლონიზაციის პროცესები, 3) მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება ანდა ეთნიკური მიგრაციის პროცესები.<sup>168</sup>

კონფლიქტების პრობლემა ყველაზე მწვავედ იჩენს თავს მრავალეროვან საზოგადოებაში და მსოფლიო ეთნოკონფლიქტების უმრავლესობაც სწორედ იქ ხდება. კონფლიქტი არა მხოლოდ იმ კონკრეტულ ჯგუფზე ახდენს დესტრუქციულ ზემოქმედებას, რომელშიც ის ვითარდება, არამედ ეს ზემოქმედება ვრცელდება ჯაჭვური რეაქციის სახით სხვა საზოგადოებაზეც. თავისთავად ეროვნულობა უკავშირდება ეთნოსს. მეცნიერები თვლიან, რომ ეთნოსი არის სოციალური ჯგუფის განსაკუთრებული სახე, რომელიც აღმოცენდება არა ცალკეულ ინდივიდების სურვილით, არამედ გარკვეული ბუნებრივ-ისტორიული პროცესის შედეგად. ეთნოსს ახასიათებს შედარებითი მდგრადობა. ესა თუ ის ეთნოსი, ჩვეულებრივ, არსებობს საუკუნეების განმავლობაში, მას აქვს თვითწოდება და, რაც მთავარია, ეთნოსის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მასში გაერთიანებულ ადამიანთა თვითშეგნებას. ეთნოსთან ურთიერთდენტიფიკაცია და განსხვავება სხვა მსგავსი ერთობებისაგან გამოიხატება. ანტი-თეზით „ჩვენ-ისინი,“ თვითშეგნების გარდა, რომელსაც ეთნიკურ თვითშეგნებასაც უწოდებენ, არსებობს ამ ეთნოსში შემავალი ხალხის ობიექტური, რეალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები, ჩვეულებრივ, იმ ინტეგრაციული და დიფერენციალური ნიშნების ერთობლიობაა, რომელიც

<sup>167</sup> იხ. Идентичность и конфликт в постсоветских государствах. Под ред. М. Олкотт, В. Тишкова, А. Малашенко. М., 1997, сс. 320-321.

<sup>168</sup> იხ. А.Р. Аклаев. Этно – Политическая конфликтология : Анализ и менеджмент. М., 2005, с. 26

თავს იჩენს ეთნოსის წევრთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი სფეროა ენა, როგორც ეთნოსის წევრთა საკომუნიკაციო საშუალება. ენასთან ერთად, ეთნოსის არსებობის განმსაზღვრელია კულტურა, უპირველესად კი, მისი ისეთი კომპონენტები, რომლებსაც აქვთ ტრადიციული, მასობრივი ხასიათი და ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეთნოსის კულტურული ერთობა, თავის მხრივ, დაკავშირებულია ეთნოსის წევრთა ზოგიერთ ფსიქიკურ თავისებურებასთან. ეს ფსიქიკური თავისებურებები, საბოლოო ჯამში, ქმნის ეთნიკურ (ეროვნულ) ხასიათს. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ სრულიად არ არის აუცილებელი ჩამოთვლილ ნიშანთაგან ნებისმიერი მხოლოდ და მხოლოდ ერთი გარკვეული ეთნოსისათვის იყოს სპეციფიკური (მაგ.: ინგლისურ ენაზე მეტყველებს არა მხოლოდ ერთი ეთნოსი-ინგლისელები, არამედ ანგლო-საქსები, ჩრდილო ამერიკელები და ა.შ.). ეთნოსის თავისებურება გამოიხატება არა რომელიმე ერთი კომპონენტით, არამედ მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ობიექტურ თვისებათა ერთობლიობით. მაგრამ არც ეს ნიშნავს იმას, რომ ეთნოსი თვისებათა, ნიშანთა უბრლო თავმოყრაა. იგი განსაზღვრული მთლიანობაა, რომელშიც ძირითად როლს ასრულებენ სხვადასხვა კომპონენტები. ერთ შემთხვევაში მთავარია ენა, მეორეში - სამეურნეო-ეკონომიკური თავისებურებები, მესამეში - ქცევის დამახასიათებელი ნიშნები და ა.შ.<sup>169</sup>

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში მსოფლიოში სახელმწიფოთა თითქმის ნახევარი მოიცვა ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილმა პოლიტიკურმა დაპირისპირებამ. 80-იან წლებში მომხდარი 120 შეიარაღებული კონფლიქტიდან 98 ეთნიკური იყო.<sup>170</sup> თანამედროვე სამყაროსთვის დამახასიათებელ ფაქტორს წარმოადგენს ე.წ. “კონფლიქტის ასიმეტრიული ფორმები”. “ცივი ომის” ხანის დამთავრების შემდეგ კონფლიქტების უმრავლესობის უკან აღარ დგას კომუნისტური ან კაპიტალისტური პოლიტიკური ბანაკი, რომლებიც ერთმანეთს კონფლიქტის ე.წ. “სიმეტრიული ფორმით” უპირისპირდებოდნენ. “ცივი ომის” დროს დაპირისპირება ძირითადად სახელმწიფოებს შორის მიმდინარეობდა, ძალადობის ობიექტს წარმოადგენდა მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სამხედრო ძალები. თანამედროვე ეპოქაში “ასიმეტრიული კონფლიქტის” პირობებში ძალადობის ობიექტს ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა წარმოადგენს, ამასთან, კონფლიქტებმა დაკარგა საერთაშორისო ხასიათი და ლოკალურ მასშტაბებში მოექცა, რომელთა დროსაც ხშირად გამოყენებული ტერორისტული ბრძოლის მეთოდები. სტოკჰოლმის მშვიდობის ინსტიტუტის გამოკვლევების მიხედვით, 1989-1996 წლებში 102 შეიარაღებული კონფლიქტიდან მხოლოდ 6 იყო საერთაშორისო, ხოლო დანარჩენი 96 - შიდასახელმწიფოებრივი.<sup>171</sup>

შიდასახელმწიფოებრივი ეთნიკური კონფლიქტები ხშირად იქნეს სეპარატისტულ მიმართულებას. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს,

<sup>169</sup> იხ. კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. რედ.: მელიქიშვილი, თბილისი, 1997, გვ. 34.

<sup>170</sup> იხ. A.B. Картунов, O.A. Маруховская, Этнополитические конфликты: актуальность, определение, задачи// Материалы междунар. конгресса конфликтологов // Под ред. И. Степанова. М., 2001. с. 194.

<sup>171</sup> იხ. A.P. Аклаев. Этно – Политическая конфликтология : Анализ и менеджмент. М., 2005. с. 31

სეპარატისტები ბრძოლის პოლიტიკურ მეთოდებთან ერთად იყენებენ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ტერორიზმს. მიზანშეწონილია, გახილულ იქნეს რამდენიმე მაგალითი, როდესაც ტერორიზმი ეთნიკური კონფლიქტის იარაღად იქნა გამოყენებული

### 3.2. ირლანდიის ნაციონალურ – გამანთავისუფლებელი არმია<sup>172</sup>

ირლანდიური ტერორისტული დაჯგუფება “IRA”, რომელიც დღემდე მოსვენებას უკარგავს ბრიტანეთის მთავრობას, უკვე ათეული წლებია იბრძვის ირლანდიის ინგლისისგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი ირლანდიური სახელმწიფოს შექმნისათვის. ირლანდიური ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ფესვები შუა საუკუნეებში უნდა ვეძებოთ. აღნიშნულმა ბრძოლამ XIII საუკუნიდან განსაკუთრებული ინტენსივობა შეიძინა. თუმცა, რაც უფრო აქტიურდებოდნენ ირლანდიელები, მით უფრო მეტად ძლიერდებოდა მათზე ბრიტანული ძალების ზეწოლა. მას შემდეგ რაც ინგლისმა დათმო კოლონიები, ირლანდია კვლავ მოუგვარებელ პრობლემად დარჩა.

ირლანდიის გამანთავისუფლებელი არმია “IRA” ჩამოყალიბდა 1919 წელს. ის იყო ირლანდიური პოლიტიკური პარტიის „Shinn Féin“(რაც სიტყვა სიტყვით ნიშნავს „ჩვენ თვითონ“) საიდუმლო სამხედრო დაჯგუფება, რომელიც პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა ინგლისის წინააღმდეგ. მისი მიზანი ირლანდიის ტერიტორიიდან ინგლისის განდევნა და ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო.

XX საუკუნის დასაწყისში ინგლისმა და ირლანდიამ მიიღეს დეკლარაცია, რომლის თანახმადაც, ირლანდია ავტონომიად გამოცხადდა, რომელსაც საკუთარი თვითმმართველობა ექნებოდა, ანუ ყველა ის უფლება, რაც დამოუკიდებელ სახელმწიფოს გააჩნია, ოღონდ დიდი ბრიტანეთის საზღვრებში. პროტესტანტი ირლანდიელები დაკმაყოფილდნენ მიღწეულით, რამაც კათოლიკე ირლანდიელების რეაქცია უფრო მეტად გაამწვავა. ამ ფაქტმა ირლანდიელებს შორის სერიოზული განხეთქილება გამოიწვია, ეთნიკურთან ერთად თავი იჩინა რელიგიურმა ექსტრემიზმმაც, კონფლიქტმა ფაქტობრივად ეთნო-რელიგიური შინარსი შეიძინა. გაჩნდა “IRA”-ს რამდენიმე მიმართულება. კათოლიკე და პროტესტანტი ირლანდიელები გაემიჯნენ ერთმანეთს. მოგვიანებით გაჩნდა კიდევ მესამე მიმართულება, რომელიც მშვიდობიან პროპაგანდისტულ ბრძოლას ეწეოდა<sup>173</sup>.

ბრიტანელი ექსპერტების ცნობით, “IRA”-ს დასაფინანსებლად ყოველწლიურად გროვდებოდა 9-დან 16 მილიონ აშშ დოლარამდე. დაფინანსე-

<sup>172</sup> Provisional Irish Republican Army, ტერორისტული ორგანიზაცია ირლანდიის ნაციონალურ - გამანთავისუფლებელი არმია ტექსტში მოხსენიებული იქნება როგორც “IRA”.

<sup>173</sup> იხ. E. Кожушко. Современный терроризм. Минск, Харвест, 2000, с. 174.



ბის წყარო იყო, როგორც არალეგალური ბიზნესი, ისე იდეოლოგიურ მხარდამჭერთა ნებაყოფლობითი შემოწირულობა, ამერიკის ირლანდიური დიასპორა. ირლანდიურ ლუდის ბარებში იდგა ყუთები, წარწერით „დახმარება ჩვენს ირლანდიელ ძმებს“, სადაც თანამემამულეებისთვის ფულს ყრიდნენ. პროტესტანტულ ეკლესიებში წირვის შემდეგ იკრიბებოდნენ ირლანდიული დიასპორის წევრები, ეწყობოდა საიდუმლო კრებები, გროვდებოდა თანხები აჯანყებულების დასაფინანსებლად<sup>174</sup>.

“IRA”-ს ოპერატიული ბაზები, ირლანდიის გარდა, განლაგებული იყო აშშ-ში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში და შუა აზიაში. “IRA”-ს საკუთარი დაზვერვა და კონტრდაზვერვა ჰყავდა. მისი ინფორმატორები გამოვლინდნენ ირლანდიისა და ინგლისის სამართალდამცავ ორგანოებშიც<sup>175</sup>.

“IRA”-მ მოღვაწეობა ირლანდიის ტერიტორიაზე განლაგებული ინგლისური ძალოვან სტრუქტურების წარმომადგენლობებზე თავდასხმებით დაიწყო. მათი მთავარი დევიზი იყო: „სიკვდილი ინგლისელ ჯარისკაცს.“ მოგვიანებით “IRA”-ს სამოქმედო არეალი თანდათან გაფართოვდა, დუბლინიდან ლონდონამდე და ფაქტობრივად მთელი ინგლისის ტერიტორია მოიცვა. დაიხვეწა ტერორისტების მოქმედების ტაქტიკა და მათი სამიზნე მშვიდობიანი მოქალაქეებიც გახდნენ. ტერაქტები ეწყობოდა ხალხმრავალ ადგილებში, რათა გართულებულიყო დაზარალებულების ევაკუაცია და გაზრდილიყო მსხვერპლიანობა.<sup>176</sup>

სისასტიკეში არც ინგლისური მთავრობა ჩამოუვარდებოდა “IRA”-ს. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში 350-ამდე ეთნიკური ირლანდიელი დააპატიმრეს, რომელთა უმრავლესობა არ მონაწილეობდა შეიარაღებულ კონფლიქტში, მაგრამ “IRA”-ს თანაუგრძნობდა. დაპატიმრებულებზე ინგლისურ ციხეებში იმ დროს არსებულ წამების ყველა მეთოდს იყენებდნენ, რის შედეგადაც ათობით ირლანდიელი პოლიტიკატიმარი დაიღუპა.<sup>177</sup>

ინგლისურ-ირლანდიური კონფლიქტის დარეგულირებას ხელს უშლიდა ის, რომ მხარეები მოლაპარაკებაზე არც კი ფიქრობდნენ. ინგლისის მთავრობას მე-20 საუკუნის 80-იან წლებამდე ტერორისტებთან დიალოგზე წასვლა არ უცდია. პრობლემის გადაჭრის გზებზე რეალურად არავის უფიქრია. პირველი საიდუმლო მოლაპარაკებები 1985 წელს დაიწყო, რომლის მიზანიც ცეცხლის უპირობო შეწყვეტა იყო, თუმცა უშედეგოდ: არც “IRA” თმობდა პოზიციებს და არც ინგლისის მთავრობა.

პირველი რეალური შედეგი მიღწეული იყო 1997 წელს. ირლანდიაში ჩატარდა არჩევნები, სადაც გამარჯვება იმ ძალებმა მოიპოვეს, რომლებიც იდეოლოგიურ ბრძოლას უჭერდნენ მხარს და ეწინააღმდეგებოდნენ უაზრო სისხლისღვრას.

<sup>174</sup> იხ. <http://www.ng.ru/tag/ira>, 2010.

<sup>175</sup> იხ. იქვე

<sup>176</sup> იხ. <http://www.varyag-stunts.narod.ru/irahistory-ira.html>, 2010

<sup>177</sup> იხ. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/article/lan/lan-0030.htm>, 2011.

აღსანიშნავია, რომ განიარაღების ინიციატივით თვითონ **“IRA”** გამოვიდა. მოლაპარაკებები განიარაღების საერთაშორისო კომისიასთან საიდუმლო ვითარებაში გაიმართა. ისე რომ, ზუსტად არ არის ცნობილი **“IRA”-მ** ხელთ არსებული ყველა საბრძოლო საშუალება ჩააბარა თუ არა.<sup>178</sup>

**“IRA”** დღეისათვის აღარ აწყობს ფართო მასშტაბიან ტერაქტებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტი სრულად მოგვარებული ჯერ კიდევ არ არის. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, არ არის გამორიცხული, რომ **“IRA”-მ** ერთ დღეს კვლავ განაახლოს საომარი მოქმედებები.<sup>179</sup>

### 3.3. ქვეყანა და თავისუფლება ბასკებს<sup>180</sup>

თანამედროვე სამყაროში რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები სულ უფრო ხშირია, შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე მთელი მსოფლიოს სენს წარმოადგენს. მცირე სოციალური ჯგუფები თვითგადარჩენისათვის იბრძვიან, ეს ბრძოლა სცილდება იდეოლოგიურ და თეორიულ ბრძოლას და შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადადის, რაც საკმაოდ საშიშ ხასიათს იძენს. დიდ სოციალურ ჯგუფებში ასიმილაციისათვის განწირული მცირერიცხოვანი ჯგუფები, იქნება ეს ეთნიკური თუ რელიგიური, ხმაურის გამოწვევით ცდილობენ საკუთარი თავის გამოსატყუას და დანარჩენი სამყაროს ყურადღების მიქცევას. მათი ბრძოლის ერთ - ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული საშუალება ტერორიზმია, რომელიც საზოგადოებაზე ძალადობით ცდილობს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკის დასუსტებას.

ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის ნიადაგზეა აღმოცენებული ბასკური ტერორისტული დაჯგუფებაა „**ETA**“. ფრანკოს დიქტატურის დროს ბასკეთმა დაკარგა ავტონომია, დაიწყო რეპრესიები ბასკი ხალხის მიმართ, აიკრძალა ბასკური ხელოვნება, ბასკურ ენაზე სწავლება და ასე შემდეგ, რასაც, ბუნებრივია, ბასკი ხალხის პროტესტი მოჰყვა. 1959 წლის 31 ივლისს შეიქმნა ბასკური ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელიც დაკომპლექტებული იყო ბასკური ნაციონალური პარტიის ახალგაზრდა მემარცხენეებისგან. მისი ჩამოყალიბების უმთავრეს მიზანს დამოუკიდებელი ბასკური სახელმწიფოს შექმნა და დაკარგული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა წარმოადგენდა. ეს არ იყო მხოლოდ იდეოლოგიური ბრძოლა, ამ მოთხოვნების წამოყენება თავისთავად ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას ნიშნავდა.

თავდაპირველად **“ETA”** დიდი სიმპათიითა და თანადგომით სარგებლობდა არა მხოლოდ ბასკებში, არამედ ესპანელებშიც, რადგანაც მათი მოთ-

<sup>178</sup> იხ. <http://www.ng.ru/tag/ira>, 2010.

<sup>179</sup> იხ. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/article/lan/lan-0030.htm>, 2011

<sup>180</sup> Euskadi Ta Askatasuna, ტერორისტული ორგანიზაცია **“ქვეყანა და თავისუფლება ბასკებს”** ტექსტში მოხსენიებული იქნება როგორც **“ETA”**

ხოვნები პატრიოტული და სამართლიანი ჩანდა. ასევე მხარდაჭერა ჰქონდა ქვეყნის გარეთაც: “ETA” წევრებს საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარის მიღება შეეძლოთ, სხვა რადიკალურად განწყობილი ტერორისტული ორგანიზაციები ფულითა და იარაღით ამარაგებდნენ.<sup>181</sup>

ორგანიზაციის ძირითადი სამიზნე პოლიტიკოსები, სამხედრო პირები და პოლიციელები იყვნენ. იტაცებდნენ სახელმწიფო მოხელეებს პოლიტიკური მოთხოვნებით, აწვობდნენ თავდასხმებს სამხედრო ყაზარმებსა და პოლიციის შენობებზე. ფრანკოს სიკვდილის შემდეგ ბასკეთმა კვლავ ფართო ავტონომია მოიპოვა, მაგრამ რადიკალურმა დაჯგუფებამ მოღვაწეობა მაინც არ შეწყვიტა, მისი მთავარი მოთხოვნა კვლავ ბასკეთის სრული დამოუკიდებლობა იყო, რასაც ესპანეთის მთავრობა უკვე ვეღარ შეასრულებდა, თუმცა მთელ რიგ დათმობებზე მაინც წავიდა ტერორისტებთან: გამოაცხადა ამნისტია და მოლაპარაკებებზე დასთანხმდა, რასაც ტერორისტები აფეთქებების სერიებით პასუხობდნენ. მოხდა ისე, რომ საფრანგეთმაც უარი თქვა “ETA” -ს წევრებისათვის პოლიტიკური თავშესაფარის მიცემაზე, ისინი ფაქტობრივად უკვე კრიმინალები იყვნენ ყველას თვალში. დაკარგეს მხარდაჭერა და პატივისცემა უბრალო ხალხის მხრიდანაც, რადგან ეხლა უკვე ეს ხალხი გახდა მათი სამიზნე : ძარცვავდნენ ბანკებს, იტაცებდნენ უბრალო მოქალაქეებს გამოსასყიდის მიღების მიზნით და ა.შ. ტერორისტული ორგანიზაციის ქმედებამ უარყოფითად იმოქმედა ბასკური პროვინციების ეკონომიკურ განვითარებაზეც, რადგან არსებული დაძაბულობის გამო, საგრძნობლად შემცირდა ინვესტიციები. ესპანეთის მთავრობამ შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადა ტერორისტებს და აქტიურ ქმედებაზე გადავიდა, რითიც მიაღწია “ETA”-ს იზოლაციას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. “ETA” ევროკავშირის ტერორისტულ ორგანიზაციათა სიაშია შესული.<sup>182</sup>

<sup>181</sup> იხ. Е. Кожушко. Современный терроризм. Минск, Харвест, 2000, сс.194-195.

<sup>182</sup> იხ. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/991147>, 2010

### 3.4. თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვები<sup>183</sup>

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინგლისმა კოლონიების გაათავისუფლება დაიწყო. 1948 წელს ცეილონს ფართო ავტონომია მიენიჭა დიდი ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში. მოგვიანებით ცეილონის ავტონომია „შრი-ლანკის დამოუკიდებელ სახელმწიფო“-დ გამოცხადდა, სადაც სახელმწიფო ენა სინგალური იყო, ხელისუფლება კი აქტიურად მხარს უჭერდა ბუდისტურ კულტურას. ამას ისიც დაემატა, რომ სახელმწიფომ უარი უთხრა მოქალაქეობაზე იგნლისელების მიერ მოსამსახურეებად ჩამოსახლებაზელი ინდოელი თამალების შთამომავლობას და მათი ინდოეთში დეპორტაცია დაიწყო. აღნიშნულმა ვითარებამ თამალების უკმაყოფილება გამოიწვია, ისინი თავს დაჩაგრულ უმცირესობად აცხადებდნენ. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა პირველი თამილური ექსტრემისტული ორგანიზაცია „თამილთა გამათავისუფლებელი ეროვნული ფრონტი“,<sup>184</sup> რომლის მიზანი თამილ-ილამის<sup>185</sup> დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა იყო, თუმცა ეს ორგანიზაცია ბრძოლის მხოლოდ იდეოლოგიურ მეთოდებს იყენებდა.

1976 წელს ორგანიზაციას რადიკალურად განწყობილი ახალგაზრდების ჯგუფი გამოეყო, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ „ეროვნული ფრონტის“ უმოქმედობის გამო. სწორედ ამ დროს ჩამოყალიბდა ექსტრემისტული გაერთიანება „თიგვ“ იგივე „თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვები“, რომელსაც სათავეში ედგა 18 წლის ველიპულაი პხაბხაკარანი, რომელიც გამოირჩეოდა სისასტიკითა და დაუნდობლობით არა მარტო სხვების, არამედ საკუთარი თავის მიმართაც. როგორც ამბობდნენ, მას ყელზე ეკიდა ციანიდის ამპულა, რომელსაც ინახავდა იმ შემთხვევისათვის, თუ მას ტყვეობა დაემუქრებოდა. ასეთივე თავგანწირვას მოითხოვდა თანამებრძოლების მხრიდანაც. ეს ასეც იყო, ყველაზე მეტი თვითმკვლეელი ტერორისტი მსოფლიოში არსებულ ორგანიზაციათა შორის „ვეფხვებს“ ჰყავთ, რომელთა შორის არიან ქალები და ბავშვებიც კი. 1987-2000 წლებში განხორციელებულ 168 ტერორისტულ აქტში 292 კამიკაძე-ტერორისტი დაიღუპა. მათი მეშვეობით მოაწყვეს ტერაქტი ინდოეთის პრემიერ-მინისტრ რაჯივ განდიზე და შრი-ლანკის პრეზიდენტზე. „ვეფხვების“ ლიდერმა მიაღწია იმას, რომ „LTTE“ მსოფლიოში ყველაზე სტაბილური და მრავალრიცხოვანი ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც თავის რიგებში 1990 წლისათვის დაახლოებით 14 ათასამდე ტერორისტს ითვლიდა.<sup>186</sup>

„ვეფხვების“ სისასტიკეზე მიუთითებს ისიც, რომ მათ ტერორისტი ბავშვების რაზმები აქვთ ჩამოყალიბებული. უმცროსი შვილები მძევლებად მიჰყავთ იქამდე, ვიდრე მათი უფროსი ძმები მათთან ერთად ბრძოლაში

<sup>183</sup> Liberation Tigers of Tamil Eelam – LTTE ტერორისტული ორგანიზაცია თამილ-ილამის გამათავისუფლებელი ვეფხვები ტექსტში მოხსენიებული იქნება როგორც „LTTE“

<sup>184</sup> იხ. Г. Таргонский Шри-Ланка: «место, где был рай». [www.akm1917.org/vzgl/vz25-63.htm](http://www.akm1917.org/vzgl/vz25-63.htm), 2010

<sup>185</sup> „თამილ-ილამი“ ნიშნავს თამილთა ქვეყანას.

<sup>186</sup> იხ. [www.nationalsecurity.ru/library/00016/00016ltte3.htm](http://www.nationalsecurity.ru/library/00016/00016ltte3.htm)

არ ჩაებმებიან. ხშირად ხდება ისე, რომ ეს ბავშვები უკან აღარ ბრუნდებიან, და ამას ნებაყოფლობით აკეთებენ, რადგან მათზე ფსიქოლოგიური ზეგავლენა ტერორისტების მხრიდან ძალზე დიდია. „ვეფხვები“ პირდაპირ სკოლებში ატარებენ ვიდუო გაკვეთილებს, სადაც ბავშვებს მათ მიერ ჩადენილ „საგმირო საქმეებზე“ უყვებიან, ამის საწინააღმდეგოდ კი მასწავლებლები ვერაფერს აკეთებენ. აღნიშნულთან დაკავშირებით გაეროს სპეციალური სადამკვირვებლო კომისიაც იყო თამილებთან ჩასული, მათ საკუთარი თვალთ ნახეს ეს ბავშვები, მაგრამ იქიდან ხელცარიელნი დაბრუნდნენ, რადგან ბავშვები აცხადებდნენ, რომ ისინი ნებაყოფლობით მიდიოდნენ საბრძოლველად, ხოლო თამილები არწმუნებდნენ კომისიის წარმომადგენლებს, რომ ისინი მცირეწლოვან ბავშვებს არ იყენებდნენ საომრად. ამ დროს კი ტერორისტული გაზეთები ხოტბას ასხამდნენ პატარა „ვეფხვებს“, რომელთაც სიცოცხლე არ ენანებათ თავისუფლებისათვის.<sup>187</sup>

„LTTE“ საკმაოდ კარგად დაფინანსებული ორგანიზაციაა, მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ემიგრანტი თამილები არიან, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებშია მიმოფანტული, მაგალითად: კანადაში „კანადელი თამილების ასოციაცია“, აშშ-ში „მსოფლიო თამილთა მოძრაობა“ და სხვა. ასევე არიან ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ისინი „ვეფხვებს“ ფულითა და იარაღით ამარაგებენ. „LTTE“ შესანიშნავად არის შეიარაღებული სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საბრძოლო არსენალით.<sup>188</sup>

პირველი ტერორისტული აქტი „ვეფხვებმა“ 1983 წელს მოაწყვეს. ისინი თავს დაესხნენ სინგალურ სამხედრო მანქანას, სადაც ათობით ჯარისკაცი დაიღუპა. ამას საპასუხოდ სინგალელების რეაქციაც მოჰყვა და დაიწყო ომი, რომელიც ხანმოკლე შესვენებებით დღემდე მიმდინარეობს. მოლაპარაკებებზე თამილები საერთოდ უარს აცხადებდნენ. შრი-ლანკის პრეზიდენტი ჩანდრიკა კუმარატუნგა წინასაარჩევნო კამპანიის დროს აცხადებდა, რომ აქტიურად ითანამშრომლებდა თამილებთან რეგიონში მშვიდობის დასამყარებლად. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მასზე ტერაქტი მოაწყვეს, რომელიც არაა გამორიცხული, რომ მისივე პოლიტიკური ხრიკი ყოფილიყო, მან განაცხადა, რომ დაუნდობლად იბრძოლებდა თამილების წინააღმდეგ.<sup>189</sup>

დიდი ხანი არაა, რაც თამილები და სინგალელები მოლაპარაკებებზე დასთანხმდნენ. პირველი შეხვედრა შედგა 2009 წლის აპრილში, მას შემდეგ, რაც სახელისუფლებო ძალებთან შეტაკებისას დაიღუპა მათი უცვლელი ლიდერი, დიდი იყო ცოცხალი ძალის დანაკარგიც. მოლაპარაკებები ტაილნდში სამ ეტაპად უნდა ჩატარდეს, სადაც ძირითად საკითხად თამილთა ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის საკითხი იქნება განიხილული.

<sup>187</sup> იხ. <http://studies.agentura.ru/tr/tigrs/> Марина Латышева „Страна тигров“

<sup>188</sup> იხ. [http://www.soldiering.ru/war/sri\\_lanka/sri\\_lanka.war-at-sea.php](http://www.soldiering.ru/war/sri_lanka/sri_lanka.war-at-sea.php)

<sup>189</sup> იხ. <http://crynews.ru/orgprint/89.html>, 2011.

ბევრს არ სჯერა, რომ თამილები დაიდალნენ ომით და მშვიდობა მოე-  
ნატრათ. სავარაუდოა, რომ ეს ნაბიჯი აშკარად მიუთითებს მათ დასუს-  
ტებაზე. ამის გარდა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ანტი-  
ტერორისტულ კოალიციაში გაერთიანებულმა სახელმწიფოებმა დაუნდო-  
ბელი ბრძოლა გამოუცხადეს ტერორიზმს, რომელთა სიაში „LTTE“-ც შე-  
სულია. თალიბების ეს ნაბიჯი შეიძლება თვითგადარჩენის სურვილით  
იყოს გამოწვეული.<sup>190</sup>

ცვილონში არსებული ომი თავისი უცნაურობითაც გამოირჩევა, აღსანიშ-  
ნავია, რომ მრავალწლიანი სასტიკი ბრძოლების განმავლობაში „LTTE” -  
ს არც ერთი ტერაქტი არ განუხორციელებია უცხოელი ტურისტების მი-  
მართ. ზაფხულობით კუნძული დამსვენებლებითაა სავსე, სწორედ მაშინ,  
როცა ტერორისტთა აქტივობა პიკს აღწევს ხოლმე. როგორც ჩანს, ტერო-  
რისტები უცხო სახელმწიფოთა გაღიზიანებასაც ერიდებიან, და ემიგრანტ  
თამალებსაც უფრთხილდებიან, რათა შემდეგ ისინი არ გახდნენ შურის-  
ძიების ობიექტები. ეს ფაქტი მუსულმანი ტერორისტებისაგან მკვეთრად  
განასხვავებს თამილებს. ამას გარდა ცვილონში ისევე ჩვეული რიტმით  
მიმდინარეობს ცნობილი ცვილონური ჩაის მოყვანა, პლანტაციებში ძირი-  
თადად თამილები მუშაობენ სენგალების სასარგებლოდ. ამ უცნაური  
ფაქტების გამოა, რომ სენგალურ-თამილური კონფლიქტი, რომელიც ეთ-  
ნიკურ, რელიგიურ და ხანდახან კასტურ ხასიათს ატარებს, ხშირად არ  
ჯდება ჩვეულებრივი ორმხრივი დაპირისპირების ლოგიკაში.<sup>191</sup>

### 3.5. ტერორიზმი ჩენეთში

ჩენები კავკასიის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ, როგორც ზოგადად  
მთიელები, ჩენებიც თავისუფლების მოყვარე ხალხია. ისინი თითქმის  
სამი საუკუნეა თავდაუზოგავად იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, თუმ-  
ცა უშედეგოდ. პირველად ჩენებმა დამოუკიდებლობა 1859 წელს დაკარ-  
გეს, იმპერიალისტური ომის დასრულების შემდეგ. აქედან მოყოლებული  
ჩენეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო მის დაშლამდე. რუსე-  
თის იმპერიის დაშლის შემდეგ თავისუფლების იმედი გაუჩნდათ, მაგრამ  
რუსეთი ჩენეთის დათმობას არ აპირებდა, ისევე როგორც მის ფედერა-  
ციაში შემავალი სხვა ავტონომიური ოლქების. ჩენეთი ჯერ ბოლშევი-  
კური რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში შევიდა,  
თავიდან როგორც ჩენეთის ავტონომიური ოლქი, და შემდეგ კი ინგუ-  
შეთთან გააერთიანეს და ჩენენ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქად მოიხსე-  
ნებდნენ.<sup>192</sup>

1944 წელს, მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა ლიდერის, სტალინის  
ბრძანებით მილიონამდე ჩენენი და ინგუში ეროვნების ადამიანი ციმბირ-  
სა და შუა აზიაში გადაასახლეს, როგორც სახელმწიფოსათვის განსა-  
კუთრებით საშიში ხალხი, მათ ბრალად ედებოდათ ფაშისტურ გერმანი-  
ასთან თანამშრომლობა. უკან დაბრუნების უფლება მხოლოდ 1957 წელს

<sup>190</sup> იხ. იქვე.

<sup>191</sup> იხ. <http://studies.agentura.ru/tr/tigrs/> М. Латышева, Страна тигров, 2011

<sup>192</sup> იხ. <http://www.srji.org/chechnya>, 2011.

მიიღეს. ამავე დროს იქნა აღდგენილი ჩეჩენ-ინგუშეთის ავტონომიური ოლქი საბჭოთა რუსეთის ფედერაციის ფარგლებში.<sup>193</sup>

ჩეჩნებმა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა 1991 წელს განაახლეს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ამ დროს რუსეთი პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც ძალიან იყო დასუსტებული, ჩეჩნები ამაზე ხელსაყრელ დროს ნანატრი თავისუფლების მოსაპოვებლად ვეღარ ნახავდნენ. 1994 წლიდან აქტიური საბრძოლო მოქმედებები დაიწყო რუსი სამხედროების წინააღმდეგ. იბრძოდნენ ძირითადად პარტიზანული მეთოდით, რადგანაც ღია ომში რუსეთთან ჩაბმა, ასეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, დამღუპველი იქნებოდა.

პირველი ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი ჩეჩნებმა 1995 წლის 14-19 ივნისს რუსეთის ქალაქ ბუდიონოვსკში განახორციელეს. რუსული საზოგადოება შოკში ჩააგდო მომხდარმა, ასორმოცდაათამდე შეიარაღებული ტერორისტი შამილ ბასაევის<sup>194</sup> მეთაურობით, ღამით მძინარე ქალაქში შეიჭრა. დაახლოებით ნახევარ საათში ათასობით მძევალი ჰყავდათ აყვანილი. ისინი ქალაქის საავადმყოფოში გამოკეტეს, და შენობა დანადგეს. ეს იყო ჩეჩენი ტერორისტების მიერ რუსეთის მთავრობაზე ზემოქმედების მიზნით მოწყობილი ტერაქტი, რომელიც საკმაოდ კარგად გათვლილი და მოფიქრებული გამოდგა. როდესაც რუსულმა რაზმმა იერიშზე გადასვლა დააპირა, ტერორისტებმა მძევლები წინ აიფარეს, რომელთა შორის ძირითადად ავადმყოფები და ორსული ქალები იყვნენ. სპეცრაზმი იძულებული გახდა უკან დაეხია. რუსული მხარე მოლაპარაკებებზე არა მხოლოდ დასთანხმდა, არამედ, ჩეჩენი ტერორისტების მიერ წამოყენებულ პირობები მიიღო. ივნისის ბოლოს ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას და ჩეჩნეთის ტერიტორიიდან რუსული ჯარის გამოყვანას, რითიც დასრულდა პირველი რუსულ-ჩეჩნური ომი, რომელიც 1994 წლიდან მიმდინარეობდა და დაიწყო მოსკოვის პოლიტიკური კრიზისიც<sup>195</sup>. ჩეჩნეთმა ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვა.

დამოუკიდებელი ჩეჩნეთი მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდა, მოიშალა წარმოება. იქ მომუშავე წამყვანი სპეციალისტების უმეტესი ნაწილი, ეროვნებით რუსი იყო, რომლებმაც საომარი მოქმედებების დროს დატოვა ჩეჩნეთი. ქვეყანა კორუფციის მორევში ჩაეშვა. გაჩნდა დაპირისპირება პოლიტიკურ ელიტაშიც. ამგვარ პირობებში მყოფ ჩეჩნებს „დახმარების“ ხელი გაუწოდა რადიკალურმა ისლამისტურმა ორგანიზაციებმა: „ალ-ქაიდა“ და „თალიბანმა“. ისინი მზად იყვნენ ჩეჩნეთისათვის სათანადო დახმარება გაეწიათ თუმცა, რა თქმა უნდა არა უანგაროდ“. მათი მოქმედების უმთავრესი მიზანი კავკასიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა იყო, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყო ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილო ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და აფხაზეთი.<sup>196</sup>

<sup>193</sup> იხ. <http://tupik.org>, 2005.

<sup>194</sup> იხ. <http://terrorism.wallst.ru>, 2004.

<sup>195</sup> იხ. <http://terrorism.wallst.ru>, 2004.

<sup>196</sup> იხ. Б.Н. Кашников. Чеченский Терроризм. Взлёт и Падение. Российский научный журнал, 2008. № 3, сс. 70-76.

1998 წლიდან ისლამი ჩეჩნეთში ოფიციალურ რელიგიად აღიარეს<sup>197</sup>. ამის შემდეგ ჩეჩნებმა აქტიური ქმედებები დაიწყეს ჩეჩნეთის საზღვრებს გარეთ, ინგუშეთში, ოსეთში და რუსეთში. მოაწვევს რამდენიმე ტერაქტი რუსეთის ქალაქებში, რითიც საზოგადოების დაშინებას, მასობრივი არეულობის გამოწვევას საზოგადოების ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ისახავდნენ მიზნად, თუმცა, პირიქით მოხდა: რუსულმა საზოგადოებამ მოსთხოვა ხელისუფლებას, დაეწყო აქტიური მოქმედებები ტერორისტების წინააღმდეგ. რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ჩეჩენი ტერორისტების ქმედებები შემდეგნაირად შეაფასა: „ჩვენ ძვირად დაგვიჯდა სახელმწიფოს უძღურებაც, და ქმედებათა არათანამიმდევრულობაც”.<sup>198</sup> რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა მიეღო ადეკვატური ზომები ჩეჩენი ტერორისტების ქმედებების საპასუხოდ. 1999 წელს დაიწყო მეორე ჩეჩურ-რუსული ომი, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა ჩეჩნებისათვის. მათ საბოლოოდ დაკარგეს დამოუკიდებლობა.

მეორე ომში დამარცხების შემდეგ, ჩეჩნებმა აქტიურად განაახლეს ფართო მასშტაბიანი ტერორისტული აქტები რუსეთის ტერიტორიაზე. 2000 წლიდან ჩეჩენ ტერორისტებს შორის გამოჩნდნენ შაჰიდი ქალები, რომლებიც „შავი ქვრივები“-ს სახელით არიან ცნობილი, მათ ასევე „ალაჰის სასძლოებს (საცოლეს) უწოდებენ. მათი ასაკი 13-დან 38 წლამდე მერყეობს. თავდაპირველად შეიქმნა ლეგენდა, თითქოს ეს ქალები მართლაც ქვრივები იყვნენ, რომლებმაც ქმრები რუსეთ-ჩეჩნეთის ომში დაკარგეს და ახლა ქმრების გამო რუსებზე უნდა ეძიათ შური. „შავი ქვრივების” გარკვეული ნაწილი მართლაც ქვრივი იყო, თუმა მათ შორის უმეტესობა იყვნენ ისეთი ქალები, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს ამ ომში. იყვნენ ასევე ქალებიც, რომლებიც მოიტაცეს ან მშობლებმა სწორედ იმ მიზნით გაყიდეს, რომ მათ ამგვარ ქმედებებში მიეღოთ მონაწილეობა. ჩეჩენი ტერორისტები ამ ქალებს ერთ-ერთ სოფელში აგზავნიდნენ, სადაც ყურანსა და ტერორიზმის ხელოვნებას ასწავლიდნენ.<sup>199</sup> შეიძლება ეს იყო ერთგვარი ფსიქოლოგიური იარაღი, რომელიც მიმართული იყო საერთაშორისო საზოგადოებისაკენ, რათა დაენახათ, რომ ქალებიც კი მზად არიან საკუთარი სიცოცხლე დათმონ თავისუფლების მოსაპოვებლად.

ჩეჩნების მიერ მოწეობილი ტერაქტებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და მასშტაბური იყო მოსკოვში თეატრზე განხორციელებული თავდასხმა, სადაც ათეულობით მძევალი აიყვანეს, ტერორისტებს შორის იყვნენ შაჰიდი ქალებიც. მძევლები რამდენიმე დღე-ღამე ჰყავდათ გამოკეტილი დანადგომი თეატრის შენობაში. რუსულმა სპეცრაზმმა დაუდგენელი მომწამვლელი აირი შეუშვა დარბაზში სავენტილაციო სისტემიდან, რის შემდეგაც შეძლეს ტერორისტების ლიკვიდაცია. მსხვერპლი იყო მძევლებს შორისაც. ამას მოჰყვა კიდევ უფრო საშინელი ტერაქტი – თავდასხმა ჩრდილოეთ ოსეთის ქალაქ ბესლანის საშუალო სკოლაზე. 2004 წლის 1 სექტემბერს ტერორისტებმა მძევლად აიყვანეს სკოლის მოსწავლეები და სკოლა დანადგეს. სამი დღე-ღამის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ ტერორისტებთან მოლაპარაკებას. შეიძლება ითქვას, რომ

<sup>197</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ჩეჩნები ისტორიულად მაჰმადიანები იყვნენ, თუმცა მათი რწმენა შორს იყო ორთოდოქსალური ისლამისაგან.

<sup>198</sup> იხ. <http://www.pravoslavie.ru/analit/warpeacechec1.htm>. 2010.

<sup>199</sup> იხ. [http://www.annespeckhard.com/Chechen\\_suicide\\_terrorism.html](http://www.annespeckhard.com/Chechen_suicide_terrorism.html). 2010.



აღნიშნული ტერაქტი ცუდად დაგეგმილი და არაორგანიზებული იყო. მძევლებში დაწყებულმა პანიკამ დააბნია ტერორისტები, თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულმა ტერორისტებმა მძევლების დახოცვა დაიწყეს, რასაც რუსეთის სპეცრაზმის იერიში მოჰყვა. ოფიციალური მონაცემებით 334 მძევალი დაიღუპა, რომელთა შორის 186 ბავშვი იყო<sup>200</sup>. აღნიშნულ ტერაქტში მონაწილეობდნენ ინგუშებიც, ამგვარი ქმედებით ტერორისტებს ერებს შორის შუღლის გაღვივება ჰქონდათ განზრახული, რასაც გარდაუვლად უნდა მოჰყოლოდა კავკასიის ომი. თუმცა მათი ცდა უშედეგოდ დასრულდა.

ბესლანის ტერაქტმა ჩეჩნური ტერორიზმის სრული დისკრედიტაცია მოახდინა საზოგადოების თვალში. ჩრდილი მიადგა, აგრეთვე, ჩეჩნეთის თავისუფლების იდეასაც. მათი ბრძოლა, რომელიც დამოუკიდებლობის იდეით დაიწყო, კრიმინალურ საქმიანობაში გადაიზარდა. ბრძოლის ტერორისტული მეთოდებით წარმოებამ გამოიწვია ჩეჩნური დამოუკიდებლობის სრული ფიასკო.

---

<sup>200</sup> იხ. <http://terroristica.info/node/397,2011>

#### § 4. თვითმკვლელობა თანამედროვე ტერორიზმის არსენალში

ისტორია ადრეული პერიოდიდანვე იცნობს თავდასხმის იმ სახეს, რომელსაც თავდამსხმელისთვის აუცილებელი სიკვდილი მოაქვს. აღნიშნულის ლეგენდარული მაგალითები შეიძლება ვეძებოთ ებრაული სექტის “სიკარების” მოქმედებებში რომაელების წინააღმდეგ ამ უკანასკნელთა მიერ იუდეის ოკუპაციის დროს, ასევე ჯვაროსნების წინააღმდეგ მებრძოლ მუსულმანი “ჰაშაშინების” საქმიანობაში.

მეორე მსოფლიო იმის დროს იაპონიამ გამოიყენა კამიკაძე პილოტები, რომელთაც “ღვთიურ ქარს” უწოდებდნენ (“divine wind”). აღწერილია, რომ როდესაც აღმირალმა ისორიკო იამამიტომ მიმართა პილოტებს, აუხსნა დღის წესრიგში მდგომი ამოცანა, ე.წ. “სპეციალური თავდასხმის” აუცილებლობა (tokkotai), რადგანაც გამარჯვების მოპოვების სხვა შანსი არ არსებობდა და მოხალისეებს სთხოვა, წინ გამოსულიყვნენ მწყობრიდან, მწყობრიდან უკლებლივ ყველა გამოვიდა. იმის მიუხედავად, რომ დავალებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ისინი არც გაკიცხულნი და არც დასჯილნი არ იქნებოდნენ.

1945 წლის 7 დეკემბერს იაპონელმა კამიკაძე პილოტებმა ტარანით შეაჯახეს საწვავით სავსე თვითმფრინავები ამერიკულ სამხედრო გემებს, რის შედეგადაც შეერთებული შტატების საზღვაო ძალების ძირითადი ბირთვი განადგურებული იქნა. აშშ-ის სამხედრო ძალებმა დაკარგა, აგრეთვე, 188 თვითმფრინავი და 2000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ისტორიაში ეს ბრძოლა ყველაზე დიდი დანაკარგებით არის ცნობილი. რაც შეეხება იაპონური მხარის დანაკარგებს, ეს იყო 29 თვითმფრინავი და 55 სამხედრო მოსამსახურე<sup>201</sup>, რაც მოწინააღმდეგე მხარის დანაკარგებთან შედარებით მიზერულია.

თანამედროვე სახის პირველი ტერორისტული თვითმკვლელობა მოხდა 1981 წლის დეკემბერში, როდესაც ირანის მოქალაქემ ბეირუთში ააფეთქა საელჩო (დაიღუპა 27 და დაიჭრა 100 ადამიანი). 1982 წელს თვითმკვლელი ტერორისტის მიერ თავის აფეთქების შედეგად მოხდა ლიბანის პრეზიდენტის ბაშირ გემელის მკვლელობა. გემელის მკვლელობის შემდეგ თვითმკვლელი აფეთქებლების გამოყენება სტრატეგიული პოლიტიკური იარაღი გახდა. 1983 წელს ლიბანში ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე სატვირთო ავტომანქანის აფეთქებას 300 ამერიკელი და ფრანგი სამხედრო მოსამსახურე შეეწირა. აღნიშნულმა ფაქტმა სერიოზული გეოპოლიტიკური ცვლილება გამოიწვია, აშშ-მა და საფრანგეთმა დატოვეს ლიბანი. ისრაელ-პალესტინას შორის პირველი ტერორისტული თვითმკვლელობა განხორციელდა 1993 წელს “ჰამასის” წევრის მიერ.<sup>202</sup>

შეიხი ფადლოლაჰი, (Sheikh Fadlallah) ლიბანელი შიიტების სულიერი მოძღვარი თვითმკვლელობას ჯიჰადის დროს საქებად და სამაგალითო

<sup>201</sup> იხ. P. Harbor. www. wikipedia.org, 2010.

<sup>202</sup> იხ. S. Atran, Genesis of Suicide Terrorism, Science Vol 299 7 March 2003, www.sciencemag.org, 2003.

საქმედ თვლის. მისი მტკიცებით, თვითმკვლელობა რწმენისთვის მცირედით განსხვავდება მუჯაჰიდის (mujahid) სიკვდილისგან. ორივე შემთხვევის დროს ისინი ერთ საქმეს ემსახურებიან, ორივე შემთხვევაში ისინი ჯიჰადის მეომრები არიან, მხოლოდ გარემოებებია განსხვავებული.<sup>203</sup>

დასავლური მორალური ღირებულებების მატარებელი ადამიანი თვითმკვლელობამდე, როგორც წესი, მიდის მორალური განადგურებისა და ფსიქიკური მოშლის დროს. დასავლური კულტურა თვითმკვლელობას გამოხსნის, როგორც სამარცხვინოს. რაც შეეხება მუჯაჰიდს, იგი თვითმკვლელობის დროს არანაირ მორალურ ნგრევას არ განიცდის, პირიქით, იგი მორალური სრულყოფილების უმაღლეს ზღვარზეა, მთელი შეგნებით მყარი და შეურყეველია. მისი თვითმკვლელობა საქებარ საქმედ ითვლება და ღვთისთვის თვითშეწირვად, თავის მსხვერპლად მიტანას ნიშნავს (fana' billah). თვითმკვლელი მუჯაჰიდი, როგორც ღვთისთვის თავშეწირული, ტანჯულად, წამებულად ითვლება (shahid). ტანჯვა ჯიჰადის უმნიშვნელოვანეს სულიერ ასპექტს წარმოადგენს. აღნიშნული უმნიშვნელოვანესი ასპექტი გამომდინარეობს რწმენიდან, რომ წამებულისთვის ჯიჰადი ალაჰისაგან დაკისრებული უდიდესი მისიაა, რაც მას აქცევს ჯიჰადისათვის წამებულ მებრძოლად. (mujahid-shahid) მუჯაჰიდი—შაჰიდი არა მარტო საკუთარ სულს იცხონებს ალაჰისათვის თავშეწირვის გზით, არამედ იგი არის სამაგალითო და მისაბაძი ისლამის ყველა მებრძოლისათვის.<sup>204</sup>

1996 – 1999 წლებში ნასრა ნასანის მიერ ინტერვიურებულ იქნა 250 –მდე პალესტინელი თვითმკვლელის მწვრთნელი, ასევე გარკვეული გარემოებების გამო არ შემდგარი ტერორისტული ოპერაციის ამსრულებლები, აგრეთვე, გარდაცვლილი თვითმკვლელი ამფეთქებლების ნათესავები. აღნიშნული მასალების შეჯამების შემდეგ ნასრა ნასანი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: კამიკაძეების ასაკი მერყეობდა 18 –დან 38 წლამდე, “არც ერთი მათგანი არ იყო გაუნათლებელი, ლატაკი, ფსიქიკურად განუვითარებელი, ან დამცირებული. . . ერთი შეხედვით, ყველა მათგანი საკუთარი ოჯახის სრულიად სრულფასოვანი წევრი იყო”, ამასთან “ყველა მათგანი იყო ღრმად რელიგიური” და სწამდათ, რომ მათი მოქმედებები “სანქციონირებული იყო ისლამის მიერ”.<sup>205</sup>

მშობლებისა და კამიკაძე შვილის ურთიერთდამოკიდებულებას აღწერს ჰელა ჯაბერი: "მე მოვთქვამდი მთელი თვის განმავლობაში, იმდენჯერ, რამდენჯერაც მას შეეხებოდა (მისი ვაჟი მუჰამედ ფარჰატი დაიღუპა როგორც კამიკაძე ღაზას სექტორში განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს), მაგრამ ვეუბნებოდი, რომ ნუ მისცემდა ჩემს ცრემლებს იმის უფლებას, რომ შეეკავებინათ იგი მისი მისიის შესრულებისგან."<sup>206</sup>

<sup>203</sup> იხ. M. Kramer, The Moral Logic of Hizbollah, No. 101, Tel Aviv: The Dayan Center for Middle Eastern and African Studies of Tel Aviv University, 1987, p. 13.

<sup>204</sup> იხ. A. M. Mutahhari, Fundamentals of Islamic Thought: God, Man and the Universe, ed., H. Algac, trans., R. Campbell, Berkeley, Ca: Mizan Press, 1985, pp. 128-208.

<sup>205</sup> იხ. N. Hassan, The New Yorker, 19 November 2001, [www.newyorker.com/fact/content/?011119fa\\_FACT1](http://www.newyorker.com/fact/content/?011119fa_FACT1), 2004.

<sup>206</sup> იხ. H. Jaber, "Inside the World of the Palestinian Suicide Bomber," The Sunday Times 24 March 2002, Internet: <http://www.sundaytimes.co.uk/printFriendly/0,,2-524-245592,00.html>, 2004.

მართლაც, ძალიან რთულია რაიმე ეფექტური ღონისძიების გატარება იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც საკუთარი სიცოცხლის მოსპობა სურთ და თანაც ამას “მაღალი” იდეალებისთვის აკეთებენ. აღნიშნულთან დაპირისპირება მხოლოდ ფსიქოლოგიური მეთოდებით, იმ მცდარი ღირებულებების გადაფასებით შეიძლება, რასაც ადამიანი თვითმკვლელობამდე და ზოგადად ტერორიზმამდე მიჰყავს. რელიგია ტერორიზმის და ზოგადად ძალადობის სანქციონერი არ არის და არც არასდროს ყოფილა. ქრისტიანობა არ ყოფილა ინკვიზიციის, ჯვაროსნული ომების, ბართლომეს ღამის და სხვა მოვლენების სანქციონერი. აღნიშნული კაცობრიობამ, მართალია, რამდენიმე საუკუნის შემდეგ, მაგრამ მაინც გაიაზრა. ქრისტიანობის მსგავსად არც ისლამია იმ ძალადობრივი, ტერორისტული აქტების სანქციონერი, რაც მისი სახელით ხდება, თუმცა შეიძლება საზოგადოების ის ფენები, რომლებიც ისლამით ამართლებენ ძალადობას, მოცემულ ეტაპზე, აღნიშნულს ვერ აცნობიერებდნენ, ანდა გაცნობიერების მიუხედავად, სხვა შეფარულ, რეალპოლიტიკურ მიზნებს ახორციელებდნენ.

## თავი IV საქართველოს ტეროგენური საფრთხეების ანალიზი

### §1. ზოგადი ასპექტები

ნაციონალური უსაფრთხოება ქვეყნის განვითარების საწინდარია, შესაბამისად, აუცილებელია ქვეყნის საშინაო და საგარეო საფრთხეების ნათლად გამოკვეთა. ტერორიზმის ისტორია ცხადყოფს, რომ თავის დროზე საბჭოთა კავშირი, ხოლო ამჟამად რუსეთის ფედერაცია, იყენებს ტერორიზმისა და სეპარატიზმის წაქეზებას ამა თუ იმ რეგიონის დესტაბილიზაციისთვის ანდა მასზე გავლენის მოსაპოვებლად. “რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ სახელმწიფოს მხრიდან ტერორიზმის სპონსორობის დროს? პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა ვადიაროთ, რომ ეს არის აგრესიის ერთგვარი ფორმა. აგრესია კი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია საერთაშორისო სამართლის მიხედვით. . .”<sup>207</sup>

აღნიშნულთან კავშირშია რუსი ავტორის მოსაზრებაც: საერთაშორისო ექსტრემიზმად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული დასავლეთის ქვეყნების მიერ შეიარაღებული ძალების გამოყენება მსოფლიო საზოგადოებრიობის და მისი ინსტიტუტების სანქციის გარეშე (გაეროს უშიშროების კომიტეტი) სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ. მსგავსი ქმედებები აუცილებელია შეფასდეს საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, როგორც აგრესია.<sup>208</sup>

პოსტსაბჭოურ სივრცეში ცივი ომის შემდგომ იფეთქა ეთნო-ნაციონალური ხასიათის ძალადობის ახალმა ტალღამ, რომელიც ხშირად ტერორიზმის სახეს ღებულობდა. უკანასკნელ წლებში ტერორიზმი გახდა ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდის ინსტრუმენტი ბალკანეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აფრიკაში. ეთნო-ნაციონალური ჯგუფების მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოების, ან ფართო ავტონომიების შექმნისთვის სწრაფვა არის ცივი ომის შემდგომდროინდელი მსოფლიოს მთავარი მახასიათებელი.<sup>209</sup>

“ზოგიერთი სახელმწიფოსთვის ამბოხებები და სეპარატიზმი მართლაც წარმოადგენს ომის წარმოებას განსხვავებული საშუალებებით. . .” “სახელმწიფოები ხანდახან იყენებენ სეპარატისტებს, რათა დაამხონ არასასურველი ხელისუფლება.”<sup>210</sup> აღნიშნულ მოვლენას ტეროლოგები ხატოვნად “მეზობელთა დესტაბილიზაციასაც” უწოდებენ. “ცივი ომის დამთავრება არ ნიშნავდა სეპარატისტული მოძრაობებისთვის სახელმწიფო

<sup>207</sup> იხ. E. V. Rostow, in American Society of International Law, Proceedings of the 77th Annual Meeting, 14-16 April 1983, Washington, D.C.: 1985

<sup>208</sup> იხ. A. B. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008. с. 21

<sup>209</sup> იხ.: G. E. Fuller, Redrawing the World's Borders, World Policy Journal, Vol. 14, No. 1, Spring 1997

<sup>210</sup> იხ.: D. Byman, P. Chalk, B. Hoffman, W. Rosenau, D. Brannan. Trends in Outside Support for Insurgent Movements. RAND, 2001, p. 33.

მხარდაჭერის დამთავრებას. რუსეთმა მხარი დაუჭირა კონკრეტულ სუბიექტებს, პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებში, მოეპოვებინათ ავტონომია და ზოგიერთ შემთხვევაში ხელისუფლებაშიც კი მოსულიყვნენ.<sup>211</sup>

მსოფლიოში ცნობილი ტეროლოგები, პიტერ ჩოლქი, ბრუს ჰოფმანი, დანიელ ბიშანი და სხვები განიხილავენ რა ცივი ომის შემდგომ პერიოდში სახელმწიფოების მიერ ტერორიზმის მხარდაჭერის პრობლემას, სხვა მაგალითებთან ერთად ასახელებენ რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში აფხაზი და ოსი სეპარატისტების მხარდაჭერას. აღნიშნული მოვლენა ტეროლოგების მიერ შეფასებული და განხილულია როგორც სახელმწიფოებრივად ხელშეწყობილი ტერორიზმი.<sup>212</sup> "მოსკოვი ამჟამად აფრიკის, ლათინური ამერიკის და აზიელი კომუნისტი პარტიზანების მხარდაჭერის შემდგომ ამბოხებულთა მხარდაჭერის პოლიტიკას მეზობელ ტერიტორიებზე გავლენის მოსაპოვებლად იყენებს."<sup>213</sup>

მოგვიანებით, 2008 წელს რუსეთმა არა მხოლოდ ხელი შეუწყო სეპარატისტებს საქართველოს რეგიონებში, არამედ პირდაპირი მონაწილეობა მიიღო საომარ მოქმედებებში და რაც ყველაზე საგაღალგაა, აღიარა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თვითონ რუსული მიდგომა საკუთარი ფედერალური რესპუბლიკების და სეცესიის უფლების მიმართ, რაც შესაძლებლობას იძლევა პირდაპირ გაივლოს პარალელები და გამოაშკარავდეს ერთი და იმავე საკითხისადმი დუალისტური მიდგომა.

## §2. სეცესიის უფლება ანუ ორმაგი სტანდარტები

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღიარებს კოლონიალიზმის მსხვერპლი ხალხების და ანექსირებული ტერიტორიების თავისუფლების უფლებას, მაგრამ ეს უფლება არ ვრცელდება აღნიშნული ტერიტორიების ნაწილზე და საერთაშორისო ნორმების მიხედვით აღიარებულ სახელმწიფოებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე.<sup>214</sup>

საქართველოში დ. მელიქიშვილის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომში "კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში" მოყვანილია ამონარიდი დ. ჰამბურგის "ეთნოცენტრული ძალადობიდან": "მსოფლიოში დაახლოებით 3500 ეთნიკური ჯგუფი და 180 ეროვნული ქვეყანაა. შეუძლია თუ არა თითოეულ მათგანს ჰქონდეს თავისი მონოეთნიკური სახელმწიფო? თუ ამ პრობლემას საზღვრების შეცვლითა და მიგრაციით შევეცდებით, მაშინ მოგვიხდება: ა) 1000-ზე მეტი ახალი ეროვნების შექმნა; ბ) დაახლო-

<sup>211</sup> D. Byman იხ.: დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

<sup>212</sup> D. Byman იხ.: დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

<sup>213</sup> D. Byman იხ.: დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

<sup>214</sup> იხ. Y. Chipman. Managing the Politics of Politics of Parochialism//Survival.London.Vol.35.Spring 1993. №1. p. 149.

ებით ერთი მილიარდი ადამიანის მიგრაცია; გ) ძალადობის და სიძულვილის ესკალაცია არნახულ დონეს მიაღწევს, რაც ნიშნავს ადამიანთა უფლებების ხელყოფასა და იმას, რომ სახელმწიფოებში შესაძლოა იფეთქოს ღია კონფლიქტებმა”.<sup>215</sup>

თანამედროვე ეპოქაში გაუმართლებელია მსჯელობა ერების “თვითგამორკვევის”, “დამონების წინააღმდეგ და თავისუფლებისთვის ბრძოლის” უფლებაზე. როგორც აღნიშნავს პ. პანჩენკო, საერთაშორისო საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1975 წელს აღიარა არსებული საზღვრების ურღვევობა, აქედან გამომდინარე, დაუშვებელია კვლავ დაგუბრუნდეთ წინა საუკუნეების იდეებს და მოვუწოდოთ ერებს “თავისუფლებისთვის ბრძოლისკენ”. ამასთან რუსეთის ფედერაციის 1993 წლის კონსტიტუციაში არ არსებობს დათქმა ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ.”<sup>216</sup>

მრავალეროვნული სახელმწიფოების ხელისუფალნი ყველა საშუალებით იცავენ საკუთარი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას. გამონაკლისის გარეშე ყველა აფრიკულ, აზიურ და აღმოსავლური სახელმწიფოების კანონმდებლობაში სეპარატისტული საქმიანობა კანონითაა დასჯადი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ზოგიერთ ქვეყანაში საქმიანობდნენ ლეგალური სეპარატისტული პარტიები: დრავიდა მუნეტრა კაჯახალი ილწვოდა ინდოეთის ოთხი სამხრეთი შტატის გამოყოფისა და ე.წ. “დრავიდანადის სოციალისტური სახელმწიფოს” შექმნისთვის; თამილის გამათავისუფლებელი გაერთიანებული ფრონტი შრი-ლანკაში ცდილობდა შეექმნა დამოუკიდებელი თამილის სახელმწიფო კუნძულის ჩრდილოეთში. ამ ქვეყნების კონსტიტუციებშიც, შესაბამისად, 1963 და 1983 წლებში შევიდა ცვლილებები, რითაც აიკრძალა სეპარატისტული საქმიანობა. მესამე მსოფლიოს ქვეყნებში სეპარატიზმი წარმოდგენილია არა ლეგალური პოლიტიკური პარტიებით, არამედ ორგანიზაციებით, რომლებიც შეიარაღებული ფორმირებების მეშვეობით იბრძვიან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ხშირად ასეთი ბრძოლა იღებს ფართო მასშტაბებს და ატარებს გაჭიანურებულ ხასიათს.<sup>217</sup>

1993 წლის რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, “რუსეთის ფედერაცია უზრუნველყოფს საკუთარი ტერიტორიის ხელშეუხებლობას და მთლიანობას”. რუსი კონსტიტუციონალისტები მოცემულ ნორმას რუსეთის ფედერაციის შიდა სუვერენიტეტის საზრისად მიჩნევენ, რომელიც, თავის მხრივ, გამოხატულებას პოულობს: იმ საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის აკრძალვაში, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის მთლიანობის დარღვევა; რუსეთის ფედერაციიდან სუბიექტის გამოსვლის დაუშვებლობა.<sup>218</sup> აღნიშნულთან დაკავშირებით, რუსეთის ფედერაციამ მი-

<sup>215</sup> იხ. კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. რედ.: მელიქიშვილი, თბილისი, 1997, გვ. 40.

<sup>216</sup> იხ. А. В. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008, с. 47.

<sup>217</sup> იხ. А. В. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008, с. 83

<sup>218</sup> იხ. Научно-практический комментарий к Конституции Российской Федерации/Отв. ред. В.В. Лазарев. М., 2001, с.40.

ილო “ექსტრემისტული საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კანონი, რომელშიც და, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის სამოქმედო პროგრამაში აღინიშნა, რომ “მრავალეროვანი რუსეთისთვის ექსტრემიზმის სხვადასხვა ფორმების პროფილაქტიკა განსაკუთრებით აქტუალურია... ექსტრემიზმი რელიეფურად აისახა ჩრდილოეთ კავკასიაში ფანატიზმის, ფუნდამენტალიზმის, ფაშიზმის, ქსენოფობიის სახით. აღნიშნული მოვლენები თავიანთ უკიდურეს ფორმებში, ტერორიზმში პოულობენ გამოსატყულებას, რაც საზოგადოებაში დესტრუქციულ პროცესებს აძლიერებს”.<sup>219</sup> “ექსტრემისტული საქმიანობის აღკვეთის” და “ტერორიზმთან ბრძოლის” რუსეთის კომპლექსური ფედერალური კანონების შესწავლამ დაადასტურა ექსტრემიზმის და ტერორიზმის კომპლექსური სოციალ-სამართლებრივი ხასიათი და რუსეთის სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან აღნიშნულ პრობლემასთან ყველა შესაძლო საშუალებებით ბრძოლის აუცილებლობა.<sup>220</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ როგორც რუსეთის ფედერაციის კონონმდებლობაში, ასევე დოქტრინაში გამეფებული მოსაზრებით, რუსეთის ფედერაციიდან ფედერალური სუბიექტის გამოყოფის ნებისმიერი მოთხოვნა აღიქმება როგორც ექსტრემიზმი და აღნიშნულ მოვლენასთან იბრძვიან “ყველა შესაძლო საშუალებით”. უმაღლესი ხელისუფლება, რომელსაც რუსეთის ფედერაცია ახორციელებს თავის ტერიტორიაზე, გულისხმობს, რომ ერთი და იმავე ტერიტორიაზე შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი სუვერენული სახელმწიფო, ერთი და იმავე ტერიტორიაზე ორი ან მეტი სახელმწიფოს არსებობა პრინციპულად შეუძლებელია. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების სამართლებრივი სტატუსის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ის, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთი მთლიანი ფედერალური სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს.<sup>221</sup>

იმ დროს, როდესაც რუსეთის ფედერაციის შიგნით “ყველა შესაძლო საშუალებით” ეწინააღმდეგებიან და ებრძვიან ერთიანი ფედერაციიდან მისი სუბიექტის გასვლას, მეზობელ საქართველოში ასევე “ყველა შესაძლო საშუალებით” ხელს უწყობენ ტერიტორიულ დაქუცმაცება-დასუსტებას. აღნიშნული პოლიტიკა, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ტეროლოგიაში ცნობილია “მეზობელთა დესტაბილიზაციით” და ააშკარავებს რუსეთის ოფიციალური წრეების მხრიდან ერთი და იმავე საკითხის მიმართ დუალისტურ მიდგომას.

ამჟამად რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო აღარ იზიარებს ადრეულ პოზიციას, როდესაც ფედერაციის სუბიექტები სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებად აღიქმებოდნენ, რომელთაც სახელმწიფოებრიობის სხვა ნიშნებთან ერთად სუვერენიტეტის მაღალი ხარისხი გააჩ-

<sup>219</sup> იხ. А. В. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008, с.21

<sup>220</sup> იხ. იქვე.

<sup>221</sup> იხ. Закономерности преступности, стратегия борьбы и закон/ Под ред. проф. А.И. Долговой. М., 2001, сс.192-198.



ნდათ.<sup>222</sup> რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გარკვეული ნორმატიული აქტები, რის შედეგადაც ფედერალურ რესპუბლიკებს დამოუკიდებელი მოქმედების არეალი მკვეთრად შეუმცირდა და ისინი აბსოლიტურად დამოკიდებულნი გახდნენ ფედერალურ ხელისუფლებაზე.

„რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში სუვერენიტეტის საკითხის გადაწყვეტა განაპირობებს ფედერალური მოწყობის ხასიათს. აღნიშნული ისტორიულად გადაწყვეტილია იმგვარად, რომ რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტი, სუვერენიტეტის მატარებელი მხოლოდ ერთიანი რუსეთის ფედერაციაა. რუსეთის კონსტიტუციის პრეამბულის და მე-3, მე-4, მე-5, მე-15 (I ნაწილი), 65-ე (I ნაწილი), 66-ე და 67-ე მუხლების შესაბამისად, ფედერაციის სუბიექტ რესპუბლიკებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტი და აღნიშნული საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა თავიანთ კონსტიტუციებში მათ არ შეუძლიათ, შესაბამისად არ შეუძლიათ მიინიჭონ სუვერენული სახელმწიფოს თვისებები-შეზღუდული სუვერენიტეტის შესაბამისი დათქმის პირობებშიც.“<sup>223</sup>

მაშინ როდესაც, რუსეთის ფედერაციის სუბიექტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას „მიინიჭონ სუვერენული სახელმწიფოს თვისებები – შეზღუდული სუვერენიტეტის შესაბამისი დათქმის პირობებშიც“ კი, ხოლო ფედერაციიდან გამოყოფის მსურველი ძალები პირდაპირ იცნობიან ექსტრემისტებად და ტერორისტებად (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო – ბალყარეთი და სხვ.) რუსეთი მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს საქართველოში და უფრო მეტიც, 2008 წელს აღიარებს ე.წ. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. თუკი ჩეჩნეთში, ყაბარდო – ბალყარეთში და სხვა ჩრდილო კავკასიურ ქვეყნებში რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფის სურვილით წარმოებული მოძრაობები რუსეთის ფედერალური ძალების მიერ შეფასდა ექსტრემიზმად და ტერორიზმად (სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს 2002 წლის 11 ივლისის განაჩენი), რატომ ფასდება მსგავსი მოძრაობები საქართველოში სეპარატისტულ რეგიონებში ეროვნულ გამანთავისუფლებლად?! რუსეთის ფედერაციის მხრიდან აშკარაა დუალისტური მიდგომა შინაარსობრივად ერთი და იმავე საკითხის მიმართ, ე.ი. ორმაგი სტანდარტი.

საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და სეპარატისტული მოძრაობების დახმარება-წაქეზება შესაძლებელია რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელდეს საქართველოს სხვა პოლიეთნიკურ რეგიონებშიც, ამასთან ბრძოლის ღია მეთოდებზე უფრო მეტად სავარაუდოა იატაკქვეშა, ძირგამომთხრელი მეთოდები, რომელთა შორის პირველ რიგში ტერორიზმი და საბოტაჟია.

<sup>222</sup> იხ. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება.

<sup>223</sup> იხ. В. Д. Зорькин. Об угрозах конституционному строю в XXI веке и необходимости проведения правовой реформы в России// Журнал Российского права. 2004, Июнь, №6, сс. 3-17.

### §3. ეთნო-სეპარატისტული საფრთხეები

საქართველოში, შეიძლება ითქვას, ეთნიკურ უმცირესობებს ჰქონდათ და აქვთ საკუთარი თვითშეგნება, თვითდასახელება, ენა, რელიგია და ტრადიციული კულტურა, რაც მათ საუკუნეების მანძილზე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების პერიოდში შეინარჩუნეს. ანუ მათი მდგომარეობა ადრეც და ამჟამადაც ფაქტობრივ კულტურულ ავტონომიას წარმოადგენს. “ხალხთა თვითგამორკვევის უფლება კულტურულ-ეროვნული ავტონომიის მოპოვების მიზნით სწორედ იმიტომ არის მიმზიდველი, რომ ის ხალხი, რომელიც ამ გზას ირჩევს, ერთდროულად ორ კურდღელს იჭერს. ერთი მხრივ, მათ მიერ შერჩეული სტრუქტურა (სამართლებრივ სახელმწიფოსა და მოქალაქეობრივ საზოგადოებაში) უზრუნველყოფს ამ ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ – საშუალებას აძლევს მას მატერიალურად და ეკონომიკურად არ გამოეთიშოს იმ გარემოს, ან როგორც ახლა ამბობენ, სივრცეს, რომელშიც იგი ცხოვრობს... კულტურულ-ეროვნული ავტონომია, როგორც გაფანტულად მცხოვრები მცირე ხალხების (ეროვნულ უმცირესობათა) ეთნიკური კონსოლიდაციის, მათი კულტურისა და მოპოვებულ ღირებულებათა დაცვის ოპტიმალური ფორმა აქტუალურია აწმყოში და ამავე დროს, მომავალშიც. რა თქმა უნდა, კულტურულ-ეროვნული ავტონომია, როგორც ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გარკვეული ფორმა, არ არის პანაცეა მცირე ხალხებისათვის.”<sup>224</sup>

საქართველო, სხვა ქვეყნების მსგავსად, მრავალეროვანი სახელმწიფოა. მის ტერიტორიაზე, საუკუნეების მანძილზე, თავს იყრიდა სხვადასხვა მიზეზით გადმოსახლებული არაქართველი მოსახლეობა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერით, აქ ცხოვრობდა რამდენიმე ათეული ეროვნების წარმომადგენელი, მათ შორის ათამდე-კომპაქტურად დასახლებული, რომლებმაც დომინანტური ეთნოსის ტერიტორიაზე შექმნეს “ეთნოუმცირესობათა მიკროკუნძულები” (ტერმინი პირობითია). აქედან რამდენიმე მათგანი საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ზოლშია მოქცეული, თავისივე ეროვნების ხალხით დასახლებულ სახელმწიფოების მეზობლად. მაგალითად: ჯავახეთში - სომხებით დასახლებული ტერიტორია ესაზღვრება სომხეთს; ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები - აზერბაიჯანს; შიდა ქართლის ოსებით დასახლებული ტერიტორია - ალანიის (ოსეთი) რესპუბლიკას; პანკისელი ქისტები (ვაინახელი) – ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიას; ხუნძები - დაღესტნს. ასეთ ”კუნძულებს” პირობითად პირველი ინოეთნიკური ტიპი ვუწოდეთ. ზოგიერთი არაქართული ეროვნების ჯგუფი კი დაშორებულია თავის ეთნოსს, რადგან მათი ისტორიული სამშობლო უშუალოდ არ ესაზღვრება საქართველოს და ამ ჯგუფების წარმომადგენლები კომპაქტურად და დისპერსიულად სახლობენ რესპუბლიკის შიდა რეგიონებში, ესენი არიან ბერძნები, ასირიელები, ქურთები და სხვ. მათ პირობითად ვუწოდეთ მეორე ინოეთნიკური ტიპი. არცერთ ამ ტიპს

<sup>224</sup> М. В. Иордан. Национальная политика в Российской Федерации // 1993 год малочисленных народов и этнических групп .М., 1993, с. 163. ციტირებულია: კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. რედ.:მელიქიშვილი თბილისი, 1997 წელი. გვ. 39 მიხედვით.

არ მიეკუთვნება აფხაზეთი, თუმცა მისი სასაზღვრო მდებარეობა სეპარატისტული პრეტენზიების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. ამასთანავე, რადგანაც ისინი პოლიტიკურ ორიენტაციას იღებენ არა მონათესავე ეთნოსზე, არამედ რუსეთზე, ამიტომ იგი უფრო შუალედურ ტიპს წარმოადგენს.<sup>225</sup>

სასაზღვრო რეგიონში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობა “რისკის ფაქტორს მიეკუთვნება. მეცნიერებაში ცნობილია ასეთი დაპირისპირების რამდენიმე სახე. მაგალითად, ამერიკელი პროფესორი დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს ამგვარი მოვლენის ორ სახეს. ესაა “სეპარატიზმი და ირედენტიზმი.”<sup>226</sup> სეპარატიზმს ის განსაზღვრავს, როგორც “ჯგუფისა და მის მიერ დაკავებული ტერიტორიის იმ სახელმწიფოს იურისდიქციიდან გამოსვლას, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის ეს ჯგუფი, ხოლო ირედენტიზმი არის ეთნიკურად მონათესავე მოსახლეობისა და მისი სასაზღვრო ტერიტორიის გაერთიანება და შეერთება იმ მონათესავე სახელმწიფოსთან, რომელიც მზად არის, იგი შეიერთოს. სეპარატისტული გზით იურისდიქციიდან გამოსვლას, ჩვეულებრივ, მოჰყვება ახალი სახელმწიფოს შექმნა, ხოლო ირედენტიზმის შედეგი არის გარკვეული ტერიტორიის მიერთება-ანექსია იმ მეზობელ სახელმწიფოს მიერ, რომელიც მზად არის შეიერთოს ესა თუ ის ჯგუფი. მაგრამ ეს არ-არის უბრალო ანექსია; ამგვარ ანექსიას საფუძვლად ეთნიკური ნათესაობა უძევს.”<sup>227</sup>

საქართველოში არაქართული მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ექვსი სასაზღვრო რეგიონია: აფხაზეთი, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი) ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა და ყვარლის რაიონი. ამ ექვსი რეგიონიდან პოტენციურად შეიძლება ყველგან გაღვივებულიყო კონფლიქტი. რეალურად კი დიდი რისკის მატარებელი მხოლოდ ოთხია, ხოლო დანარჩენ ორში ღია კონფლიქტი მოსალოდნელი არ არის, თუმცა ყოფითი და სოციალური საკითხები იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც, შესაძლოა ხშირად ეთნიკური კონფლიქტის სამოსელში გახვეული მოგვევლინოს. ოთხიდან ორ რეგიონში (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) ჩამოყალიბდა ღია კონფლიქტი, ხოლო ორში – ქვემო ქართლში – აზერბაიჯანელებმა და ჯავახეთში – სომხებმა – საქართველოში გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისიდანვე წამოჭრეს ამ რეგიონების საქართველოდან გასვლის და მეზობელ რესპუბლიკებთან შეერთების საკითხი. მეხუთე და მეექვსე რეგიონი (ყვარლის რაიონში ხუნძები და პანკისის ხეობაში ქისტები) არ არის ღია კონფლიქტის რისკის მატარებელი.<sup>228</sup>

<sup>225</sup> იხ.: კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“. რედ.:მელიქიშვილი თბილისი, 1997, გვ. 43-44.

<sup>226</sup> იხ. Д. Горовиц., Ирредентизм, сепаратизм и самоопределение // Национальная политика в Российской Федерации. М., 1993, с. 145.

<sup>227</sup> იხ. Д. Горовиц., დასახ. ნაშრ., 147.

<sup>228</sup> იხ. კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. რედ.: მელიქიშვილი თბილისი, 1997, გვ. 46

#### §4. ჩრდილო კავკასიური საფრთხეები

საქართველოსთვის შიდა სეპარატისტული განწყობების გარდა საფრთხის შემცველია რადიკალ-ისლამისტების გააქტიურება ჩრდილოეთ კავკასიაში.

თანამედროვე პერიოდში ეთნონაციონალიზმი, რომელიც იყო ანტისახელმწიფოებრივი ექსტრემიზმის იდეურ – პოლიტიკური საფუძველი ჩრდილოეთ კავკასიაში, ჩანაცვლდა ისლამური “ინტერნაციონალიზმით”. ამასთან, იდეურ-პოლიტიკური ცენტრი ჩეჩნეთიდან გადანაცვლდა დაღესტანში, ინგუშეთში და რუსეთის ფედერაციის სხვა რესპუბლიკებში. სახელმწიფო უშიშროების წინააღმდეგ მიმართულმა საფრთხემ ხასიათი შეიცვალა. ანტისახელმწიფოებრივმა სეპარატისტულმა ექსტრემიზმმა ადგილი დაუთმო ისლამურ ექსტრემიზმს, რომელიც გაცილებით უფრო შეესაბამება ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ტერორისტულ სტანდარტებს.<sup>229</sup>

2005 წლის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სამხრეთ ფედერალური წარმომადგენლის მოხსენებაში მითითებულია, რომ დაღესტანში მოსალოდნელია “მოვლენათა უკონტროლო განვითარება თვით რესპუბლიკის დაშლაც კი”. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რესპუბლიკიდან წავიდა ოცი ათასზე მეტი რუსი ეროვნების მოქალაქე, ხოლო სხვა ნაციონალური ჯგუფების მიმართ არსებობს სხვადასხვა ინტენსივობის კონფლიქტები. უკანასკნელ წლებში ძალას იკრებს ისლამის პოლიტიზაცია, რელიგიური საზოგადოებები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში. რელიგიური ავტორიტეტები თანდათანობით მომეტებულ გავლენას ახდენენ ქვეყნის მთიანი რაიონების მუნიციპალიტეტებზე. რელიგიური საზოგადოებების გავლენის გაზრდამ დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ შეიძლება გამოიწვიოს “შარიათული ანკლავების” ჩამოყალიბება რესპუბლიკის მთიან რეგიონებში. დასკვნაში მითითებულია, აგრეთვე, რომ “ეთნოპოლიტიკური პრობლემების ნათლად გამოკვეთილი კონცენტრაცია” პროვოცირებას გაუწევს ექსტრემისტულ ძალებს იმისთვის რომ შექმნან დეფაქტო კვაზისახელმწიფოებრივი წარმონაქმნები დაღესტნის ჩრდილოეთში, სამხრეთში და ცენტრალურ ნაწილში, “რაც, თავის მხრივ, რესპუბლიკას დაშლას გამოიწვევს”.<sup>230</sup>

პრეზიდენტ მუხუ ალიევის ხელისუფლებაში მოსვლის ეტაპისთვის რესპუბლიკის ჩრდილოეთი ნაწილი პრაქტიკულად არ ექვემდებარებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას, გარკვეული ხარვეზები იყო რესპუბლიკის სამხრეთშიც, “მებრძოლ ჯამაათებთან” დაკავშირებული პრობლემები ქვეყნის მთიან რეგიონებში და რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფის საფრთხე.<sup>231</sup>

<sup>229</sup> იხ. И.П. Добаев, Г.А. Мурклинская, А.В. Сухов, К.М. Ханбабаев. Радикализация исламских движений в центральной Азии и на Северном Кавказе: Сравнительно-политологический анализ Ростов-на-дону, 2010. с. 99-128.

<sup>230</sup> იხ. Аппарат Козака предсказывает развал Дагестана//Объединенная газета. 2005, №17, с.2.

<sup>231</sup> იხ. М. Могамедов. Президенты в сравнении//Черновик. Общественно-политический еженедельник.2006, №20. с. 5.

ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე მოვლენების სამართლებრივი და ფაქტობრივი შეფასებისთვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ხუტოვის, ტლისოვის, აიბაზოვის, აუშევის, კეჩერუკოვის და სხვათა მიმართ რფ. სსკ 278-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის (სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდება ანდა ძალადობით მისი შენარჩუნება). სასამართლო განხილვისას დადგინდა, რომ 1996-1999 წლებში ჩენნეთის რესპუბლიკის მცხოვრებმა შ. ბასაევმა და დადესტნის რესპუბლიკის მცხოვრებმა ბ. მოგამედოვმა იორდანიის მოქალაქე ჰატატან, ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოქალაქე რ. ბორლაკოვთან, ა. გოჩიაევთან, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოქალაქე ე. ბეკაევთან ერთად ჩენნეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა იჩქერიაში, ყაბარდო – ბალყარეთში და ყარაჩაი-ჩერქეზეთში შექმნეს დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც შედგებოდა ექსტრემისტული სამხედრო-რელიგიური ე.წ. “ჯამაათების” დაჯგუფებებისგან. “ჯამაათები” მომზადებას გადიოდნენ სპეციალურ მოსამზადებელ ბანაკებში, რომელთაგან აღსანიშნავია ჩენნეთის ტერიტორიაზე არსებული “კავკასია”, “თალიბანი”, “მუთაფად – ჯირათი”. “ჯამაათები”, სწავლობდნენ იარაღის და ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებას, საბრძოლო ქმედებების წარმოების ტაქტიკას, გადიოდნენ იდეოლოგიურ მომზადებას, რომელიც დაფუძნებული იყო ისლამის “ვაჰაბისტურ” მიმდინარეობაზე. დანაშაულებრივი ორგანიზაციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ჩრდილოეთ კავკასიაში ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდება და კონსტიტუციური წყობილების შეცვლა, ხოლო შემდგომში რუსეთის ფედერაციიდან გამოყოფა და ისლამური სახელმწიფოს შექმნა.<sup>232</sup>

ყარაჩაი-ჩერქეზეთის თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში შეიქმნა სამხედრო-რელიგიური ორგანიზაცია “ჯამაათების” ოფისები, რომელთა წევრებიც რეგულარულად იგზავნებოდნენ ჩენნეთის რესპუბლიკაში სამხედრო მომზადების გასავლელად.

2000 – 2001 წლებში “ჯამაათების” სამხედრო-რელიგიური დაჯგუფებები შეიქმნა ქალაქ ნალჩიკში და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ჩეგემის რაიონში. მათ მიზანს შეადგენდა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში ხელისუფლების ძალადობით ხელში ჩაგდება. ქმედებათა უკეთესი კოორდინაციისთვის აღნიშნულ რესპუბლიკაში მოქმედი “ჯამაათები” გაერთიანდნენ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში, რომელშიც თითოეული წევრის ფუნქციური მოვალეობები მკვეთრად იყო გამოკვეთილი. დანაშაულებრივ ორგანიზაციას, რომელშიც 2000 – 2001 წლებში გაერთიანებული იყო დაახლოებით სამასამდე პირი, სამხედრო ხელმძღვანელობას (ამირი) უწევდა ა. ბეკაევი.

2000-2001 წლებში ყაბარდო – ბალყარეთისა და ყარაჩაი – ჩერქეზეთის “ჯამაათები” წარმოადგენდნენ რა უკანონო შეირადებულ ფორმირებებს, გაერთიანდნენ ერთიან დანაშაულებრივ ორგანიზაციაში.

<sup>232</sup> იხ. Приговор Ставропольского краевого суда от 11 июля 2002г. Дело № 2-28/2002

სასამართლომ დაადგინა, რომ “ჯამაათების” დანაშაულებრივ ორგანიზაციაში რეგულარულად ტარდებოდა შეკრებები, რომლებზეც მუშავდებოდა შეიარაღებული ბრძოლის გეგმები ხელისუფლების ძალადობით შესაცვლელად. დაგეგმილი იქნა ჩეჩნეთის გვერდით, ყარაჩაი – ჩერქეზეთში და ყაბარდო – ბალყარეთში გახსნილიყო ფრონტის მეორე ხაზი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების წინააღმდეგ. ადნიშნული გეგმის ნაწილს წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკაში, პანკისის ხეობაში დაბანაკებული რუსლან გელაევის მეთაურობის ქვეშ მყოფი უკანონო შეიარაღებული ფორმირების (რომელთაგანაც “ჯამაათებს” ჰქონდათ მჭიდრო კავშირი) შეჭრა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში და საომარი მოქმედებების გაჩაღება. დანაშაულებრივი ორგანიზაცია ფუნქციურად სამ ჯგუფად იქნა გაყოფილი: პირველ ჯგუფს უნდა ეწარმოებინა საომარი ოპერაციები და განეხორციელებინა დივერსიული აქტები ყაბარდო – ბალყარეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მეორე ჯგუფის მიზანს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობა შეადგენდა. მესამე ჯგუფის ფუნქციაში შედიოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრთა ოჯახების გაყვანა რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად, როგორც არაერთხელ დადგინდა სასამართლო განხილვის შედეგად, “ჯამაათების” ერთმა ნაწილმა, დაღესტანში ბაგაუტდინის, ხოლო ჩეჩნეთში ჰატაბის მეთაურობით, მეორე ნაწილმა კი ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ ბანაკებში და კონსპირირებულ ბინებში გაიარა შესაბამისი საბრძოლო მომზადება. იდეოლოგიურ და სამხედრო მომზადებასთან ერთად უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრები იძენდნენ იარაღს, კავშირის საშუალებებს და ა.შ.

ზემოაღნიშნული ქმედებების მოტივაციას წარმოადგენდა ისლამური სახელმწიფოს შექმნა და შეიარაღებული ბრძოლის მეშვეობით ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობის ძალადობით შეცვლა.<sup>233</sup>

**ჩრდილო კავკასიური ისლამოტერორიზმის საფრთხეები საქართველოსთვის ნათლად ჩანს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშიდან, სადაც ვკითხულობთ:**

1999 წელს, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებისაგან ლამის მთითხოვს საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ზურგიდან მოექცეს ჩეჩნეთში მყოფ ჩეჩენტა შეიარაღებულ ფორმირებებს, რაც რეალურად საქართველოს ამ კონფლიქტში ჩართვას ნიშნავდა. რომ საქართველოს პრეზიდენტის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას პასუხად ჩეჩნეთის მეორე ომის ტალღაზე საქართველოსაკენ გამოძევებული 7 ათასამდე ლტოლვილი და რამდენიმე ასეული შეიარაღებული ბოვეიკი მოჰყვა. ექსტრემალურმა სიტუაციამ, ჰუმანურობამ და პანკისის მოსახლეობის

<sup>233</sup> იხ.: Приговор Ставропольского краевого суда от 11 июля 2002г. Дело № 2-28/2002  
მოყვანილია: А. Зюков, Генезис уголовной этнополитики российского государства в период Х-XXI вв, Владимир, 2008. с. 211, მიხედვით.

ჩვენებთან ეთნიკურმა ნათესაობამ განაპირობა გაყინულ გათოშილი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ამ ხეობაში გადაყვანა. სამწუხაროდ, მაღალმთიანი ბილიკებით იქ გადავიდნენ შეიარაღებული ფორმირებებიც, რომლებთან ერთად ხეობაში მოხვდნენ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირებული არაბთა ჯგუფებიც. აღნიშნული რეგიონი გადაიქცა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების, სხვადასხვა ჯურის კრიმინალების თავშესაფრად. უფრო მეტიც, ხეობაში აქტიურად მოქმედებდნენ უცხო სპეცსამსახურებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ემისრები, რომლებიც წმინდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების გარდა ცდილობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში ისლამის უკიდურესად რეაქციული მიმდინარეობის – ვაჰაბიზმის გავრცელებას. ჩვენი არაკეთილმოსურნეების და პირველ რიგში რუსეთის რეაქციული სამხედრო-პოლიტიკური წრეების ძალისხმევით, პანკისის პრობლემამ საერთაშორისო უარყოფითი რეზონანსი შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის წარმოშობა, როგორც აღვნიშნეთ უშუალოდ უკავშირდება რუსეთის ფედერაციის მოსახლურე ტერიტორიაზე მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტს, სხენებულმა წრეებმა გაშალეს ფართო პროპაგანდისტული კამპანია საქართველოს ხელისუფლების ტერორისტების მფარველობაში დადანაშაულების მიზნით.

აღნიშნული ანტიქართული ისტერია ვითარდებოდა რუსეთის ამ ძალების მხრიდან პერმანენტულად განხორციელებადი სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაციების ანუ, გასაგებად თუ ვიტყვით, პირდაპირი საჰაერო დაბომბვების ფონზე.

როგორც აღინიშნა, ჩვენი ბოვეიკების შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ძირითადად ხორციელდებოდა ისევ და ისევ რუსეთიდან, რომლის სასაზღვრო უწყებას საქართველოს ანალოგიურ სტრუქტურასთან შედარებით უფრო ფართო შესაძლებლობები გააჩნდა საკუთარი მოვალეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში, საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მეტად სწორი და ლოგიკური ნაბიჯი, როდესაც არ მისცა რუსეთის მხარეს პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების უფლება. აღნიშნულის შედეგად ჩვენი ქვეყანა მიიღებდა ეთნიკური დაძაბულობის კიდევ ერთ კერას, რაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებდა ქვეყნის დამოუკიდებლობას, ზოგადად ჩვენს სახელმწიფოებრიობას.

ჩვენური შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება პანკისის ხეობაში დაიწყო 1999 წლის ბოლოს. ჩამოყალიბდა პირველი მცირე რაზმი ლტოლვილთა ნაკადისაგან. 2000 წლიდან იწყება უფრო მსხვილი ფორმირებების შექმნა, რომლებსაც სათავეში უდგებიან საველე მეთაურები: რუსლან გელაევი, აბდულ-მალიქ (იდრისი) მეჯიდოვი, კიური ხასანოვი (დოკა უმაროვი), ხუსეინ ისაბაევი (სალმან მაციევი), ისა მუნაევი. ამავე პერიოდიდან ხეობაში შემოჰყავთ მებრძოლები აზიიდან და ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნებიდან, მათ შორის 50-მდე მებრძოლი არაბი ეროვნების. იმავე პერიოდში ხეობაში დაფიქსირებულია საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების ემისრების ვიზიტები, რომელთა საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა იარაღის, ტექნიკური საშუალებების და ფულადი თანხების გადაგზავნა ჩვენეთში, საქართველოს ტერიტორიის

გავლით. იგივე პირები ფინანსური რესურსების გამოყენებით ხელს უწყობდნენ და პროპაგანდას უწევდნენ ვაჭაბიზმის და რადიკალურ-ისლამისტური მსოფლმხედველობის გავრცელებას პანკისის ხეობის მოსახლეობაში. სხვადასხვა დროს ამ საქმიანობით დაკავებულნი იყვნენ: იორდანიის მოქალაქე აბუ ხაფსი, იგივე ამჟექტი; ალჟირის მოქალაქე – აბუ გარიბი (აბუ ხაფსის მოადგილე); საუდის არაბეთის მოქალაქე – აბუ ჰასანი; იორდანიის მოქალაქე – ჯაბერ შეიხჯანი, იგივე ჯაბერი; საუდის არაბეთის მოქალაქე – აბუ ლეიში; იბნ ალ შეიხი, აბუ ომარი, აბუ ონაბია, ლუქმანი და სხვები. პარალელურად აღნიშნული ფორმირებებისა ხეობაში მოქმედებდნენ კრიმინალური დაჯგუფებები, რომელთა ხელმძღვანელები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს ჩეჩნური შეიარაღებული ფორმირებების ადაპტაციაში ადგილობრივ პირობებთან. ასეთ რიცხვს განეკუთვნებიან: ფარნაოზ ხანგოშვილის, მეველუდ (შოთა) ქიჩირის-ძე ჭიჭიაშვილის, ზაურბეკ (ხამზათ) იუმახას-ძე ფარეულიძის და ვეფხია ჩოფანაშვილის კრიმინალური დაჯგუფებები, აგრეთვე, ეროვნებით ჩეჩნების, ძმები ახმადოვების კრიმინალური ფორმირება.<sup>234</sup>

ჩეჩენტა ზემოხსენებულ რაზმებს გააჩნდათ კარგი შეიარაღება, მათი მებრძოლები გამოირჩეოდნენ მაღალი საბრძოლო მომზადებით, რომელიც გაიარეს ჩეჩნეთში არსებულ სხვადასხვა საწვრთნელ ბაზებზე.

პანკისის ხეობაში ყოფნის პერიოდში ჩეჩენმა ბოევიკებმა შეინარჩუნეს კავშირები იარაღის მომწოდებლებთან რუსეთის ტერიტორიაზე. საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ არაერთხელ იქნა თავიდან აცილებული იარაღის და საბრძოლო მასალების შეტანის ფაქტები პანკისის ხეობაში აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან. საგულისხმოა, რომ ამ რეგიონებიდან საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ გადაადგილებული იარაღის პარტიებში გამოვლენილია ისეთი ნიმუშები, რომლებიც შეიარაღებაში გააჩნია მხოლოდ რუსეთის არმიას (კომპლექსები - „შმელი“, „იგლა“ და ა.შ.). გარდა ამისა, ადგილობრივი ვაჭაბიტების ხელშეწყობით ბაწარას ხეობის სოფლების – ტბათანას, ხადორის და ხორეჯოს მიდამოებში ორგანიზებული იყო ბოევიკთა საშუალებდო ბაზები, სადაც კონცენტრირებული იყო დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა, მშრალი საკვები პროდუქტები. შექმნილი იყო ცხენები ცოცხალი ძალისა და ტვირთების ჩეჩნეთში გადაყვანის მიზნით. აღნიშნულ ბაზებზე მყოფი ბოევიკების რაოდენობა, სხვადასხვა დროს მერყეობდა 300-დან 800 კაცამდე.<sup>235</sup>

ბუნებრივია, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელსაც ყოველთვის გააჩნდა ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკური ნება და, რომელიც აქტიურად ჩაება საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის საქმიანობაში, ვერ დაუშვებდა ქვეყნის ტერიტორიაზე ტერორიზმისა და ვაჭაბიზმის კერების ჩამოყალიბებას. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირო-

<sup>234</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში. [www.sus.ge](http://www.sus.ge), 2002.

<sup>235</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში. [www.sus.ge](http://www.sus.ge), 2002.



ბეს პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული და ანტიკრიმინალური ფართომასშტაბიანი ღონისძიებების ჩატარება...

2002 წლის ზაფხულამდე ხეობაში მოქმედებდა ჰატაბისა და “ალ-ქაიდას” ახლო კავშირი აბუ ჰაფსი, იგივე ამჟეტი იორდანის სახელმწიფოს მოქალაქე, ეროვნებით არაბი (იძებნება აშშ-ს ხელისუფლების მიერ 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით). ამჟეტი აკონტროლებდა სოფ. დუისში ჩეჩენი მებრძოლებისათვის გახსნილ ჰოსპიტალ „ასსალამს“. მშენებლობის დაფინანსება, არსებული ინფორმაციით, უშუალოდ ხდებოდა უსამა ბენ ლადენისაგან, რომლის პატივსაცემადაც ეწოდა მისი სახელი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არაბულ ქვეყნებში მოქმედი ორგანიზაციების: „ასსალამი“-ს, „ალხარამეინი“-ს და „მსოფლიო ისლამური ახალგაზრდული ასამბლეი“-ს წევრები ხშირად ჩამოდიოდნენ პანკისის ხეობაში და აფინანსებდნენ ხეობის ახალგაზრდების გამგზავრებას საუდის არაბეთის ისლამის უნივერსიტეტში სწავლის მიზნით.<sup>236</sup>

“ოპერატიული იძულების ღონისძიებათა შედეგად შეიარაღებული პირები გაერიდნენ ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან შეტაკებას და სამთო გადასასვლელებით, რომლებიც 150-მდეა, სექტემბრის თვეში დატოვეს საქართველო და გადავიდნენ რუსეთში ინგუშეთ-ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. თუ თავის დროზე რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოზე მიმართული კორიდორი გაუხსნეს ბოევიკებს, მიუხედავად გარეგნული მონდომებისა, ამჯერადაც, უკვე მათთვისვე საზიანოდ, ვერ შესძლეს ამ ძალების ნეიტრალიზება-შეკავება, თუმცა იყვნენ საკმარისად ინფორმირებულნი. ყოველივე განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით შექმნილი სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, აგრეთვე, სხვა შესაბამისი უწყებების ერთობლივი გეგმის საფუძველზე და თავიდან იქნა აცილებული საომარი მოქმედებების საქართველოში გადმოტანა.”<sup>237</sup>

<sup>236</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში. [www.sus.ge](http://www.sus.ge), 2002.

<sup>237</sup> იხ. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში. [www.sus.ge](http://www.sus.ge), 2002.

## პრობლემის საბოლოო ანალიზი

საქართველოს ტეროგენური საფრთხეები შესაძლებელია დავეყოს ორ ჯგუფად:

1. რეგიონალური მნიშვნელობის, შიდა სეპარატისტული საფრთხეები, რომლებიც ხელშეწყობილია რუსეთის ფედერალური ძალების მხრიდან და შესაძლებელია გადაიზარდოს ტერორისტული მეთოდებით წარმოებულ ბრძოლაში. რუსეთის ფედერაციამ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, რომელთა სეპარატისტულ მოთხოვნებს საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ აქტიურად (მართალია, თავდაპირველად შეფარვით) უჭერდა მხარს. აღნიშნული ქმედებით რუსეთის ფედერაციამ განახორციელა ე.წ. “მეზობელთა დესტაბილიზაცია”. სეპარატისტული მოძრაობების მხარდაჭერა – წაქეზება გამორიცხული არ არის, აგრეთვე, საქართველოს სხვა პოლიეთნიკურ ზონებშიც.

2. გლობალური მნიშვნელობისაა თანამედროვე ისლამოტერორიზმის საფრთხე, რომელიც საქართველოსთან შემხებლობაშია იქიდან გამომდინარე, რომ ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგის იდეა, ისლამური სახელმწიფოების შექმნით, როგორც ზემოთ იყო განხილული, ირანის ისლამური რესპუბლიკიდან იღებს სათავეს და აიათოლა ჰომეინის პოლიტიკურ შეხედულებებზეა დამყარებული. ირანი ისლამური რევოლუციების ექსპორტს ეწეოდა როგორც ჰომეინის, აგრეთვე, მისი მიმდევრების პერიოდში. ჩრდილო კავკასია, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსულმანური აღმსარებლობისაა, ბოლო პერიოდში მოექცა საერთაშორისო რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების ინტერესების სფეროში. ზოგიერთ მათგანში (მაგალითად, ჩეჩნეთი, ინჩერია) დეფაქტო უკვე არსებობენ ისლამურ საწყისებზე წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ელემენტები. ჩრდილო კავკასიის ისლამოტერორიზმის დაფინანსებას ეწევიან არა მხოლოდ ალ-ქაიდა, ჰამასი, ირანის ისლამური რესპუბლიკა და ა.შ. არამედ რადიკალურად განწყობილი “ერთმორწმუნე” მოქალაქეები და იურიდიული პირები. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის სამხრეთ რეგიონებში არსებული ისლამოტერორიზმის საფრთხე თავისთავად ეხება საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებსაც, რადგანაც ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამური სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ საქართველო აღმოჩნდება ისლამისტური სახელმწიფოების შუაგულში. მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ როგორც ზემოთ მოყვანილ 2002 წლის საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანგარიშშია აღინიშნული, რადიკალურ – ისლამისტური ჯგუფები ცდილობდნენ დასაყრდენი მოექცნათ საქართველოს მუსულმანური აღმსარებლობის მოსახლეობაში.

საფრთხე, რომელიც გლობალური საერთაშორისო ტერორიზმიდან მოდის, ერთნაირად პრობლემურია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის ფედერაციის ინტერესებისთვის.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასუსტების მცდელობა, საბოლოოდ ისევ რუსეთს მოუტანს ზიანს, ვინაიდან:

- ა. აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთის ფედერაციამ შექმნა პრეცედენტი, რომლითაც საკუთარ ტერიტორიაზე სეპარატისტული განწყობების მქონე ჯგუფებს ფედერაციული რესპუბლიკიდან გამოყოფის და დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების იმედი მისცა. ჩრდილო კავკასიის ფედერალური რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება კი თავისთავად რუსეთის ეტაპობრივ დაშლას გამოიწვევს.
- ბ. საქართველოს დასუსტებით რუსეთის ფედერაცია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში კარგავს მნიშვნელოვან მეკავშირეს. საქართველოს სახელმწიფოებრივი სიძლიერე რუსეთისთვის უნდა ნიშნავდეს რადიკალ-ისლამისტური დარტყმებისგან დამცავ სამხრეთის ფარის არსებობას.
- გ. საქართველოს სახელმწიფოებრივი დასუსტება ნიშნავს ტერორიზმის და ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა გამოვლინებებისთვის თავისუფალი ნაცრისფერი ზონის შექმნას, რაც საბოლოო ჯამში რუსეთის ფედერაციის უსაფრთხოების ხელყოფის გამარტივებას ნიშნავს.

## თავი V ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და საშუალებები

### §1. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგადთეორიული საფუძვლები

ნაციონალური უსაფრთხოება გვარეობითი ცნებაა და საკუთარ თავში მოიცავს უსაფრთხოების სხვა სახეებს: კონსტიტუციურს, ეკონომიკურს, პოლიტიკურს, სოციალურს. სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება, თავის მხრივ, წარმოადგენს პოლიტიკური უსაფრთხოების შემადგენელ ნაწილს, რადგანაც სახელმწიფო საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ელემენტია. სახელმწიფო წარმოადგენს მთელს საზოგადოებას, აღჭურვილია მმართველობის და იძულების აპარატით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ფლობს სუვერენიტეტს, რისი მეშვეობითაც ახორციელებს პოლიტიკურ ხელისუფლებას.<sup>238</sup>

სახელმწიფო უსაფრთხოება საკუთარ თავში მოიცავს როგორც კონსტიტუციურ წყობას (კონსტიტუციურ უსაფრთხოებას), აგრეთვე, კონსტიტუციური წყობის უმნიშვნელოვანეს საფუძვლებს – სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.<sup>239</sup> კონსტიტუციური უსაფრთხოება, აგრეთვე, მოიცავს უსაფრთხოების კუთხით არსებულ კანონმდებლობას, სამართალგამოყენების მეთოდებს და აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ ორგანოთა სისტემას.<sup>240</sup>

ანტისახელმწიფოებრივი სეპარატიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ სახელმწიფო უნდა იყოს არა “თავდაცვით”, არამედ “უსაფრთხოების” პოზიციაში. აღნიშნული ნიშნავს პასიური, თავშეკავებული მიდგომებიდან აქტიურ ქმედებებზე გადასვლას; სახელმწიფოში არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობის შენარჩუნების მაგივრად, მის გაუმჯობესება – ტრანსფორმაციას; ანტისახელმწიფოებრივი ექსტრემიზმის მიმართ პასიური დამოკიდებულებიდან, ანუ მხოლოდ რეაქციიდან მიმდინარე ან უკვე მომხდარ ნეგატიურ ქმედებებზე, აქტიურ პოზიციაზე გადასვლას, რაც მიმართული იქნება აღნიშნული მოვლენის თავიდან აცილებისკენ.<sup>241</sup>

სეპარატისტული რეგიონების კონტროლისთვის აუცილებელია საქართველოს ხელისუფლების რეალური საქმიანობა, რაც დაკავშირებული იქნება არა მხოლოდ ტერიტორიის ფორმალურ კონტროლში, არამედ რეგიონების სრულ სოციალიზაციაში და მოდერნიზაციაში, მათ ჩართვაში სახელმწიფოს ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ ქსელში.

<sup>238</sup> იხ. А. В. Павлинов, Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008, сс. 168-169.

<sup>239</sup> იხ. А. В. Павлинов, დასახ. ნაშრომი გვ. 173.

<sup>240</sup> იხ. Т. Э. Шуберт. Национальная безопасность России: конституционно – правовые аспекты.

Сравнительно – правовое исследование. М., 2001, с. 10.

<sup>241</sup> იხ. А. В. Павлинов, დასახ. ნაშრომი გვ. 144.

უსაფრთხოების ანტიტერორისტული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამოყოფა:

1. საზღვრების უსაფრთხოება და კონტროლი;
2. საერთაშორისო თანამშრომლობა;
3. შესაბამისი სწავლებების ორგანიზება არა მხოლოდ ანტიტერორისტული სპეცსამსახურებისთვის, არამედ ვიქტიმური კონტინგენტისთვისაც;
4. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება;
5. ინფორმაციის მოპოვება-ანალიზი;
6. საზოგადოებრივი აზრის შექმნა;
7. საქართველოს საშინაო და საგარეო საფრთხეების დროული გამოვლენა;
8. რეგიონების ინფორმაციული უზრუნველყოფა სტრატეგიული და ოპერატიული მართვის მიზნით;
9. კოორდინირებული საქმიანობა პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური უსაფრთხოების მიმართულებით;
10. კრიმინოგენური სიტუაციის დასტაბილურება, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობის გამოვლენა და აღკვეთა;
11. ლეგალური პოლიტიკური აქტივობისთვის პირობების შექმნა;
12. პოლიეთნიკურ რეგიონებში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ქვეყნის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებში;
13. ეკონომიკური სტრუქტურების საქმიანობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
14. ანტიტერორისტული პოლიტიკის მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს არა მხოლოდ უშუალოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ტერორისტებისთვის ისეთი გარემო პირობების შექმნა, რომ მათი საქმიანობა საწყის ეტაპზეც კი, თითქმის შეუძლებელი გახდეს... ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ შექმნას რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა ტერორისტთა საქმიანობისთვის. როგორც ფრონტალურად, ისე ზურგში, ტერორიზმის დაფინანსების საკითხებში... ფაქტობრივად უნდა შეიქმნას ისეთი გარემო, რომ ტერორისტული ჯგუფი თავისთავად დასუსტდეს და განადგურდეს;<sup>242</sup>

<sup>242</sup> იხ. Untangling the Terror Web: Identifying and Counteracting the Phenomenon of Crossover Between Terrorist Groups, Matthew Levitt, SAIS Review vol. XXIV no. 1 (Winter–Spring 2004) P. 35 project MUSE, <http://muse.jhu.edu>. 2006.

15. ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლა. ანტიტერორისტული ღონისძიებებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი ინფორმაციის გაცვლაა. ის ქვეყნებიც კი, რომლებიც ერიდებიან ტერორიზმთან ბრძოლის სხვა მეთოდებს, როგორცაა სამხედრო ჩარევა, ეკონომიკური, სამართლებრივი, დიპლომატიური სანქციები და ა.შ. ინფორმაციის გაცვლაზე, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ტერორისტული ჯგუფის საქმიანობას, უარს არ ამბობენ;<sup>243</sup>

16. საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებები. საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებებიდან აღსანიშნავია გაეროს 13 კონვენცია. საერთაშორისო მასშტაბით ანტიტერორისტული საქმიანობის პირველი მცდელობა იყო ტოკიოს 1963 წლის შეთანხმება საჰაერო ხომალდზე ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ. აღნიშნული შეთანხმების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო უფლებამოსილია გაავრცელოს თავისი იურისდიქცია საჰაერო ხომალდის უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთაც. მნიშვნელოვან აქტებს წარმოადგენს 1970 წლის ჰააგის და 1971 წლის მონრეალის შეთანხმებები სამოქალაქო ავიაციის წინააღმდეგ. ჰააგის შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ან თვითონ გაასამართლოს ან გადასცეს აღნიშნული კონვენციის დამრღვევი პირები. 1973 წელს გაეროს მიერ ნიუ-იორკში მიღებული კონვენცია საერთაშორისო სამართლებრივ დაცვას დაქვემდებარებული პირების შესახებ და ა.შ. <sup>244</sup> განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2006 წლის გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს 192 სახელმწიფო გაერთიანდა ტერორიზმთან ბრძოლაში.

დაკისრებული სოციალური ფუნქციების განხორციელებისას სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსს ატარებს მოქალაქეების და სრულიად ქვეყნის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის მიზნით. აღნიშნული ამოცანების განხორციელების აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს სამართალი. საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებიდან აღსანიშნავია სისხლის სამართლის კოდექსის XXXVIII თავით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის ამკრძალავი ნორმები (სსკ-ის 323-331<sup>1</sup>) და 2007 წლის საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ;

17. ეკონომიკური ღონისძიებები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეკონომიკურ სანქციებს და ტერორიზმის დაფინანსების აკრძალვას. ტერორიზმის დაფინანსების აკრძალვის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზის მნიშვნელოვანი ელემენტია 1999 წლის გაეროს კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. ტერორიზმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ეფექტურად გამოყენების მაგალითად შეიძლება დასახელდეს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ლიბანის მიმართ გამოყენებული ღონისძიებები: 1986 წელს აიკრძალა აღნიშნულ ქვეყანასთან ვაჭრობა. აშშ –ის ბანკებში გაიყინა ლიბანური წარმოშობის

<sup>243</sup> იხ. U.S. Countermeasures Against International Terrorism J. D. Simon Prepared for the Assistant Secretary of Defense for Command, Control, Communications and Intelligence. rand, March 1990, p.9.

<sup>244</sup> იხ.: <http://www.un.org/russian/terrorism/instruments.shtml>. 2011.

დეპოზიტები. პრეზიდენტმა რეიგანმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველა ამერიკელს უნდა დაეტოვებინა ლიბანი.<sup>245</sup>

**18. სახელმწიფოს მიერ სწორად დაგეგმილი და წარმოებული სოციალურ – ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა.** კიმ კრეჯინი და პიტერ ჩოლქი თავიანთ მეტად საინტერესო ნაშრომში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი პროფილაქტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწორად შერჩეულ პოლიტიკას, აღნიშნულ პოლიტიკას :

ა) **სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას შეუძლია შეასუსტოს ტერორისტული მოძრაობებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა.** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას შეუძლია საკმაოდ წვლილი შეიტანოს ახალი საშუალო კლასის ჩამოყალიბებასა და მის გაფართოებაში საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც ტრადიციულად ხელს უწყობდა ტერორისტულ მოძრაობებს. აღნიშნულმა საშუალო კლასმა დამყარებული მშვიდობის შედეგად, როგორც წესი, მიიღო ეკონომიკური სარგებელი და ეწინააღმდეგება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ტერორისტული მოძრაობების მხარდაჭერას. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში გამოვლინდა, რომ ახალმა საშუალო კლასმა და ბიზნეს ელიტამ მიიღო კარგი ეკონომიკური სარგებელი ეკონომიკური განვითარების პროგრამის შედეგად. აღნიშნული დემოგრაფიული სექტორის წევრებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი საშუაშალო არხები, რათა შეამცირონ დაძაბულობა დაპირისპირებულ მხარეებს შორის, კომერციული ინტერესები მოქმედებს მუხრუჭის მსგავსად რესპუბლიკელებსა და ლოიდალისტებს შორის, ეწინააღმდეგება რა მასობრივი არეულობებისა და ძალადობის გამოყენებას, რასაც ტრადიციულად ადგილი ჰქონდა ჩრდილოეთ ირლანდიაში.

ბ) **სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას შეუძლია ხელი შეუშალოს ტერორისტულ მოძრაობებში ახალბედების ჩაბმას.** მრავალი ტერორისტული მოძრაობა იზიდავს თავის რიგებში ახალბედებს, რომლებიც თვლიან, რომ ტერორიზმი არის ერთადერთი ქმედითი საშუალება პასუხი გაეცეს იმ სოციალურ-პოლიტიკურ უსამართლობას, რომელსაც განიცდის მათი სახელმწიფო, ან კონკრეტული სოციალური ჯგუფი, ამის გარდა, გარკვეული ტერორისტული ჯგუფები მატერიალურ წახალისებასაც სთავაზობენ ახალბედებს და მათ ოჯახებს, რაც ხშირად საკმაოდ მომნუსხველად მოქმედებს. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას შეუძლია შეამციროს ტერორიზმში ახალბედების ჩაბმა, მისცემს რა საზოგადოების აღნიშნულ ფენას არსებობისთვის აუცილებელ, ალტერნატიულ საშუალებებს.

გ) არაადეკვატურად წარმართულ და ფინანსირებად სოციალ-ეკონომიკურ პოლიტიკას შეუძლია გამოიწვიოს იმედგაცურება სოციალურ ფენებში და მათ მიერ ტერორიზმის კვლავ ხელშეწყობა. იმისთვის, რომ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა იყოს ეფექტური, იგი უნდა შეესაბამებოდეს ად-

<sup>245</sup> იხ.: U.S. Countermeasures Against International Terrorism J. D. Simon Prepared for the Assistant Secretary of Defense for Command, Control, Communications and Intelligence. rand, March 1990 p.15

გილობრივი სოციალური ფენების მოთხოვნილებებს. . . განვითარების აღნიშნულ პროგრამას თან უნდა ახლდეს ადეკვატური დაფინანსება. მწირი დაფინანსების შემთხვევაში დასახული მიზნების განხორციელება შეუძლებელი იქნება, რაც საზოგადოების ფენებში იმედგაცრუებას და კვლავ ტერორიზმისთვის ხელშეწყობას გამოიწვევს. ამ მხრივ საინტერესოა დიდი ბრიტანეთის მაგალითი, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში წარმატებით ახორციელებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამას. 1997 წლიდან დიდი ბრიტანეთი აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ხარჯავდა საშუალოდ 869 მილიონ აშშ დოლარს,<sup>246</sup> აღნიშნულ სახსრებს ევროკავშირმა დაუმატა 48 მილიონი აშშ დოლარი ყოველწლიურად,<sup>247</sup> რამაც შეადგინა დაახლოებით 543 აშშ დოლარი თითოეულ მოსახლეზე ყოველწლიურად.

დ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა მაშინ არის წარმატებული, როდესაც იგი ხორციელდება ადგილობრივ სოციალურ ჯგუფებთან, მათ ლიდერებთან კონსულტაციების საფუძველზე, მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნილებების და საჭიროებების გათვალისწინებით. . . მაგ: ფილიპინებში და პალესტინაში აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროექტებმა ვერ უპასუხა ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნილებებს, ამას რამოდენიმე მიზეზი ახლდა, ჯერ ერთი, მწირი დაფინანსება, მეორე, აღნიშნულ პროექტებში გავრცელებული კორუფცია, მესამე მომსახურების ისეთი სფეროების შექმნა, რაც მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელი იყო (აღნიშნულის მაგალითად შეიძლება დასახელდეს დაზას სექტორში აშენებული კარამეჰის ცათამბჯენი (the Karameh Towers), რომელშიც განთავსებულია 192 საცხოვრებელი ბინა და თითოეული 30 000 ა.შ.შ დოლარად იყიდება. აღნიშნული თანხა გაცილებით აღემატება დაზას სექტორში მცხოვრები მოსახლეობის შესაძლებლობებს, რომელთა წლიური შემოსავალი 600 დან 1200 ა.შ.შ დოლარამდე მერყეობს.

ე) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწორ პოლიტიკას, რომელიც შესაბამისად არის ხელშეწყობილი და განხორციელებული, შეუძლია ტერორიზმის თავიდან აცილება, მაგრამ არ შეუძლია მისი აღმოფხვრა. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა გაცილებით ეფექტურია იმ შემთხვევაში, როდესაც ჩართულია ფაქტორთა ერთიან ჯაჭვში, სადაც ფიგურირებს, აგრეთვე, ისეთი ელემენტები, როგორცაა: პოლიტიკური, სამხედრო-შეიარაღებული, სამართლებრივი და ა.შ;<sup>248</sup>

**19. ინფორმაციულ – ფსიქოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება.** აღნიშნული მეთოდის მეშვეობით შესაძლებელია:

<sup>246</sup> ბრიტანეთის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიისთვის გამოყოფილი 2000-2003 წლების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტ გვერდზე: <http://www.nics.gov.uk/pubs/newbudget.pdf>. 2011. შენიშ. ჩვენია

<sup>247</sup> აღნიშნული პროგრამის შესახებ შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია, აგრეთვე, ინტერნეტ საიტზე: <http://www.E.U.-peace.org>. 2011. შენიშ. ჩვენია

<sup>248</sup> იხ. K. Cragin, P. Chalk, Terrorism & Development: Using Social and Economic Development to Inhibit a Resurgence of terrorism. Published 2003 by rand rand url: <http://www.rand.org>. 2003.



ა) პრევენციული ზემოქმედება და კონფლიქტის ესკალაციის თავიდან აცილება.

ბ) პოლიტიკურ პრაქტიკაში ტრადიციული შეიარაღებული ბრძოლის მეთოდების შეცვლა თანამედროვე ფსიქოლოგიური ოპერაციებით.

გ) ინფორმაციულ – ფსიქოლოგიური ომის თანამედროვე ტექნოლოგიები მშვიდობიანობის პერიოდში მოწინააღმდეგესთან ბრძოლის და მისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების შესაძლებლობას იძლევა.

დ) კონფლიქტის ზონებში მოსახლეობის ფართო ფენებთან, მათ ცნობიერებასთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა მოწინააღმდეგე ეთნო – პოლიტიკურ ელიტისგან, რომელიც, როგორც წესი, კონფლიქტის ესკალაციას ლამობს, გვერდის ავლით.

ე) კონფლიქტის დარეგულირების პროცესში არა მხოლოდ ცნობიერების, არამედ ქვეცნობიერების ჩართვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია “ღირებულებათა კონფლიქტის” დროს.<sup>249</sup>

სეპარატისტული განწყობების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს პოლიეთნიკურად დასახლებული ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩართული ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ ცხოვრებაში, ადგილობრივი და ცენტრალური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, მაქსიმალურად უნდა შეეწყოს ხელი ქართული და სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურულ დაახლოებას და თავიდან უნდა იქნეს აცილებული კულტურული იზოლაცია, გაუცხოება. სახელმწიფო ოფიციალური იდეოლოგია მიმართული უნდა იყოს მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლებაზე და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, თითოეულ ადამიანში საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქის რწმენის ჩამოყალიბებისკენ.

უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საქართველოს მოსახლეობის თვითშეგნების გაზრდა საქართველოს მოქალაქის თვითშეგნებამდე. აღნიშნული მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები, განსაკუთრებით კი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და ინფორმაციულ – ტექნოლოგიური მეთოდები.

მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება მომავალში სეპარატისტული და სხვა ისეთი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება, კონტროლის დაკარგვა ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე ანდა სოციალურ ჯგუფზე. აღნიშნული თვალსაზრისით, გადახედვას საჭიროებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეთერთმეტე კარი, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს ისეთი ქმედებების კრიმინალიზაცია, რომელიც

<sup>249</sup> იხ.: А. В. Маноило, Эффективность воздействия на современные конфликты, М. 2008, с. 162-163.

თავისი არსით ექსტრემიზმის ნიშნებს შეიცავს. მართალია, საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლში დასჯადადაა მიჩნეული “საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ” ასევე „იგივე ქმედება, რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია”, მაგრამ აღნიშნული ნორმა არ მოიცავს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ტერიტორიის დაკარგვასთან არ არის დაკავშირებული, თუმცა იწვევს ამა თუ იმ სოციალური ან ეთნიკური ჯგუფის გამოთიშვას, გაუცხოებას საქართველოს მოქალაქის ერთიანი სამართლებრივი და ფსიქოლოგიური სივრციდან და საწინდარია შემდგომი სეპარატისტული, ფსევდორელიგიური ანდა ფსევდოეთნიკური მოთხოვნების წარმოშობის. მსგავსი ნორმების მაგალითი შეიძლება ვეძიოთ საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სინამდვილეში, მათ შორის, პოსტსაბჭოეთის რესპუბლიკებშიც, თუმცა ვერც ერთ მათგანს სრულყოფილ მოდელად ვერ მივიჩნევთ. ტერორიზმთან და ზოგადად სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი საშუალებები დამატებით ღრმა კვლევის საგანს წარმოადგენს. მოცემული ნაშრომის ფარგლებში აღნიშნული საკითხის ღრმა კვლევაში ვერ შევალთ და სისხლისსამართლებრივი მექანიზმები ტერორიზმის თავიდან აცილების მხოლოდ ერთ-ერთ ფაქტორად გვაქვს განხილული.

## § 2. ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებები

### 2.1. ერთა ლიგა ტერორიზმის წინააღმდეგ

საერთაშორისო ნორმატიული საშუალებებით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიული სათავეები უკავშირდება მეოცე საუკუნის დასაწყისში ერთა ლიგის<sup>250</sup> ფარგლებში სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის პროცესს. სისხლის სამართლის კანონმდებლობის უნიფიკაციის იდეა წარმოიშვა 1926 წელს ბრიუსელში სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე. სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია დამნაშავეობასთან გაძლიერებული ბრძოლის მიზნით ცდილობდა მაქსიმალურად დაეახლოებინა ერთმანეთთან სხვადასხვა ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობა.

სისხლის სამართლის საერთაშორისო ასოციაცია საკმაოდ აქტიური ორგანიზაცია აღმოჩნდა. მისი კონგრესები ჩატარდა 1927 წელს, ვარშავაში, 1928 წელს რომში, 1930 წელს ბრიუსელში, 1931 წელს, პარიზში, 1933 წელს მადრიდში, 1935 წელს კოპენჰაგენში. დიდი აქტიურობის მიუხედავად, ორგანიზაციამ ვერ შეძლო მნიშვნელოვან შედეგებამდე მისვლა.<sup>251</sup>

ტერორიზმის ცნების განსაზღვრა პირველად, 1930 წელს ქალაქ ბრიუსელში, სისხლის სამართლის ასოციაციის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში მოხდა. აღნიშნული რეზოლუცია “ტერორიზმის” ქვეთავში რამდენიმე მუხლს მოიაზრებს:

პირველ მუხლში ტერორიზმად მოაზრებულია: “საყოველთაოდ საშიში საშუალებების განზრახი გამოყენება, როდესაც ქმედება საფრთხეს უქმნის სიცოცხლეს, სხეულის ხელშეუხებლობას, ჯანმრთელობას ანდა იქმნება მნიშვნელოვანი ფასეულობების განადგურების საშიშროება კერძოდ: ა) განზრახ ცეცხლის წაკიდება, აფეთქება, წყალდიდობის გამოწვევა, შხამიანი და მომწამლავი ნივთიერებების გავრცელება, სასიგნალო მოწყობილობების, მაშუქების სხვა სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების განზრახ განადგურება ან მწყობრიდან გამოყვანა. ბ) ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, რკინიგზის, ტელეგრაფის, ფოსტის ნორმალური ფუნქციონირების თვითნებური შეფერხება, საზოგადოებრივი

<sup>250</sup> ერთა ლიგა დაარსდა 1919-20 წლების ვერსალის ხელშეკრულებით. წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და მსოფლიოში მშვიდობის მხარდაჭერის საკითხებით იყო დაკავებული. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობდა შვეიცარიაში, ქალაქ ჟენევაში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწერილებით იხილეთ ერთა ლიგის წესდება.

<http://www.hist.msu.ru/Departments/ModernEuUS/INTREL/SOURCES/Legnatus.htm>

<sup>251</sup> დაწერილებით იხ.: Трайнин А. Н. Уголовная интервенция. М.: Госюриздат, 1935. с. 28-42; Ромашкин П. С. Преступления против мира и безопасности человечества. М.: Наука, 1967. с. 173-174; Галенская Л. Н. Правовые проблемы сотрудничества государств в борьбе с преступностью. Л.: ЛГУ, 1978. С. 78-79; Карпец И. И. Преступления международного характера. М.: Юрид. лит., 1979. С. 64-68.

დანიშნულების მქონე ჰიდრომოწყობილობის, განათების, გათბობის ანდა სხვა საშუალებების განზრახი დაზიანება. ვ) სასმელი წყლის და საკვები საშუალებების განზრახ მოწამელა, გაუვარგისება. ინფექციური დაავადებების, ეპიდემიების, ეპიზოტიების ან მცენარეთა დაავადებების გავრცელება.

მუხლი მეორე: დაისჯება ის, ვინც განზრახ გამოიყენებს საყოველთაოდ საშიშ საშუალებებს, ჩაიდენს ტერორისტულ აქტს, რასაც თან სდევს სიცოცხლის, თავისუფლების, სხეულის ხელშეუხებლობის, სახელმწიფო ანდა კერძო პირების ქონების ხელყოფა, პოლიტიკური ანდა სოციალური იდეალების დემონსტრირების ან განხორციელების მიზნით.

მუხლი მესამე: განზრახ საყოველთაოდ საშიში საშუალებების გამოყენებას ადგილი ექნება მაშინ, როდესაც დადგინდება, რომ შექმნილია ორგანიზაცია პიროვნებაზე ან ქონებაზე ხელყოფის მიზნით. მოცემული მუხლის საფუძველზე დაისჯება ყველა ის პირი, ვინც გაერთიანდა აღნიშნულ ორგანიზაციაში.

მუხლი მეოთხე: პირველ და მეორე მუხლებში ჩამოთვლილი დანაშაულები დასჯადია იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე იქნა ისინი ჩადენილი და რომელი ქვეყნის მოქალაქემ ჩაიდინა...”<sup>252</sup>

1930 წელს ბრიუსელში სისხლის სამართლის ასოციაციის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, ტერორიზმის განსაზღვრისას მოხდა არა ამ მოვლენის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების გამოკვეთა, არამედ იმ ქმედებების ჩამოთვლა რომლებიც შესაძლებელია მოაზრებულ იქნას ტერორიზმად. აღნიშნული მიდგომა ძალზედ აფართოებს ტერორიზმის შემადგენლობის ფარგლებს, უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, რომ შეუძლებელია გაივლოს მიჯნა ტერორიზმსა და სხვა მსგავს დანაშაულებრივ ქმედებებს შორის.

ტერორიზმის ფარგლების ამორფულობაზე თვითონ ბრიუსელის კონფერენციის მონაწილეებიც მიუთითებდნენ, ამიტომ კონფერენციის პლენუმმა საბოლოოდ რეზოლუციის მიღება რიგით მეოთხე შეხვედრისთვის გადადო.<sup>253</sup>

1931 წელს პარიზში, სისხლის სამართლის ასოციაციის რიგით მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. აღნიშნულ კონფერენციაზე ტერორიზმის წინააღმდეგ მიღებული იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც:

“მუხლი პირველი: ის, ვინც მოსახლეობის დაშინების მიზნით ფიზიკური პირების ან საკუთრების წინააღმდეგ გამოიყენებს ბომბებს, ნაღმებს, ასაფეთქებელ ან აალებად საშუალებებს ან მანქანებს, ცეცხლსასროლ იარაღს ან სხვა მომაკვდინებელ და გამანადგურებელ მოწყობილობებს ან

<sup>252</sup> ციტ. მოყვანილია: Трайнин А. Н. Избранные произведения. Защита мира и уголовный закон. М., Наука, 1969. сс. 40-41.

<sup>253</sup> იხ. В. П. Емельянов Уголовная ответственность за терроризм и преступления с признаками терроризирования. Диссертация на соискание ученой степени Д.Ю.Н. Москва, 2001 г. с.26.

ვინც გამოიწვევს ან შეეცდება გამოიწვიოს ეპიდემიები, ეპიზოტიები და სხვა კატასტროფები, ვინც შეაფერხებს ან შეეცდება შეაფერხოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მუშაობა, დაისჯება...

მუხლი მეორე: ის, ვინც განზრახ დაამზადებს, შეინახავს, შემოიტანს ან გადაზიდავს პირველ მუხლში ჩამოთვლილ საგნებს ამავე მუხლში აღწერილი დანაშაულის ჩასადენად დაისჯება...

მუხლი მესამე: ვინც მოუწოდებს პირველ მუხლში აღწერილი დანაშაულის ჩასადენად საჯარო გამოსვლებით, საჯაროდ გავრცელებადი ნაწარმოებებით ან გამოსახულებებით, ან მხარდაჭერას გამოუცხადებს მსგავს ქმედებებს ან მის ჩამდენ პირებს, დაისჯება...

მუხლი მეოთხე: ვინც მიიღებს მონაწილეობას ორგანიზაციაში, რომელიც ჩამოყალიბებულია ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩასადენად დაისჯება...

მუხლი მეხუთე: პროვოკატორების გარდა სასჯელისაგან გათავისუფლებიან ისინი, ვინც ზემოაღნიშნული დანაშაულების ჩადენამდე ანდა სისხლისსმართლებრივი დევნის დაწყებამდე ითანამშრომლებენ შესაბამის ორგანოებთან სხვა დამნაშავეების დაკავების მიზნით”.<sup>254</sup>

პარიზის მეოთხე რეზოლუციის მეხუთე მუხლში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, პირველად იქნა ფორმულირებული წამახალისებელი ნორმა. აღნიშნული უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის ასპექტით.

1933 წელს მადრიდში სისხლის სამართლის ასოციაციის რიგით მეხუთე საერთაშორისო კონფერენციამ ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული რეზოლუცია განსხვავებული შინაარსობრივი დატვირთვით მიიღო:

მუხლი პირველი: ის, ვინც არსებული სოციალური წყობის განადგურების მიზნით რაიმე ხერხით ტერორიზმს უწევს მოსახლეობას, - დაისჯება...

მუხლი მეორე: ის, ვინც განზრახ დაამზადებს, შეინახავს, შემოიტანს ან გადაზიდავს გარკვეულ მასალებს ან საგნებს, რომლებიც განკუთვნილია პირველ მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ჩასადენად, - დაისჯება...

მუხლი მესამე: ის, ვინც ამა თუ იმ ფორმით საჯაროდ მოუწოდებს პირველი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისაკენ ან ხოტბას შეასხავს აღნიშნულ დანაშაულს ან მის ჩამდენს, - დაისჯება...

<sup>254</sup> ციტ. მოყვანილია: А. Н. Трайнин Избранные произведения. Защита мира и уголовный закон. М., Наука, 1969, сс. 43-44.

მუხლი მეოთხე: ის, ვინც პირველ მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მიზნით გაერთიანდება ორგანიზაციაში ან მიიღებს მონაწილეობას შეთანხმებაში, - დაისჯება...<sup>255</sup>

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ყველა პოზიტიური დებულება, რომელიც შეიმუშავა ერთა ლიგამ მესამე და მეოთხე კონფერენციების რეზოლუციებში, კერძოდ, წამახალისებელი ნორმა ტერორიზმის წინააღმდეგ, დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური ნიშნები და ა.შ. მესამე რეზოლუციაში უგულვებელყოფილია და შინაარსობრივად პოლიტიკური დატვირთვით შეიცვალა.<sup>256</sup>

1934 წელს საფრანგეთში, ქალაქ მარსელში მოკლეს იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე I და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი ბარტუ. აღნიშნულმა მოვლენებმა ერთა ლიგის საქმიანობა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საგრძნობლად გააქტიურა. ერთა ლიგის საბჭომ შექმნა კომიტეტი, რომელშიც შევიდა 11 სახელმწიფოს წარმომადგენელი და რომლის მიზანს შეადგენდა ტერორიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება. კომიტეტმა შეიმუშავა ორი კონვენციის პროექტი: “ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაარსების შესახებ. აღნიშნული კონვენციები ხელმოსაწერად გაიხსნა 1937 წელს.

“ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” კონვენციაში, რომელიც ერთა ლიგამ 1937 წელს მიიღო, ტერორისტული აქტის ფარგლები ძალზე ფართოდ იყო გაგებული და მასში მოიაზრებოდა განზრახი მოქმედება რომელიც მიმართული იყო სახელმწიფო მეთაურების და დიპლომატიური წარმომადგენლების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების განადგურების ან დაზიანებისკენ, ასევე ქმედებები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანთა სიცოცხლეს. დანაშაულად განიხილებოდა საბრძოლო იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების, მომწამლავი ნივთიერებების წარმოება, შექმნა, შენახვა ან მიწოდება. დასჯადად იქნა გამოცხადებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების შექმნა ტერორისტული აქტის ჩადენის მიზნით, აგრეთვე მსგავს ორგანიზაციაში მონაწილეობა.<sup>257</sup>

მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ერთა ლიგის 1937 წლის “ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მისი ჩამდენი პირების დასჯის შესახებ” კონვენცია ძალაში არ შესულა, რადგანაც სახელმწიფოებმა მისი რატიფიცირება ვერ მოახდინეს.

<sup>255</sup> ციტ. მოყვანილია: А. Н. Трайнин Избранные произведения. Защита мира и уголовный закон. М., Наука, 1969, с. 49.

<sup>256</sup> იხ. В. П. Емельянов Уголовная ответственность за терроризм и преступления с признаками терроризирования. Диссертация на соискание ученой степени Д.Ю.Н. Москва, 2001, с.29

<sup>257</sup> იხ. კონვენციის ტექსტი: UN A/C. 6/418

## 2.2 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული საერთაშორისო ნორმები ტერორიზმის წინააღმდეგ

საერთაშორისო საზოგადოებამ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროს ეგიდით განაგრძო. ტერორიზმის წინააღმდეგ გაეროს ეგიდით მიღებულია 16 საერთაშორისო შეთანხმება, აქედან 13 კონვენცია, ხოლო სამი დამატებითი ოქმი.<sup>258</sup>

### 2.2.1. საერთაშორისო ნორმები საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების ხელშეწყობის აქტების წინააღმდეგ და მათი ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

ტერორისტული ხასიათის დანაშაულების წინააღმდეგ მიღებული აქტებიდან ქრონოლოგიურად პირველია 1963 წლის ტოკიოს კონვენცია<sup>259</sup>, საჰაერო ხომალდზე დანაშაულებრივი და სხვა სახის ქმედებების აკრძალვის შესახებ. კონვენცია გამოიყენება იმ აქტების წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფს საჰაერო ხომალდის ფრენის უსაფრთხოებას.

კონვენცია შედგება შვიდი თავისგან და მისი გამოყენების სფერო განსაზღვრულია პირველ თავში, რომლის მიხედვითაც, კონვენცია მოქმედებს:

1. საჰაერო ხომალდზე სისხლის სამართალდარღვევისას.
2. იმ ქმედებების ჩადენისას, რომლებიც შესაძლოა არ წარმოადგენენ დანაშაულს, მაგრამ საფრთხეს უქმნიან ან შეიძლება შეუქმნან საჰაერო ხომალდის, ფიზიკური პირების ან ქონების უსაფრთხოებას, არღვევენ საჰაერო ხომალდზე დადგენილ დისციპლინას და წესრიგს.

მოცემული კონვენციის მიზნებისთვის საჰაერო ხომალდი ითვლება ფრენაში მყოფად აფრენის მიზნით შიდაწვის ძრავის ჩართვის მომენტიდან ასაფრენ ბილიკზე მოძრაობის დამთავრების მომენტამდე.

1963 წლის ტოკიოს კონვენციის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საჰაერო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხომალდის კაპიტანისთვის მთელი რიგი უფლებების მინიჭება საფრთხის გამომწვევი პირების მიმართ იძულებითი ღონისძიებების გატარების ჩათვლით, რომელთაგანაც აღსანიშნავია ფიზიკური პირის დაკავების უფლება თუ აღნიშნული პირი თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნის, ან შესაძლოა შეუქმნას საჰაერო ხომალდის ფრენის უსაფრთხოებას. კონვენცია ავალდებულებს ხელმომწვერ

<sup>258</sup> იხ. <http://www.un.org/russian/terrorism/instruments.shtml>. 2011.

<sup>259</sup> იხ. [http://www.un.org/russian/document/convents/crimes\\_ aboard.html](http://www.un.org/russian/document/convents/crimes_ aboard.html). 2011.

სახელმწიფოებს დააპატიმრონ სამართალდამრღვევები და დაუბრუნონ საპაერო ხომალდზე კონტროლი კანონიერ მეთაურს.<sup>260</sup>

**1970 წელს ჰააგაში, მიღებული იქნა კონვენცია საპაერო ხომალდის უკანონოდ ხელში ჩაგდების წინააღმდეგ**, რომლის მიხედვითაც, დანაშაულებრივადაა გამოცხადებული ნებისმიერი პირის ქმედება<sup>261</sup>, რომელიც ფრენაში მყოფ საპაერო ხომალდზე უკანონოდ, ძალადობით, ანდა ძალადობის გამოყენების მუქარით, ანდა დაშინების სხვა ნებისმიერი ფორმით, ხელში ჩაიგდებს საპაერო ხომალდს ანდა მოიპოვებს მასზე კონტროლს, ანდა შეეცდება განახორციელოს აღნიშნული ქმედებები. კონვენციის მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ ხელმომწერმა სახელმწიფოებმა დააწესონ მკაცრი სასჯელები საპაერო ხომალდების უკანონოდ ხელში ჩაგდებთა მიმართ; დააპატიმრონ ბოროტმოქმედები მათ მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების ან ხელმომწერ სახელმწიფოში ექსტრადიციის მიზნით; მოითხოვს, რომ მხარეებმა სამართლებრივი დახმარება გაუწიონ ერთმანეთს.

**1971 წლის 23 სექტემბრის მონრეალის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ**,<sup>262</sup> მიმართულია საავიაციო საბოტაჟის წინააღმდეგ, ითვალისწინებს ისეთი ქმედებების აკრძალვას, როგორცაა ექსპლუატაციაში მყოფი საპაერო ხომალდის განადგურება ან მისი იმგვარი დაზიანება რამაც შეიძლება საპაერო ხომალდი გამოიყვანოს მწყობრიდან და საფრთხე შეექმნას მის უსაფრთხო ფრენას; საპაერო ხომალდზე მყოფი პირის მიმართ ძალადობის გამოყენებას, თუ ასეთი ძალადობა საფრთხეს უქმნის საპაერო ხომალდის უსაფრთხოებას; საპაერო ხომალდზე ისეთი მოწყობილობის ან ნივთიერების მოთავსება, რამაც შესაძლებელია ექსპლუატაციაში მყოფი ხომალდი გამოიყვანოს მწყობრიდან, დააზიანოს ან სხვაგვარად შეუქმნას საფრთხე მისი ფრენის უსაფრთხოებას. აერონავიგაციის მოწყობილობის განადგურება, დაზიანება ან არასანქცირებული ექსპლუატაცია, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საპაერო ხომალდის უსაფრთხოებას; განზრახ არასწორი ცნობების გადაცემა და ამით საპაერო ხომალდისთვის საფრთხის შექმნა.<sup>263</sup>

სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ 1971 წლის მონრეალის კონვენციას გააჩნია დამატებითი ოქმი სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო აეროპორტებში ძალადობის უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მიღებულია 1988 წლის 24 თებერვალს მონრეალში. 1988 წლის ოქმით 1971 წლის კონვენციას დაემატა 1 bis და 2 bis მუხლები. აღნიშნული დამატების თანახმად:

<sup>260</sup> იხ. <http://www.un.org/russian/terrorism/instruments.shtml>. 2011.

<sup>261</sup> იხ. <http://www.un.org/russian/terrorism/seiz.pdf>. 2011.

<sup>262</sup> იხ. [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/aviation\\_security.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/aviation_security.shtml). 2011.

<sup>263</sup> იხ. კონვენციის პირველი მუხლი. OOH A/C.6/418

[http://www.un.org/russian/documen/convents/aviation\\_security.html](http://www.un.org/russian/documen/convents/aviation_security.html). 2011.



ნებისმიერი პირი ახორციელებს ბოროტმოქმედებას, თუ ის უკანონოდ და წინასწარი განზრახვით ნებისმიერი ნაკეთობის, ნივთიერების ან იარაღის გამოყენებით:

ა) საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტში ჩაიდენს ძალადობის აქტს რომელიმე პირის მიმართ და საფრთხეს შეუქმნის, სერიოზულად დაუზიანებს ჯანმრთელობას, ან გამოიწვევს სიკვდილს;

ბ) მწყობრიდან გამოიყვანს ან სერიოზულად დააზიანებს საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის მომსახურე აეროპორტის მოწყობილობას ან ნაგებობას, ან აეროპორტში მდგომ საჰაერო ხომალდებს, რომლებიც არ იმყოფებიან ექსპლუატაციაში, ან შეაფერხებს აეროპორტის სამსახურების მუშაობას.

თუ ამგვარი აქტი საფრთხეს უქმნის ან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ აეროპორტის უსაფრთხოებას”.

კონვენციის დამატებითი ოქმის 2 bis მუხლის თანახმად, მოლაპარაკებების ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს საჭირო ზომებს 1 bis მუხლში აღწერილ ბოროტმოქმედებებზე თავისი იურისდიქციის დასადგენად, როდესაც აღნიშნული დარღვევის ჩამდენი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე და 1971 წლის კონვენციის მერვე მუხლის თანახმად, არ ხდება მისი გადაცემა სხვა ხელმომწერი სახელმწიფოსთვის.<sup>264</sup>

საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტები გაეროს კონვენციებში მოაზრებულია, როგორც საერთაშორისო ხასიათის ტერორისტული დანაშაულები. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში საჰაერო უსაფრთხოების საკითხები მხოლოდ ნაწილობრივად კრიმინალიზებული, კონვენციის მოთხოვნებთან შედარებით. საგულისხმოა, რომ საჰაერო ტრანსპორტზე კონვენციით აკრძალული ქმედებების განხორციელება საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ტერორისტული ხასიათის დანაშაულად არ ითვლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა 227-ე მუხლით ითვალისწინებს “საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება“-ს. აღნიშნული ნორმა მოცემულია საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და მის სისხლისსამართლებრივ დაცვის ობიექტს საზოგადოებრივი უშიშროება წარმოადგენს. საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის თანახმად, ობიექტური მხრივ, დანაშაული დამთავრებულია ითვლება საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მომენტიდან. “დაუფლება მართლსაწინააღმდეგოა მაშინ, როცა პირს არა აქვს მასზე კანონიერი უფლებამოსილება. მართლსაწინააღმდეგო დაუფლება შეიძლება გა-

<sup>264</sup> იხ.: კონვენციის დამატებითი ოქმის ტექსტი <http://www.un.org/russian/document/convents/airports.htm>. 2011. საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1998 წლის 25 ნოემბრის №1693 – II დადგენილებით.

ნახორციელოს როგორც შესაბამისი დაწესებულების თანამშრომელმა (მაგალითად, ავტომობილის მემანქანემ), რომელსაც მოცემულ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლება დაუფლებოდა მას, ასევე სხვა პირმა”.<sup>265</sup> საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლის შესაბამისად, დაუფლების მიზანს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ზემოდასახელებულ 1963, 1970 და 1971 წლების კონვენციებში კონკრეტულად არ არის განსაზღვრული თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს საჰაერო ხომალდის დაუფლება, თუმცა საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინებადაა მიჩნეული. ზემოაღნიშნულ კონვენციებში აქცენტი გადატანილია ქმედების შინაარსზე და იგულისხმება, რომ საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ატარებს ტერორისტული დანაშაულის ხასიათს, რაკი მსგავსი ქმედებები ძირს უთხრის “ყველა სახელმწიფოს სამოქალაქო ავიაციის ჩამოყალიბებული მოღვაწეობისადმი მსოფლიოს ხალხების რწმენას.”<sup>266</sup> საქართველოს სისხლისსამართლებრივი ნორმის მიხედვით, საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებას მაგრამ ტერორისტული ხასიათის დანაშაულად არ ითვლება. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ობიექტური მხარის და მიზნის არსებობის შემთხვევაში საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებამ შესაძლებელია ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სახე შეიძინოს.

საჰაერო ტრანსპორტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გაეროს მიერ მიღებულ კონვენციებთან შემხებლობაშია აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 222<sup>1</sup> მუხლი - სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება - რომლის მიხედვითაც დასჯადია სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების ორგანიზება დაბრკოლებების, საგუშაგოების მოწყობის გზით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია რკინიგზის, საჰაერო, წყლისა და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის შეფერხება. შემადგენლობა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილად ითვლება, თუ ზემოაღნიშნულმა ქმედებებმა მნიშვნელოვანი ზიანი, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. ნორმა არ ადგენს სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების მიზანს... აქედან გამომდინარე შესაბამისი მიზნის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნულმა ქმედებებმა ტერორისტული ხასიათი შეიძინოს და ტერორისტულ აქტად შეფასდეს.

<sup>265</sup> იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი. ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2008, გვ. 514.

<sup>266</sup> იხ. 1973 წლის კონვენციის პრეამბულა.

## 2.2.2. კონვენცია საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ და მისი დებულებების ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

1973 წლის 14 დეკემბერს ქ. ნიუ-იორკში მიღებულია კონვენცია საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ.<sup>267</sup> აღნიშნული კონვენციის მიღება განაპირობა დიპლომატიური აგენტებისა და სხვა საერთაშორისოდ დაცული პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის განსაკუთრებულმა მნიშვნელობამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საკითხებში. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ წევრი-სახელმწიფოები დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი დანაშაულების განხორციელება არის საერთაშორისო საზოგადოების ღრმა შეშფოთების მიზეზი.

კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, “საერთაშორისოდ დაცული პირის” ცნებაში იგულისხმება:

ა) სახელმწიფოს მეთაური, ისევე როგორც ამ სახელმწიფოს კონსტიტუციის მიხედვით სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციების აღმსარებლებელი კოლეგიალური ორგანოს წევრი, მთავრობის მეთაური ან საგარეო საქმეთა მინისტრი, როდესაც ნებისმიერი ასეთი პირთაგანი იმყოფება უცხო სახელმწიფოში, და მისი თანმხლები ოჯახის წევრები.

ბ) სახელმწიფოს წარმომადგენელი ან ოფიციალური პირი, ან სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციის ნებისმიერი აგენტი, რომელზეც იმ დროსა და ადგილას, როდესაც განხორციელდა თავდასხმა მასზე, მისი ოფიციალური სამყოფელის, კერძო საცხოვრებლის ან ტარნსპორტის წინააღმდეგ, ვრცელდებოდა საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული განსაკუთრებული დაცვა თავდასხმისაგან მის პიროვნებაზე, თავისუფლებასა ან ღირსებაზე ისევე, როგორც მისი ოჯახის წევრებზე.”

კონვენციით დაცული სუბიექტების ზუსტად დასადგენად, საქართველოს კონსტიტუციის გარდა, უნდა მივმართოდ ვენის 1961 წლის კონვენციას დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ<sup>268</sup>, ვენის 1963 წლის კონვენციას საკონსულო ურთიერთობათა შესახებ<sup>269</sup>, 1969 წლის კონვენციას სპეციალური მისიების შესახებ<sup>270</sup> და ვენის 1974 წლის კონვენციას სახელმწიფოების წარმომადგენლობის შესახებ მათ ურთიერთობაში უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.<sup>271</sup>

<sup>267</sup> იხ.: <http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/english-18-7.pdf>. 2011. საქართველო შეუერთდა 2003 წლის 24 სექტემბერს.

<sup>268</sup> საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1993 წლის 13 მაისის დადგენილებით.

<sup>269</sup> საქართველო შეუერთდა პარლამენტის 1993 წლის 8 ივნისის დადგენილებით.

<sup>270</sup> საქართველო შეუერთდა პარლამენტის 2005 წლის 20 მაისის დადგენილებით.

<sup>271</sup> იხ.: ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 164

კონვენციით აკრძალული ქმედების ობიექტური შემადგელობის დასადგენად უნდა მივმართოდ მეორე მუხლს, რომლის მიხედვითაც, დასჯადია განზრახ ჩადენილი:

ა) საერთაშორისოდ დაცული პირის მკვლელობა, გატაცება, ან პირადად მისი ან მისი თავისუფლების სხვა სახის ხელყოფა;

ბ) საერთაშორისოდ დაცული პირის ოფიციალურ სამყოფელზე, საცხოვრებელზე, სატრანსპორტო საშუალებაზე ძალისმიერი თავდასხმა, რაც საფრთხეს უქმნის ამ პირს ან მის თავისუფლებას;

გ) მსგავსი თავდასხმის განხორციელების მუქარა;

დ) მსგავსი თავდასხმის განხორციელების მცდელობა;

ე) ნებისმიერი მსგავსი დანაშაულის განხორციელებაში თანამონაწილეობის აქტი, განხილულ უნდა იქნას კონვენციის ყოველი წევრი-სახელმწიფოს მიერ როგორც დანაშაული, მისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა XXXVIII თავში გათვალისწინებულია საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმის ამკრძალავ ნორმა (სსკ-ის 326-ე მუხლი). სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, ამ ნორმის თანახმად, არის საერთაშორისო მშვიდობა და სახელმწიფოთა შორის ნორმალური თანაარსებობა. ტეროლოგიაში ცნობილია, რომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე განხორციელებულ თავდასხმებს თან უდიდესი პროვოკაციული ეფექტი ახლავს.

ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ნორმის დამატებით დაცვის ობიექტს თვითონ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე უცხო ქვეყნის წარმომადგენლის, საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლის, აგრეთვე აღნიშნული პირების ოჯახის წევრის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან საკუთრება წარმოადგენს.

ობიექტურად დანაშაული ხორციელდება საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირებზე, დიპლომატიურ აგენტებზე, საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლებზე თავდასხმით, მათი ან მათი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფით.

სუბიექტური მხარე, მხოლოდ განზრახია და სპეციალურ მიზანს მოიცავს - საერთაშორისო გართულების გამოწვევა. დანაშაული შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე სხვა ნებისმიერი პოლიტიკური მოტივით. ნორმით აკრძალული ქმედების განხორციელება შეუძლია ნებისმიერ სისხლის სამართლის სუბიექტს.

კონვენციის მეორე მუხლის თანახმად, დასჯადადაა მიჩნეული განზრახ ჩადენილი შემდეგი ქმედებები: საერთაშორისოდ დაცული პირის მკვლელობა, გატაცება და მისი თავისუფლების სხვაგვარი ხელყოფა. დაისმის

კითხვა: საქართველოს სსკ-ის 326-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული მოიზრებს თუ არა შემადგენლობაში მსგავს ქმედებებს. საგულისხმოა, რომ საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე თავდასხმის შემადგენლობა დამთავრებულია თავდასხმის ობიექტურად განხორციელების მომენტიდან. რაც შეეხება კონვენციაში დამატებით დასახელებულ ქმედებებს, როგორცაა მკვლელობა და თავისუფლების ნებისმიერ სახის ხელყოფა, დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის (სსკ-ის 109 მუხ.), თავისუფლების უკანონო აღკვეთის (სსკ-ის 143-ე მუხ.), მძევლად ხელში ჩაგდების (სსკ-ის 144-ე მუხ.), ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების (სსკ-ის 329-ე მუხ.) და სხვა დანაშაულთა შემადგენლობებით.

ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ რეაგირება მოახდინონ კონვენციით აკრძალულ ქმედებებზე:

ა) როდესაც დანაშაული ჩადენილია იქნა ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ან ამ სახელმწიფოში რეგისტრირებული საზღვაო ან საჰაერო ხომალდის ბორტზე;

ბ) როდესაც სავარაუდო დამნაშავე არის ამ სახელმწიფოს მოქალაქე;

გ) როდესაც დანაშაული ჩადენილია 1-ლი მუხლის მიხედვით საერთაშორისოდ დაცული პირის წინააღმდეგ, რომელიც სარგებლობს ამ სტატუსით გამომდინარე ფუნქციებიდან, რომლებსაც იგი ასრულებს ამ სახელმწიფოს სახელით.

კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებები აკრძალული ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, რომელთაგან აღსანიშნავია:

1. სახელმწიფოთა ვალდებულება მიიღონ ყველა ზომა როგორც საკუთარ საზღვრებს შიგნით, ისე მის გარეთ კონვენციაში აღწერილი დანაშაულობების მოსამზადებელ სტადიაზე აღკვეთის მიზნით;<sup>272</sup>

2. ხელმომწერ სახელმწიფოთა ვალდებულება გაცვალონ ინფორმაცია და ურთიერთკოორდინირებულად განახორციელონ კონვენციით აღწერილი დანაშაულების აღკვეთის მიზნით წარმოებული ღონისძიებები;

3. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო თვლის, რომ სავარაუდო დამნაშავე გაიქცა მისი ტერიტორიიდან, იგი ვალდებულია შეატყობინოს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოს უშუალოდ ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და სავარაუდო დამნაშავეს ვინაობის შესახებ არსებული ინფორმაცია.<sup>273</sup>

<sup>272</sup> იხ. საერთაშორისოდ დაცული პირების წინააღმდეგ დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ კონვენციის მეოთხე მუხლი.

<sup>273</sup> იხ. დასახელებული კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილი.

კონვენციაში სხვა თემებთან ერთად აგრეთვე განსაზღვრულია რეგულაციის ფარგლები, ზოგადპროცესუალური ასპექტები, პროფილაქტიკური ღონისძიებები აკრძალული ქმედებების თავიდან ასაცილებლად და სახელმწიფოთა შორის ურთიერთთანამშრომლობის საკითხები დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენ პირთა დასჯასთან დაკავშირებით.

### 2.2.3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ და მისი დებულებების ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

საერთაშორისო კონვენცია მძევლების აყვანის წინააღმდეგ მიღებული იქნა 1979 წელს ნიუ-იორკში. საქართველო აღნიშნულ კონვენციას შეუერთდა 2003 წლის 24 სექტემბერს. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ყველას აქვს სიცოცხლის, პირადი თავსუფლებისა და უსაფრთხოების უფლება როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა და საერთაშორისო შეთანხმებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ.

მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, მძევლად ხელში ჩაგდება სახეზეა როდესაც: “ნებისმიერი პირი, რომელიც შეიპყრობს ან ატყვევებს და ემუქრება მოკვლით, დაზიანებით ან ტყვეობაში ყოფნით სხვა პირს (შემდეგში „მძევალი“) რათა აიძულოს მესამე მხარე, კერძოდ კი, სახელმწიფო, საერთაშორისო სამთავრობოთშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან პირთა ჯგუფი, განახორციელოს ქმედება, ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისაგან, მძევლის გათავსუფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი პირობებით, ახორციელებს მძევლად აყვანის დანაშაულს („მძევლად აყვანა“).”<sup>274</sup>

კონვენციით მოცემული დეფინიციის თანახმად, მძევლად ხელში აყვანა ხორციელდება გარკვეული ხერხებით. კერძოდ, შეპყრობით, დატყვევებით, რომელსაც თან ახლავს სიცოცხლის განადგურების, დაზიანებით (უნდა ვიგულისხმოთ როგორც ჯანმრთელობის, ისე ქონების დაზიანების), ან ტყვეობაში ყოფნის მუქარა.

კონვენციის თანახმად, მძევლად ხელში ჩაგდებისას გამოკვეთილია სამი მხარე: მძევლად ხელში ჩამგდები, მძევალი და მესამე პირები, რომლებიც იძულებას განიცდიან მძევლის გათავსუფლების პირობის სანაცვლოდ. მესამე პირები, ანუ მძევლად ხელში ჩამგდებთა მოთხოვნის ადრესატები, კონვენციაში დეტალურადაა გაწერილი, რომლებსაც წარმოადგენენ “სახელმწიფო, საერთაშორისო სამთავრობოთშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან პირთა ჯგუფი.”<sup>275</sup> მესამე პირების მიმართ

<sup>274</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი. <http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/english-18-5.pdf>. 2011.

<sup>275</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პირველი მუხლი. <http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/english-18-5.pdf>. 2011.

წასაყენებელ შესაძლო მოთხოვნებად კონვენცია ასახელებს გარკვეული ქმედების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას.

კონვენციის პრეამბულის მიხედვით, მძევლად აყვანის ყველა აქტი მიიჩნევა საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინებად.<sup>276</sup> თუმცა შემდგომ კონვენციის ტექსტში მე-13 მუხლი აზუსტებს კონვენციის მოქმედების ფარგლებს,<sup>277</sup> რომლის მიხედვითაც, „წინამდებარე კონვენცია არ მოქმედებს, როდესაც დანაშაული ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, მძევალი და სავარაუდო დამნაშავე არიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები და სავარაუდო დამნაშავე ნაპოვნია ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე“. მე-13 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საერთაშორისო ტერორიზმად არ ითვლება და კონვენციის რეგულაციის ფარგლებს გარეთაა ის შემთხვევა, როდესაც მძევლად ხელში ჩაგდება ერთი ქვეყნის ფარგლებს არ სცდება, რადგანაც ტერორისტული ხასიათის დანაშაული ყოველთვის არ ატარებს საერთაშორისო ხასიათს. ერთი ქვეყნის ფარგლებში ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდება, კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად, არ განიხილება საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლენად და წარმოადგენს არა საერთაშორისო, არამედ შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციის საგანს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ “როგორც დანაშაულთან ბრძოლის პრაქტიკა ცხადყოფს, მძევლად აყვანის ყველა ფაქტი ვერ “აღწევს” ტერორიზმამდე”<sup>278</sup> და ასეთად არ უნდა ჩაითვალოს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, მძევლად ხელში ჩაგდება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ტერორისტული ხასიათის დანაშაულს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მძევლად ხელში ჩაგდების ორ შემადგენლობას ითვალისწინებს 144-ე და 329-ე მუხლებში. 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მძევლად ხელში ჩაგდება, მოთავსებულია საქართველოს სსკ-ის XXIII თავში (დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ), რომლის გვარეობით დაცვის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. თვითონ ნორმის სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ადამიანის პირადი თავისუფლება და უშიშროებაა, ხოლო ფაკულტატურ ობიექტს წარმოადგენს ცალკეულ ორგანიზაციათა ნორმალური მუშაობა, ადამიანის ღირსება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა.<sup>279</sup>

ტერორისტული ხასიათის მძევლად ხელში ჩაგდება, ანუ სსკ-ის 329-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით, მოთავსებულია საქართველოს სსკ-ის XXXVIII თავში, რომელიც მიმართულია ტერორიზმის წინააღმდეგ და რომლის გვარეობით, დაცვის ობიექტს სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილება და

<sup>276</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პრეამბულა. <http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/english-18-5.pdf>. 2011.

<sup>277</sup> იხ. Е.Г. Ляхов, Терроризм и межгосударственные отношения. – М.: «Международные отношения», 1991. с.77.

<sup>278</sup> იხ. В. П. Емельянов, Терроризм и преступления с признаками терроризирования дис. на соискание ученой степени доктора юридических наук, М., 2001, с.37.

<sup>279</sup> იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი. ავტორთა კოლექტივი. გამოცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2008, გვ. 229.

უშიშროების საფუძვლები წარმოადგენს. ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს, ადამიანის პირადი თავისუფლებისა და უშიშროების გარდა, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები წარმოადგენს, ვინაიდან, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა მოწმობს, ტერორისტული მიზნით მძევლების აყვანას სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია სახელმწიფოსათვის საერთაშორისო ურთიერთობებში, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის შიდა სტაბილურობაზე.<sup>280</sup>

სქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, ისევე როგორც სხვა მრავალი პოსტსაბჭოური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში, მძევლად ხელში ჩაგდების ორი შემადგენლობა ერთმანეთისაგან მძევლად ხელში ჩამგდებთა მოთხოვნის ადრესატებით იმიჯნება ერთმანეთისგან.<sup>281</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, თუ ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების დროს ბოროტმოქმედთა მოთხოვნის ადრესატი შეიძლება იყოს სახელმწიფო, საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაცია, რათა მძევლის გათავისუფლების პირობით შეასრულონ ან თავი შეიკავონ გარკვეული მოქმედების განხორციელებისაგან, სსკ-ის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართული თავით გათვალისწინებული მძევლად ხელში ჩაგდების ადრესატები შესაძლებელია იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ადრესატების მიხედვით, მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულის დაყოფა ტერორისტულ და მიმდინარე ხასიათის დანაშაულებად ფორმალურია და კლასიფიკაციის დრმა საფუძველი არ გააჩნია. ტერორიზმთან ბრძოლის ისტორიაში ცნობილია, რომ ხშირად ტერორისტული ორგანიზაციები მძევლების გათავისუფლების პირობით აიძულებენ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს გარკვეული მოქმედების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას. ტერორიზმთან ბრძოლის მსოფლიო პრაქტიკაში, იმის მიუხედავად, რომ მოთხოვნის ადრესატები ფიზიკური ან იურიდიულ პირები არიან, აღნიშნული დანაშაულები სამართლიანად შეფასებულა ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდებად.

მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ თვითონ კონვენციის თანახმად, ტერორისტული ხასიათის მძევლად ხელში ჩაგდების ადრესატები შესაძლებელია იყვნენ “სახელმწიფო, საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან პირთა ჯგუფი”. კონვენციის მიხედვით, ფიზიკურ ან იურიდიულ, ან პირთა ჯგუფზე მიმართული მოთხოვნა შესაბამისი შინაარსობრივი დატვირთვის შემთხვევაში საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინებად ითვლება, განსხვავებით საქართველოს და მრავალი პოსტსაბჭოური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონებისგან, რომლებიც მოთხოვნის ადრესატების მიხედვით განასხვავებენ ტერორისტული ხასიათის დანაშაულს მიმდინარე დანაშაულისგან. ცხა-

<sup>280</sup> იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე. ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2009, გვ. 112

<sup>281</sup> მძევლად ხელში ჩაგდების შემადგენლობების გამოჯვნის საფუძვლების შესახებ გამოთქმულია სხვა მოსაზრებებიც, იხ: მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი, დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2002, გვ. 95-96



დია, რომ ყველა მძევლად ხელში ჩაგდება არ წარმოადგენს ტერორისტული ხასიათის დანაშაულს და მით უფრო საერთაშორისო ტერორიზმის გამოვლინებას და ნორმატიულად უნდა არსებობდეს აღნიშნულის გამიჯვნის საფუძველი, თუმცა მხოლოდ მოთხოვნის ადრესატების კრიტერიუმი კლასიფიკაციის საფუძველად მოვლენის შინაარსობრივ წვდომაზე ვერ მიუთითებს.

**მძევლად ხელში ჩაგდება შესაძლებელია ჩაითვალოს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად, თუნდაც ბოროტმოქმედთა მოთხოვნის ადრესარტი უნდა იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მაგრამ ქმედება მიმართული იყოს სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა ინტერესების წინააღმდეგ.**

ტერორისტული მიზნით მძევლად ხელში ჩაგდების ნორმაში (საქართველოს სსკ-ის 329-ე მუხ.), არ არის გამიჯნული მძევლად ხელში ჩაგდების რომელი ფორმა მიეკუთვნება საერთაშორისო და რომელი შიდასახელმწიფოებრივ ტერორიზმს. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აღნიშნული ზღვარი არ არის გავლებული და მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით დანაშაულის ერთ შემადგენლობაში მოიაზრებს მის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ გამოვლინებას, მაგრამ 2003 წელს მძევლების აყვანის წინააღმდეგ კონვენციის რატიფიცირებით საქართველოს კანონმდებელი დაეთანხმა მის შინაარსობრივ მხარეს. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის ნორმები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მართალია, საერთაშორისო ტერორიზმის განსაზღვრება პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ დადგენილი წესით რატიფიცირებული კონვენციების შინაარსიდან გამომდინარეობს.

**ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მძევლების აყვანის წინააღმდეგ კონვენციის მოქმედება ვრცელდება მძევლად ხელში ჩაგდების საქართველოს სსკ-ის 329 –ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობაზე. ამასთან, ამავე შემადგენლობით გათვალისწინებული ქმედების მხოლოდ საერთაშორისო გამოვლინებაზე.**

კონვენცია პირველი მუხლის მეორე ნაწილის “ა” ქვეპუნქტის მიხედვით დასჯადია მძევლად აყვანის მცდელობა. აღნიშნული კი, დაუმთავრებელი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკმაოდ საინტერესო პრეცედენტი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მძევლად აყვანა ფორმალური ხასიათის დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება არა რაიმე მძიმე შედეგის დადგომიდან, არამედ ქმედების განხორციელების (მძევლის ხელში ჩაგდების) მომენტიდან, ლოგიკურია, რომ კონვენციის მიხედვით, დასჯადადაა აღიარებული დაუმთავრებელი მცდელობა. სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია, რომ დამთავრებული მცდელობა დანაშაულის უშედეგო შემადგენლობას არ ახასიათებს, რადგანაც დამთავრებული მცდელობის სტადია დამთავრებული დანაშაულის სტადია

ას შემთხვევა. მსგავს შემადგენლობებს შეიძლება ახასიათებდეს მხოლოდ მომზადების და დაუმთავრებელი მცდელობის სტადია. დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობებში დაუმთავრებელი მცდელობის არსებობის შესაძლებლობას ბევრი ავტორი არ იზიარებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თვითონ კონვენციამ განსაზღვრა მცდელობის დასჯადობის საჭიროება ისეთ ფორმალურ დანაშაულში, როგორცაა მძევლად ხელში ჩაგდება.

კონვენციის პირველი მუხლის მეორე ნაწილის “ხ” ქვეპუნქტის მიხედვით, დასჯადია აცხადებს მძევლად აყვანაში თანამონაწილეობა, რაც გამოხატულია “თანამზრახველი”-ს ცნებით. “თანამზრახველი”-ს ცნებაში შეიძლება მოვიანროთ თანამონაწილეობისა და თანამსრულებლობის ფორმები. ასევე ჯგუფური დანაშაულის სამივე სახე: წინასწარ შეუთანხმებელი, წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული. კონვენცია თანამზრახველობის ზოგად ცნებას ადგენს, რომელშიც დანაშაულის ჩადენაში ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობის ყველა ფორმას გულისხმობს.

კონვენციის მესამე მუხლის თანახმად, დატყვევებული მძევლის მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად, ხელმომწერი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა მძევლის გათავისუფლებისათვის, ხოლო გათავისუფლების შემდეგ, შესაბამის შემთხვევებში, ხელი შეუწყოს მის გამგზავრებას მშობლიურ ქვეყანაში. ამასთან, დაიცვას მძევლის საკუთრება, რომლის ხელყოფის საფრთხეც შეიქმნა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით. კონვენცია მოუწოდებს ხელმომწერ სახელმწიფოებს განავითარონ საერთაშორისო თანამშრომლობა მძევლად აყვანის ყველა აქტის გამოვლენის, აღკვეთის, განსჯისა და დასჯის მიზნით.<sup>282</sup> პრინციპზე “გაასამართლე ან გადაეცი” განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აქაც, ისევე როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ სხვა კონვენციებში.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც ავალდებულებს სახელმწიფოებს თავიანთ ტერიტორიებზე აღკვეთონ მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულისთვის მზადება, რომლის ჩადენაც შესაძლებელია გამიზნული იყოს არა მხოლოდ მათ ტერიტორიაზე, არამედ მათი ტერიტორიის გარეთაც, ანუ კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს და აღკვეთოს მძევლად ხელში ჩაგდებისთვის მზადება იმ შემთხვევაშიც, თუ დანაშაული უშუალოდ მას საფრთხეს არ უქმნის.

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, მოცემული ვალდებულება კონვენციაში შეტანილია იუგოსლავიის წინადადებით, რადგან იგი საკმაოდ მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა იმ ანტიიუგოსლავიური ჯგუფების დანაშაულებრივი საქმიანობის გამო, რომლებმაც მის მეზობელ სახელმწიფოებში მონახეს თავშესაფარი.<sup>283</sup> იუგოსლავიის შემთხვევას, როდესაც ერთი

<sup>282</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენციის პრეამბულა.  
<http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/english-18-5.pdf>

<sup>283</sup> იხ. Е.Г. Ляхов, Терроризм и межгосударственные отношения, М., «Международные отношения», 1991, с.78

ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედ დაჯგუფებებს სხვა ქვეყნები მფარველობენ, ან თავშესაფარს აძლევენ ცოტა მოგვიანებით სახელმწიფოებრივად ხელშეწყობილი ტერორიზმი ეწოდა საერთაშორისო დოკუმენტებში<sup>284</sup> და დოქტრინაში<sup>285</sup>. მეოთხე მუხლის თანახმად, კონვენცია ზოგადად ავალდებულებს სახელმწიფოებს საკუთარ ტერიტორიაზე აღკვეთონ მძევლად ხელში ჩაგდების მზადება, როდესაც დანაშაული სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელდეს. აღნიშნული ზოგადი დათქმიდან გამომდინარეობს, რომ იკრძალება მძევლად ხელში ჩაგდების ხელშეწყობა, ან მარტივად რომ ვთქვათ, ტერორიზმის ხელშეწყობა სხვა სახელმწიფოს მიმართ. უფრო მეტიც, კონვენცია ავალდებულებს ხელმძღვანელ მხარეებს არამხოლოდ თვითონ არ შეუწყონ ხელი მსგავსი ქმედების ჩამდენთ, არამედ აღნიშნული მოვლენის საკუთარ ტერიტორიაზე აღმოჩენის შემთხვევაში, აქტიურად ჩაერთონ დამნაშავეთა გამოსავლენად და დასასჯელად. გამოთქმულია კრიტიკული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კონვენციის მეოთხე მუხლის ამგვარი მოთხოვნა სამომავლოდ შეზღუდავდა რევოლუციურ და გამათავისუფლებელ მოძრაობებს და ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით მოხდებოდა აღნიშნული მოძრაობების ჩახშობა.<sup>286</sup>

აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით იქიდან გამომდინარე, რომ რევოლუციური და გამათავისუფლებელი მოძრაობები თავისი შინაარსით, სოციალურ-სამართლებრივი ბუნებით კარდინალურად განსხვავდება ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისგან. ამასთან, ამა თუ იმ დაინტერესებულმა სახელმწიფომ შესაძლებელია უგულვებლყოს ობიექტური ვითარება და თავისი რეალპოლიტიკური მიზნების შესაბამისად, სხვადასხვა საბაბი გამოიყენოს გამათავისუფლებელი მოძრაობების ჩახახშობად და არდვიოს რა საერთაშორისო, მორალური და ისტორიული კანონზომიერების ნორმები. კონვენციაში ჩადებული მართებული დებულების დამახინჯებულად გამოყენების საფრთხე არ წარმოადგენს იმის საფუძველს რომ აღნიშნული მართებული დებულება არ იქნეს შემუშავებული და მიღებული. კონვენციის მეოთხე მუხლის დათქმა სხვადასხვა ფორმის სახელმწიფოებრივად ხელშეწყობილი ტერორიზმის აკრძალვის წარმატებულ ცდად მიგვაჩნია, რაც იმ პერიოდისთვის ნამდვილად პროგრესულ ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული.<sup>287</sup>

<sup>284</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1970 წელი, რეზოლუცია # A/RES/39/159. 2004.

<sup>285</sup> იხ.: G. J. Schamis, *War and Terrorism in international Affairs*, New Brunswick, 1980, pp. 35-38; P. Wilkinson, *Terrorism and the Liberal State*. New York: John Wiley & Sons, Halstead Press, 1977, p. 179; B. M. Jenkins, *Combatting Terrorism Becomes a War*, Rand Corp., Santa Monica, 1984. p.7; R. J. Erikson. *Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism*, Air University Press Maxwell Air Force Base, 1989, p.15.

<sup>286</sup> იხ. Е.Г. Ляхов, *Терроризм и межгосударственные отношения*. – М., «Международные отношения», 1991. с.78.

<sup>287</sup> იხ. მძევლების აყვანის წინააღმდეგ საერთაშორისო კონვენცია, მუხლი 4

“წევრი-სახელმწიფოები თანამშრომლობენ 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებების აღკვეთისათვის, კერძოდ კი:

ა) იღებენ ყველა პრაქტიკულად განხორციელებად ზომას თავიანთ შესაბამის ტერიტორიებზე, რათა აღკვეთონ მათ ტერიტორიებზე ან ტერიტორიებს გარეთ ამ დანაშაულებების ჩადენის მზადება, თავიანთ ტერიტორიებზე იმ პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების საქმიანობის აღკვეთისათვის ზომების მიღების ჩათვლით, რომლებიც წაახალისებენ,

კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, “არაფერი წინამდებარე კონვენციაში არ შეიძლება განიმარტოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფის გასამართლებლად.”

მე-14 მუხლის დებულება კონვენციას დაემატა განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნით, როგორც დაცვის დამატებითი ბერკეტი, რათა მძევლების გათავისუფლების ყალბი მიზეზით არ მომხდარიყო მათ ქვეყანაში შეჭრა, სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევა და საერთაშორისო კონფლიქტში ჩათრევა.<sup>288</sup> აღნიშნული ნორმა სახელმწიფო ტერორიზმის აკრძალვას ითვალისწინებს. სახელმწიფო ტერორიზმის ამკრძალავი მსგავსი დებულებები მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამართლებრივ დატვირთვას ატარებს, რადგან მძევლების აყვანის აკრძალვის შესახებ კონვენციის მიღების პერიოდისთვის, 1979 წელს სახელმწიფო ტერორიზმის ცალკე საფრთხედ ამგვარად გამოყოფა და აკრძალვა პროგრესულ ნაბიჯს წარმოადგენდა საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

#### 2.2.4. საერთაშორისო ნორმები ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ და მათი ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენცია 1980 წლის 3 მარტს იქნა მიღებული<sup>289</sup>. კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს უფლება “განავითაროს და გამოიყენოს ბირთვული ენერჯია მშვიდობიანი მიზნებისთვის.” ბირთვული ენერჯიის მშვიდობიანი მიზნებისთვის ექსპლუატაცია საერთაშორისო საზოგადოების საზრუნავს შეადგენს, რადგანაც არსებობს ბირთვული ნივთიერებების უკანონოდ ხელში ჩაგდების და გამოყენების საფრთხე.

კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ბირთვულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაული ეფექტურად აღკვეთონ, გამოააშკარაონ და დასაჯონ; დაიცვან ბირთვული ნივთიერებები ქვეყნის შიგნით გამოყენების, შენახვის და ტრანსპორტირებისას; ხელი შეუწყონ აღნიშნული ნივთიერებების უსაფრთხო გადაადგილებას.

კონვენცია პირველ მუხლში განმარტავს თუ რა სახის ნივთიერებები წარმოადგენს ბირთვულს, ადგენს რა ხელყოფის საგანს.<sup>290</sup> მეორე მუხლის მი-

---

უბიძგებენ, აწყობენ (მძევლად აყვანის აქტებს) ან მონაწილეობენ მძევლად აყვანის აქტების მზადებაში.”

<sup>288</sup> იხ. Е.Г. Ляхов, Терроризм и межгосударственные отношения. – М.: «Международные отношения», 1991, с. 81.

<sup>289</sup> იხ. <http://treaties.un.org/doc/db/Terrorism/Conv6-english.pdf>, 2011.

<sup>290</sup> ა) “ბირთვული ნივთიერება” აღნიშნავს პლუტონიუმს, გარდა პლუტონიუმისა პლუტონიუმ 238-ის 80%-ზე მეტი იზოტოპური კონცენტრაციით; ურან-233-ს, ურანს, გამდიდრებულს 235 ან 233 იზოტოპებით; ურანს, იზოტოპების ნარევით, როგორც მოიპოვება

ხედვით კონვენციის რეგულირების სფეროშია ბირთვული ნივთიერებების ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება მშვიდობიანი მიზნებისთვის, ქვეყნის შიგნით მოხმარების, შენახვის ან ტრანსპორტირებისას ანდა იმყოფება საერთაშორისო გადაზიდვის პროცესში.

კონვენცია ადგენს ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის დონეებს და დაცვის სტანდარტს, ავალდებულებს სახელმწიფოებს, ბირთვული ნივთიერებების საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით გადაადგილებისას, დაიცვან კონვენციით განსაზღვრული უსაფრთხოების ზომები. კონვენციის მესამე და მეოთხე მუხლების მოთხოვნის თანახმად, საერთაშორისო გადაზიდვამდე, როგორც ექსპორტიორი, ისე იმპორტიორი და, აგრეთვე, ტრანზიტული ქვეყანა, ვალდებულია დარწმუნდეს, რომ დაცული იქნება ბირთვული ნივთიერებების კონვენციის პირველი დანართით დადგენილი ფიზიკური დაცვის სტანდარტი.

კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, განსაზღვრონ ბირთვულ უსაფრთხოებაზე ზედამხედველი ორგანო და უშუალოდ, ან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მეშვეობით ითანამშრომლონ ერთმანეთთან “ბირთვული ნივთიერებების მოპარვის, გატაცების, ან ნივთიერების სხვა უკანონო გზით ხელში ჩაგდების ან ასეთი ქმედებების რეალური საფრთხის შემთხვევაში.”<sup>291</sup> კონვენცია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ორ ძირითად მეთოდს გამოყოფს:

1. წევრ სახელმწიფოთა შორის დროული შეტყობინება ბირთვული ნივთიერებების დანაშაულებრივი ხელყოფის ან აღნიშნული ხელყოფის საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში;
2. წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის უერთიერთგაცვლა.<sup>292</sup>

კონვენცია არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებს, ექსტრადაციის საკითხებს და ა.შ. განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს კონვენციის დანართები, რომელთაგან პირველი დანართი ბირთვული ნივთიერებების განსხვავებული ჯგუფებისთვის ფიზიკური უსაფრთხოების სამ დიფერენცირებულ დონეს ადგენს, ხოლო მეორე, ბირთვული ნივთიერებების კლასიფიკაციას ახდენს.

ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ნორმატიული ინსტრუმენტებიდან აღსანიშნავია გაეროს 2005 წლის 13 აპრილის კონვენცია “ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ”.<sup>293</sup> კონ-

---

ბუნებაში, გარდა მადნის ან მადნის ნარჩენებისა; აგრეთვე ნებისმიერ ნივთიერებას, რომელიც შეიცავს ზემოაღნიშნულიდან ერთს ან მეტს;

ბ) “235 ან 233 იზოტოპები გამდიდრებული ურანი” აღნიშნავს ურანს, რომელიც შეიცავს ურან-235 ან ურან-233 იზოტოპებს, ან ორივეს ერთად ისეთი რაოდენობით, რომ ამ იზოტოპების ჯამის ჭარბი წილი იზოტოპ ურან-238-თან შედარებით, მეტია ვიდრე იზოტოპ 235-ის წილი იზოტოპ 238-თან შედარებით ბუნებრივ პირობებში.

<sup>291</sup> იხ. კონვენციის მეხუთე მუხლი.

<sup>292</sup> იხ. იქვე

<sup>293</sup> საქართველო შეუერთდა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 6 აპრილის ბრძანებულებით. კონვენციის ტექსტი ხელმისაწვდომია ინტერნეტ მისამართზე:

[http://www.un.org/russian/documents/instruments/docs\\_ru.asp](http://www.un.org/russian/documents/instruments/docs_ru.asp). 2011.

ვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ბირთვული ტერორიზმის აქტებმა შესაძლებელია გამოიწვიოს მძიმე შედეგები და საფრთხე შეუქმნას საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას. ხელმომწერი სახელმწიფოები აღნიშნავენ აგრეთვე, რომ არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ბირთვული ტერორიზმის საფრთხე არ არის შეფასებული სათანადო დონეზე და შესაბამისად, აუცილებლად მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოებმა შეიმუშაონ ეფექტური პრაქტიკული ზომები მსგავსი ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებლად, დამნაშავე პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად და მათ დასასჯელად.

კონვენციის მეორე მუხლის თანახმად:

1) ბირთვული ტერორიზმის ჩადენისთვის დაისჯება ნებისმიერი პირი, თუ იგი უკანონოდ და განზრახ:

a) ფლობს რადიოაქტიურ ნივთიერებას, ან ამზადებს რადიოაქტიურ იარაღს ანდა ფლობს აღნიშნულ იარაღს:

- სიკვდილის გამოწვევის ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით;
- გარემოს დაბინძურების ან საკუთრების ხელყოფის მიზნით.

b) იყენებს რადიოაქტიურ ნივთიერებას ან რადიოაქტიურ იარაღს ნებისმიერი ფორმით ანდა იყენებს ან აზიანებს ბირთვულ ობიექტს იმგვარად, რომ ხდება რადიოაქტიური ნივთიერებების გამოთავისუფლება ანდა იქმნება ამგვარი გამონთავისუფლების საფრთხე;

- სიკვდილის გამოწვევის ან ჯანმრთელობის დაზიანების მიზნით;
- გარემოს დაბინძურების ან საკუთრების ხელყოფის მიზნით;
- რათა აიძულონ ფიზიკური ან იურიდიული პირი, საერთაშორისო ორგანიზაცია ანდა სახელმწიფო განახორციელოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისი განხორციელებისგან.

2) ბირთვული ტერორიზმის აქტს სჩადის პირი, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც:

a) ახორციელებს მეორე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ქმედებების ჩადენის მუქარას. ამასთან, მუქარა არის რეალური;

b) უკანონოდ და განზრახ მოითხოვს რადიოაქტიურ ნივთიერებას, რადიოაქტიურ იარაღს, ან ბირთვულ ობიექტს, აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იყენებს ძალადობას ან გამოხატავს ძალადობის გამოყენების მუქარას და არსებობს მუქარის განხორციელების რეალური საფრთხე.

3) ბირთვული ტერორიზმისთვის პასუხს აგებს აგრეთვე პირი მეორე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაუმთავრებელი დანაშაულისთვის.

4) ბირთვული ტერორიზმისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება პირს:

a) მეორე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის;

b) თუ ორგანიზებას უწევს ან ხელმძღვანელობს აღნიშნული დანა-

შაულის ჩადენას;

c) რომელიც ნებისმიერი სხვა ფორმით ხელს უწყობს კონვენციის მეორე მუხლის პირველი, მეორე ან მესამე ნაწილებით გათვალისწინებული ერთიანი მიზნით მოქმედი ჯგუფის მიერ ერთი ან მეტი დანაშაულის ჩადენას...

მესამე მუხლის თანახმად, კონვენცია გამოიყენება მხოლოდ ბირთვული ტერორიზმის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის გამოვლინების დროს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია ერთ სახელმწიფოში, სავარაუდო დამნაშავე და დაზარალებულიც წარმოადგენენ აღნიშნული სახელმწიფოს მოქალაქეებს, ან სავარაუდო დამნაშავე ნაპოვნია აღნიშნული სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მოცემული კონვენცია არ გამოიყენება.

კონვენციის მეცხრე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს სახელმწიფოთა იურისდიქციის ფარგლებს კონვენციით აკრძალული ქმედებების გამოვლენის დროს:

1. წევრი სახელმწიფო ახორციელებს თავის იურისდიქციას ბირთვული ტერორიზმის საერთაშორისო გამოვლინებებზე იმ შემთხვევაში, როდესაც:

- a) დანაშაული ჩადენილია მის ტერიტორიაზე;
- b) დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს ალმის ქვეშ მფრინავ ან მცურავ ხომალდზე;
- c) დანაშაული ჩადენილია ამ სახელმწიფოს მოქალაქის მიერ.

2. წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაავრცელოს თავისი იურისდიქცია იმ შემთხვევებშიც, როცა:

- a) დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს მოქალაქის წინააღმდეგ;
- b) დანაშაული ჩადენილია მოცემული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ განლაგებული სამთავრობო ობიექტების წინააღმდეგ, საელჩოების, საკონსულოების და სხვა სახის დიპლომატიური წარმომადგენლობის ჩათვლით;
- c) დანაშაული ჩადენილია მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ სახელმწიფოში;
- d) დანაშაული ჩადენილია, რათა აიძულონ მოცემული სახელმწიფო განახორციელოს გარკვეული მოქმედება ანდა თავი შეიკავოს მისი განხორციელებისგან;
- e) დანაშაული ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციაში მყოფ საჰაერო ხომალდზე.

სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები, რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფოები ახორციელებენ თავიანთ იურისდიქციას ქვეყნის შიგნით და ზოგიერთ შემთხვევაში მის გარეთაც.<sup>294</sup> საგულისხმოა, რომ კონვენცია, უკვე ცნობილ პრინციპებთან ერთად ითვალისწინებს ისეთ კერძო შემთხვევებს, როგორცაა:

<sup>294</sup> იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი 2010, გვ. 43-54.

“დანაშაული ჩადენილია, რათა აიძულონ მოცემული სახელმწიფო განახორციელოს გარკვეული მოქმედება ანდა თავი შეიკავოს მისი განხორციელებისგან” და “დანაშაული ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციაში მყოფ საჯარო ხომალდზე.” აღნიშნული პრინციპები ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. კონვენციის თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს თავისი იურისდიქცია იმ შემთხვევებზეც, როდესაც ის ტერორისტების ულტიმატუმის ადრესატს წარმოადგენს ან თავდასხმა განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლების მფლობელობაში მყოფ საჯარო ხომალდზე. შესაძლებელია ტერორისტთა ხელყოფის ობიექტი იყოს ერთი სახელმწიფო, ხოლო მოთხოვნის ადრესატს მეორე სახელმწიფო წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში იკვეთება სამი სუბიექტი: ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩამდენი, მსხვერპლი სახელმწიფო და მოთხოვნის (ტერორისტთა ულტიმატუმის) ადრესატი სახელმწიფო. ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციის შესაბამისად, მოთხოვნის ადრესატ სახელმწიფოსაც, იმის მიუხედავად, ობიექტურად განიცადა თუ არა ზიანი ან შეექმნა აღნიშნული ზიანის საფრთხე, შეუძლია ტერორისტული ხასიათის დანაშაულზე თავისი იურისდიქცია გაავრცელოს. კონვენციის მსგავსი დათქმა შეიძლება საერთაშორისო სისხლის სამართლის დაცვის პრინციპის სპეციალურ შემთხვევად ჩაითვალოს.

საჯარო ხომალდი შესაძლებელია ემსახურებოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლებას, იყოს მათ სარგებლობასა ან მფლობელობაში, მაგრამ არ წარმოადგენდეს მოცემული ქვეყნის აღმის ქვეშ მფრინავ საშუალებას. კონვენციის მიხედვით, აღნიშნული ტიპის საჯარო ხომალდებზეც ვრცელდება მფლობელი ან მოსარგებლე სახელმწიფოს იურისდიქცია. კონვენციის მეცხრე მუხლის მეორე ნაწილის “ე” ქვეპუნქტში აღწერილი ზემოაღნიშნული პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში ცნობილი “სახელმწიფოს აღმის პრინციპის” ან უფრო ზოგადად “ტერიტორიულობის” პრინციპის სპეციალურ გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.

საერთაშორისო სისხლის სამართალში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები სახელმძღვანელოა კანონმდებლებისთვის. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავში, რომელშიც განსაზღვრულია სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები, სწორედ აღნიშნული პრინციპებია გათვალისწინებული. ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციის მეცხრე მუხლის მეორე ნაწილში აღწერილი საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების სპეციალური შემთხვევები, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, შესაძლებელია მოაზრებული იქნეს:

1. პრინციპი: “დანაშაული ჩადენილია, რათა აიძულონ მოცემული სახელმწიფო განახორციელოს გარკვეული მოქმედება ანდა თავი შეიკავოს მისი განხორციელებისგან” სსკ-ის მეხუთე მუხლის მეორე ნაწილში, სადაც საუბარია იმ ქმედების დასჯადობაზე, რომელიც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული ანდა თუ ქმედებისთვის სისხლისსმართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.



2. პრინციპი: “დანაშაული ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციაში მყოფ საპაერო ხომალდზე” არ შეიძლება პირდაპირ მოაზრებულ იქნეს საქართველოს სსკ-ის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილში, სადაც საუბარია ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია არა კუთვნილ, არამედ, მფლობელობაში ან სარგებლობაში მყოფ მფრინავ საშუალებაზე, რომელიც შესაძლებელია არ წარმოადგენდეს აღნიშნული სახელმწიფოს აღმის მატარებელ ხომალდს. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად ორი გზა გვესახება:

**პირველი:** საქართველოს სსკ-ის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს ფრაზა: “ან ექსპლუატაციაშია საქართველოს ხელისუფლების საჭიროებისათვის” და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ან ექსპლუატაციაშია საქართველოს ხელისუფლების საჭიროებისათვის, ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.”

**მეორე:** მოაზრებულ იქნეს მსგავსი შემთხვევები საქართველოს სსკ-ის მეხუთე მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში, სადაც საუბარია იმ ქმედების დასჯადობაზე, რომელიც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კონვენციის მე-15 მუხლი, რომლის მიხედვითაც, არც ერთი დანაშაული, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ბირთვული ტერორიზმის გამოვლინებას, სახელმწიფოთა შორის დამნაშავე პირის გადაცემის, ან სამართლებრივი დახმარების პროცედურებისთვის არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც პოლიტიკური დანაშაული ან პოლიტიკური მოტივებით ჩადენილი დანაშაული. აქედან გამომდინარე, ბირთვული ტერორიზმის დანაშაულების დროს გადაცემის ან სამართლებრივი დახმარების თხოვნა არ შეიძლება უარყოფილი იქნეს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი ეხება პოლიტიკურ დანაშაულებს ან პოლიტიკური მოტივით ჩადენილ დანაშაულებს.

სისხლის სამართლის თეორიაში ცნობილია, რომ სახელმწიფოს უფლება აქვს არ გადასცეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური მრწამსისთვის დევნილი პირი, ანუ სხვანაირად რომ ითქვას, პოლიტიკური დამნაშავე.<sup>295</sup> ცნობილია, რომ ტერორისტული ხასიათის დანაშაულები პოლიტიკური შედეგების მიღწევას ისახავს მიზნად, აქედან გამომდინარეობს ცნობილი კლიშე “ ერთისთვის ტერორისტი, მეორისთვის თავისუფლებისთვის მებრძოლია”, რაც საკმაოდ დიდ წინააღმდეგობებს ქმნიდა და ქმნის როგორც ტერორიზმის ერთიანი იურიდიული ცნების შემუშავების, ისე ამ მოვლენასთან სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის საქმეში. ბირ-

<sup>295</sup> მსგავს დათქმა არსებობს აგრეთვე საქართველოს სსკ-ის მეექვსე მუხლის მესამე ნაწილში.

თვეული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციის მე-15 მუხლის პირდაპირი მოთხოვნით არ შეიძლება ბირთვული ტერორიზმის გამოვლენის აქტები ჩაითვალოს პოლიტიკურ დანაშაულად და ხელმომწერმა სახელმწიფომ უარი განაცხადოს დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ ეს პირი იღვენება პოლიტიკური მრწამსისთვის.

კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, კონვენციით განსაზღვრული ბირთვული ნივთიერებების დანაშაულებრივად ხელყოფის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღონ აღნიშნული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის ეფექტური ზომები, გააუვნებელყონ რადიოაქტიური ნივთიერება, ასაფეთქებელი მოწყობილობა, ან მიიღონ სხვა საჭირო ზომები ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მიერ დადგენილი უსაფრთხოების სტანდარტების და რეკომენდაციების შესაბამისად.<sup>296</sup>

ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციაში გაწერილია სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც: დამნაშავეთა გადაცემის და გასამართლების შესახებ, სახელმწიფოთა შორის სისხლისამართლებრივი თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, ზოგიერი პროცესუალური საკითხი.

საქართველომ 1998 წლის 30 ოქტომბერს მიიღო კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიზანს შეადგენს “მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით და საქართველოს კანონმდებლობით.”<sup>297</sup> კანონის მეორე მუხლი რეგულირების სფეროს განსაზღვრავს ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის. კანონის მეორე თავი რეგლამენტაციას უწევს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას, განსაზღვრავს კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა წრეს და მათი ურთიერთკოორდინაციის საკითხებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა კანონით რეგლამენტირებული უსაფრთხოების მოთხოვნები ბირთვული და რადიაციული საქმიანობისას, აღნიშნულ ნივთიერებებთან დაკავშირებით ლიცენზირების და ნებართვების ერთიანი სისტემის განსაზღვრა და სხვა საკითხები.

ბირთვული უსაფრთხოების საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმებიდან აღსანიშნავია საქართველოს რესპუბლიკასა და ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შორის დადებული შეთანხმება ბირთვული იარაღის გაუფრცველებლობის შესახებ გარანტიების გამოყენების თაობაზე.<sup>298</sup>

<sup>296</sup> იხ. კონვენციის მეტვრამეტე მუხლი.

<sup>297</sup> იხ. საქართველოს კანონი ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ, მუხლი 1.

<sup>298</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 24 აპრილის №2112 III დადგენილებით. შეთანხმების მიზანია რათა “ხელშეკრულების ყოველი მონაწილე

ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივ მექანიზმებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ნორმები შესაძლებელია დაიყოს ტერორისტული და მიმდინარე ხასიათის დანაშაულთა ამკრძალავ ნორმებად. ტერორისტული ხასიათის ნორმებიდან შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიური ტერორიზმი (სსკ-ის 324-ე მუხ.), რომელშიც მასობრივი განადგურების სხვა საშუალებებთან ერთად გათვალისწინებული ბირთვული იარაღიც. ტექნოლოგიური ტერორიზმის ობიექტური მხარე გამოიხატება მასობრივი განადგურების იარაღის, მათ შორის, ბირთვულის გამოყენებაში, ან აღნიშნული იარაღის ხელში ჩაგდების ან/და გამოყენების მუქარაში, მათ შორის, ბირთვული, ქიმიური ან ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების შემცველი ობიექტის ხელში ჩაგდებაში. ნორმის მიხედვით, აღნიშნულმა ქმედებამ უნდა გამოიწვიოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესის ხელყოფა.

ტექნოლოგიური ტერორიზმის (სსკ-ის 324-ე მუხ.) შემადგენლობის ობიექტური მხარე წააგავს საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში გათვალისწინებულ ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდებისა (სსკ-ის 231-ე მუხ.) და ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარის (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.) შემადგენლობის ობიექტურ მხარეებს.

ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.) შეიძლება განხორცილდეს სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო ხერხით, მათ შორის, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტექნოლოგიური ტერორიზმის ობიექტური შემადგენლობაც მოიაზრებს ბირთვული ნივთიერების ხელში ჩაგდებას, თუმცა, ამ შემთხვევაში, დანაშაულის საგანი ან/და იარაღი განსხვავებულია. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდების (სსკ-ის 231-ე მუხ.) შემადგენლობის მიხედვით, ხელყოფის საგანი მხოლოდ ბირთვული მასალა, რადიოაქტიური ნივთიერება ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროა, განსხვავებით ტექნოლოგიური ტერორიზმისგან (სსკ-ის 324-ე მუხ.), რომლის დროსაც ხელყოფის საგანს ან/და დანაშაულის იარაღს ბირთვული, რადიოლოგიური, ქიმიური ან ბაქტერიოლოგიური იარაღი, პათოგენური მიკროორგანიზმი, რადიოაქტიური ან/და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე სხვა ნივთიერება, ბირთვული, ქიმიური, ან

---

სახელმწიფო, რომელსაც არა აქვს ბირთვული იარაღი, ვალდებულია კისრულობს მიიღოს გარანტიები, როგორც ისინი ჩამოყალიბებულია შეთანხმებაში, რომლის შესახებაც იწარმოებს მოლაპარაკება და რომელიც დაიდება ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოსთან ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წესდებისა და სააგენტოს გარანტიების სისტემის შესაბამისად, მხოლოდ და მხოლოდ მოცემული ხელშეკრულების შესაბამისად ნაკისრი მისი ვალდებულებების შესრულების შემოწმების მიზნით, რათა არ დაუშვან მშვიდობიანი გამოყენების ბირთვული ენერჯის გარდაქმნა ბირთვულ იარაღად ან სხვა ბირთვულ ასაფეთქებელ მოწყობილობად.”

ძლიერი ტექნოლოგიური ანდა ეკოლოგიური საშიშროების ობიექტი წარმოადგენს. ტექნოლოგიური ტერორიზმის დროს ხელყოფის საგანი ან/და დანაშაულის იარაღი საზოგადოებრივად მეტ საშიშროებას შეიცავს, განსხვავებით სსკ-ის 231-ე მუხლის შემადგენლობით გათვალისწინებული საგნისგან, რომელიც მხოლოდ ბირთვული ნივთიერებაა და ბირთვული იარაღის სახე არ გააჩნია.

განსახილველი ნორმები განსხვავდებიან აგრეთვე ხელყოფის ობიექტითაც. ტექნოლოგიური ტერორიზმი ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ პოლიტიკური ან ეკონომიკური ინტერესს, ხოლო სსკ-ის 231-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ხელყოფის ობიექტი საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგია. ზემოაღნიშნული ნორმების გამიჯვნის საფუძველი სუბიექტურ მხარეშიც უნდა ვეძიოთ. ტექნოლოგიური ტერორიზმის მიზანს მოსახლეობის დაშინება, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ხელისუფლების ორგანოზე, სახელმწიფოზე ან საერთაშორისო ორგანიზაციაზე ზემოქმედება წარმოადგენს, ხოლო ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი მიზნით.

ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ კონვენციით დანაშაულის იარაღად ან/და საგნად მოაზრებულია როგორც ბირთვული ნივთიერება, ისე ბირთვული იარაღი. ცხადია, რომ ბირთვული იარაღის დამზადებამდე დამნაშავემ თავდაპირველად ბირთვული ნივთიერება უნდა იგდოს ხელთ. მსგავს შემთხვევაში როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ბირთვული ნივთიერების ხელში ჩაგდება, როგორც ტექნოლოგიური ტერორიზმის მომზადება (სსკ-ის 324-ე მუხ.), თუ როგორც ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.)? მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეს განზრახვის მიმართულებას. ტერორისტული განზრახვის არსებობის შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ტექნოლოგიური ტერორიზმის მომზადებად.

ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.) ნოვაციაა სისხლის სამართლის კოდექსში. ობიექტური მხარე გამოიხატება ძალადობის გამოყენებით ან ძალადობის მუქარით ბირთვული ნივთიერების მოთხოვნაში. სუბიექტური მხრივ - პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, თუმცა შემადგენლობაში მიზანი დაკონკრეტებული არ არის. რაც შეეხება ტექნოლოგიურ ტერორიზმს (სსკ-ის 324-ე მუხ.), გამოყენებული მუქარა მიმართულია როგორც ბირთვული ნივთიერების ხელში ჩაგდებისკენ, აგრეთვე უკვე ხელთ მყოფი ბირთვული ნივთიერების ან იარაღის გამოყენებით გარკვეული, ტერორისტული მიზნის მიღწევისკენ. ნათელია, რომ ბირთვული ნივთიერების დაუფლების მუქარის, როგორც ობიექტური ნიშნის ორივე შემადგენლობის ფარგლებში არსებობა აღნიშნული შემადგენლობების გამიჯვნას ართულებს. მსგავს შემთხვევებში ქმედებათა გამიჯვნა შემადგენლობის სუბიექტური ელემენტებით უნდა მოხდეს. კერძოდ, ტექნოლოგიური ტერორიზმისთვის სპეციალური, ტერორისტული, მიზანია დამახასიათებელი.

ტექნოლოგიურ ტერორიზმთან შემხებლობაშია, აგრეთვე, ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადების ამკრძალავი ნორმა (სსკ-ის 232-ე მუხ.), რომლის მიხედვითაც, დასჯადია ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება. ნათელია, რომ ნორმით აკრძალული შემადგენლობის განხორციელება მხოლოდ განზრახ არის შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ ბირთვული იარაღის დამზადება, საერთაშორისო ნორმების მიხედვით, საერთაშორისო ხასიათის დანაშაულადაა მიჩნეული. საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად მიიჩნევა აღნიშნულ ქმედებას აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 406-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დასჯადია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით აკრძალული ქიმიური, ბიოლოგიური ან მასობრივი განადგურების სხვა იარაღის დამზადება. “ამდენად, ბირთვული იარაღის დამზადებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია სსკ-ის ორი მუხლით – 232 და 406-ე მუხლებით, რაც კანონის კოლიზიად უნდა ჩაითვალოს. ამის გარდა, 232-ე მუხლი თავისი შინაარსით უფრო საერთაშორისო ხასიათის დანაშაულია, ვიდრე საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართული ნორმა.”<sup>299</sup>

ნათელია, რომ ტექნოლოგიური ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ნორმით გათვალისწინებული ბირთვული იარაღის გამოყენებამდე უნდა მოხდეს აღნიშნული იარაღის დამზადება ან შექმნა. ლოგიკურია, რომ მსგავს შემთხვევებში დანაშაულთა ერთობლიობასთან გვაქვს საქმე: ქმედება უნდა შეფასდეს ტექნოლოგიურ ტერორიზმად (სსკ-ის 324-ე მუხ.) და ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადებად (სსკ-ის 232-ე მუხ.) ან ტექნოლოგიურ ტერორიზმად (სსკ-ის 324-ე მუხ.) და მასობრივი განადგურების იარაღის დამზადება, შექმნა ან გასაღებად (სსკ-ის 406-ე მუხ.).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბირთვული იარაღის დამზადება მიზანშეწონილია შეფასდეს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად და გათვალისწინებული იქნას მხოლოდ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში.

ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფი ნორმებიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაძლებელია გამოიყოს ბირთვული მასალისადმი ან მოწყობილობისადმი, რადიოაქტიური ნარჩენისადმი, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობა (სსკ-ის 230-ე მუხ.), ბირთვულ ან რადიოაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (სსკ-ის 233-ე მუხ.), საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი (სსკ-ის 234-ე მუხ.), ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა (სსკ-ის 245-ე მუხ.). მართალია, მოცემული ნორმები ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოად-

<sup>299</sup> იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი. ავტორთა კოლექტივი. გამოცემლობა “მერიდიანი”, თბილისი 2008 წ. გვ. 544

გენს, მაგრამ ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა რიცხვს ვერ მივა-  
კუთვნებთ მათი კრიმინალიზაციის საზრისის და შინაარსის გამო.

## 2.2.5. საერთაშორისო ნორმები საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული აქტების აკრძალვის შესახებ და მისი დებულებების ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

1988 წლის 10 მარტის კონვენცია “საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”<sup>300</sup> კონვენციის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ხელმომწერი სახელმწიფოები ღრმად შეშფოთებულნი არიან “მსოფლიოში ტერორიზმის აქტების მომრავლებით მის ყველა ფორმაში”. კონვენციის პრეამბულა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო საზოგადოება საზღვაო ნაოსნობის წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტებს, რომლებიც “ემუქრება პიროვნებისა და საკუთრების უსაფრთხოებას, სერიოზულად აფერხებს საზღვაო მიმოსვლას და არყევს მსოფლიოს ხალხების რწმენას საზღვაო მიმოსვლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით” მიიჩნევს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად.

კონვენციის პირველ და მეორე მუხლებში განსაზღვრულია ხელყოფის საგანი კერძოდ, “წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, “გემი” ნიშნავს ნებისმიერი სახის ხომალდს, რომელიც არ არის მუდმივად მიმაგრებული ზღვის ფსკერზე. დინამიურად შეწონილი ხომალდების, წყალქვეშა აპარატების, ან ნებისმიერი სხვა მცურავი საშუალების ჩათვლით. კონვენციით გათვალისწინებული დებულებები არ ეხება სამხედრო, საბაჟო და პოლიციის ხომალდებს, აგრეთვე იმ ხომალდებს, რომლებიც გამოყვანილია ნაოსნობიდან ან ჩამოიწვრა.

კონვენციით აკრძალული ქმედებების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია მესამე მუხლში, რომლის მიხედვითაც:

1. ნებისმიერი პირი ახორციელებს დანაშაულს თუ ეს პირი არაკანონიერად და წინასწარი განზრახვით:

ა) ხელში იგდებს გემს, ან ახორციელებს მასზე კონტროლს ძალის გამოყენებით, ძალის მუქარით ან დანიშნულების ნებისმიერი სხვა სახით; ან

ბ) ახორციელებს ძალადობის აქტს გემის ბორტზე მყოფი პირის წინააღმდეგ, თუ ამ აქტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ გემის უსაფრთხო ნაოსნობას; ან

გ) ანადგურებს გემს, ან აზიანებს გემს ან მის ტვირთს, თუ ამ დაზიანებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ გემის უსაფრთხო ნაოსნობას; ან

დ) განათავსებს, ან მოქმედებს რათა განათავსოს გემის ბორტზე ნებისმიერი გზით, მოწყობილობა ან ნივთიერება, რომელმაც შეიძლება გაანადგუროს გემი, ან ზიანი მიაყენოს გემს ან მის ტვირთს, თუ ეს ზიანი საფ-

<sup>300</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის 3192 – ის დადგენილებით

როსეს უქმნის, ან შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ გემის უსაფრთხო ნაოსნობას; ან

ე) ანადგურებს ან სერიოზულად აზიანებს საზღვაო სანავიგაციო დანადგარებს ან სერიოზულად ხელს უშლის მათ ფუნქციონირებას, თუკი ნებისმიერმა ასეთმა აქტებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას გემის უსაფრთხო ნაოსნობას; ან

ვ) განზრახ ატყობინებს ცრუ ინფორმაციას, და ამით საფრთხეს უქმნის გემის უსაფრთხო ნაოსნობას; ან

ზ) აზიანებს ან კლავს პირს ა)-ფ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებების ჩადენისას ან ჩადენის მცდელობისას.

კონვენციის მიხედვით, ხელმომწერი სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას შიდა კანონმდებლობით უზრუნველყოს კონვენციით აკრძალული ქმედებების დასჯადობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში საზღვაო უსაფრთხოების დამცავი ნორმებიდან შეიძლება დასახელდეს: საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.) კონვენციასთან შემხებლობაში მოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმა არის იქიდან გამომდინარე, რომ სხვა სახის ტრანსპორტთან ერთად კრძალავს წყლის ხომალდის მართლსაწინააღმდეგო დაუფლებას. შემადგენლობა, სხვა მაკვალიფიცირებელ გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს ისეთ ხერხებს, როგორცაა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის მუქარა, ასევე თუ ზემოხენებული ტრანსპორტის სახეების დაუფლებას მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი. საქართველოს სსკ-ის 227-ე მუხლში მოცემული დანაშაულის შემადგენლობა 1988 წლის კონვენციის მესამე მუხლის “ა” და “ბ” ქვეპუნქტებით აკრძალულ ქმედების დასჯადობას ითვალისწინებს. აღსანიშნავია, რომ კონვენციის მესამე მუხლის “გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება, “აზიანებს ან კლავს პირს”, არ შეიძლება მოაზრებულ იქნეს 227-ე მუხლის შემადგენლობის ფარგლებში და აღნიშნულ ნორმასთან ერთად განზრახ მკველელობის შემადგენლობით მოითხოვს კვალიფიკაციას.<sup>301</sup> საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.) შესულია საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და არ განიხილება ტერორისტულ დანაშაულად, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო კონვენცია მსგავს დანაშაულებს ტერორისტულ ხასიათს ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ ტერორისთა ხელყოფის საგნად იქცევა საჰაერო, წყლის ან სარკინიგზო ტრანსპორტი, გამოხატული იქნება ტერორისტული ქმედებისათვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, აუცილებელია შეფასდეს როგორც ტერორისტული ხასიათის დანაშაული.

<sup>301</sup> მკველეობის შემადგენლობებიდან ქმედება შესაძლებელია შეფასდეს როგორც დამაძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკველეობა კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით: მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, ანგარებით ან შეკვეთით, ჯგუფურად და ა.შ.



წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup>-ე მუხ.) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნოვაციას წარმოადგენს<sup>302</sup> და მასში აშკარად ჰპოვებს ასახვას 1988 წლის “საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციის დებულებები. საქართველოს სისხლის სამართლის ამ ახალ ნორმაში კანონმდებელმა საკმაოდ სრულყოფილად ასახა საერთაშორისო კონვენციის მოთხოვნები გარკვეულ ქმედებათა დასჯადობის შემოღებით. სსკ-ის 227<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, დასჯადია წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საფრთხის შემქმნელი სხვადასხვა ქმედებები, როგორცაა განზრახ ცრუ ინფორმაციის გადაცემა წყლის ხომალდისთვის, წყლის ხომალდზე მყოფი პირის მიმართ განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა, საზღვაო-სანავიგაციო დანადგარის დაზიანება, წყლის ხომალდის ან მისი ტვირთის განადგურება ან დაზიანება და ა.შ. კონვენციის თანახმად, მოცემული დანაშაულები ტერორიზმის გამოვლინების ფორმებად არის მიჩნეული. ამის მიუხედავად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, კონვენციით გათვალისწინებული ქმედებების დასჯადობა გათვალისწინებულია 227<sup>1</sup>-ე მუხლში, მაგრამ არა როგორც ტერორისტული ხასიათის დანაშაული, არამედ, როგორც საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. არადა, ტერორისტული ქმედებისთვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასება უნდა მოხდეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად.

“საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციასთან შემხებლობაშია საქართველოს სსკ-ის 228-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული – მეკობრეობა. მეკობრეობას სხვაგვარად ზღვის ყაჩაღობად მოიხსენიებენ და ობიექტურად ხორციელდება ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე ძალადობრივი თავდასხმით სხვისი ნივთის დაუფლებისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. მეკობრეობის შემადგენლობა შემხებლობაშია კონვენციის მესამე მუხლის “ა”, “ბ”, “ც”, “დ” ქვეპუნქტებით აკრძალულ ქმედებებთან. მეკობრეობა საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარშია გათვალისწინებული, თუმცა შესაბამისი პირობების არსებობისას (პოლიტიკური მოტივაცია, ტერორისტული მიზანი და ა.შ.) ტერორისტული ხასიათის დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს.

“საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციას 1988 წლის 10 მარტს დაემატა ოქმი “კონტინენტურ შეღწეზე განლაგებული სტაციონარული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”, რომელსაც რომში მოეწერა ხელი.<sup>303</sup> ოქმის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად “სტაციონარული პლატფორმა” ნიშნავს ხელოვნურ კუნძულს, დანადგარს ან

<sup>302</sup> ქმედება კრიმინალიზებულია 2006 წლის 25 ივლისს.

<sup>303</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის N 3193 – II დადგენილებით

ნაგებობას, რომელიც მუდმივად არის დამაგრებული ზღვის ფსკერზე, რესურსების დაზვერვის ან ათვისების, ან სხვა ეკონომიკური მიზნებისათვის.

კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით დანაშაულის ობიექტური მხარე განხორციელებულია თუ ნებისმიერი პირი:

ა) ხელში იგდებს ან აკონტროლებს სტაციონარულ პლატფორმას ძალით ან ძალის მუქარით, ან დაშინების ნებისმიერი სხვა ფორმით; ან

ბ) ახორციელებს სტაციონარულ პლატფორმაზე მყოფი პირის წინააღმდეგ ძალადობის აქტს, თუ ამ აქტმა შეიძლება საშიშროება შეუქმნას მის უსაფრთხოებას; ან

გ) ანადგურებს სტაციონარულ პლატფორმას, ან აყენებს მას ზიანს, რომელმაც შესაძლოა საშიშროება შეუქმნას მის უსაფრთხოებას; ან

დ) განათავსებს, ან მოქმედებს რათა განათავსოს სტაციონარულ პლატფორმაზე მოწყობილობა, ან ნივთიერება, რომელმაც შეიძლება გაანადგუროს სტაციონარული პლატფორმა, ან მიაყენოს მას ზიანი, რომელმაც შესაძლოა საშიშროება შეუქმნას მის უსაფრთხოებას; ან

ე) ა)-დან დ)-ს ჩათვლით ქვეპუნქტებში აღწერილი ქმედებების ჩადენასთან ან ჩადენის მცდელობასთან დაკავშირებით ზიანს აყენებს ან კლავს ნებისმიერ პირს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს, 2006 წლის 25 ივლისს, დაემატა 227<sup>2</sup>-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დასჯადია სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება. ქართველმა კანონმდებელმა აღნიშნული ნორმის შემოღებით კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანა სისხლის სამართლის კოდექსი. კონვენციით აკრძალულ ქმედებათა წრე მოცულია ქართული სისხლის სამართლის ნორმით. “საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციის და მისი დამატებითი ოქმის თანახმად, სტაციონარულ პლატფორმაზე აკრძალული ქმედებების ჩადენა ტერორისტული ხასიათის დანაშაულად ითვლება, მაშინ როდესაც ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, მსგავსი ქმედებების სისხლისსამართლებრივ დაცვის ობიექტს საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი წარმოადგენს. მართალია, სტაციონარული პლატფორმის ნებისმიერი ხელყოფა არ შეიძლება ქმნიდეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ნიშნებს, თუმცა შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ასეთად შეფასდეს.

## 2.2.6. გაეროს კონვენცია პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით

გაეროს 1991 წლის კონვენცია “პლასტიკური ფეთქებადი ნივთიერებების ნიშანდების შესახებ მათი გამოვლენის მიზნით”<sup>304</sup> მიღებულია 1988 წლის ტრაგედიის შემდეგ, როდესაც პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერების მეშვეობით ააფეთქეს კომპანია “პანამ“-ის საჰაერო ხომალდი. ხელმომწერი სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს მათ ტერიტორიაზე არანიშანდებული ფეთქებადი ნივთიერების დამზადების აკრძალვისა და თავიდან აცილებისათვის<sup>305</sup> სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას აღკვეთონ არანიშანდებული ასაფეთქებელი ნივთიერებების ტერიტორიიდან გატანა ან ტერიტორიაზე შეტანა, საკუთარ ტერიტორიაზე არანიშანდებული ასაფეთქებელი ნივთიერებების მთელი მარაგი, რომელიც არ არის სამხედრო ან პოლიციური ფუნქციების შემსრულებელი უფლებამოსილი ორგანოების მფლობელობაში, განადგურდეს ან გამოყენებულ იქნეს იმ წესით, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციის მიზნებს, ან იქნეს ნიშანდებული, ან გათავისუფლებული ფეთქებადი თვისებებისაგან სამი წლის განმავლობაში კონვენციის ძალაში შესვლამდე ამ სახელმწიფოს მიმართ.

## 2.2.7. კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ და მისი დებულებების ასახვა ქართულ სისხლის სამართალში

1997 წელს მიღებულია “საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ,”<sup>306</sup> რომლის შემუშავების მიზეზიც გახდა მსოფლიოში ტერორიზმის ყველა ფორმის და გამოვლინების ესკალაცია და განსაკუთრებით გავრცელებული ტერორისტული თავდასხმები ფეთქებადი და სხვა სასიკვდილო მოწყობილობების გამოყენებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.<sup>307</sup> კონვენციით აკრძალული

<sup>304</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის N 137 დადგენილებით.

<sup>305</sup> კონვენციის თანახმად, ნიშანდების ნივთიერება, აღნიშნავს ნივთიერებას, რომელიც აღწერილია წინამდებარე კონვენციის ტექნიკურ დანართში და ჩართულია ფეთქებად ნივთიერებაში მისი გამოვლენის მიზნით, ხოლო თვითონ “ნიშანდება” აღნიშნავს ფეთქებად ნივთიერებაში ნიშანდების ნივთიერების ჩართვას კონვენციის ტექნიკური დანართის შესაბამისად.

<sup>306</sup> დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 24 სექტემბრის N 459 ბრძანებულებით.

<sup>307</sup> კონვენციის პირველი მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: „ფეთქებადი ან სხვა სასიკვდილო მოწყობილობა“ ნიშნავს:

- ა) ფეთქებად ან ცეცხლგამჩენ იარაღს ან მოწყობილობას, რომელიც გამიზნულია ან აქვს უნარი გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის სერიოზული დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი; ან
- ბ) იარაღს ან მოწყობილობას, რომელიც გამიზნულია ან აქვს უნარი გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის სერიოზული დაზიანება ან მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი ტოქსიკურ ქიმიური ნივთიერების, ბიოლოგიური აგენტის ან ტოქსინის ან მსგავსი ნივ-

ქმედება გამოიხატება, თუ პირი არაკანონიერად და განზრახ განათავსებს, აამოქმედებს ან ააფეთქებს ფეთქებად ან სხვა სასიკვდილო მოწყობილობას საჯარო დანიშნულების ადგილას, სახელმწიფო ან სამთავრობო ობიექტში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში ან ინფრასტრუქტურის ობიექტში ან (ზემოხაზოვლილი) ადგილებისა და ობიექტების მიდამოებში ან მათ წინააღმდეგ.

კონვენციის მეხუთე მუხლი მეტად საინტერესო დათქმას აკეთებს, როდესაც ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოს მიიღონ შესაბამისი ზომები “რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებრივი აქტები, რომლებიც კონრეტულად გამოზნული ან გათვლილია საზოგადოებაში ან პირთა ჯგუფში ან კერძო პირებს შორის ტერორის გარემოს შექმნაზე, არავითარ შემთხვევაში არ იქნება გამართლებული პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა მსგავსი მოსაზრებების საფუძველზე და ამ აქტებს შეეფარდება შესაბამისი სასჯელები მათი სიმძიმის გათვალისწინებით.” აღნიშნული ნორმა კრძალავს ტერორიზმის პროპაგანდას სახელმწიფოში, მის გამართლებას ნებისმიერი ფორმით და საფუძველით, მოითხოვს სახელმწიფოებმა მოახდინონ მსგავსი ქმედებების კრიმინალიზაცია და დასაჯონ აკრძალული ქმედების ჩამდენი პირები.

ქართველმა კანონმდებელმა 2006 წლის 25 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსის ტერორისტულ დანაშაულთა თავში ტერორიზმის პროპაგანდის ამკრძალავი (საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისაკენ სსკ-ის 330<sup>1</sup>-ე მუხ.) ნორმა შემოიტანა. “თანამედროვე ეპოქაში ერთ-ერთი საშიში ტენდენცია ტერორიზმის წამქეზებლური რიტორიკა, ეს მაშინ, როცა ეთნიკურმა ტერორიზმმა, პოლიტიკური ექსტრემიზმის და ისლამური რადიკალიზმის გამოვლინებებმა არნახული მასშტაბები მიიღო, განსაკუთრებით შემაშფოთებელია ეთნიკური სეპარატიზმის ნიადაგზე აღმოცენებული ეთნოკონფესიური კონფლიქტები, რომელთაც დიდი საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს და აქედან გამომდინარე ადამიანებზე მანიპულირება ძალზე გააღვივებულია. სწორედ ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საქართველოს სსკ 330<sup>1</sup> მუხლით კრიმინალიზებულია საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელება ან სხვაგვარი მიწოდება სსკ-ის 323-330-ე, 330<sup>1</sup>-ე და 330<sup>2</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე ტერორისტული დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდების მიზნით...”<sup>308</sup>

ინტერესს იწვევს კონვენციის მე-11 მუხლი. მე-11 მუხლის თანახმად, გადაცემის ან იურიდიული ურთიერთდახმარების მიზნებისთვის კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებები არ უნდა იქნეს მიჩნეული პოლიტიკურ დანაშაულად, ან დანაშაულად, რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ დანაშაულს, ან დანაშაულად, რომელიც გამოწვეულია პოლიტიკური მოტივებით. სახელმწიფოს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს იურიდიულ დახმარებაზე ან გადაცემაზე ზემოხსენებული მიზეზებით.

---

თიერების, ან რადიაციის ან რადიოაქტიური ნივთიერების გამოთავისუფლების, გაფანტვის ან ზემოქმედების გზით.

<sup>308</sup> იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე. ავტორთა კოლექტივი. თბილისი, 2009, გვ. 118.

## 2.2.8. საერთაშორისო კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ და მისი დებულებების ასახვა ქართულ ნორმატიულ სივრცეში

1999 წლის კონვენცია “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” მიღებულია ტერორიზმის ფინანსური ხელშეწყობის აღმოფხვრის მიზნით. იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო ტერორისტული ჯგუფების საბოლოო მიზანი არ არის ფინანსური მოგების მიღება, ისინი მაინც საჭიროებენ ფულს, რათა მიიზიდონ ახალი მომხრეები, უზრუნველყონ ორგანიზაციის მხარდაჭერა ადგილზე და საზღვარგარეთ. ზოგიერთ საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფს ფული სჭირდება იმისთვის, რომ წარმართონ სოციალური კომპანია თანამოაზრეების მიზიდვის მიზნით და მასობრივ საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით შექმნან შთაბეჭდილება თითქოს იცავენ ხალხის ფართო ფენების ინტერესებს. შეგროვებული სახსრებით ფინანსდება სკოლების და საავადმყოფოების მშენებლობა და ა.შ. ამ მოქმედებების მთავარი მიზანია თავიანთ რიგებში მიიზიდონ ახალი მომხრეები. მნიშვნელოვანი თანხები იხარჯება ორგანიზაციის დაკომპლექტებაზე, წევრების საბრძოლო მომზადებაზე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბაზების (კომპიუტერული უზრუნველყოფა, კავშირები, ტრანსპორტი, იარაღი) შექმნაზე. კონკრეტული ტერაქტების მომზადება და განხორციელება, როგორც წესი დიდ დანახარჯებს არ მოითხოვს. ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის საკითხებში პრობლემას ის ქმნის, რომ დამფინანსებლის და დაფინანსებული მხარის რეალური მიზნები ხშირად დაფარულია, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ თანხების შეგროვება მიმდინარეობს საქველმოქმედო მიზნებით და როგორც წესი, მესამე პირების მეშვეობით. ფინანსური ოპერაციის საიდუმლო ხასიათის გამო, რთულია იმის მტკიცება, რომ თანხები დაიხარჯა უკვე მოწყობილ, ან დაგეგმილ ტერაქტზე. ტერორიზმის პრობლემა არ შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ცალკეული ტერორისტული აქტების გამოვლენით და მათი თავიდან აცილებით, საჭიროა უფრო ფართომასშტაბიანი მოქმედებები. კერძოდ, უნდა აღიკვეთოს ტერორისტული საქმიანობა, რომლის ერთ-ერთ საფუძვლად ტერორიზმის დაფინანსება გვევლინება.<sup>309</sup>

ტერორისტული ორგანიზაცია შესაძლებელია ფინანსდებოდეს სახელმწიფოებიდან, რელიგიური ორგანიზაციებიდან, კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირებიდან, მდიდარი ინდივიდებიდან, დიასპორებიდან და სხვა წყაროებიდან:

1. სახელმწიფო დაფინანსება საკმაოდ მნიშვნელოვანია ტერორისტული ორგანიზაციებისთვის. სახელმწიფომ შეიძლება ტერორისტებს ხელი შეუწყოს არამხოლოდ ფინანსების გამოყოფით, არამედ სამედიცინო დახმარების აღმოჩენით, იარაღის მიწოდებით, თავშესაფრის მიცემით, საწვრთნელი ბანაკების მოწყობით და ა.შ.<sup>310</sup> ტეროლოგიაში ცნობილია ტერორიზმის დაფინანსების მრავალი მაგალითი ამა თუ იმ სახელმწიფოს

<sup>309</sup> იხ. В. В. Устинов, *Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика*. М., 2002, с.257 - 258

<sup>310</sup> იხ. *Patterns of Global Terrorism*, Office of the Coordinator for Counterterrorism, U.S. State Department, <http://www.state.gov/s/ct/rls/pgtrpt.2011>.

მხრიდან. მაგალითად, ირლანდიის რესპუბლიკური არმია ლიბიიდან იღებდა ფულს, უახლესი ტიპის შეიარაღებას და ასაფეთქებელ მოწყობილობებს.<sup>311</sup> ზოგიერთი მონაცემებით პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია იღებდა დახმარებას ეგვიპტიდან, საუდის არაბეთიდან, ლიბიიდან, სირიიდან, ქუვეითიდან. აღნიშნული ქვეყნებიდან პალესტინური ტერორიზმის დაფინანსებისთვის გამოყოფილმა თანხამ 1973-1986 წლებში დაახლოებით 250 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.<sup>312</sup>

2. რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ძირითადად შენაწირებს აგროვებენ და ამგვარად ეხმარებიან ტერორისტებს. მაგალითად, რელიგიური შენაწირების ოდენობა საუდის არაბეთში ყოველწლიურად შეადგენს 10 მილიარდ აშშ დოლარს.<sup>313</sup>

3. კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირებიდან მიღებული დაფინანსება ტერორისტული ორგანიზაციების შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. 2001 წლის ნოემბერში აშშ-ს მთავრობამ ალ-თაქვა (al-Taqwa) საბანკო სისტემა დაასახელა როგორც ტერორისტული იურიდიული პირი, რომელიც ალ-ქაიდას ფინანსური სახსრების მიმოქცევას აწარმოებდა.<sup>314</sup> ალ-ქაიდას გარდა, ალ-თაქვა (al-Taqwa) აფინანსებდა რამოდენიმე სხვა ტერორისტულ ორგანიზაციასაც, მათ შორის, ჰამასს. ალ-თაქვა შეიქმნა 1988 წელს ეგვიპტის მუსულმანური საძმოს დაფინანსებით.<sup>315</sup> 1996 წლის მონაცემებით ალ-თაქვას კავშირი ჰქონდა ჰამასთან და სხვა პალესტინურ ტერორისტულ ჯგუფებთან, აგრეთვე აღჟირულ “ისლამურ შეიარაღებულ ჯგუფთან” და ეგვიპტურ ალ-ჯამაა ალ-ისლამიასთან. არაკომერციული იურიდიული პირები აფინანსებენ ისეთ ცნობილ ტერორისტულ ორგანიზაციას, როგორცაა “თამილ ელამის გამათავისუფლებელი ვეფხვები” (TOT). დამფინანსებლებს შორის ექსპერტები ასახელებენ “თამილთა ერთიან ორგანიზაციას” (United Tamil Organization), “კანადელი თამილების გაერთიანებულ ასოციაციას” (The Federation of Associations of Canadian Tamils), “თამილთა კოორდინაციის კომიტეტი” (The Tamil Coordinating Committee) და სხვა ორგანიზაციებს.<sup>316</sup> ტერორიზმის დამფინანსებლის ბრალდება წაყენა, აგრეთვე, საერთაშორისო ჰუმანიტარულ ფონდს ალ-აქსას, რომელიც ჰუმანიტარულ საქმიანობას ამოფარებული აფინანსებდა ჰამასს. დადასტურდა აგრეთვე ალ-აქსას მიერ ალ-ქაიდას და ჰეზბოლას დაფინანსება.<sup>317</sup> “კომერციული და არაკომერციული

<sup>311</sup> იხ. Libya's Continuing Responsibility for Terrorism // International Policy Institute for Counter-Terrorism, 15 April 1992. [www.ict.org.il.2004](http://www.ict.org.il.2004).

<sup>312</sup> იხ. S. Kiser Financing Terror. An Analysis and Simulation for Affecting Al Qaeda's Financial Infrastructure // Rand Corporation, 2004, p. 39.

<sup>313</sup> იხ. J. Brisard. Terrorism Financing: Roots and Trends of Saudi Terrorism Financing. 2002, p. 6.

<sup>314</sup> იხ. J. B. Taylor, “Statement from the US Department of the Treasury,” 7 November 2001, [www.treas.gov/press/releases/po771.htm.2004](http://www.treas.gov/press/releases/po771.htm.2004).

<sup>315</sup> იხ. “The United States and Italy Designate Twenty-Five New Financiers of Terror,” Department of the Treasury Office of Public Affairs, PO-3380, 29 August 2002, [www.ustreas.gov/press/releases/po3380.htm.2005](http://www.ustreas.gov/press/releases/po3380.htm.2005).

<sup>316</sup> იხ. D.Byman, P. Chalk, B. Hoffman, W. Rosenau, D. Brannan Trends in Outside Support for Insurgent Movements, Rand, 2001. p. 44.

<sup>317</sup> იხ.: Treasury Designates Al-Aqsa International Foundation as Financier of Terror: Charity Linked to Funding of the Hamas Terrorist Organization,” Department of the Treasury, Office of Public Affairs, 29 May 2003, [www.treas.gov/press/releases/js439.htm](http://www.treas.gov/press/releases/js439.htm).

ორგანიზაციები ტერორისტული ჯგუფების მხარდაჭერას ახორციელებენ არამხოლოდ ფინანსური მხარდაჭერით, არამედ მათთვის ქმნიან საწვრთნელ, სამედიცინო – გამაჯანსაღებელ და სხვა სახის ინფრასტრუქტურას.”<sup>318</sup>

4. ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით პასუხისგებაში მიცემული ფიზიკური პირების შემთხვევებიდან შეიძლება დასახელდეს: აბდურაჰმან მუჰამედ აღმოუდი, აშშ-ს მუსულმანური ფონდის თავკაცი, ბრალდებული იქნა ლიბიასთან ფინანსური ურთიერთობის დამყარებისთვის (აღნიშნულ ქვეყანას როგორც ტერორიზმის დამფინანსებელს აშშ –ს მხრიდან ეკონომიკური სანქციები აქვს დადებული). სასამართლო მონაცემების მიხედვით აღმოუდი ქველმოქმედებას ამოფარებული უზარმაზარ თანხებს უზაჰნიდა ტერორისტულ ორგანიზაციებს მათ შორის, ალ-ქაიდას და ჰამასს. აღნიშნულის გარდა, აღმოუდის ურთიერთობა ჰქონდა აშშ-ში მოქმედ თითქმის ყველა ტერორისტულ ჯგუფთან; ტერორიზმის დაფინანსების ბრალდებით პასუხისგებაშია მიცემული აგრეთვე სოლეიმან ბიჰეირი, რომელიც ლეგალურ ბიზნეს საქმიანობას იყო ამოფარებული. იგი აშშ-ს ოფიციალური პირების მიერ სახელდებულია როგორც “მუსულმანური სამშოს ამერიკელი ბანკირი”.<sup>319</sup>

ჯეიმს ადამსის ნაშრომი ტერორიზმის დაფინანსების საკითხებში კლასიკურად ითვლება. მის მიერ გაანალიზებული იქნა ტერორიზმის ფინანსური ინფრასტრუქტურა.<sup>320</sup> ადამსის აზრით 1960-1980-იან წლებში ტერორიზმმა ფინანსების გამოძებნის საკითხში ცვლილებები განიცადა. დასაფლეთს, რომელსაც სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები ედგა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სპონსორი ქვეყნების გამოვლენას ცდილობდა, აღნიშნული ფერიცვალება მხედველობიდან გამორჩა. მძლავრი ტერორისტული ჯგუფები უკვე აღარ იყვნენ დამოკიდებული სახელმწიფოებზე, მათ დაფინანსების საკუთარი წყაროები შექმნეს. ადამსი ასკვნის რომ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა იმ ფინანსურ ინფრასტრუქტურების მოშლა რომლებითაც საზრდოობენ ტერორისტული ორგანიზაციები. ადამსის მიხედვით, ტერორისტულ ჯგუფები ვითარდებიან და ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად. ადამსი სვამს კითხვას: რა ხერხებით აფინანსებენ ტერორისტული ორგანიზაციები საკუთარ საქმიანობას, თუ კი ისინი არ სარგებლობენ სახელმწიფო ხელშეწყობით? ადამსი აღნიშნულ კითხვას შემდეგნაირად პასუხობს: ტერორისტული ორგანიზაციის არსებობისთვის საჭიროა დიდი რესურსები, ამიტომ აღნიშნული ორგანიზაცია ქმნის საკუთარ ფინანსურ ინფრასტრუქტურას. მაგალითისთვის სახელდება პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია (PLO), რომელმაც მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ჩამოაყალიბა თავისი ეკონომიკური ფრთა “სამედის” (Samed) სახელწოდებით. “სამედი” აგებულია თანამედროვე ორგანიზაციული მოწყობის წესების დაცვით, წარმოადგენს ლეგალურ ფინანსურ სტრუქტურას, რომელიც ფლობს ფერმერულ მეურნეობებსა და ფაბრიკა - ქარხნებს მრავალ ქვეყა-

<sup>318</sup> იხ. M. Levitt The Political Economy of Middle East Terrorism // The Washington Institute, 2002. p. 5.

<sup>319</sup> იხ. Untangling the Terror Web: Identifying and Counteracting the Phenomenon of Crossover Between Terrorist Groups, Matthew Levitt, SAIS Review vol. XXIV no. 1 (Winter-Spring 2004) project MUSE, <http://muse.jhu.edu>. 2004.

<sup>320</sup> J. Adams, The Financing of Terror, Aberdeen University Press. Aberdeen, 1986.

ნაში, კერძოდ, ლიბანში, ტუნისში, ალჟირსა და სირიაში. “სამედს” განზრახული აქვს გახდეს უდიდესი ეკონომიკური ძალა ახლო აღმოსავლეთში ოცდამეერთე საუკუნის განმავლობაში, საქმიანობის გენერალურ ხაზს პალესტინის გამათავისუფლებელი მოძრაობის დაფინანსება წარმოადგენს.

უნიკალური ფინანსური ინფრასტრუქტურა შექმნა აგრეთვე “ირლანდიის გამათავისუფლებელ არმია”-მ (IRA). არსებობდა მოსაზრება, რომ IRA ფინანსდებოდა აშშ-დან, იქ მცხოვრები ემიგრანტი ირლანდიელების შენაწირების მეშვეობით. ადამსი ასაბუთებს, რომ აღნიშნული წყარო IRA-ს ფინანსურ სტრუქტურაში უმთავრეს როლს არ თამაშობს. IRA თავისი ხაზინის მნიშვნელოვან ნაწილს ავსებს ჩრდილოეთ ირლანდიაში ორგანიზებული დანაშაულობის საკუთარი ქსელის წყალობით. რევოლუციონერობის და ჩვეულებრივი განგსტერობის შეთავსება საუკეთესო მეთოდი აღმოჩნდა ტერორიზმის დაფინანსებისთვის. ადამსი აღნიშნულ მოვლენას “კაპონეს აღმოჩენას” უწოდებს, მისი არსი შემდგომშია: ტერორისტულმა ორგანიზაცია IRA-მ აღმოაჩინა, რომ შეუძლია დიდი თანხების მოპოვება მაღაზიების მფლობელებისგან და სხვა სხვა სახის მეწარმეთაგან სავალდებულო დაცვის სერვისის თავს მოხვევით და ფულის გამოძალვით. IRA-ს აღნიშნულ მოქმედებას რეკეტის ფორმა ჰქონდა და მეწარმე თანხას იხდიდა ორი მიზეზის გამო: პირველი, რომ ტერორისტული ორგანიზაცია კისრულობდა მისი ბიზნესის დაცვას გარეშე პირთაგან, მეორე და უმთავრესი იცავდა თვით IRA-სგან, მისი თავდასხმებისგან. წარმატებული ცდა გამოდგა 1972 წელს ლეგალურ ფინანსურ სივრცეში გამოსვლა და ტაქსების კომპანიის შექმნა. IRA მალე მიხვდა, რომ გაცილებით დიდ თანხებს მოიგებდა, თუ კონკურენტებს ჩამოიცილებდა, ტერორიზმი გამოიყენებოდა ბაზარზე დომინირებისათვის. მეთოდები კარგად მუშაობდა და IRA კომერციული საქმიანობის სხვა მომგებიან სახეობებშიც აქტიურად ჩაება.<sup>321</sup>

ადამსი ასკვნის: არცერთი ტერორისტული ორგანიზაცია არ მოქმედებს ვაკუუმში, მას სამოქმედოდ სჭირდება სხვადასხვა სახის რესურსები, ხოლო რესურსები თანხებთანაა დაკავშირებული. ასე რომ ყოველი ტერორისტული ორგანიზაციის უკან ფინანსური ინფრასტრუქტურაა. ამიტომ ტერორიზმთან ბრძოლა მისი ფინანსური ქსელის ლიკვიდაციას უნდა ითვალისწინებდეს.<sup>322</sup>

პალესტინის გამათავისუფლებელი არმია (ООП) შიდა ფინანსური სტრუქტურების განვითარებული სქემით გამოირჩევა. ორგანიზაცია ფლობს შუა აღმოსავლეთში ტანსაცმლის და იარაღის მწარმოებელ ფაბრიკა-ქარხნებს, აფრიკის კონტინენტზე ფერმერულ მეურნეობებს, უძრავ ქონებას ევროპაში, ავიაკომპანიებს ნიკარაგუაში და მაღლივის რესპუბლიკაში. მიღებული მოგება მიმართულია აშშ-ს, საფრანგეთის, ბრიტანეთის, გერმანიის, ბელგიის და იაპონიის საფონდო ბაზრებზე აქციების შესაძენად. საინტერესო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ფაქტი, როდესაც ორგანიზაცი-

<sup>321</sup> იხ. J. Adams, დასახელებული ნაშობი, გვ. 393 – 405.

<sup>322</sup> იხ. იქვე



ამ მისთვის სასარგებლო პირობებით ნიკარაგუის ხელისუფლებაზე კრედიტიც კი გასცა.<sup>323</sup>

თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსება ხორციელდება ლეგალური და არალეგალური ბიზნესიდან, საწევრო შენატანებიდან, ლოიალურად განწყობილი სახელმწიფოებიდან, სათვისტომოებიდან, რელიგიური ორგანიზაციებიდან და სხვა წყაროებიდან. ტერორისტული ორგანიზაციის დაფინანსების ერთ-ერთ თანამედროვე ფორმას თვითდაფინანსება წარმოადგენს. თვითდაფინანსების გენერალურ ხაზს ორგანიზაციის სამეწარმეო საქმიანობა (ლეგალური ან არალეგალური) წარმოადგენს. თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან შიდა, ავტონომიური დაფინანსების წყაროები, რათა მოიპოვონ ფინანსური დამოუკიდებულება და არ იყვნენ დამოკიდებულნი გარეგან ფაქტორებზე.

1999 წლის კონვენცია “ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ” მიღებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ზუსტად იმ მიზნით, რომ სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევით თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებს მოეშალოს ფინანსური დასაყრდენი.

კონვენციის პირველი მუხლის პირველ ნაწილში განსაზღვრულია ხელყოფის საგანი, ე.წ. “ფონდები” რომელშიც, კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, იგულისხმება “ყველა სახის და ნებისმიერი გზით მოპოვებული, მატერიალური და არამატერიალური, მოძრავი და უძრავი აქტივები, ნებისმიერი ფორმის იურიდიული დოკუმენტი, მათ შორის ელექტრონული და ციფრული, რომელიც ამგვარ აქტივებზე საკუთრების უფლებას ან მათში წილობრივ მონაწილეობას ადასტურებს, მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება, საბანკო კრედიტებს, სამგზავრო ჩეკებს, საბანკო ჩეკებს, ფულად გზავნილებს, აქციებს, ფასიან ქაღალდებს, ობლიგაციებს, ტრანტებს, აკრედიტივებს.”

კონვენციით გათვალისწინებულ აკრძალულ ქმედებას სჩადის პირი თუ პირდაპირ ან არაპირდაპირ, უკანონოდ და საკუთარი ნებით, უზრუნველყოფს ან აგროვებს “ფონდებს” იმ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ, ან იცის, რომ მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გამოიყენებენ ტერორიზმის დასაფინანსებლად. როგორც კონვენციიდან ჩანს, ტერორიზმის დაფინანსება პირმა შეიძლება განახორციელოს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რადგანაც პირი აგროვებს “ფონდებს” იმ განზრახვით, რომ მათ გამოიყენებენ ან იცის რომ გამოიყენებენ, ანუ პირველ შემთხვევაში სურს ტერორისტების მხრიდან “ფონდების” გამოყენება, ხოლო მეორე შემთხვევაში შეგნებულად უშვებს აღნიშნულს. მეორე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის აუცილებელი არ არის “ფონდები” ფაქტობრივად იყოს გამოყენებული ტერორისტთა მიერ. მთავარია, რომ დაფინანსებელმა “ფონდები” მიაწოდოს ტერორისტებს ზემოჩამოთვლილი საშუალებებით და ფორმებით. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის მიწოდებული ფონდების გა-

<sup>323</sup> იხ.: S. Kiser Financing Terror. An Analysis and Simulation for Affecting Al Qaeda's Financial Infrastructure // Rand Corporation, 2004, p. 43.

მოყენებას, სრულად ან ნაწილობრივ შეძლებენ თუ არა ტერორისტები, მნიშვნელობა არა აქვს.

კონვენციის მეხუთე მუხლის შესაბამისად, კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფო “ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, განახორციელებს ღონისძიებებს, რათა თავის ტერიტორიაზე განლაგებულ იურიდიულ პირებს ან ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირებს დააკისროს პასუხისმგებლობა.” იმ შემთხვევებში როდესაც ამ იურიდიული პირის ხელმძღვანელმა ან მაკონტროლებელმა ორგანომ სამსახურებრივი ფუნქციის შესრულებისას ტერორიზმის დაფინანსება განახორციელა. ამასთან, კონვენციის მე-5 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირებზე დაკისრებული პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩამდენ პირებს არ ათავისუფლებს პირადი პასუხისმგებლისაგან. საგულისხმოა, რომ კონვენციის ზემოაღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 107<sup>1</sup>-ე მუხლის მე-6 ნაწილში, რომლის მიხედვითაც: “იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს იმავე დანაშაულისათვის ფიზიკური პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას”. იურიდიული პირებისთვის დასაკისრებელი პასუხისმგებლობის ფორმებიდან კონვენცია გამოყოფს სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ და ადმინისტრაციულსამართლებრივ საშუალებებს. ამასთან, იურიდიული პირის მიმართ გამოყენებული სანქცია უნდა იყოს ქმედითი, თანაზომიერი და ამან ხელი უნდა ააღებინოს პირს დანაშაულის ჩადენაზე.

კონვენციის მეექვსე მუხლის იმპერატიული მითითებით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ რათა ტერორიზმის დაფინანსებას არც ერთ შემთხვევაში არ მოეძებნოს გამართლება პოლიტიკური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა მსგავსი მოსაზრებით. ასეთივე დათქმას შეიცავს 1997 წლის “საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ”. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330<sup>1</sup>-ე მუხლი, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრძალავს საქვეყნოდ მოწოდებას ტერორიზმისაკენ და დასჯადად აცხადებს ტერორიზმის პროპაგანდის ნებისმიერ შემთხვევას. ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ კონვენციის აღნიშნული მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლის მიერ არის გათვალისწინებული და ასახულია სისხლის სამართლის კოდექსში.

კონვენციის მე-12 მუხლის მეორე ნაწილი მნიშვნელოვან დათქმას აკეთებს იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა არ უნდა უარყონ კანონიერი ურთიერთდახმარების შესახებ მოთხოვნა საბანკო საიდუმლოებების დაცვის მოტივით. კონვენციის აღნიშნული დათქმა საერთაშორისო სამართალში ნოვაციას წარმოადგენს და მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა გააჩნია. ამის გარდა, კონვენციის მეთვრამეტე მუხლში გაწერილია სახელმწიფოთა სხვა ვალდებულებები. კერძოდ: ზომების მიღება თავიანთ ტერიტორიებზე იმ პირებისა და ორგანიზაციების არაკანონიერი საქმიანობის ასაკრძალად, რომლებიც შეგნებულად წაახალისებენ, უბიძგებენ, ორგანიზებას უკეთებენ ან ჩაბმული არიან ტერორიზმის დაფინანსებაში; შესაბამისი სტრუქტურების მიერ სათანადო ყურადღების მიქცევა საეჭვო და უჩვეულო გარიგებებზე; ისეთი

წესების შემოღებაზე, რომლებიც კრძალავს ანგარიშების გახსნას, თუკი მათი მფლობელები ან ბენეფიციარები დაუდგენელი პირები არიან, ან მათი იდენტიფიკაცია შეუძლებელია; შემოიღონ ისეთი წესები, რომლებიც ფინანსურ ინსტიტუტებს ვალდებულებას აკისრებს სასწრაფოდ შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს ყველა რთული, უჩვეულო, მასშტაბური ან უცნაური გარიგების შესახებ, რომელიც არ ისახავს მიზნად ამკარად ეკონომიკურ ან თვალსაჩინოდ კანონიერ მიზნებს.

ექსტრადიციის და იურიდიული დახმარების საკითხებზე მნიშვნელოვან დათქმას აკეთებს კონვენციის მეცამეტე და მეთოთხმეტე მუხლები, რომლის მიხედვითაც, ტერორიზმის დაფინანსება არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ ან პოლიტიკურ დანაშაულად, აქედან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ არ უნდა უარყოს ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების გაწევის შესახებ მოთხოვნა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ტერორიზმის დაფინანსება დაკავშირებულია ფინანსურ ან პოლიტიკურ დანაშაულთან.

კონვენციის მეთექვსმეტე მუხლის თანახმად, სახელმწიფოს უფლება აქვს უარი განაცხადოს ექსტრადიციასა და იურიდიულ დახმარებაზე თუ საკმარისი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებით ექსტრადიციის ან იურიდიული დახმარების მოთხოვნა მიზნად ისახავს პიროვნების სისხლისამართლებრივ დევნას ან დასჯას მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, ეთნიკური წარმოშობის, პოლიტიკური შეხედულებების გამო.

ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სპეციფიკა შეიცავს სადაზვერვო და სამართალშეფარდებითი ასპექტების რთულ ურთიერთკავშირს, რომელიც ეხება ისეთ დაუცველ სფეროს, როგორცაა საბანკო საიდუმლოება. საბანკო საიდუმლოების საკითხები დაკავშირებულია როგორც სახელმწიფოების ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან, ასევე საკუთრების უფლებასთან, მოქალაქეების კომერციულ და პირადი ინტერესებთან, რაშიცაა განსაკუთრებული სირთულე შესაბამისი მოქმედების როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. კონვენცია არეგულირებს აგრეთვე დამნაშავე პირის დაკავების, გადაცემის, სისხლისსმართლებრივი დევნის, იურიდიული ურთიერთდახმარების და სხვა პროცესუალური ხასიათის საკითხებს.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთაშორისო კომისიამ (FATF) 2001 წლის 29-30 ოქტომბერს ქ. ვაშინგტონში შეიმუშავა 9 სპეციალური რეკომენდაცია, რომლებსაც მოგვიანებით დაემატა მეცხრე რეკომენდაცია ნაღდი ფულის ბრუნვასთან დაკავშირებით. ამავე ორგანიზაციის ფულის გათეთრების ცნობილ 40 რეკომენდაციასთან ერთობლიობაში ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ამოსავალ პრინციპებად უნდა იქნეს განხილული:

1. ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ასპექტით გაეროს მიერ მიღებული საერთაშორისო ნორმატიული აქტების რატიფიკაცია და იმპლემენტაცია;

2. ტერორიზმის დაფინანსებისა და მასთან დაკავშირებული ფულის გათეთრების ქმედებათა კრიმინალიზაცია;
3. ტერორისტული აქტივების გაყინვა და კონფისკაცია;
4. ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული საექვო ოპერაციების შესახებ შეტყობინება;
5. სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო თანამშრომლობა ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთისა და გამოძიების საკითხებში;
6. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის მოთხოვნების დანერგვა ფულის გადარიცხვის ალტერნატიული სისტემების გამოყენებისას;
7. ელექტრონული გადარიცხვების შემთხვევაში კონტროლის გამკაცრება ფინანსური აქტივების მფლობელის იდენტიფიკაციის მიზნით;
8. შესაბამისი გარანტიების შექმნა იმ მიზნით, რომ საკუთრება, განასკუთრებით კი არაკომერციული ორგანიზაციების, არ იქნება გამოყენებული ტერორიზმის დასაფინანსებლად;
9. ნაღდი ფულის ბრუნვის კონტროლის მექანიზმების შესახებ.

**FATF – ის რეკომენდაციების მიხედვით ტერორიზმის დაფინანსება ფულის გათეთრების პრედიკატულ დანაშაულად ითვლება.** პრედიკატულ დანაშაულში წინმსწრები დანაული იგულისხმება, ანუ ტერორიზმის დაფინანსება ფულის გათეთრების წინარე დანაშაულად ითვლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისს კრიმინალიზებული იქნა ტერორიზმის დაფინანსება, ამით საქართველოს კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა კონვენციის მოთხოვნებთან. სსკ-ის 331<sup>1</sup> –ე მუხლის თანახმად, ტერორიზმის დაფინანსებას ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვება ან მიწოდება ხდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ აღნიშნული გამოყენებული იქნება ტერორიზმის თავით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულების ჩადენისათვის. დანაშაულის სუბიექტური მხარე როგორც პირდაპირ ისე არაპირდაპირ განზრახვას მოიცავს, მთავარია სუბიექტურ მხარეში არსებობდეს იმის შეცნობის ელემენტი, რომ ფინანსური სახსრები მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩასადენად.

ტერორიზმის დაფინანსების და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, გამოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებები და განკარგულებები, საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებები და სხვა ნორმატიული აქტები.

განხილული საერთაშორისო კონვენციების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ტერორიზმის რომელიმე ერთი კონკრეტული გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებას წარმოადგენენ. თეორიაში ტეროლოგები ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ კონვენციებს, რეგულირების სფეროს კონკრეტიზაციის გამო, “საგნობრივს” უწოდებენ. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ტერორიზმის ფორმების მუდმივი ცვალებადობის გამო, “საგნობრივი” კონვენციები ვერ დაარეგულირებდა და ვერ მოიცავდა მის ყველა გამოვლინებას. მრავალჯერ დაისვა წინადადება შემუშავებულიყო ერთიანი, უნივერსალური საერთაშორისო – სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ტერორიზმთან ბრძოლის პრობლემის მთლიანად მოიცავდა.<sup>324</sup>

## 2.2.9. გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია

ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ერთიანი საერთაშორისო დოკუმენტის შემუშავების იდეით 2006 წლის 8 სექტემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო გლობალური კონტრტერორისტული სტრატეგია. დოკუმენტი მოცემულია რეზოლუციის ფორმით რომელსაც თან ერთვის სამოქმედო გეგმა. კონტრტერორისტული სტრატეგია წარმოადგენს უნიკალურ დოკუმენტს, რადგანაც პირველად ყველა წევრი სახელმწიფო შეთანხმდა იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორიზმი მიუღებელია მისი ფორმის და გამოვლინების მიუხედავად, შემუშავდა ტერორიზმთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიული მიდგომა. კონტრტერორისტული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა აგებულია ისეთი შემადგენელი კომპონენტებით, როგორცაა:

1. ტერორიზმის ხელშემწყობი პირობების თავიდან აცილების ღონისძიებები;
2. ტერორიზმის თავიდან აცილების და მასთან ბრძოლის ღონისძიებები;
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის და წევრი სახელმწიფოების შესაძლებლობების ზრდა ტერორიზმის თავიდან აცილებისა და მასთან ბრძოლის ასპექტით;
4. კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებების საყოველთაო პატივისცემის პრინციპის უზრუნველყოფა ტერორიზმთან ბრძოლაში.<sup>325</sup>

<sup>324</sup> იხ. Т. С. Бояр-Созонович, Международный терроризм: политико-правовые аспекты, Одесса, Лыбидь, 1991. сс. 119-120.

<sup>325</sup> იხ. [http://www.un.org/russian/terrorism/strategy\\_resolution.shtml#a2.2011](http://www.un.org/russian/terrorism/strategy_resolution.shtml#a2.2011).

## 2.2.10. ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

საერთაშორისო ნორმატიული აქტებიდან განსაკუთრებულად აღსანიშნავია 1977 წლის 27 იანვრის ევროპული კონვენცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.<sup>326</sup> როგორც პრეამბულაშია აღნიშნული კონვენციის მიღება განაპირობა ტერორისტული აქტებით გამოწვეულმა მზარდმა შეშფოთებამ და ტერორისტული აქტების ჩამდენი პირების მიმართ ეფექტური სამართლებრივი ზომების მიღების აუცილებლობამ. კონვენციაში გაწერილია ხელმომწერი სახელმწიფოების ურთიერთთანამშრომლობის საწყისები, დადგენილია ექსტრადიციის ზოგადი პრინციპები ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისთვის.

კონვენციის პირველივე მუხლში განსაზღვრულია, რომ ხელშემკვერელ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის მიზნებისათვის, ტერორისტული ხასიათის არცერთი დანაშაული არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად ან პოლიტიკური მოტივებით გამოწვეულ დანაშაულად. პოლიტიკურ დანაშაულად არ შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო კონვენციებით აკრძალული ტერორისტული ხასიათის ქმედებები.<sup>327</sup>

კონვენციის მეოთხე მუხლის თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებებიდან თუ რომელიმე არ არის აღიარებული ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად ხელშემკვერელ სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ კონვენციასა თუ ხელშეკრულებაში, იგი მაინც ჩაითვლება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულად. ამ დათქმით შესაძლებელი ხდება თუნდაც არ არსებობდეს სახელმწიფოთა შორის შეთანხმება იურიდიულ დახმარებასა და ექსტრადიციაზე და ისინი წარმოადგენდნენ ევროპული კონვენციის ხელმომწერ მხარეებს, განახორციელონ ექსტრადიცია და იურიდიული ურთიერთდახმარება ამ კონვენციის საფუძველზე ტერორისტული ხასიათის დანაშაულების შემთხვევაში.

ევროპული კონვენციის მერვე მუხლის თანახმად, ტერორისტული დანაშაულების შემთხვევაში სახელმწიფოები გამოიყენებენ იურიდიული ურთიერთდახმარების ყველაზე ფართო ზომებს. ამასთანავე არ შეიძლება უარი ითქვას ამ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძველით, რომ იგი შეეხება პოლიტიკურ დანაშაულს, ან დანაშაულს დაკავშირებულს პოლიტიკურ დანაშაულთან ან პოლიტიკური მოტივებით განპირობებულ დანაშაულს.

სახელმწიფოს უფლება აქვს უარი ითქვას ექსტრადიციაზე იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ტერორისტული ხასიათის დანაშაულებზე ექსტრა-

<sup>326</sup> რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 27 სექტემბრის № 509 დადგენილებით.

<sup>327</sup> კონვენციის პირველ მუხლში ჩამოთვლილია საერთაშორისო ტერორისტული ხასიათის დანაშაულები (დიპლომატიური აგენტების წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, საჰაერო ხომალდის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები, მძევლად ხელში ჩაგდება და სხვ.), რომლებიც დასჯადადაა ცნობილი გაეროს 16 საერთაშორისო შეთანხმებით და წინამდებარე ნაშრომში იყო განხილული.

დიცის შესახებ თხოვნა განხორციელდა პირის ბრალდების ან დასჯისათვის მისი რასის, რელიგიის, ეროვნების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო, ან თუ პირის მდგომარეობა შეიძლება დამძიმდეს რომელიმე ამ მიზეზის გამო.

### § 3. ტერორიზმთან ნორმატიული საშუალებებით ბრძოლის ფრანგული მოდელი

ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საინტერესო მაგალითს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით წარმოადგენს საფრანგეთის კანონმდებლობა. დასავლეთ ქვეყნების სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობათა უმრავლესობა, მათ შორის საფრანგეთისაც შეიცავს როგორც მატერიალურ, ასევე პროცესუალურ ნორმებს. მსგავსი საკანონმდებლო ტექნიკა, როდესაც ნორმატიული აქტი თავისი ხასიათით არის მატერიალურიც და პროცესუალურიც, იძლევა სწრაფი და მოქნილი რეაგირების საშუალებას. საფრანგეთში მსგავს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს კანონი “ტერორიზმთან და სახელმწიფო უსაფრთხოების ხელმყოფ ქმედებებთან ბრძოლის შესახებ.” შინაარსობრივად ეს კანონი შეიძლება ჩაითვალოს კომპლექსურად, ნაწილობრივ მატერიალურ და ნაწილობრივ პროცესუალურად. ეს აიხსნება იმით, რომ საფრანგეთის სისხლის საპროცესო კოდექსის მე-15 თავში მოცემულია ტერორისტული ხასიათის დანაშაულის მატერიალური ცნება. კერძოდ, განისაზღვრება როგორც მძიმე კატეგორიის დანაშაულთა სიმრავლის არსებობა, ჩადენილი “პირის ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ, რომლის მიზანია მნიშვნელოვნად დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი დაშინების და ტერორის გზით.”<sup>328</sup>

საფრანგეთის სისხლის საპროცესო კოდექსის 706-16 მუხლში მოცემულია მიმდინარე დანაშაულების ჩამონათვალი, რომლებიც გარკვეული პირობების არსებობის დროს ჩაითვლება ტერორისტულად. ეს მუხლი არ აყალიბებს ახალ შემადგენლობას, არამედ მხოლოდ ჩამოთვლის კონკრეტულ შემადგენლობებს, რომელთა ჩადენაც ფიზიკური პირის ან დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ, საზოგადოებრივი წესრიგის საშიში დარღვევის მიზნით, დაშინების ან ტერორის გზით, მიიჩნევა ტერორისტული ხასიათის დანაშაულად და საპროცესო მოქმედებები წარიმართება სისხლის საპროცესო კოდექსის მე-15 თავით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.<sup>329</sup>

1992 წელს საფრანგეთში მიიღეს ახალი სისხლის სამართლის მატერიალური კოდექსი. იგი შედგება 4 წიგნისგან, რომლებიც, თავის მხრივ, შედგებიან კარებისგან, თავებისგან, პუნქტებისა და ქვეპუნქტებისგან. სისხლის სამართლის კოდექსის მეოთხე წიგნი ითვალისწინებს ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობას. იგი შედგება ორი თავისაგან: თავი I – “ტერორისტული აქტების შესახებ” (421-1 – 421-4 მუხლები)<sup>330</sup>; თავი II – “განსაკუთრებული დებულებები” (422-1 – 422-5 მუხლები)<sup>331</sup>. პირველ

<sup>328</sup> იხ. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. И.С. Власов, М., 2002, с. 67.

<sup>329</sup> იხ. Code de procédure pénale; Titre XV : De la poursuite, de l'instruction et du jugement des actes de terrorisme, <http://www.legifrance.gouv.fr>.2011.

<sup>330</sup> იხ. Code pénal, Livre IV, Titre II : Du terrorisme. Chapitre Ier : Des actes de terrorisme. Article 421-1 - 421-7, <http://www.legifrance.gouv.fr>.2011.

<sup>331</sup> იხ. Code pénal, Livre IV, Titre II : Du terrorisme. Chapitre II : Dispositions particulières.. Article 422-1 – 422-7, <http://www.legifrance.gouv.fr>.2011.



თავში განსაზღვრულია ტერორიზმის ცნება და პასუხისმგებლობის ზომები. მეორე თავი ითვალისწინებს ტერორისტული ხასიათის დანაშაულების ჩადენაში ბრალდებული პირების სასჯელისგან გათავისუფლებას იმ შემთხვევებში, თუ ეს პირები თანამშრომლობენ გამოძიებასთან, აწესებს დამატებით სასჯელებს და განსაზღვრავს იურიდიული პირების პასუხისმგებლობას.

ფრანგული სისხლის სამართლის მიხედვით, ტერორისტული ხასიათის დანაშაულები სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა წიგნშია გაერთიანებული (დანაშაული ერის, სახელმწიფოს და საზოგადოებრივი მშვიდობის წინააღმდეგ)<sup>332</sup> და მათი სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი სახელმწიფო სტრატეგიული ინტერესებია (პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვ.). საფრანგეთის სსკ-ის 421-1 მუხლის მიხედვით, ტერორისტული აქტი განისაზღვრება, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის არსებითი დარღვევა, ჩადენილი დაშინების ან ტერორის გზით, რომელიც ხელყოფს ატმოსფეროს, მიწას, წყალს, ტერიტორიული წლების ჩათვლით, საკვებ პროდუქტებს ისეთი ნივთიერებებით, რაც უქმნის საფრთხეს ადამიანის ან ცხოველთა ჯანმრთელობას ან გარემოს.

საფრანგეთის სსკ-ის 421-2 მუხლის თანახმად, ტერორისტულ აქტად განიხილება აგრეთვე ჯგუფის შექმნა ან მასში მონაწილეობა 421-1 მუხლში აღწერილი ტერორისტული აქტის ჩადენის მიზნით.

საფრანგეთის სსკ-ის 421-2-2 მუხლის თანახმად, ტერორისტულ აქტად განიხილება აგრეთვე ტერორიზმის დაფინანსება. კერძოდ, გარკვეული ქონების, ფასეულობის, ფინანსური საშუალებების ან სხვა ფონდების გამოყენება ანდა გადაცემა იმის გაცნობიერებით, რომ აღნიშნული მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ტერორისტული დანაშაულის ამკრძალავი თავით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების ჩასადენად, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დანაშაული რეალურად ჩადენილი.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში ანტიტერორისტული ნორმების უმნიშვნელოვანეს თვისებას ის შეადგენს, რომ ტერორისტული აქტის ძირითადი ნიშნების განსაზღვრის შემდეგ მოცემულია დათქმა, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ჩადენილია დაშინების ან ტერორის ხერხით და ხელყოფს საფრანგეთის სსკ-ის 421-1 დაცულ უშუალო ობიექტებს, ჩაითვლება ტერორისტულ აქტად. აქედან გამომდინარე, საფრანგეთის სსკ-ის 421-3 მუხლის თანახმად, ჩვეულებრივი დანაშაულები, თუ ისინი ჩადენილია ტერორისტული აქტისთვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების პირობებში ითვლება ტერორისტული ხასიათის დანაშაულად და ისჯება გაცილებით უფრო მკაცრად. კერძოდ, ტერორისტული დანაშაულის ჩამდენ პირს:

<sup>332</sup> იხ. Code pénal, Livre IV : Des crimes et délits contre la nation, l'Etat et la paix publique.

<http://www.legifrance.gouv.fr.2011>.

- ენიშნება თავისუფლების უვადო აღკვეთა, თუ ჩვეულებრივი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 30 წლამდე ვადით;
- ენიშნება თავისუფლების აღკვეთა 30 წლამდე ვადით, თუ ჩვეულებრივი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 20 წლამდე ვადით;
- ენიშნება თავისუფლების აღკვეთა 20 წლამდე ვადით, თუ ჩვეულებრივი დანაშაული გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე ვადით;
- ენიშნება თავისუფლების აღკვეთა 15 წლამდე ვადით, თუ ჩვეულებრივი დანაშაული გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით;
- ენიშნება თავისუფლების აღკვეთა 10 წლამდე ვადით, თუ ჩვეულებრივი დანაშაული გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით;
- სასჯელი ორმაგდება, თუ ანალოგიური ჩვეულებრივი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ვადით.<sup>333</sup>

საფრანგეთის სისხლის სამართლის ანტიტერორისტული ნორმების თვისება, რომელიც გულისხმობს ამა თუ იმ ქმედების ტერორისტული ხასიათის დანაშაულად ჩათვლას შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობისას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვნად წინადადებულ ნაბიჯად მიგვაჩნია. ტერორიზმი დინამიური და ცვლადი მოვლენაა, თანამედროვე მსოფლიოში მისი გამოვლენის ფორმები უკვე აღარ ემთხვევა წარსულში არსებულ სურათს, ხოლო მომავალში ტერორიზმმა შეიძლება კიდევ სხვა, დღემდე უცნობი, სახე შეიძინოს. ტერორიზმის ძირითადი, იმანენტური, თვისებების განსაზღვრით და იმის დათქმით, რომ ნებისმიერი დანაშაულებრივი აქტი, რომელიც განხორციელებული იქნება ტერორისტული აქტისთვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნებით, ჩაითვლება ტერორიზმად, ფრანგულ სისხლისსამართლებრივ საშუალებებს ტერორიზმთან ბრძოლაში მუდმივად ადეკვატურ პოზიციაში აყენებს.

საფრანგეთის ახალი სისხლის სამართლის კოდექსის ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული თავი II – განსაკუთრებული დებულებები, შეიცავს წამახალისებელ ნორმებს, რომლებიც, გარკვეული პირობების არსებობისას, შესაძლოა აღმოჩნდნენ უფრო ეფექტური ტერორიზმთან ბრძოლაში, ვიდრე ნორმები, რომლებიც მხოლოდ დასჯადობას ითვალისწინებს. წამახალისებელი ანტიტერორისტული ნორმები პირველად გათვალისწინებული იქნა 1986 წლის 9 სექტემბრის № 86–1019 კანონით, “დანაშაულებრივ საქმიანობასთან ბრძოლის შესახებ”, რომლის დებულებებიც მომავალში მთლიანად იქნა ჩართული საფრანგეთის 1992

<sup>333</sup> იხ. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. И.С. Власов, М., 2002, с. 75.

წლის სისხლის სამართლის კოდექსის მეორე კარის მეოთხე წიგნის მეორე თავში “განსაკუთრებული მდგომარეობა.” ფრანგი კანონმდებელი ამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ ტერორისტული აქტების და მათ მიერ გამოწვეული მავნე შედეგების შემცირება შესაძლოა მიღწეული იქნეს მკაცრი სასჯელების გარეშე, ტერორისტების პირადი დაინტერესების გზით, არ ჩაიდინონ ასეთი აქტები ან არ დადგეს დანაშაულებრივი შედეგი. ამ შემთხვევაში საუბარია იმ ნორმების გამოყენებაზე, რომლებიც ითვალისწინებს სასჯელისგან გათავისუფლებას ან მის შემცირებას იმ ტერორისტებისთვის რომლებიც ითანამშრომლებენ ხელისუფლების ორგანოებთან, მათი დახმარებით აცილებული იქნება მოსალოდნელი ზიანი, დაეხმარებიან გამოძიებას.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 422-1 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება პირი ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობისთვის, თუკი ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოსთვის დროული შეტყობინებით მოხდება დანაშაულის თავიდან აცილება და შესაბამის პირობების არსებობისას დასახელდება სხვა თანამონაწილეები.<sup>334</sup> საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 422-1 მუხლის თანახმად, სასჯელი ნახევრდება იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოსთვის დროული შეტყობინებით შესაძლებელი გახდება ტერორისტული აქტის შეწყვეტა და ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის თავიდან აცილება.<sup>335</sup>

საფრანგეთში მოქმედებს 1986 წლის 9 სექტემბრის №86–1020 კანონი, რომელიც არეგულირებს ტერორისტული ხელყოფის შედეგად დაზარალებულების მატერიალური კომპენსაციის საკითხებს. მოცემული კანონის 9-1 მუხლის თანახმად, ტერორისტული აქტის შედეგად პირებს, რომლებიც დაზარალდნენ საფრანგეთის ტერიტორიაზე, ასევე საფრანგეთის მოქალაქის, ან საფრანგეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები პირის მიერ, აუნაზღაურდება ზიანი საგარანტიო ფონდის ხარჯზე.<sup>336</sup>

<sup>334</sup> იხ. Code pénal, Livre IV, Titre II : Du terrorisme. Chapitre II : Dispositions particulières.. Article 422-1, <http://www.legifrance.gouv.fr>. 2011.

<sup>335</sup> იხ. Code pénal, Livre IV, Titre II : Du terrorisme. Chapitre II : Dispositions particulières.. Article 422-2, <http://www.legifrance.gouv.fr>. 2011.

<sup>336</sup> იხ. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. И.С. Власов, М., 2002, с. 77.

## § 4. ამერიკის შეერთებული შტატების კონტრტერორისტული კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს ანტიტერორისტულ ნორმებთან ერთად, მიზანშეწონილია, მიმოხილულ იქნეს ამერიკის შეერთებული შტატების კონტრტერორისტული კანონმდებლობა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო ეფექტური მსოფლიოში. აშშ-ში ტერორიზმთან ბრძოლის საკითხების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა მოიცავს ორი სახის საკანონმდებლო აქტებს: პირველი ფედერალურს, რომელიც მოქმედებს აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე და მეორე კონკრეტული შტატის ტერიტორიაზე მოქმედს.

ფედერალურ ნორმატიულ აქტებს წარმოადგენს აშშ-ს კონსტიტუცია, ფედერალური კანონები და კანონქვემდებარე აქტები. აშშ-ს კონსტიტუცია, ცვლილებების ჩათვლით, შეიცავს მთელ რიგ საერთო ხასიათის სისხლისსამართლებრივ ნორმებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სხვადასხვა სახის დანაშაულთან, მათ შორის ტერორიზმთან.<sup>337</sup>

აშშ-ში არ არსებობს ერთიანი, ყოველსმომცველი ფედერალური აქტი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ. ტერორიზმთან ბრძოლის საკითხები ასახულია სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში, რომელთაგან აღსანიშნავია: სამოქალაქო ავიაციის შესახებ ფედერალური კანონი (1958); ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი (1990); საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი (1984); დანაშაულის კონტროლის შესახებ კანონი (1990); კანონი ტერორიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ აშშ-ში და მის ფარგლებს გარეთ (1993); ტერორიზმთან ბრძოლის და სასჯელის მაღალი ზომის ეფექტურობის შესახებ კანონი (1996) და სხვა.<sup>338</sup>

ტერორიზმთან ბრძოლის ნორმატიული საშუალებებიდან აღსანიშნავია პატრიოტიზმის შესახებ აქტი, რომელიც 2001 წლის 24 ოქტომბერს მიიღო აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ.<sup>339</sup> პატრიოტიზმის შესახებ აქტი რომლის მიზანია ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტური ზომების შემუშავება, კომპლექსური ნორმატიული აქტია, შეიცავს სისხლისსამართლებრივ და სხვა სახის ნორმებს. პატრიოტის აქტი აფართოებს სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებას, ტერორიზმთან ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეულ შემთხვევებში, ზღუდავს საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს.

პატრიოტის აქტის დებულებებიდან აღსანიშნავია ელექტრონული თვალთვალის მეშვეობით მტკიცებულებების მოპოვების და დამაგრების პროცედურის გამარტივება, აგრეთვე ელექტრონული თვალთვალის ობიექტთა წრის გაფართოება. ცნობილია, რომ აშშ-ში გამოძიებაზე

<sup>337</sup> იხ. <http://www.constitution.org/cons/csa.txt>. 2011.

<sup>338</sup> იხ. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. И.С. Власов, М., 2002, с. 7.

<sup>339</sup> იხ. <http://www.justice.gov/archive/ll/highlights.htm>. 2011.

არსებობს სასამართლო კონტროლი. ფედერალურ დონეზე ისეთი საპროცესო მოქმედებები, როგორცაა დაკავება, ჩხეკა და სხვა მოითხოვს სანქციონირებას ფედერალური მოსამართლეების მხრიდან. აშშ-ში ისეთი ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებები, როგორცაა სატელეფონო მოსმენები და ელექტრონული თვალთვალი პროცესუალური თვალსაზრისით გათანაბრებულია ჩხრეკასთან და ამოღებასთან (სატელეფონო საუბრის მოსმენა ტექნიკური საშუალებების დახმარებით გათანაბრებულია ჩხრეკასთან, ხოლო მოსმენილი საუბრის ფიქსირება და ჩაწერა-ამოღებასთან). 1978 წლის “უცხოეთის სადაზვერვო საქმიანობაზე მეთვალყურეობის შესახებ” კანონის თანახმად, გამოძიების ფედერალური ბიუროს კონტრდაზვერვითი ოპერაციების წარმოებისთვის აუცილებელი სატელეფონო მოსმენები და ელექტრონული თვალთვალი ასევე მოითხოვს სანქციონირებას ფედერალური სასამართლო ხელისუფლების მხრიდან. ელექტრონული თვალთვალის ორდერის მოპოვება ფედერალური ბიუროს ოპერატიული თანამშრომლისათვის რთული ამოცანას წარმოადგენდა, რადგანაც იმის მერე რაც იგი შეათანხმებდა აღნიშნულ საკითხს საკუთარ ხელმძღვანელობასთან, აუცილებელი იყო ფედერალური პროკურორის თანხმობა, რომელიც, თავის მხრივ, ათანხმებდა საკითხს გენერალურ პროკურორთან ან მის მოადგილესთან. აღნიშნული პროცედურების გავლის შემდეგ ოპერატიული თანამშრომელი მიმართავდა სასამართლოს სადაც მოსამართლის წინაშე უნდა დაესაბუთებინა ელექტრონული თვალთვალის აუცილებლობა. ამასთან, ელექტრონული თვალთვალის დრო 30 დღე-ღამემდე იყო შეზღუდული, და ორდერის ვადის გაგრძელების შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენდა ზემოაღწერილი პროცედურის ხელახლა გავლა.<sup>340</sup> პატრიოტიზმის შესახებ აქტის მიღების შემდეგ ბიუროკრატიული მექანიზმები ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა ელექტრონული თვალთვალის ასპექტით გამარტივდა, ხოლო ელექტრონული თვალთვალის ფარგლები და მასშტაბები გაფართოვდა.<sup>341</sup> შესაძლებელია ელექტრონული თვალთვალი განხორციელდეს არამხოლოდ ერთი პირის, ან მისი სატელეფონო საუბრების მიმართ, არამედ პირთა განუსაზღვრელი რაოდენობის, ან სხვადასხვა სატელეფონო საუბრების მიმართ, თუ ისინი შინაარსობრივად ერთი დანაშაულის ჩადენას ეხება. ელექტრონული თვალთვალის საგანი შესაძლებელია იყოს აგრეთვე ელექტრონული ფოსტა,<sup>342</sup> პირადი კომპიუტერი<sup>343</sup> და სხვ.

პატრიოტიზმის შესახებ აქტით გათვალისწინებულ იქნა გამოძიების ფედერალური ბიუროს დაფინანსების ზრდა. 105 მუხლით გათვალისწინებული დებულების თანახმად საიდუმლო სამსახურებს შეუძლიათ განავითარონ ელექტრონულ დანაშაულების აღკვეთასა და გამოვლენაზე მომუშავე ჯგუფების ნაციონალური ქსელი, რომელიც

<sup>340</sup> იხ. <http://www.agentura.ru/dossier/usa/zakon-antiterror>. 2010.

<sup>341</sup> იხ. USA Patriot Act (U.S. [H.R.](#) 3162, [Public Law](#) 107-56), Title II, Sec. 216 .2011.

<sup>342</sup> იხ. USA Patriot Act (U.S. [H.R.](#) 3162, [Public Law](#) 107-56), Title II, Sec. 204 - 209.2011.

<sup>343</sup> იხ. USA Patriot Act (U.S. [H.R.](#) 3162, [Public Law](#) 107-56), Title II, Sec. 217.2011.

ელექტრონული დანაშაულის აღკვეთის, აღმოჩენის და გამოძიების საკითხებზე მომუშავე ნიუ-იორკის სამუშაო ჯგუფს დაუფუძნება.<sup>344</sup>

პატრიოტიზმის შესახებ აქტის მესამე ნაწილი ეხება საერთაშორისო ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ტერორიზმის თავიდან აცილების მიზნით.<sup>345</sup> მნიშვნელოვანია მეოთხე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს საემიგრაციო საკითხების კონტროლის გაუმჯობესების მიზნით<sup>346</sup> და ა.შ

ტერორიზმთან ბრძოლის ასპექტით აღსანიშნავია აშშ-ს იუსტიციის მინისტრის 2001 წლის 31 ოქტომბრის ბრძანება, რომელიც გამოქვეყნებისთანავე შევიდა ძალაში და რომლის მიხედვითაც, იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს, სასამართლო სანქციის გარეშე, გასცეს ბრძანება ადვოკატისა და ბრალდებულის სატელეფონო, ან პირადი კონფიდენციალური საუბრების მოსმენაზე, თუ არსებობს “საფუძვლიანი ეჭვი”, რომ დაკავებული პირი გამოიყენებს ადვოკატთან მოლაპარაკებას “ტერორისტული აქტების ჩადენის ან მათი ჩადენის დახმარების მიზნით”. იურისპრუდენციაში ადვოკატი-ბრალდებულის საუბრების კონფიდენციალურობა ხელშეუხებელ უფლებად ითვლება. ამ წესიდან გამონაკლისი არ არსებობდა. იუსტიციის მინისტრის ზემოაღნიშნული ბრძანების გამოცემის შემდეგ ადვოკატისა და მისი კლიენტის საუბრების კონფიდენციალურობის უფლება აღარ მოქმედებს ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისთვის.<sup>347</sup> იმის მიუხედავად, რომ მსგავსი გამონაკლისის არსებობა აშშ-ს კანონმდებლობაში, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრესულად მიგვაჩნია, ვფიქრობთ, რომ ადვოკატისა და კლიენტის კონფიდენციალურ ურთიერთობაზე თვალთვალი სასამართლო კონტროლით უნდა განხორციელდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც ადვოკატისა - კლიენტის საუბრების კონფიდენციალურობა დაცულია და არ შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც მტკიცებულება. მოცემული უფლების გარანტიები გაწერილია საქართველოს სსსკ-ის 38-ე და 43-ე მუხლებში, რომლის მიხედვითაც პირის ურთიერთობა მის ადვოკატთან, ან შესაძლო ადვოკატთან, კონფიდენციალური და თავისუფალია, როგორც პირის ბრალდებულად ცნობამდე, ისე ბრალდებულად ცნობის შემდეგ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სსსკ-ის 43-ე მუხლის მესამე ნაწილის დათქმას, რომლის მიხედვითაც: “დაკავებული ან დაპატიმრებული ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობით.” საქართველოს სსსკ-ის მიხედვით არ შეიძლება ადვოკატი – ბრალდებულის ურთიერთობის სხვა ფორმით შეზღუდვა, იქნება ეს ფარული მოსმენა თუ ელექტრონული თვალთვალის სხვა ფორმები.

<sup>344</sup> იხ. USA Patriot Act, Title II: Surveillance procedures.2011.

<sup>345</sup> იხ. [USA Patriot Act, Title III](#): Anti-money-laundering to prevent terrorism. 2011.

<sup>346</sup> იხ. [USA Patriot Act, Title IV](#): Border security. 2011.

<sup>347</sup> იხ. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. И.С. Власов, М., 2002, сс. 13-15.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს სსსკ-ით გარანტირებული ადვოკატი-ბრალდებულის ურთიერთობის კონფიდენციალურობა აშშ-ს კანონმდებლობის მსგავსად შესაძლებელია გადაიხედოს. იგულისხმება, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, წარსულში უკვე მომხდარის, ან მომავალში დაგეგმილის, ინფორმაციის მიღება და ტერორისტული ხასიათის დანაშაულების გახსნა ანდა მათ თავიდან აცილება. სამომავლოდ საქართველოში საგამოძიებო მოქმედებების წარმოებისას, ადვოკატი-ბრალდებულის კონფიდენციალური საუბრების მოსმენის დაშვების შემთხვევაში, მსგავსი ნებართვა, აშშ-ს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, უნდა გასცეს სასამართლომ და აღნიშნულ მოქმედებებზეც აუცილებელია სასამართლო კონტროლის შენარჩუნება.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერორისტული აქტის შემდეგ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის დროს აშშ-ს პრეზიდენტმა 2001 წლის 13 ნოემბერს გამოსცა ბრძანება “უცხოელი მოქალაქეების დაკავების, მოპყრობისა და გასამართლების შესახებ ტერორიზმთან ომის პირობებში” (President Issues Military Order).<sup>348</sup>

ბრძანების პირველ მუხლის “ა” ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ აშშ-ს მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქტები, რომელიც განხორციელდა აშშ-ს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, საერთაშორისო ტერორისტების მიერ, (აღ-ქაიდას წევრების ჩათვლით) იყო იმდენად სასტიკი და დამაგრეველი, რომ “გამოიწვიეს შეიარაღებული კონფლიქტი მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გამოყენებას.”

პირველი მუხლის “d” ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ აშშ-ს სახელმწიფოებრიობის და მისი მოქალაქეების დაცვის შესაძლებლობა ტერორისტული აქტებისაგან მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე ტერორისტების დაკავების, მათი ვინაობის და ხელშემწყობების დადგენის მიზნით რათა აღიკვეთოს მათი საქმიანობა, ასევე მოხდეს მათი შესაძლებლობების ლიკვიდაცია ტერორისტული აქტების თავიდან აცილების მიზნით. პირველი მუხლის “e” ქვეპუნქტის თანახმად აშშ-ს შეიარაღებულ ძალებმა უნდა მოძებნონ და დააკავონ საერთაშორისო ტერორისტები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და გაასამართლონ ძალადობრივი დანაშაულისთვის საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის საფუძველზე სამხედრო ტრიბუნალზე. ამ მიზნით პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სპეციალური ორგანო სამხედრო ტრიბუნალები სამხედრო კომისიების სახით.

სამხედრო კომისიების საქმიანობაზე კონტროლი დაევალა აშშ-ს თავდაცვის მინისტრს. ამ მიზნით აშშ-ს თავდაცვის მინისტრს დაევალა შესაბამისი ინსტრუქციები და ბრძანებების მიღება, რომელიც დაარეგულირებდა საერთაშორისო ტერორისტების საქმეების განმხილავი კომისიების მუშაობას. თავდაცვის მინისტრის ინსტრუქციები აშშ-ს

<sup>348</sup> იხ.: [http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush\\_detention\\_order.pdf](http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush_detention_order.pdf).2011.

პრეზიდენტის ბრძანების თანახმად, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა შეიცავდეს კომისიებში ტერორისტების სისხლისსამართლებრივი საქმეების განხილვის ჩატარების წესებს, წინასასამართლო, სასამართლო და სასამართლოს შემდეგი პროცედურების ჩათვლით. განსასჯელის ბრალეულობის დასაბუთების მეთოდებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ბრალმდებლებისა და დამცველების მიმართ.<sup>349</sup>

მითითებულმა წესებმა ასეთ ინსტრუქციებში აშშ-ს პრეზიდენტის ბრძანების მეოთხე თავის “c” ნაწილის მიხედვით როგორც მინიმუმ უნდა უზრუნველყოს:

1. სამხედრო კომისიას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამართოს სხდომა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, თავდაცვის მინისტრის მითითების შესაბამისად;
2. სრული და სამართლიანი სასამართლო განხილვა, რომელშიც სამხედრო კომისია მოსამართლის სტატუსით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეს, როგორ ფაქტის, ისე ნორმის მიხედვით;
3. სასამართლო განხილვაზე ისეთი მტკიცებულებების დაშვებადობა, რომელიც ფასეული და დამაჯერებელი იქნება ჯანსაღი გონების, საღად მოაზროვნე ადამიანისათვის;
4. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს მიღებული საიდუმლო ინფორმაციის, განსაკუთრებით კი სახელმწიფო საიდუმლოს დაცვა;
5. ბრალდების წარდგენა თავდაცვის მინისტრის მიერ დანიშნული ერთი ან მეტი პროკურორის მიერ და ბრალდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის მონაწილეობის უზრუნველყოფა პროცესში;
6. განსასჯელი დამნაშავედ იცნობა მხოლოდ ხმათა უმრავლესობით, კომისიის წევრების საერთო ხმების ორი მესამედის შემთხვევაში, თუ კენჭისყრის პროცესში წევრების უმეტესეობა მონაწილეობს.<sup>350</sup>

კომისიაში განხილული სისხლის სამართლის საქმის მალასები, განაჩენის ჩათვლით, განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ეგზავნება აშშ-ს პრეზიდენტს, ან ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით აშშ-ს თავდაცვის მინისტრს. აშშ-ს პრეზიდენტის ბრძანების მე-7 მუხლის “B” ნაწილის მიხედვით, სამხედრო ტრიბუნალების (სამხედრო კომისიები) იურისდიქციას მიეკუთვნება საერთაშორისო ტერორისტთა საქმეები, რომლებიც არ წარმოადგენენ აშშ-ს მოქალაქეებს. ბრძანების მიხედვით საერთაშორისო ტერორისტებს ეკრძალებათ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით, სისხლის

<sup>349</sup> იხ. Military Order of November 13, 2001, Detention, Treatment, and Trial of Certain Non-Citizens in the War Against Terrorism: Authority of the Secretary of Defense Regarding Trials of Individuals Subject to this Order.

<sup>350</sup> იხ. [http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush\\_detention\\_order.pdf](http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush_detention_order.pdf), 2011.



სამართლის საქმის განსახილველად, მიმართონ სხვა რომელიმე სასამართლოს, აშშ-ში თუ მის ფარგლებს გარეთ.<sup>351</sup>

აშშ-ს პრეზიდენტის 13 ნოემბრის ბრძანება აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სასამართლო ფუნქციების განხორციელების საინტერესო პრეცედენტს წარმოადგენს. მოცემული საკითხის დრმა განხილვაში არ შევალთ, თუმცა აღვნიშნავთ, რომ სამხედრო ტრიბუნალების მიერ მოცემული ფორმით განხორციელებული მართლმსაჯულება სწრაფი, ეფექტური, და მოქნილია, შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერ დროს და ადგილას, უზრუნველყოფილია ბრალდების და დაცვის მხარეების მონაწილეობა, საქმის სრული და საფუძვლიანი სასამართლო განხილვა და ა.შ. დადებითი ფაქტორების მიუხედავად მიზანშეწონილი იქნებოდა სასამართლო ხელისუფლების მეტად ჩართვა აღნიშნული კატეგორიების საქმეებზე, რათა საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არ მომხდარიყო.

---

<sup>351</sup> იხ. [http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush\\_detention\\_order.pdf](http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush_detention_order.pdf), 2011.

## § 5. ტერორიზმთან ბრძოლის ნორმატიული საშუალებები საქართველოში

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ნორმატიული საშუალებებიდან შეიძლება გამოიყოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, 2007 წლის საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 იანვრის № 18 ბრძანებულება ქვეყანაში კონტრეტორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ და სხვ.

ტერორიზმის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებებით წარმატებული ბრძოლისთვის აუცილებელია კრიმინოლოგიური თვალსაზრისით განისაზღვროს მისი, როგორც დანაშაულობის სახის ფარგლები, რომელშიც ტერორისტული ხასიათის დანაშაულებთან ერთად მოაზრებული უნდა იქნეს ტერორისტული ჯგუფების სხვა ისეთი სახის დანაშაულებრივი საქმიანობაც, რაც ტერორისტული ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომდინარეობს. ტერორისტული საქმიანობა კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, უფრო ფართო მასშტაბს მოიცავს, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრე. თავის მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავით გათვალისწინებული შემადგენლობები ვერ ამოწურავს ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა სპექტრს.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა სპექტრის დადგენა შეუძლებელია ტერორიზმის იმანენტური ძირითადი ნიშნების დახასიათების გარეშე. ტერორიზმის ძირითად ელემენტებად მიგვაჩნია ნიშნები, რომელებიც ლოგიკურ ერთიანობაში იმყოფებიან ერთმანეთთან და ყველა დროისა და ფორმის ტერორიზმს ახასიათებს.<sup>352</sup>

1. ტერორიზმის უმნიშვნელოვანეს და იმანენტურ ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ დაშინება. დაშინებას, როგორც ტერორიზმის ძირითად მახასიათებელს, ჯერ კიდევ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს უსვამდნენ ხაზს. დაშინება როგორც ტერორიზმის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, გამოკვეთილია საერთაშორისო ნორმატიულ დოკუმენტებში, უცხო ქვეყნების ანტიტერორისტულ კანონმდებლობაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ტერორისტულ აქტის შემადგენლობაში პირდაპირი ინდიკატორის სახითაა მოცემული “მოსახლეობის დაშინება”, როგორც ტერორისტული აქტის მიზანი. თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა დაშინებას გამოყოფს როგორც ტერორიზმის უძირითადეს

<sup>352</sup> იხ. გ. გორაშვილი, ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004, №2 გვ. 122-132.

მახასიათებელ ელემენტს.<sup>353</sup> ცნობილი ექსპერტი ბრიუს ჰოფმანი ტერორიზმს განმარტავს როგორც: “წინასწარი განზრახვით შიშის ატმოსფეროს შექმნას ძალადობით, ან ძალადობის მუქარით პოლიტიკური ცვლილებების მიღწევის მიზნით.”<sup>354</sup>

საქართველოს და პოსტსაბჭოური სივრცის სისხლის სამართლის კოდექსებში დაშინება არამართებულადაა მიჩნეული სუბიექტური მხარის ნიშნად ან უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიზნად. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, რომელშიც ტერორისტულ აქტად მიჩნეულია აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და ა.შ. “ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.” **ტერორისტული აქტის მიზანი დაშინება არ არის. დაშინება არის სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საზოგადოებაზე ზემოქმედების საშუალება ტერორისტთათვის სასურველი მიზნის მისაღწევად.**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობებში მოცემულია ე. წ. “ტერორისტული მიზნის” ცნება. მაგალითისათვის მოვიყვანოთ სსკ 323-ე მუხლს “ტერორისტული აქტი, ესე იგი აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების, ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით”. მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება, როგორც მიზანი, მეორდება ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულთა შემადგენლობებშიც. კერძოდ: ტექნოლოგიური ტერორიზმის (324-ე მუხ.) და კიბერტერორიზმის შემადგენლობებში (324<sup>1</sup>-ე მუხ.). რაც შეეხება ისეთ შემადგენლობებს, როგორცაა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (330-ე მუხ.), მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (329-ე მუხ.), აქ ტერორისტული მიზანი ზოგადაააა მოცემული. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელი ტერორისტულ მიზანში ამ შემთხვევაშიც მოსახლეობის დაშინებას და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედებას გულისხმობს.

მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება, ტერორიზმის მიზანი კი არაა, არამედ საშუალებაა მიზნის მისაღწევად.

<sup>353</sup> იხ.: В. П. Емельянов Уголовная ответственность за терроризм и преступления с признаками терроризирования. Диссертация на соискание ученой степени д. ю. н. С. 39-80;

Ю. М. Антонян Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование. М. Щит-М. 2001. С. 8.

<sup>354</sup> იხ. В. Hoffman, Inside Terrorism, New York: Columbia University Press, 1998, p. 44.

ამ შემთხვევაში აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ტერორიზმის სოციალური ბუნება: დაშინებას, როგორც ტერორიზმის ერთ-ერთ იმანენტურ ელემენტს, აქვს ინსტრუმენტული ხასიათი, რომელიც გამოიყენება ტერორისტთა სასურველი მიზნის მიღწევისათვის. აღნიშნული მიზანი კი, შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგალითად: კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის დამოუკიდებლობა, სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური მიზნის მიღწევა.<sup>355</sup> ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაშინება ტერორიზმის დროს საბოლოო მიზანი კი არ არის, არამედ საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებაა.

ქმედების ტერორისტულ აქტად, ტექნოლოგიურ ტერორიზმად და კიბერტერორიზმად კვალიფიკაციის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაადგინოს ტერორისტთა მიზანი, რადგან ამას მოითხოვს კანონიერების პრინციპი, მაგრამ იმის გამო, რომ შესაბამის შემადგენლობებში მიზანი მცდარადაა წარმოდგენილი როგორც უნდა მიიჩნიოს მართლმსაჯულებამ მიზნად, ის, რაც ტერორისტულ მიზანს არ წარმოადგენს?

ტერორისტული მიზანი, როგორც დაშინება, რეგლამენტირებულია არამარტო საქართველოს, არამედ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების კანონმდებლობებშიც. კერძოდ, მოსახლეობის დაშინება ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება, როგორც მიზანი, გათვალისწინებულია, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 205-ე, უკრაინის სსკ-ის 262-ე ბელარუსის სსკ-ის 289-ე, 290-ე და სხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამის მუხლებში.

ტერორისტული აქტის დროს მიზანი დაშინება კი არ არის, არამედ დაშინების მეშვეობით სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საზოგადოებაზე ზემოქმედება და ტერორისტათვის სასურველი მიზნის (როგორც წესი პოლიტიკური) მიღწევა ხდება. ტერორისტებს მიზანი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კეთილშობილურიც კი ჰქონდეთ, მაგრამ ზუსტად მიზნის მიღწევის საშუალება აქცევთ მათ ტერორისტებად. ტერორისტთა სასურველ მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება (მაგ: ირლანდიის გამანთავისუფლებელი არმია,<sup>356</sup> ჩეჩენი ტერორისტები.<sup>357</sup>), “ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგი”-ს დამყარება (მაგ: ალ-ქაიდა<sup>358</sup>, ჰეზბოლა<sup>359</sup>) და სხვ.

**“მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება” შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნად, ქმედების განხორციელების ხერხად უნდა მივიჩნიოთ.**

<sup>355</sup> იხ. გ. გორაშვილი, ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია” 2004 წ. №2 გვ. 122-133

<sup>356</sup> იხ. U.S. Department of Defense, Terrorist Group Profiles, www.defense.gov. 2003.

<sup>357</sup> იხ. www.zharinov.wallst.ru: Терроризм и контртерроризм. 2009.

<sup>358</sup> იხ. Al-Qacda International. www.fbi.gov/congress/congressOl/carusol21801 htm. 2005.

<sup>359</sup> იხ. www.ict.org.il/arnclcs/palestinian islamism htm; Ely Karmon. Hizballah and War with Terror, www.washingtoninstitute.org. 2005.

შიშის განცდას საზოგადოებაში, ტერორიზმის გარდა, მრავალი ძალადობითი თუ სხვა სახის, განსაკუთრებით მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულებიც ბადებენ. მაგ: საზოგადოებაში შიშს ბადებს სერიული მკვლელობების, სხეულის დაზიანებების, ხულიგნობების, ქურდობა-ყაჩაღობების, სამეწარმეო სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების და სხვათა შესახებ ინფორმაციის მიღება. შეიძლება ზოგადად ითქვას, რომ ნებისმიერი დანაშაული საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაზე დამთრგუნველად მოქმედებს. კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ტერორიზმის შემადგენელი ელემენტი - დაშინება და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად გამოწვეული შიშისგან იმით განსხვავდება, რომ სხვა სახის კრიმინალური ქმედებების ჩადენის შედეგად საზოგადოებაში გამოწვეული შიში უკვე ჩადენილი დანაშაულის თანმდევ მოვლენას წარმოადგენს, ეს მაშინ, როდესაც ტერორიზმის დროს დაშინება დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების აუცილებელი ელემენტია.

საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლი ითვალისწინებს მუქარას, როგორც დაშინების, ფსიქოლოგიური ძალადობის დამოუკიდებელ შემადგენლობას. მუქარასა და ტერორიზმის ერთ-ერთ ელემენტს, დაშინებას შორის საერთო ისაა, რომ ორივე ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმას წარმოადგენს, თუმცა განსხვავდებიან ერთმანეთისგან იმით, რომ ტერორიზმის დროს მუქარას არ ახასიათებს დამოუკიდებელი ხასიათი, იგი ჩართულია სხვა ელემენტთა ურდვევ ლოგიკურ ჯაჭვში, თანაც ტერორიზმის დროს ფსიქოლოგიური ძალადობა ძირითადად მიმართულია საზოგადოების ფართო ფენებზე, ხოლო სსკ-ის 151-ე მუხლით გათვალისწინებულ მუქარის დროს ფსიქოლოგიური ძალადობა კონკრეტული პირების მიმართ ხორციელდება.

2. ტერორიზმი ძირითადად ხორციელდება ძალადობით და ძალადობის მუქარით, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ტერორისტები თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებენ მიზნის მისაღწევად.<sup>360</sup> აღნიშნული ნიშანი განსაკუთრებით კარგად ჩანს აშშ-ს ვიცე პრეზიდენტს დაქვემდებარებული ტერორიზმის შემსწავლელი კომისიის მიერ შემუშავებულ განსაზღვრებაში: "მართლსაწინააღმდეგო ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რომელიც მიმართულია ფიზიკური პირების ან საკუთრების წინააღმდეგ, მომავალში გარკვეული პოლიტიკური თუ სოციალური მიზნის მიღწევისათვის. . ." <sup>361</sup>

ძალადობა ტერორიზმის დროს საერთო, საყოველთაო სააშიშროებას წარმოადგენს და ხშირად ხორციელდება საყოველთაოდ საშიში საშუალებებით. თანამედროვე ტერორისტები განსაკუთრებით

<sup>360</sup> ხშირად თვით ინფორმაციულ ტექნოლოგიების მეშვეობით ისინი იმუქრებიან ძალადობით. მაგალითისთვის ერაყის ომის დროს ტერორისტების მიერ ხელში ჩაგდებული მძევლების მოკვლის მუქარა, ასევე მძევლების განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის კადრები რომელიც ინტერნეტ საიტებზე გავრცელდა. [www.snuffx.com](http://www.snuffx.com).

<sup>361</sup> იხ. Vice President, Public Report of the Vice President.s Task Force on Combatting Terrorism, Washington, D.C., February 1986, №1

დახელოვნდნენ ასაფეთქებელ საშუალებებში.<sup>362</sup> ასაფეთქებელი საშუალებების გარდა, ისინი ინტერესს იჩენენ აგრეთვე ქიმიური, ბირთვული და ბიოლოგიური იარაღის მიმართაც. თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ინციდენტებს, აღნიშნული საშუალებების მასობრივი გამოყენების მცდელობა სავარაუდოდ ტერორიზმის ხვალისდელი დღეა.<sup>363</sup> ტერორიზმი ძალადობით ხორციელდება, მაგრამ ძალადობრივ დანაშაულთა კრიმინოლოგიურ ჯგუფში არ შედის, რადგანაც აქ ძალადობას მხოლოდ დამხმარე, ინსტრუმენტული ხასიათი აქვს და თვითმიზანს არ წარმოადგენს.<sup>364</sup>

3. ტერორიზმის იმანენტურ ნიშნად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ მისი ღია და დაუფარავი, საზოგადო ხასიათი, ტერორისტული ქმედებების რაც შეიძლება ფართოდ რეკლამირების და საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანის სურვილი. აღნიშნული ელემენტი ლოგიკურ კავშირშია წინა ელემენტთან, რადგანაც ძალადობას ტერორისტები ზუსტად იმიტომ მიმართავენ, რომ შიშმა მოიცვას სახელმწიფო ხელისუფლება და საზოგადოების ფართო ფენები.

ტერორიზმს აღნიშნული ელემენტიდან გამომდინარე, განსხვავებით სხვა დანაშაულებისგან, როგორც წესი, ლატენტურობა არ ახასიათებს, რადგანაც ლატენტურობა არ ეთავსება ტერორიზმის კრიმინოლოგიურ ბუნებას. მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში პირი ცდილობს, რაც შეიძლება დამალოს თავისი ნამოქმედარი, რათა მართლმსაჯულების ორგანოების მიერ არ იქნეს პასუხისმგებლობაში მიცემული, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა შემთხვევაში ყველაფერი პირიქით ხდება. ტერორისტები ცდილობენ, რაც შეიძლება აშკარად და სასტიკად ჩაიდინონ დანაშაული, რათა მათი ნამოქმედარის შესახებ გაიგონ საზოგადოების ფართო ფენებმა.

4. ტერორიზმისთვის დამახასიათებელია მსხვერპლისა და სამიზნე ჯგუფის დიფერენციალია. “ტერორიზმის მსხვერპლის შერჩევა ძირითადად ხდება სიმბოლურად და არა პირდაპირი მნიშვნელობით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვეულებრივი დანაშაულისაგან განსხვავებით ტერორიზმში სამი მხარეა გამოკვეთილი – დამნაშავე, მსხვერპლი (რომელიც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა ტერორისტთვის) და საკუთრივ სამიზნე ჯგუფი ხელისუფლების ორგანოები და (ან) საზოგადოება, რომელიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის.<sup>365</sup>

<sup>362</sup> იხ. Countering the New Terrorism Ian O. Lesser, B. Hoffrman, J. Arquilla, D. F. Ronfeldt, M. Zanini, B. M. Jenkins, rand publications isbn: U-8330-2667-4, MR-989-AF, 1999, p. 14.

<sup>363</sup> იხ.: [www.nytimes.com/2001/09/06/Opinion/06HARRI.html](http://www.nytimes.com/2001/09/06/Opinion/06HARRI.html); [www.washingtonpost.com/wp-dyn/articles/A53450-2001May20.html](http://www.washingtonpost.com/wp-dyn/articles/A53450-2001May20.html); [www.basicint.org/pubs/Research/2001diseasebydesign1.html](http://www.basicint.org/pubs/Research/2001diseasebydesign1.html); [www.ananuclear.org](http://www.ananuclear.org); [www.bullatomsci.org](http://www.bullatomsci.org), [www.armscontrol.ru](http://www.armscontrol.ru)

<sup>364</sup> იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общей ред. Л.И. Долговой. Изд. Норма М. 2002. с. 500.

<sup>365</sup> Шнайдер, Криминология, М., 1994 с.439 ციტირებულია წიგნიდან: მ. ლეკვიშვილი გ. მამულაშვილი დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ. თბ. 2002 გვ 57

ამ ელემენტზე ავტორთა უმრავლესობა აკეთებს აქცენტს და ტერორიზმის იმანენტურ თვისებად მიიჩნევს. აღნიშნული ნიშანი ორგანულ კავშირშია პირველ და მეორე ნიშანთან, კერძოდ, დაშინებასთან და ფართო ფენებზე ზემოქმედებასთან. დაშინება არის მეთოდი, ტერორიზმის ობიექტური მახასიათებელი, რომელიც მიმართულია სამიზნე წრეზე და ხორციელდება მესამე პირებზე ძალადობის ან ასეთი ძალადობის მუქარის მეშვეობით.

5. მეხუთე ელემენტად შეიძლება დასახელდეს საფრთხის ზოგადი ხასიათი. ტერორიზმი არ შემოიფარგლება კონკრეტული პირებით, მას ზიანი მოაქვს ფართო მასებისთვის, ან ქმნის ასეთი ზიანის საფრთხეს. ტერორიზმის ვიქტიმური სფერო ძალზე ფართოა და საზოგადოების თითქმის ყველა წევრს მოიცავს პოლიტიკური თანამდებობის პირიდან დაწყებული, ქალებით და ბავშვებით დამთავრებული.

ტერორიზმის ამ ელემენტის გამოა, რომ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნების უმრავლესობას სისხლის სამართლის კოდექსებში ტერორიზმი საზოგადოებრივი უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარშია გათვალისწინებული.

ერთი შეხედვით, აღნიშნული შეიძლება ლოგიკურადაც მოგვეჩვენოს, რადგანაც ტერორიზმის დროს ხელყოფა, სასტიკი და განურჩეველი ძალადობრივი ზემოქმედება საზოგადოებაზე, უდანაშაულო ადამიანებზე ხორციელდება, იქნება ეს აფეთქება, იარაღის გამოყენება თუ სხვა ქმედება, ძირითადად მიმართულია ნეიტრალურ მასაზე, რომელსაც შეიძლება არანაირი კავშირი არ ჰქონდეს კონფლიქტთან. ერთი შეხედვით, შეიძლება გამართლებულად ჩანდეს რუსეთის ფედერაციისა და სხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებში ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა მოაზრება საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში, რადგან, ხელყოფის ობიექტად საზოგადოებრივი უსაფრთხოება მოიაზრება.

რუსეთის ფედერაციისა და სხვა სახელმწიფოთა სისხლის სამართლის კოდექსებში ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა მოაზრებას საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში ვერ მივიჩნევთ მართებულად, რადგან ტერორისტების განზრახვა მიმართულია სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესების წინააღმდეგ, იქნება ეს საერთაშორისო თუ შიდა სახელმწიფოებრივი ასპექტით და ამ ამოცანის განხორციელებისთვის ისინი საზოგადოების უდანაშაულო ფენებს ხელყოფენ. აქედან გამომდინარე, ტერორიზმი საფრთხით მართებულადაა მოთავსებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში რუსეთისა და სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყანათაგან განსხვავებით.

6. ტერორიზმი პოლიტიკური ხასიათის დანაშაულია. მართალია, მოტივაცია ტერორიზმის დროს შეიძლება იყოს სხვადასხვა (ეთნიკურ-ნაციონალური, სოციალურ-პოლიტიკური და ა.შ.), მაგრამ მიზნები

ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისკენაა მიმართული.

ბოლო დროს ტერორიზმის პოლიტიკური ბუნება სადავო გახდა მეცნიერულ წრეებში. მაგალითად, მ. ნაზარკინის აზრით, მხოლოდ პოლიტიკური ხასიათი თანამედროვე ტერორიზმის, როგორც სოციალური მოვლენის ფარგლებს უსამართლოდ შეაფიქროებდა. იგი პოსტსაბჭოურ რუსეთში გამოყოფს ტერორიზმის ახალ ფორმას, ე.წ. კრიმინალურ ტერორიზმს, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული კრიმინალური სინდიკატები (ე.წ. რეკეტული ჯგუფები) ბიზნესმენტა, ბანკირთა და სხვა სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი პირების მიმართ მატერიალური სარგებლის გამოძალვის მიზნით, აგრეთვე, ერთმანეთს შორის გავლენის სფეროების განაწილების დროს, მიმართავენ ტერორიზმს.<sup>366</sup> ე.წ. კრიმინალურ ტერორიზმს გამოყოფს კ. სალიმოვიც თავის სადოქტორო დისერტაციაში.<sup>367</sup>

ტერორიზმი, თავისი კრიმინოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ხასიათის დანაშაულია. პოლიტიკურ ხასიათში ვგულისხმობთ არა იმდენად მოტივაციას, რამდენადაც ტერორისტთა მოქმედების საბოლოო მიზანს, რომელიც აუცილებლად მიმართულია გარკვეული ქვეყნის, ქვეყანათა ჯგუფის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ. ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაული, მაგრამ ტერორიზმი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ-პოლიტიკურ ინტერესებს ხელყოფს.

ამიტომ ვერ დავეთანხმებით კ. სალიმოვს, მ. ნაზარკინს და პოსტსაბჭოეთის სივრცის სხვა ავტორებს, რომლებიც ტერორიზმის ახალ სახეს, ე.წ. კრიმინალურ ტერორიზმს გამოყოფენ. (აღნიშნული ტერმინის იურიდიული გამართულობის შესახებ აღარაფერს ვამბობთ). არ შეიძლება ტერორიზმის დაყვანა ბანდიტიზმზე, ანგარებით მკვლევობებზე, გამოძალვაზე და ა.შ. იტალიური მაფია მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ტერორის უპრეცედენტო ზომებს მიმართავდა სახელმწიფო მოხელეების და უბრალო მოქალაქეების მიმართ, მაგრამ ტერორისტულად არავის მოუნათლავს, რადგანაც მისი მოტივაციის გენერალური ხაზი ანგარება იყო და მისი მოქმედებაც ანგარების დაკმაყოფილების მიზნებს ემსახურებოდა.

ტერორისტული დაჯგუფებები ხშირად სჩადიან სხვა სახის დანაშაულებს. მაგალითად: მიმართავენ ყაჩაღობას (მაგ., ბოლშევიკების მიერ თბილისში სამეფო ხაზინაზე მოწყობილი ყაჩაღობის, ე.წ. ექსპროპრიაციის ცნობილი მაგალითი); ადამიანის გატაცებას გამოსასყიდის მიღების მიზნით, ბანკების გაძარცვას (მაგ., გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ 1971 წლის განმავლობაში “გერმანიის წითელარმიული ფრაქციის” მიერ განხორციელებულ იქნა ხუთასზე მეტი

<sup>366</sup> იხ. М.В. Назаркин. Криминологическая характеристика и предупреждение терроризма. Диссертация на соискание ученой степени к.ю.н. М., 1998, сс. 50-54.

<sup>367</sup> იხ. К.Н.Салимов Современные проблемы терроризма (криминологическое исследование) Диссертация на соискание ученой степени доктора юр.наук, 2000, с. 24.



დანაშაულებრივი აქტი, რის შედეგადაც ექსპროპრირებული იქნა 2 მილიონი მარკა)<sup>368</sup> ნარკოტიკებით ვაჭრობას (მაგ: ალ-ქაიდა და სხვა ისლამისტური დაჯგუფებები)<sup>369</sup>.

ტერორიზმი, მართალია, კავშირშია ანგარებითი მოტივაციის მქონე ორგანიზებული დანაშაულობის სახეებთან, მაგრამ არ შეიძლება მათთან გაიგივდეს. ტერორისტული დაჯგუფებების კავშირი ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობასთან ტეროლოგიაში ცნობილი ფაქტია. მაგალითად, ალ-ქაიდას კავშირი ავღანეთის ხელისუფლებასთან, თალიბებთან, რომელთა მმართველობის ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ავღანეთი ევრაზიის კონტინენტზე ნარკოტიკებით და იარაღით უკანონო ვაჭრობის უდიდეს კერად იქცა.<sup>370</sup>

განსაკუთრებით კარგად ჩანს კავშირი ტერორიზმსა და ანგარებითი მოტივაციის მქონე ორგანიზებულ დანაშაულობას შორის კოლუმბიის მაგალითზე. აღნიშნული კავშირი ტეროლოგიაში "ნარკოტერორიზმადაც" კი მოიხსენიება.

7. იდეოლოგიური საფუძველი ტერორიზმის ისტორიის მთელ მანძილზე ტერორისტული საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელი იყო. მემარჯვენე თუ მემარცხენე, რელიგიური თუ ნაციონალურ-ეთნიკური მოტივაციის პირობებში იდეოლოგია ამართლებს ტერორისტებს, ანიჭებს მათ მართალი საქმისთვის მებრძოლთა სტატუსს, გარკვეულ წრეებში აყალიბებს აზრს ტერორისტების ქმედებების ლეგიტიმურობის შესახებ.

დანაშაულთა ტერორისტული ხასიათის განსასაზღვრისათვის უმნიშვნელოვანესი წყაროა ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომელთადაც საქართველო მიერთებულია დადგენილი წესის შესაბამისად, რადგანაც საქართველოს სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ტერორიზმის ძირითადი თვისებების განსაზღვრის შემდეგ ლოგიკურია ქმედების ობიექტური და სუბიექტური ელემენტების დადგენა, ტერორისტული მიზნის განსაზღვრა და დაშინების, როგორც ქმედების განხორციელების ხერხის, შემადგენლობის საერთო სტურქტურაში მოაზრება. ამ მიზნით მიზანშეწონილია ტერორისტული აქტის (სსკ-ის 323-ე მუხ.) მაგალითზე საკანონმდებლო დეფინიციის შემუშავება შემდეგი სახით:

**აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის, ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და**

<sup>368</sup> იხ. [www.zharinov.wallst.ru](http://www.zharinov.wallst.ru). 2010.

<sup>369</sup> იხ. Р. Жаккар. Именем Усамы Вен Ладена. М., 2002, сс. 262-274.

<sup>370</sup> იხ. [www.state.gov/global/terrorism/1999report/html/The middle East Brief review.2010](http://www.state.gov/global/terrorism/1999report/html/The%20middle%20East%20Brief%20review.2010).

ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოს, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, კერძო პირის დაშინებით ანდა ზემოქმედების სხვა ფორმით, ტერორისტთა სასურველი მიზნის მისაღწევად.

მოცემულ დეფინიციაში, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმისგან განსხვავებით, გაფართოებულია ტერორისტთა სამიზნე, რომელშიც შედის მოსახლეობა, ხელისუფლების ორგანო, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, კერძო პირი. ქმედების განხორციელების ხერხად მოაზრებულია დაშინება ან სხვაგვარი ზემოქმედება, ხოლო საბოლოო მიზანი, როგორც წესი, პოლიტიკურია და ამა თუ იმ ჯგუფის სამოქმედო ინტერესებიდან გამომდინარეობს.

ზემოაღნიშნული წინადადების მსგავსად, ტერორისტული ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების განსაზღვრით უნდა ჩამოყალიბდეს ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულთა შემადგენლობები: ტექნოლოგიური ტერორიზმი (სსკ-ის 324-ე მუხ.) და კიბერტერორიზმი (სსკ-ის 324<sup>1</sup>-ე მუხ.). შემადგენლობებში, როგორცაა: მძევლად ხელში ჩაგდებაში ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 329-ე მუხ.) და სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 330-ე მუხ.) ტერორისტულ მიზანში უნდა ვიგულისხმოდ ტერორისტთათვის სასურველი ნებისმიერი პოლიტიკური ან სხვა სახის მიზანი, რასაც თან სდევს დაშინება ან სხვაგვარი ზემოქმედება ჩადენილი მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოს, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ორგანიზაციის, კერძო პირის მიმართ.

ტერორიზმის ძირითადი იმანენტური თვისებების დადგენის შემდეგ ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრის შემოსაზღვრა ლოგიკურ ხასიათს იძენს. ამოსავალ წერტილად გარკვეულ ქმედებათა ტერორისტული ხასიათის დანაშაულებისთვის მიკუთვნების საკითხში საერთაშორისო კონვენციები მიგვანჩნია. საქართველო შეუერთდა ტერორიზმის პრობლემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონვენციას უმრავლესობას, ხოლო საქართველოს სსკ-ის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრეს, სპეციალური 38-ე თავით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური მიზნის და ქმედების განხორციელების ხერხის შემთხვევაში, საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით შეიძლება მივაკუთვნოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული შემდეგი დანაშაულები:

1. საჭაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.); სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup>-ე მუხ.); წყლის

ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup> –ე მუხ.); მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.).

ნორმატიული საფუძველია: საჰაერო ხომალდზე დანაშაულებრივი და სხვა სახის ქმედებების აკრძალვის შესახებ კონვენცია (მიღებული 1963 წელს ტოკიოში); საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენცია (მიღებული 1970 წელს ჰააგაში); სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის შესახებ კონვენცია (მიღებული მონრეალში 1971 წელს); კონვენცია საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ (მიღებული რომში 1988 წელს).

2. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.). ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფი ნორმებიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაძლებელია გამოიყოს ბირთვული მასალისადმი ან მოწყობილობისადმი, რადიოაქტიური ნარჩენისადმი, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობა (სსკ-ის 230-ე მუხ.), ბირთვულ ან რადიოაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (სსკ-ის 233-ე მუხ), საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი (სსკ-ის 234-ე მუხ.), ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა (სსკ-ის 245-ე მუხ.). მართალია, მოცემული ნორმები ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს, მაგრამ ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ მათი კრიმინალიზაციის საზრისის და შინაარსის გამო.

ნორმატიული საფუძველია: ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ 1980 წლის კონვენცია; 2005 წლის კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ.

ტერორიზმი, როგორც გვარეობითი მოვლენა, რომელშიც მოიაზრება სხვადასხვა სახის ტერორისტული ხასიათის დანაშაული, სცილდება სისხლის სამართლის კოდექსის 38-ე თავით დადგენილ ფარგლებს. ამასთან, იგი მუდმივად დინამიური და ცვლადი მოვლენაა. ზემოჩამოთვლილი სისხლისსამართლებრივი დელიქტები, რომლებიც, კრიმინოლოგიური და საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით, ტერორიზმის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი იქნება ტერორისტთათვის სასურველი ნებისმიერი პოლიტიკური ან სხვა სახის მიზნის მისაღწევად, რასაც თან სდევს ჩადენილი მოსახლეობაზე, ხელისუფლების ორგანოზე, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე, კერძო პირზე დაშინება ან

სხვაგვარი ზემოქმედება. საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრაობის შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.); სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup>-ე მუხ.); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup>-ე მუხ.); მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.); ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.) ტერორისტული ხასიათის დანაშაულად გვევლინება მხოლოდ ტერორიზმისთვის დამახასიათებელი სუბიექტური და ობიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში, სხვა შემთხვევებში მოცემული დელიქტები ჩვეულებრივი, მიმდინარე დანაშაულების სახეს ატარებენ და მათი ტერორისტული ხასიათის დელიქტად შეფასება მეორე უკიდურესობას გამოიწვევს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დელიქტთა გარკვეული ჯგუფი სპეციალური ნიშნების არსებობის საფუძველზე კარგავს მიმდინარე დელიქტის ფორმას და საჭიროა განიხილული იქნეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად. ტერორიზმის გამოვლენის ფორმების მრავალფეროვნებისა და აღნიშნული მოვლენის მუდმივი ცვალებადობის ფონზე, მიზანშეწონილი იქნება მოიძებნოს ისეთი საკანონმდებლო ტექნიკა, რომლის მეშვეობით მიმდინარე დანაშაულთა განხორციელება სპეციალური ხერხის და მიზნის შემთხვევაში განხილული იქნება, როგორც ტერორისტული ხასიათის დანაშაული.

## § 6. ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმების საკანონმდებლო სრულყოფისათვის

ტერორისტული ხასიათის ქმედებათა სრული სისხლისსამართლებრივი რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია შეიცვალოს აღნიშნულ დანაშაულთა განსაზღვრის დღემდე არსებული საკანონმდებლო ტექნიკა, მოხდეს ტერორისტული ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზაცია მათი სწორი და სამართლიანი შეფასების, ასევე ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის მიზნით. როგორც აღინიშნა ტერორიზმი ცვლადი და განვითარებადი მოვლენაა. მასთან ბრძოლა სისხლისსამართლებრივი ნორმებისაგან არანაკლებ მოქნილობას და ადაპტირებულობას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ისე უნდა იყოს მოწესრიგებული, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სრულყოფის დარღვევის გარეშე მოხდეს ამა თუ იმ ქმედების (თუნდაც სისხლის სამართლის კანონით უკვე გათვალისწინებულის) ტერორისტული ხასიათის დანაშაულად შეფასება შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები არსებობის პირობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საქართველოს სსკ – ის 323-ე მუხლს დაემატოს შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ტერორისტულ აქტად ჩაითვლება ძალადობრივი ხასიათის სხვა ქმედება, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოს, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, კერძო პირის დაშინებით ანდა ზემოქმედების სხვა ფორმით, ტერორისტთა სასურველი მიზნის მისაღწევად. შენიშვნას მოჰყვება იმ აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც როგორც ზემოთაც აღინიშნა, საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სახეს ატარებს ქმედების ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულებად ანდა ტერორისტული აქტის გამოვლინებად შესაბამისი პირობების არსებობისას უნდა ჩაითვალოს:

1. საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.);
2. სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup> მუხ.); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup> –ე მუხ.);
3. მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.);
4. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.);

5. ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.);
6. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.)
7. ცეცხლსასროლი იარაღის, (გარდა გლუვლულიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. (სსკ-ის 236-ე მუხ.)
8. იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა. (სსკ-ის 237-ე მუხ.)

სისხლის სამართლის ნორმების ჩამონათვალი შესაძლებელია შემდგომ გაიზარდოს ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებიდან ანდა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე. მოცემული ნაშრომის ფარგლებში მოცემულია მხოლოდ წინადადება სამართლებრივი საშუალებებით ტერორიზმის უკეთესად კონტროლის მიზნით. კანონმდებლის მიერ მოცემული თვალსაზრისის გაზიარების შემთხვევაში პრობლემა დამატებით კვლევას და დამუშავებას მოითხოვს. აღწერილი მეთოდი საშუალებას მოგვცემს არ დაირღვეს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემა და შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქნილობა. ამასთან, ტერორიზმის გამოვლინებებს მიეცეს შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანტიტერორისტული ნორმების აგების მსგავსი პრეცედენტი უკვე არსებობს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის 421-1 – 421-6 , 422-1 – 422-7 მუხლებში განსაზღვრულია ტერორიზმის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, და შემდეგ ჩამოთვლილია დელიქტები, რომლებიც შესაბამისი ნიშნების არსებობისას ჩაითვლებიან ტერორიზმის გამოვლინებად.

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უკვე გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულების შემდგომი სრულყოფის მიზნით:**

გაუქმებული უნდა იქნეს სსკ-ის 324-ე მუხლი - ტექნოლოგიური ტერორიზმი, რადგან მოცემული ნორმა კოლიზიაში მოდის სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებულ ტერორისტულ აქტთან. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 38-ე თავის ჩვენს მიერ შეთავაზებული წესით აგების შემთხვევაში ნორმით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობა ეფექტურად იქნება გათვალისწინებული.

საქართველოს სსკ-ის 325-ე მუხლის თანახმად, ტერორისტული ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. თანამედროვე ტერორიზმის გამოვლინებებთან ეფექტურად ბრძოლისთვის მიზანშეწონილია ნორმით დაცულ პირებს დაემატოს პოლიტიკური, ანდა,

საზოგადო მოღვაწე და მათი ოჯახის წევრები. თანამედროვე, დემოკრატიული ფასეულებების მისწრაფების მქონე ქვეყანაში განსაკუთრებულად უნდა იქნეს დაცული პოლიტიკური ანდა საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან ერთად. აღნიშნული მოსაზრების გათვალისწინება აუცილებლობას წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოში, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას აშენებს და საქართველო ზუსტად ასეთი სახელმწიფოა. ჩვენს მოსაზრებას საქართველოს ისტორიის მწარე გამოცდილებაც ამყარებს: ილია ჭავჭავაძის მეგლელობა მის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მოხდა და ქართველი ხალხისთვის არანაკლებ დამთრგუნველი და დამაშინებელი იყო, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური თანამდებობის პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა.

## § 7. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს

### კანონის ანალიზი

საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, რომელიც მიღებულია 2007 წლის 27 ივნისს, განსაზღვრავს საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე ტერორიზმის სფეროში ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციის წესს და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სპეციალური კანონი, ტერორიზმის პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფომ მის წინააღმდეგ ბრძოლის უკეთესად წარმართვის მიზნით მიიღო. კარგად გააზრებული და ეფექტური ანტიტერორისტული კანონმდებლობა არის სახელმწიფოს კონკრეტული სამოქმედო გეგმა ტერორიზმთან ბრძოლაში. სპეციალური კანონის მიღებით, საქართველომ შექმნა ეფექტური ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთკოორდინაციას, ტერორიზმის ადრეულ ეტაპზე გამოვლენა – პროფილაქტიკას, უკვე არსებული პრობლემის საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად მოგვარებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია ანტიტერორისტული კანონმდებლობის იმგვარი ფორმის არსებობას, რომელიც იქნება ეფექტური და ამავე დროს, მისი განხორციელებისას, არ დაირღვევა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რადგანაც ცნობილია, რომ ეფექტური ანტიტერორისტული კანონმდებლობის მქონე ქვეყნები მრავალ სისხლისსამართლებრივ და სხვა სახის შეზღუდვებს აწესებენ ტერორიზმის ადრეულ ეტაპზე გამოვლენის, თავიდან აცილების ანდა დროულად აღკვეთის და მოსალოდნელი მავნე შედეგების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ამ კუთხითაც, საქართველოს კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, პროგრესულ დებულებებს შეიცავს. კერძოდ: ტერორისტული აქტის, ან მისი აღკვეთის შედეგად ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებული პირების, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლაში მონაწილე პირების სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში მრავალი პროგრესული დებულების მიუხედავად, რეგულაციური სფერო შეზღუდულია და აკრძალულ ქმედებათა წრე კონკრეტიზაციას მოითხოვს, ამასთან ტერორიზმის, როგორც სოციალურ – სამართლებრივი მოვლენის ფარგლები ბუნდოვანია. კანონის პირველი მუხლის “ა” ქვეპუნქტში ტერორიზმის ცნებაა მოცემული. როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს ტერორიზმის უამრავი დეფინიცია. ქართულ ნორმატიულ აქტში მოცემული ტერორიზმის დეფინიცია აკრძალული ქმედებების ჩამოთვლის პრინციპით ადგენს ტერორიზმის ცნებას და არა მისი ძირითადი ელემენტების მიხედვით განსაზღვრავს მოვლენას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, აკრძალული ქმედებების ჩამოთვლით ტერორიზმის დეფინირება ვერ ამოწურავს მოვლენის ყველა ფორმას. აქედან გამომდინარე, ტერორიზმის ცნებაში, რომელიც მოცემულია კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული უნდა იყოს მოვლენის



**იმანენტური ელემენტები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შეუფასებელი არ დარჩეს ტერორიზმის არც ერთი გამოვლინება.**

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ბ” ქვეპუნქტში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის იდენტურად მოცემულია “ტერორისტული აქტის” ცნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერორისტული აქტის არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ შეესაბამება მოვლენის სოციალურ ბუნებას. კერძოდ, ტერორისტთა მიზანი არ შეიძლება იყოს მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება. ტერორისტთათვის დაშინება და ზემოქმედების სხვა საშუალებები მიზნის მიღწევის ხერხს წარმოადგენს.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “გ” ქვეპუნქტში განსაზღვრულია ტერორისტული საქმიანობა, რომელშიც იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული, XXXVIII თავით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. ნორმის ამგვარ ფორმულირებას ვერ დავეთანხმებით, რადგანაც ტერორისტული საქმიანობა სცილდება სისხლის სამართლის XXXVIII თავით გათვალისწინებულ ტერორისტული ხასიათის დანაშაულებს. **ტერორისტული საქმიანობა შესაძლებელია მოიცავდეს ისეთ დანაშაულებრივ ან სხვა სახის საქმიანობასაც, რომელიც ტერორისტული ხასიათის დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა ემსახურება ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის ტერორისტული მიზნების განხორციელებას.** ამასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრეს საქართველოს სისხლის სამართლის XXXVIII თავი ვერ იტყვის. ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციების ანალიზის საფუძველზე გამოვყავით მთელი რიგი შემადგენლობები, რომლებიც ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობისას ტერორისტული ხასიათის დანაშაულებად უნდა ჩაითვალოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ტერორისტულ საქმიანობად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია საქართველოს სისხლის სამართლის XXXVIII თავით გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩასადენად, ანდა დაკავშირებულია აღნიშნული დანაშაულის ჩადენასთან, ანდა ჩადენილია იმ პირების მიერ, რომელთაც განზრახული აქვთ ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენა.**

დანაშაულებრივი საქმიანობის ტერორისტულად შეფასების ფარგლები, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით, შეზღუდულია და მოვლენის სოციალური ბუნებიდან გამომდინარე, საჭიროებს მოქნილ ფორმულირებას, რათა ტერორისტული აქტივობის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციის გარეთ.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტები განსაზღვრავს “ტერორისტულ ჯგუფს” და “ტერორისტულ ორგანიზაციას”, როგორც ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით შეკავშირებულ პირთა ერთობას.

სხვა ხარვეზებთან ერთად უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ ქვეპუნქტების თანახმად, კანონში ისედაც ვიწროდ გაგებულ “ტერორისტული საქმიანობა” საერთოდ ერთი დანაშაულებრივი ქმედების “ტერორისტული აქტის” განხორციელებამდე არის დაყვანილი, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. “ტერორისტული საქმიანობის” “გ” ქვეპუნქტით განასაზღვრული ფარგლები, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულების სრულ ჩამონათვალს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის საკმარისი და ვერ ასახავს ტერორისტული საქმიანობის ყველა გამოვლინებას, “ვ” და “ზ” ქვეპუნქტებში საერთოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობამდე დაყვანილი. პირველი მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტების თანახმად, “ტერორისტული ჯგუფი” და “ტერორისტული ორგანიზაცია” არის მხოლოდ “ტერორისტული აქტის”<sup>371</sup> ჩასადენად შეკავშირებულ პირთა ერთობა. ეს დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმას, რომელიც კრძალავს ტერორისტული ორგანიზაციის შექმნას, ხელმძღვანელობას ანდა მასში მონაწილეობას. საქართველოს სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ტერორისტულ ორგანიზაციად ჩაითვლება პირთა ნებისმიერი ერთობა, იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად რომელი ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენა აქვს გამიზნული.

ტერორიზმთან ბრძოლის კანონის მეორე თავი განსაზღვრავს ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზაციულ საფუძვლებს და მის სუბიექტებს. საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზებას, სპეციალური საშუალებებით და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას ახორციელებს საქართველოს მთავრობა. ტერორიზმთან ბრძოლის უშუალო სუბიექტებს წარმოადგენენ:

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც მთავარი ორგანოა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი კოორდინაციას უწევს ტერორიზმთან ბრძოლის სხვა სუბიექტებს კონტრტერორისტული ცენტრის მეშვეობით. შინაგან საქმეთა სამინისტრო ტერორიზმის გამოვლენის, თავიდან აცილების და აღკვეთის მიზნით ახორციელებს: ოპერატიულ, ოპერატიულ-ტექნიკური და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს; ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა გამოძიებას; აგროვებს ინფორმაციას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ და სხვ.
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დადგენილი წესის შესაბამისად, უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას კონტრტერორისტულ ოპერაციებში.
3. საქართველოს დაზვერვის სამსახური, რომელიც მოიპოვებს და ამუშავებს ინფორმაციას უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს სათანადო ორგანოებს. მონაწილეობს კონტრტერორისტულ ოპერაციებში.

<sup>371</sup> ტერორისტულ აქტში ტერორიზმთან ბრძოლის კანონის მიხედვით მოიაზრება საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება.

4. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, რომელიც მონაწილეობს მის მიერ დასაცავი თანამდებობის პირებისა და ობიექტების წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტების აღმკვეთ ოპერაციაში.

5. სხვა ორგანოები.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილია კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების სამართლებრივი რეჟიმი და სახელმწიფო სტრუქტურათა კოორდინაციის წესი. კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, ტერორისტული საქმიანობის შედეგად შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის დროს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით იქმნება ექსტრემალური სიტუაციების მართვის ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

კონტრტერორისტული ღონისძიებების განხორციელებისას, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონით, დადგენილია განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის ორი ზონა: უსაფრთხოების ზონა და კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონა. აღნიშნული სამართლებრივი რეჟიმის ზონების განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა გააჩნია როგორც კონტრტერორისტული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების ურთიერთკოორდინაციისთვის, ასევე სამართლებრივი შეზღუდვების დაწესებისთვის აღნიშნული ზონის ფარგლებში მყოფი პირებისთვის.

უსაფრთხოების ზონა, ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, გულისხმობს იმ ტერიტორიას, რომელიც უფრო ფართოა კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონასთან შედარებით, და სადაც ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტები აწყობენ საგუშაგოებს, ავტოსატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების მიზნით, ახორციელებენ პატრულირებას და მოქალაქეებს უმოწმებენ პირადობის დამადასტურებელ საბუთებს.

**კონტრტერორისტულ ზონაში კონტრტერორისტული ოპერაციის განმახორციელებელ სუბიექტებს კანონი ანიჭებს გაცილებით ფართო უფლებამოსილებებს: მოქალაქეთა პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების საკუთრების უფლების შეზღუდვის თვალსაზრისით.** ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონის მეათე მუხლის მეხუთე ნაწილის მიხედვით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში ოპერაციის ჩამტარებელ პირებს, გადაუდებელი აუცილებლობისას უფლება აქვთ: შეუმოწმონ მოქალაქეებს პირადობის დამადასტურებელი საბუთები, ქუჩებსა და გზებზე აკრძალონ ფეხით და ტრანსპორტით გადაადგილება, ტერორისტული აქტის აღკვეთისას ან ტერორისტული აქტის ჩადენაში ბრალდებული პირის დევნისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება რეალური საფრთხე შეუქმნას ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას: დაუბრკოლებლად შევიდნენ (შეადწინონ) მოქალაქეთა საცხოვრებელ ბინებში, აგრეთვე მათ კუთვნილ სხვა სადგომებსა და მიწის ნაკვეთებში,

ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა) ტერიტორიებზე, სატრანსპორტო საშუალებებში; გამოიყენონ მოქალაქეებისა და ორგანიზაციების კუთვნილი კავშირგაბმულობის საშუალებები, სპეციალური საშუალებების ჩათვლით; დაათვალიერონ მოქალაქეთა პირადი ნივთები, სატრანსპორტო საშუალებები და ტვირთი, მათ შორის, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, კონტრტერორისტული ოპერაციის ჩატარების ზონაში შესვლისას და ზონიდან გამოსვლისას; ტერორისტული აქტის თავიდან აცილების მიზნით, ტერორისტული აქტის ჩამდენი პირის დევნისა და დაკავებისათვის, ან სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის სამედიცინო დაწესებულებაში პირის მისაყვანად, აგრეთვე შემთხვევის ადგილზე მისასვლელად გამოიყენონ მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები, გარდა უცხო ქვეყნების საკონსულოების, დიპლომატიური და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი სხვა ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებისა.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მეთერთმეტე მუხლის შესაბამისად, კონტრტერორისტული ოპერაციის მონაწილე პირს ანიჭებს აგრეთვე სპეციალური საშუალებების ან/და ფიზიკური იძულების გამოყენების უფლებას იმ შემთხვევებში, როდესაც საფრთხე ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას, აგრეთვე დანაშაულებრივი ქმედების აღსაკვეთად და დამნაშავის დასაკავებლად.

ტერორიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა დაკავშირებულია გარკვეული უფლებების შეზღუდვასთან და ეს პრაქტიკა მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში მიღებულად ითვლება. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის აღნიშნული დებულებები პროგრესულად უნდა ჩაითვალოს. სხვა საკითხია, როდესაც ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით ესა თუ ის ქვეყნა დემოკრატიული ფასეულობების განადგურებას ეწევა და ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით რეალურ თუ მოჩვენებით ოპოზიციას ანადგურებს.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის მეოთხე თავით გათვალისწინებულია ტერორისტული აქტის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დაზარალებული პირების სოციალური რეაბილიტაცია. მოცემულია ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, ტერორისტული აქტის, ან მისი აღკვეთის შედეგად, მიყენებული ზიანის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების გარანტიები.

ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი ადგენს აგრეთვე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სუბიექტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, რაც უცილობლად პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე.

საქართველოს სხვა ანტიტერორისტული ნორმებიდან აღსანიშნავია:

1. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 იანვრის № 17 ბრძანებულება “კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე და

ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულ პირთა სოციალური რეაბილიტაციის შესახებ”, რომელიც ადგენს სოციალური რეაბილიტაციის წესს, კონტრტერორისტულ ოპერაციაში მონაწილე და ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებული პირებისთვის.

2. საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 17 იანვრის № 18 ბრძანებულება “ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესის შესახებ”, რომლითაც “ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონის 26-ე მუხლის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე დამტკიცდა: ქვეყანაში კონტრტერორისტული საქმიანობის ორგანიზებისა და ტერორიზმთან ბრძოლის სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის წესი და ერთიანი კონტრტერორისტული საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფის ცნობათა ნუსხა.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომში განხილული დებულებები საბოლოოდ შესაძლებელია პუნქტობრივად შეჯამდეს:

1. ტერორიზმის წარმოშობი მიზეზების და პირობები ნაშრომში მოვლენის ისტორიული განვითარების ფონზეა განხილული, რადგანაც ისტორიამ ტერორიზმის შინაარსზე დიდი გავლენა იქონია. ტერორიზმზე საუბარი თითქმის შეუძლებელია ისტორიულ კონტექსტში მისი განხილვის გარეშე. ისტორიულად ტერორიზმი სხვადასხვა ხასიათით და ფორმით გვევლინებოდა, თავის თავში ასახავდა რა კონკრეტული პერიოდის თავისებურებებს. ტერორიზმი ყოველთვის დეტერმინირებული იყო კონკრეტული ეპოქის სინამდვილით და, თავის მხრივ, დიდ ზეგავლენას ახდენდა მასზე. ტერორიზმის განვითარება შეიძლება რამოდენიმე ეპოქად, ეტაპად დაიყოს. აღნიშნული ტერორიზმის როგორც მოვლენის უკეთესად გათავისებაში ძალიან დაგვეხმარება. ტერორიზმის ისტორიული განვითარების ეტაპებიდან შეიძლება რამოდენიმე ხანა გამოიყოს: ადრეული, რევოლუციური, ცივი ომის დროინდელი, თანამედროვე.

2. ნაშრომში დადგენილია თანამედროვე ტერორიზმის ძირითადი მახასიათებლები:

პირველი: ტერორისტული ჯგუფების მიერ საერთაშორისო ქსელის შექმნა;

მეორე: სახელმწიფოთა მხრიდან ტერორიზმის მხარდაჭერა ცივი ომის პერიოდს არ ჩაბარებია და თანამედროვე ეპოქაში გაცილებით უფრო დახვეწილი ტექნოლოგიის ფორმა მიიღო;

მესამე: თანამედროვე ტერორიზმის მნიშვნელოვან მახასიათებლად შეიძლება გამოიყოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენება;

მეოთხე: თანამედროვე ტერორიზმის მახასიათებელი რელიგიურად მოტივირებული ტერორისტული აქტივობის ხვედრითი წილის ზრდაა.

3. ტერორიზმი ომის, პარტიზანული ბრძოლის და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა სახეებისაგან განსხვავდება როგორც განმახორციელებელი სუბიექტით, აგრეთვე ხელყოფის საგნით. სამხედრო მოსამსახურე, პირველ რიგში, იმით განსხვავდება ტერორისტისგან, რომ სამხედრო მოსამსახურის ე.წ. “კომბატანტი“-ს სამართლებრივი სტატუსი დარეგულირებულია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით, მაშინ, როდესაც ტერორისტები ჩვეულებრივ დამნაშავეებს წარმოადგენენ. ტერორიზმი ომის, პარტიზანული ბრძოლის და კონფლიქტის სხვა ფორმებისგან განსხვავდება, აგრეთვე, ხელყოფის საგნით. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობაზე თავდასხმა მაშინ, როდესაც ტერორიზმის მთავარი სამიზნე ზუსტად სამოქალაქო მოსახლეობაა.

4. ომი, პარტიზანული ბრძოლა და შეიარაღებული კონფლიქტის სხვა აღიარებული ფორმები წარმოადგენენ ტერორიზმისგან სოციალურ-სამართლებრივად განსხვავებულ ფენომენს, მათი ურთიერთთანხვედრა დაუშვებელია შეფასდეს ცალსახად როგორც ტერორიზმი, ან ომი, პარტიზანული ბრძოლა და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მეომარი მხარეები გამოიყენებენ ტერორისტული ხასიათის რომელიმე ქმედებას, აღნიშნული ქმედება არ

შეიძლება მოვიხსნათ ომში ჩადენილად და საჭიროა ტერორიზმად მისი ცალკე სამართლებრივი შეფასება.

5. თეორიაში გავრცელებული კლასიფიკაციებისაგან განსხვავებით, ნაშრომში მოცემულია ტერორიზმის კრიმინოლოგიური კლასიფიკაცია ძირითადი ნიშნის – მოტივისა და მიზნის და არაძირითადი – გამოყენებული ხერხის და საშუალების, სამოქმედო ფარგლების, განმახორციელებელი სუბიექტის მიხედვით. სამოქმედო მოტივაცია წარმოადგენს ტერორისტული აქტივობის ერთ-ერთ ძირითად დეტერმინანტს. იმის მიხედვით, თუ რა არის ტერორისტების სამოქმედო მოტივი და სავარაუდო სასურველი შედეგი, ტერორისტული აქტივობის კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს რელიგიურ, სეპარატისტულ, ეთნიკურ, მემარჯვენე, მემარცხენე და სხვა მოძრაობებად. იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ საშუალებას და ხერხს შეარჩევს ტერორისტული აქტივობისთვის სუბიექტი, შეიძლება გამოიყოს ბირთვული, ქიმიური, ფეთქებადი, კომპიუტერული და სხვა სახის ტერორიზმი.

6. ნაშრომში განსაკუთრებულადაა შესწავლილი “ეთნიკური”, “სახელმწიფო” და “რელიგიური” ტერორიზმი, რადგანაც თანამედროვე ეტაპზე ტერორიზმის ზემოხსენებულ სახეებს საქართველოსთვის ტეროგენული მნიშვნელობა გააჩნია.

7. რუსეთის ფედერაციის კონონმდებლობაში და დოქტრინაში გამეფებული მოსაზრებით, რუსეთის ფედერაციიდან ფედერალური სუბიექტის გამოყოფის ნებისმიერი მოთხოვნა აღიქმება როგორც ექსტრემიზმი და აღნიშნულ მოვლენასთან იბრძვიან “ყველა შესაძლო საშუალებით”. ფედერაციის სუბიექტ რესპუბლიკებს არ გააჩნიათ სუვერენიტეტი და აღნიშნული საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტა თავიანთ კონსტიტუციებში მათ არ შეუძლიათ, შესაბამისად არ შეუძლიათ მიინიჭონ სუვერენული სახელმწიფოს თვისებები – შეზღუდული სუვერენიტეტის შესაბამისი დათქმის პირობებშიც. მაშინ, როდესაც, რუსეთის ფედერაციის სუბიექტები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას „მიინიჭონ სუვერენული სახელმწიფოს თვისებები – შეზღუდული სუვერენიტეტის შესაბამისი დათქმის პირობებშიც“ კი, ხოლო ფედერაციიდან გამოყოფის მსურველი ძალები პირდაპირ იცნობიან ექსტრემისტებად და ტერორისტებად (ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ყაბარდო – ბალყარეთი და სხვ.) რუსეთი მხარს უჭერს სეპარატისტულ რეჟიმებს საქართველოში და უფრო მეტიც, 2008 წელს აღიარებს ე.წ. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. აღნიშნული პოლიტიკა ტეროლოგიაში ცნობილია “მეზობელთა დესტაბილიზაციით” და ააშკარავებს რუსეთის ოფიციალური წრეების მხრიდან ერთი და იმავე საკითხის მიმართ დუალისტურ მიდგომას.

8. საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია და სეპარატისტული მოძრაობების დახმარება – წაქეზება შესაძლებელია რუსეთის ფედერაციის მხრიდან განხორციელდეს საქართველოს სხვა პოლიეთნიკურ რეგიონებშიც, ამასთან, ბრძოლის ღია მეთოდებზე უფრო მეტად სავარაუდოა იატაკქვეშა, ძირგამომთხრელი მეთოდები, რომელთა შორის პირველ რიგში ტერორიზმი და საბოტაჟია.

9. საქართველოს ტეროგენური საფრთხეები შესაძლებელია დავეოთ ორ ჯგუფად:

ა. რეგიონალური მნიშვნელობის, შიდა სეპარატისტული საფრთხეები, რომლებიც ხელშეწყობილია რუსეთის ფედერალური ძალების მხრიდან და შესაძლებელია გადაიზარდოს ტერორისტული მეთოდებით წარმოებულ ბრძოლაში.

ბ. გლობალური მნიშვნელობის, თანამედროვე ისლამოტერორიზმის საფრთხე, რომელიც საქართველოსთან შემხებლობაშია იქიდან გამომდინარე, რომ ჩრდილო კავკასია, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მუსულმანური აღმსარებლობისაა, ბოლო პერიოდში მოექცა საერთაშორისო რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების ინტერესების სფეროში. ზოგიერთ მათგანში (მაგალითად, ჩეჩნეთში იჩქერია) დეფაქტო უკვე არსებობენ ისლამურ საწყისებზე წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ელემენტები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამური სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ საქართველო აღმოჩნდება ისლამისტური სახელმწიფოების შუაგულში.

10. მნიშვნელოვან ფაქტორად მიგვაჩნია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება მომავალში სეპარატისტული და სხვა ისეთი ქმედებების თავიდან აცილების მიზნით, რომელთაც შეუძლიათ გამოიწვიონ სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტება, კონტროლის დაკარგვა ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულზე ანდა სოციალურ ჯგუფზე. მართალია, საქართველოს სსკ-ის 308-ე მუხლში დასჯადაა მიჩნეული “საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედება, მიმართული უცხო ქვეყნისათვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ანდა საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ” ასევე „იგივე ქმედება, რამაც საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის დაკარგვა ანდა სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია”, მაგრამ აღნიშნული ნორმა არ მოიცავს საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ისეთ ქმედებებს, რომლებიც ტერიტორიის დაკარგვასთან არ არის დაკავშირებული, თუმცა იწვევს ამა თუ იმ სოციალური ან ეთნიკური ჯგუფის გამოთიშვა, გაუცხოებას საქართველოს მოქალაქის ერთიანი სამართლებრივი და ფსიქოლოგიური სივრციდან და საწინდარია შემდგომი სეპარატისტული, ფსევდორელიგიური ანდა ფსევდოეთნიკური მოთხოვნების წარმოშობის.

11. ტერორიზმის თავიდან აცილების სხვა საშუალებებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მიერ სწორად დაგეგმილ და წარმოებულ სოციალ – ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას.

12. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 329 –ე მუხლით გათვალისწინებული მძევლად ხელში ჩაგდება შესაძლებელია ჩაითვალოს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად, თუნდაც ბოროტმოქმედთა მოთხოვნის ადრესარტი იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მაგრამ ქმედება მიმართული იყოს სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა ინტერესების წინააღმდეგ.



13. 2005 წლის “ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ” გაეროს კონვენციის მეცხრე მუხლის მეორე ნაწილის “ე” ქვეპუნქტის თანახმად კონვენცია ვრცელდება იმ შემთხვევებზეც როდესაც: “დანაშაული ჩადენილია სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციაში მყოფ საჰაერო ხომალდზე” და არ შეიძლება პირდაპირ მოაზრებულ იქნეს საქართველოს სსკ-ის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილში, სადაც საუბარია ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, რადგანაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია არა კუთვნილ, არამედ მფლობელობაში ან სარგებლობაში მყოფ მფრინავ საშუალებაზე, რომელიც შესაძლებელია არ წარმოადგენდეს აღნიშნული სახელმწიფოს აღმის მატარებელ ხომალდს. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად ორი ალტერნატიული გზა გვესახება:

პირველი: საქართველოს სსკ-ის მეოთხე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს ფრაზა: “ან ექსპლუატაციაშია საქართველოს ხელისუფლების საჭიროებისათვის” და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: “იმას, ვინც დანაშაული ჩადინა ხომალდზე, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს საქართველოს სახელმწიფო აღმით ან ამოსაცნობი ნიშნით, ან ექსპლუატაციაშია საქართველოს ხელისუფლების საჭიროებისათვის, ანდა ასეთი ხომალდის წინააღმდეგ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.”

მეორე: მოაზრებულ იქნეს მსგავსი შემთხვევები საქართველოს სსკ-ის მეხუთე მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში, სადაც საუბარია იმ ქმედების დასჯადობაზე, რომელიც საქართველოს ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული.

14. ბირთვული იარაღის დამზადებისათვის პასუხისმგებლობა დაწესებულია სსკ-ის ორი მუხლით – 232 და 406-ე მუხლებით. დავეთანხმებით ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ორი ნორმიდან მხოლოდ ერთი შემადგენლობა უნდა დარჩეს სისხლის სამართლის კოდექსში. ბირთვული იარაღის დამზადება მიზანშეწონილია შეფასდეს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულად და გათვალისწინებული იქნას მხოლოდ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში.

15. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.) შესულია საზოგადოებრივი წესრიგის და უშიშროების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და არ განიხილება ტერორისტული ხასიათის დანაშაულად, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო კონვენცია მსგავს დანაშაულებს ტერორიზმის გამოვლინებად თვლის. იმ შემთხვევაში, თუ ტერორისტთა ხელყოფის საგნად იქცევა საჰაერო, წყლის ან სარკინიგზო ტრანსპორტი, გამოხატული იქნება ტერორისტული მიზანი, აუცილებელია შეფასდეს როგორც ტერორისტული ხასიათის დანაშაული.

16. წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup>-ე მუხ.) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნოვაციას წარმოადგენს და მასში ასახვას ჰპოვებს 1988 წლის “საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული არაკანონიერი აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციის დებულებები. ტერორისტული ქმედებისთვის დამახასიათებელი ობიექტური მხარისა და სპეციალური მიზნის არსებობის შემთხვევაში შეფასება უნდა მოხდეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულად.

17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2006 წლის 25 ივლისს დაემატა 227<sup>2</sup> –ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, დასჯადია სტაციონარული პლატფორმის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, განადგურება ან დაზიანება. ქართველმა კანონმდებელმა აღნიშნული ნორმის შემოღებით კონვენციასთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანა სისხლის სამართლის კოდექსი. კონვენციით აკრძალულ ქმედებათა წრე მოცულია ქართული სისხლის სამართლის ნორმით. “საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უკანონო აქტების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” კონვენციის და მისი დამატებითი ოქმის თანახმად სტაციონარულ პლატფორმაზე აკრძალული ქმედებების ჩადენა ტერორისტული ხასიათის დანაშაულად ითვლება, მაშინ როდესაც ქართული სისხლის სამართლის მიხედვით მსგავსი ქმედებების სისხლისსამართლებრივ დაცვის ობიექტს საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი წარმოადგენს. მართალია სტაციონარული პლატფორმის ნებისმიერი ხელყოფა არ შეიძლება ქმნიდეს ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ნიშნებს, თუმცა შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ასეთად შეფასდეს.

18. გამოკვლეულია თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების თავისებურებები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ტერორისტულ ორგანიზაციებს დაფინანსების გარეგანი და შიდა წყაროები გააჩნია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტერორისტული ორგანიზაციების შიდა ფინანსური სტრუქტურების შესწავლას, რაც განხორციელებულია ნაშრომის ფარგლებში.

19. ნაშრომში ტერორიზმის სხვადასხვა მახასიათებლებიდან გამოყოფილია ტერორიზმის შვიდი ძირითადი, იმანენტური ნიშანი, რომლებიც ყველა დროის და ფორმის ტერორიზმს გააჩნია:

19.1. ტერორიზმის უმნიშვნელოვანეს და იმანენტურ ელემენტად შეიძლება მივიჩნიოთ დაშინება. საქართველოს და პოსტსაბჭოური სივრცის სისხლის სამართლის კოდექსებში დაშინება არამართებულადაა მიჩნეული სუბიექტური მხარის ნიშნად ან უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, მიზნად. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის თანახმად, რომელშიც ტერორისტულ აქტად მიჩნეულია აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და ა.შ. “ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით”. ტერორისტული აქტის მიზანი დაშინება არ არის. დაშინება არის საშუალება სახელმწიფო ხელისუფლებაზე, საზოგადოებაზე

ზემოქმედების და ტერორისტათვის სასურველი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. დაშინება ტერორიზმის დროს საბოლოო მიზანი კი არ არის, არამედ საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებაა.

19.2. ტერორიზმი ხორციელდება ძალადობით და ძალადობის მუქარით, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ტერორისტები თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს იყენებენ მიზნის მისაღწევად

19.3. ტერორიზმის იმანენტურ ნიშნად შეიძლება ასევე მივიჩნიოთ მისი ღია და დაუფარავი, საზოგადო ხასიათი, ტერორისტების სურვილი, მათი ქმედებების, რაც შეიძლება ფართოდ რეკლამირებისა და საზოგადოების ფართო ფენებამდე მიტანის.

19.4. ტერორიზმისთვის დამახასიათებელია მსხვერპლისა და სამიზნე ჯგუფის დიფერენციაცია. ტერორიზმის მსხვერპლის შერჩევა ძირითადად ხდება სიმბოლურად და არა პირდაპირი მნიშვნელობით. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვეულებრივი დანაშაულისაგან განსხვავებით ტერორიზმში სამი მხარეა გამოკვეთილი – დამნაშავე, მსხვერპლი (რომელიც მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებაა ტერორისტისთვის) და საკუთრივ სამიზნე ჯგუფი ხელისუფლების ორგანოები და (ან) საზოგადოება, რომელიც ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის.

19.5. მეხუთე ელემენტად შეიძლება დასახელდეს საფრთხის საზოგადო ხასიათი. ტერორიზმი არ შემოიფარგლება კონკრეტული პირებით, მას ზიანი მოაქვს ფართო მასებისთვის, ან ქმნის ასეთი ზიანის საფრთხეს.

19.6. ტერორიზმი პოლიტიკური ხასიათის დანაშაულია. მართალია, მოტივაცია ტერორიზმის დროს შეიძლება იყოს სხვადასხვა (ეთნიკურ – ნაციონალური, სოციალურ-პოლიტიკური და ა.შ.), მაგარამ მიზნები ყოველთვის გარკვეული პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისკენაა მიმართული.

19.7. იდეოლოგიური საფუძველი ტერორიზმის ისტორიის მთელ მანძილზე ტერორისტული საქმიანობის მიმართულების განმსაზღვრელი იყო. მემარჯვენე თუ მემარცხენე, რელიგიური თუ ნაციონალურ – ეთნიკური მოტივაციის პირობებში იდეოლოგია ამართლებს ტერორისტებს, ანიჭებს მათ მართალი საქმისთვის მებრძოლთა სტატუსს, გარკვეულ წრეებში აყალიბებს აზრს ტერორისტების ქმედებების ლეგიტიმურობის შესახებ.

20. ნაშრომში შეთავაზებულია ტერორისტული აქტის (სსკ-ის 323-ე მუხ.) საკანონმდებლო დეფინიციის შემუშავება შემდეგი სახით:

აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება და სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის, ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოს, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, კერძო პირის დაშინებით ანდა ზემოქმედების სხვა ფორმით, ტერორისტთა სასურველი მიზნის მისაღწევად.

21. გამოთქმულია წინადადება, ტერორისტული აქტის დეფინიციის მსგავსად, ტერორისტული ქმედების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების განსაზღვრით, ჩამოყალიბდეს ტერორისტული ხასიათის სხვა დანაშაულთა შემადგენლობები: ტექნოლოგიური ტერორიზმი (სსკ-ის 324-ე მუხ.) და კიბერტერორიზმი (სსკ-ის 324<sup>1</sup>-ე მუხ.). შემადგენლობებში როგორიცაა: მძევლად ხელში ჩაგდებაში ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 329-ე მუხ.) და სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (სსკ-ის 330-ე მუხ.) ტერორისტულ მიზანში უნდა ვიგულისხმოდეთ ტერორისტთათვის სასურველი ნებისმიერი პოლიტიკური, ან სხვა სახის მიზანი, რასაც თან სდევს დაშინება, ან სხვაგვარი ზემოქმედება ჩადენილი მოსახლეობის, ხელისუფლების ორგანოს, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, კერძო პირის მიმართ.

22. კვლევის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრეს, სპეციალური 38-ე თავით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, საერთაშორისო კონვენციებზე დაყრდნობით, დამახასიათებელი მიზნის და ქმედების განხორციელების ხერხის შემთხვევაში, შეიძლება მივაკუთვნოდ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული შემდეგი დანაშაულები:

22.1 საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.); სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup> მუხ.); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 227<sup>1</sup>-ე მუხ.); მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.). საფუძველი: საჰაერო ხომალდზე დანაშაულებრივი და სხვა სახის ქმედებების აკრძალვის შესახებ კონვენცია (მიღებულია 1963 წლის ტოკიოში); საჰაერო ხომალდის გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენცია (მიღებულია 1970 წლის 16 დეკემბერს ჰააგაში) და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ აქტებთან ბრძოლის შესახებ კონვენცია (მიღებული მონრეალში 1971 წლის 23 სექტემბერს). კონვენცია, საზღვაო ნაოსნობის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ (მიღებული რომში 1988 წლის 10 მარტს);

22.2 ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.); ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.); ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.); ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფი ნორმებიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესაძლებელია გამოიყოს ბირთვული მასალისადმი ან მოწყობილობისადმი, რადიოაქტიური ნარჩენისადმი, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობა (სსკ-ის 230-ე მუხ.), ბირთვულ ან რადიოაქტიურ ობიექტზე ავარიის ან უბედური შემთხვევის შესახებ ინფორმაციის დაფარვა ან დამახინჯება (სსკ-ის 233-ე მუხ.), საქართველოს ტერიტორიაზე რადიოაქტიური, ტოქსიკური სამრეწველო ან საყოფაცხოვრებო ნარჩენის ტრანზიტი ან იმპორტი (სსკ-ის 234-ე მუხ.), ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური

ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროსადმი მოპყრობის წესის დარღვევა (სსკ-ის 245-ე მუხ.). მართალია, მოცემული ნორმები ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს, მაგრამ ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებთ მათი კრიმინალიზაციის საზრისის და შინაარსის გამო. საფუძველი: ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ კონვენცია (მიღებულია 1980 წლის 3 მარტს); კონვენცია ბირთვული ტერორიზმის აქტების აღკვეთის შესახებ (მიღებულია 2005 წლის 13 აპრილს).

23. ტერორისტული ხასიათის ქმედებების სისხლისსამართლებრივად სრული რეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია შეიცვალოს აღნიშნულ დანაშაულთა სისხლისსამართლებრივად გათვალისწინების დღემდე არსებული საკანონმდებლო ტექნიკა, მოხდეს ტერორისტული ხასიათის ქმედებათა კრიმინალიზაცია მათი სწორი და სამართლიანი შეფასების, ასევე ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის მიზნით. როგორც აღინიშნა ტერორიზმი ცვლადი და განვითარებადი მოვლენაა, მასთან ბრძოლა სისხლისსამართლებრივი ნორმებისაგან არანაკლებ მოქნილობას და ადაპტირებულობას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ქართული სისხლისსამართლებრივი ნორმები საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სრულყოფილი დარღვევის გარეშე მოხდეს ამა თუ იმ ქმედების (თუნდაც სისხლის სამართლის კანონით უკვე გათვალისწინებულის) ტერორისტული ხასიათის დანაშაულად შეფასება შესაბამისი ობიექტური და სუბიექტური ნიშნების არსებობის პირობებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს სსკ – ის 323 –ე მუხლს დაემატოს შენიშვნა, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ ტერორისტულ აქტად ჩაითვლება ძალადობრივი ხასიათის სხვა ქმედება, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობაზე, ხელისუფლების ორგანოზე, საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ ორგანიზაციაზე, კერძო პირზე დაშინებით ანდა ზემოქმედების სხვა ფორმით, ტერორისტთა სასურველი პოლიტიკური ან სხვა მიზნის მისაღწევად. შენიშვნას მოჰყვება იმ აკრძალულ ქმედებათა ჩამონათვალი, რომლებიც როგორც ზემოთაღნიშნა, საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, ტერორისტული ხასიათის დანაშაულის სახეს ატარებს ქმედების ობიექტური და სუბიექტური მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ტერორისტული ხასიათის დანაშაულებად ანდა ტერორისტული აქტის გამოვლინებად შესაბამისი პირობების არსებობისას უნდა ჩაითვალოს:

1. საჰაერო ან წყლის ხომალდის ანდა რკინიგზის მოძრაობის შემადგენლობის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება (სსკ-ის 227-ე მუხ.);
2. სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (სსკ-ის 222<sup>1</sup> მუხ.); წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა (სსკ-ის 2271-ე მუხ.);

3. მეკობრეობა (სსკ-ის 228-მუხ.);
4. ბირთვული მასალის, რადიოაქტიური ნივთიერების ან მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროს ხელში ჩაგდება (სსკ-ის 231-ე მუხ.);
5. ბირთვული ნივთიერების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების მუქარა (სსკ-ის 231<sup>1</sup>-ე მუხ.);
6. ბირთვული იარაღის ან სხვა ბირთვული ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება (სსკ-ის 232-ე მუხ.)
7. ცეცხლსასროლი იარაღის, (გარდა გლუვკუდიანი სანადირო თოფისა) საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. (სსკ-ის 236-ე მუხ.)
8. იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერებების ან ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით ან გამოძალვა. (სსკ-ის 237-ე მუხ.)

სისხლის სამართლის ნორმების ჩამონათვალი შესაძლებელია შემდგომ გაიზარდოს ტერორიზმთან ბრძოლის ინტერესებიდან ანდა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე.

24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით უკვე გათვალისწინებული ტერორისტული ხასიათის დანაშაულების შემდგომი სრულყოფის მიზნით: გაუქმებული უნდა იქნეს სსკ –ის 324 –ე მუხლი - ტექნოლოგიური ტერორიზმი, რადგან მოცემული ნორმა კოლიზიაში მოდის სსკ-ის 323-ე მუხლით გათვალისწინებულ ტერორისტულ აქტთან. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 38-ე თავის ჩვენს მიერ შემოთავაზებული წესით აგების შემთხვევაში ნორმით გათვალისწინებული ქმედების დასჯადობა ეფექტურად იქნება გათვალისწინებული.

25. საქართველოს სსკ-ის 325-მუხლის თანახმად, ტერორისტული ხასიათის დანაშაულს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. თანამედროვე ტერორიზმის გამოვლინებებთან ეფექტურად ბრძოლისთვის მიზანშეწონილია ნორმით დაცულ პირებს დაემატოს პოლიტიკური, ანდა, საზოგადო მოღვაწე და მათი ოჯახის წევრები. თანამედროვე, დემოკრატიული ფასეულებების მისწრაფების მქონე ქვეყანაში განსაკუთრებულად უნდა იქნეს დაცული პოლიტიკური ანდა საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკურ თანამდებობის პირებთან ერთად.

26. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონში მრავალი პროგრესული დებულების მიუხედავად, რეგულაციური სფერო შეზღუდულია და აკრძალულ ქმედებათა წრე კონკრეტიზაციას მოითხოვს, ამასთან ტერორიზმის, როგორც სოციალურ-სამართლებრივი მოვლენის ფარგლები ბუნდოვანია. კანონის პირველი მუხლის “ა”

ქვეპუნქტში ტერორიზმის ცნებაა მოცემული. ქართულ ნორმატიულ აქტში მოცემული ტერორიზმის დეფინიცია აკრძალული ქმედებების ჩამოთვლის პრინციპით ადგენს ტერორიზმის ცნებას და არა მისი ძირითადი ელემენტების მიხედვით განსაზღვრავს მოვლენას. როგორც ზემოთაც აღინიშნა, აკრძალული ქმედებების ჩამოთვლით ტერორიზმის დეფინირება ვერ ამოწურავს მოვლენის ყველა ფორმას. აქედან გამომდინარე, ტერორიზმის ცნებაში, რომელიც მოცემულია კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული უნდა იყოს მოვლენის იმანენტური ელემენტები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შეუფასებელი არ დარჩეს ტერორიზმის არც ერთი გამოვლინება.

27. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ბ” ქვეპუნქტში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის იდენტურად მოცემულია “ტერორისტული აქტის” ცნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერორისტული აქტის არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაცია არ შეესაბამება მოვლენის სოციალურ ბუნებას, კერძოდ. ტერორისტთა მიზანი არ შეიძლება იყოს მოსახლეობის დაშინება და ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედება. ტერორისტთათვის დაშინება და ზემოქმედების სხვა საშუალებები მიზნის მიღწევის ხერხს წარმოადგენს.

28. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “გ” ქვეპუნქტში განსაზღვრულია ტერორისტული საქმიანობა, რომელშიც იგულისხმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული, XXXVIII თავით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. ნორმის ამგვარ ფორმულირებას ვერ დავეთანხმებით, რადგან ტერორისტული საქმიანობა სცილდება სისხლის სამართლის XXXVIII თავით გათვალისწინებულ ტერორისტული ხასიათის დანაშაულებს. ტერორისტული საქმიანობა შესაძლებელია მოიცავდეს ისეთ დანაშაულებრივ ან სხვა სახის საქმიანობასაც, რომელიც ტერორისტული ხასიათის დანაშაულს არ წარმოადგენს, თუმცა ემსახურება ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის ტერორისტული მიზნების განხორციელებას. ამასთან ერთად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერორისტული ხასიათის დანაშაულთა წრეს საქართველოს სისხლის სამართლის XXXVIII თავი ვერ იტევს. ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციების ანალიზის საფუძველზე გამოვყავით მთელი რიგი შემადგენლობები, რომლებიც ობიექტური და სუბიექტური პირობების არსებობისას ტერორისტული ხასიათის დანაშაულებად უნდა ჩაითვალოს.

29. ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტები განსაზღვრავს “ტერორისტულ ჯგუფს” და “ტერორისტულ ორგანიზაციას”, როგორც ტერორისტული საქმიანობის განხორციელების მიზნით შეკავშირებულ პირთა ერთობას. სხვა ხარვეზებთან ერთად უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ ქვეპუნქტების თანახმად კანონში ისედაც ვიწროდ გაგებული “ტერორისტული საქმიანობა” საერთოდ ერთი დანაშაულებრივი ქმედების, “ტერორისტული აქტის” განხორციელებამდე არის დაყვანილი, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. “ტერორისტული საქმიანობის” “ვ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ფარგლები, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის

ტერორიზმის თავით გათვალისწინებული დანაშაულების სრულ ჩამონათვალს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არის საკმარისი და ვერ ასახავს ტერორისტული საქმიანობის ყველა გამოვლინებას, “ვ” და “ზ” ქვეპუნქტებში საერთოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობამდე დაყვანილი. პირველი მუხლის “ვ” და “ზ” ქვეპუნქტების თანახმად “ტერორისტული ჯგუფი” და “ტერორისტული ორგანიზაცია” არის მხოლოდ “ტერორისტული აქტის” ჩასადენად შეკავშირებულ პირთა ერთობა. ეს დებულება ეწინააღმდეგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლით გათვალისწინებულ ნორმას, რომელიც კრძალავს ტერორისტული ორგანიზაციის შექმნას, ხელმძღვანელობას ანდა მასში მონაწილეობას. საქართველოს სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, ტერორისტულ ორგანიზაციად ჩაითვლება პირთა ნებისმიერი ერთობა, იმის მიუხედავად, თუ კონკრეტულად რომელი ტერორისტული ხასიათის დანაშაულის ჩადენა აქვს გამიზნული.

30. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესებიდან გამომდინარე საქართველოს სსსკ-ით გარანტირებული ადვოკატისა და ბრალდებულის ურთიერთობის კონფიდენციალურობა აშშ-ს კანონმდებლობის მსგავსად შესაძლებელია გადაიხედოს. იგულისხმება, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ, წარსულში უკვე მომხდარის, ან მომავალში დაგეგმილის, ინფორმაციის მიღება და ტერორისტული ხასიათის დანაშაულების გახსნა ანდა მათ თავიდან აცილება. სამომავლოდ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო მოქმედებების წარმოებისას, ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური საუბრების მოსმენის დაშვების შემთხვევაში, მსგავსი ნებართვა, აშშ-ს კანონმდებლობისაგან განსხვავებით, უნდა გასცეს სასამართლომ და აღნიშნულ მოქმედებებზეც აუცილებელია სასამართლო კონტროლის შენარჩუნება.



## ბიბლიოგრაფია

1. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი, 2010.
  2. გორაშვილი გ. ტერორიზმი და მისი იმანენტური კრიმინოლოგიური ნიშნები, ჟურნალი “ადამიანი და კონსტიტუცია”, 2004 წ. №2
  3. კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში. რედ.: მელიქიშვილი, თბილისი, 1997.
  4. სანიკიძე ლ. უქარქაშო ხმლები, თბილისი, წიგნი პირველი, 1993წ.
  5. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი. ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2008.
  6. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე. ავტორთა კოლექტივი. გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი, 2008.
  7. ტურავა მ. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი, 2010.
  8. ქავთარაძე გ. ქრისტიანობის მოსვლა რომის იმპერიის სათავეში [http://www.lib.ge/body\\_text.php?6527](http://www.lib.ge/body_text.php?6527)
- • •
9. Adams J. The Financing of Terror: How the Groups that are Terrorizing the World Get the Money to Do It, NY., 1986.
  10. Allison T. et al., Avoiding Nuclear Anarchy: Containing the Threat of Loose Russian Nuclear Weapons and Fissile Material, The MIT Press, Cambridge, Massachusetts, 1996.
  11. Alvarez J. E. The u.n.s 'War' on Terrorism, 31 Int'l. Legal Info, 2003.
  12. Atran S. Genesis of Suicide Terrorism, Science Vol 299 7 March 2003, [www.sciencemag.org](http://www.sciencemag.org).
  13. Barnaby F. “Nuclear Accidents Waiting To Happen,” The World Today London, Vol. 52, No. 4, April 1996.
  14. Brisard J. Terrorism Financing: Roots and Trends of Saudi Terrorism Financing. N.Y., 2002.
  15. Byman D., Chalk P., Hoffman B., Rosenau W., Brannan D. Trends in Outside Support for Insurgent Movements. RAND, 2001.

16. Chipman Y. Managing the Politics of Politics of Parochialism//Survival.- London.Vol.35.Spring 1993. №1.
17. Cochran T. B., Norris R. S. and Bukharin O. A. Making the Russian Bomb: From Stalin to Yeltsin, Westview Press, Boulder, Colorado, 1995.
18. Countering the New Terrorism, Lesser I., Hoffrman B., Arquilla J., Ronfeldt D. F., Zanini M., Jenkins B., rand publications, 1999 .
19. Cragin K., Chalk P., Terrorism & Development: Using Social and Economic Development to Inhibit a Resurgence of terrorism, rand, 2003.
20. Defense Department: Terrorism is the unlawful use or threatened use of force or violence against individuals or property to coerce or intimidate governments or societies, often to achieve political, religious, or ideological objectives. <http://www.periscope.usni.com/demo/terms/t0000282.html>.
21. S. T. Francis, The Soviet Strategy of Terror , Washington, Heritage Foundation, 1981.
22. Department of State, Patterns of Global Terrorism, inside front cover, Washington, 1985.
23. Dispot L. La machine a terreur. P., Edition Grasset, 1978.
24. Douglas B. The Counterinsurgency Era, U.S. Doctrine and Performance, New York, 1977.
25. Editor: Pelletiere S. C. Terrorism: national security policy and the home front. Strategic Studies Institute, U.S. Army War College, 1995.
26. Elbakry M. M. “Different Conceptions of Jihad and Its Relevance to Contemporary Trends of Islamic Movements,”Jerusalem Journal of International Relations, Vol. 9, No. 4,1987
27. Erikson R. J.. Legitimate Use of Military Force Against State-Sponsored International Terrorism, Air University Press Maxwell Air Force Base, Alabama 1989.
28. Esposito J. L. ed., Voices of Resurgent Islam. New York: Oxford University Press, 1983.
29. Franck T. M. International Legal Action Concerning Terrorism,. Terrorism: An international Journal I, no. 2, 1978.
30. Fukuyama F. “Their Target: The Modern World,” Newsweek January 2002, <http://www.msnbc.com/news/672448.asp> .

31. Fuller G. E. "Redrawing the World's Borders," *World Policy Journal*, Vol. 14, No. 1, Spring, 1997.
32. Gettleman J. "Prisoner of Jihad," *Los Angeles Times*, July 21, 2002.
33. Goldstone R. J. & Simpson J., *Evaluating the Role of the International Criminal Court as a Legal Response to Terrorism*, 16 *Harv. Hum. Rts. №* 13, 14, 2003.
34. Goren R. *The Soviet Union and Terrorism* London: Allen G. and Unwin, 1984.
35. Claire Sterling, *The Terror Network: The Secret War of International Terrorism* New York: Reader's Digest Press, 1981.
36. *Histoire du Terrorisme de l'Antiquite a al Qaida*. Sous la direction de Chaliand G. et Arnaud Blin, Bayard, Paris, 2004,
37. Hoffman B. *Inside Terrorism*, New York: Columbia University Press, 1998
38. Homeyni F. *on Man, State, and International Politics*, Vol. 13, Lanham, University Press of America, 1984.
39. Human Rights Watch, *in the Name of Counter-Terrorism: Human Rights Abuses Worldwide*. <http://www.hrw.org/un/chr59/counter-terrorism-bck.pdf>. 2003.
40. Jaber H. "Inside the World of the Palestinian Suicide Bomber," *The Sunday Times* 24 March 2002.
41. Jenkins B. *International Terrorism: A New Mode of Conflict*. Los Angeles: Crescent Publications, № 2, 1975.
42. Jenkins B. M. *International Terrorism The Other World War*. Rand, p.12, 1985
43. Jenkins B. M. *Combatting Terrorism Becomes a War*, Rand, Santa Monica, Calif., 1984.
44. Jenkins B. M. *The Study of Terrorism: Definitional Problems.*. Rand, Santa Monica, Calif., 1980.
45. Khadduri M. *War and Peace in the Law of Islam*, Baltimore: Johns Hopkins University Press, 1955
46. Kiser S. *Financing Terror. An Analysis and Simulation for Affecting Al Qaeda's Financial Infrastructure*, Rand, 2004.
47. Kramer M. *The Moral Logic of Hizbollah*, No. 101, Tel Aviv: The Dayan Center for Middle Eastern and African Studies of Tel Aviv University, 1987
48. Krieken P. J. V. *Terrorism and the International Legal Order With Special Reference to the Un, the Eu and Cross-Border Aspects №* 13, 2002.

49. Laqueur W. Reflections on Terrorism, *Foreign Affairs* 65, № 16 1986.
50. Larousse trois volumes en couleurs. Tome trois. Librairie Larousse, P., 1966.
51. Lesser I. O., Hoffman B., Arquilla J., Ronfeldt D. F., Zanini M., Jenkins B. M. *Countering the New Terrorism*. Rand, 1999.
52. Levitt M. *The Political Economy of Middle East Terrorism*, The Washington Institute, 2002.
53. *Libya's Continuing Responsibility for Terrorism*, International Policy Institute for Counter-Terrorism, 15 April 1992.
54. Littleton M. "Information Age Terrorism," Ma thesis, U.S. Naval Postgraduate School, 1995.
55. Livingston M. H., Kress L. B., Wanek M. G., *Contributions in Political Science*, Westport, Greenwood Press, №. 3, 1978.
56. Molander R., Riddile A. and Wilson P. *Strategic Information Warfare: A New Face of War*, Rand, 1996.
57. Murphy J. F. *Punishing International Terrorists: The Legal Framework for Policy Initiatives*. Totowa, Rowman and Allanheld, 1985.
58. Mutahhari A. M. *Fundamentals of Islamic Thought: God, Man and the Universe*, ed., Hamid Algac, trans., Mizan Press, 1985.
59. Nacos B. *Terrorism and the Media*, Columbia University Press, New York, 1994.
60. Nanda V. *The Role of International Law in Combating Terrorism*, 10 Mich. St. U. Dcl. Intl L. 2001.
61. Nasr S. H. *Islamic Life and Thought*, Albany, NY: State University of New York Press, 1981
62. Netanyahu B. *Terrorism: How the West Can Win*,. lime, 1986.
63. *Patterns of Global Terrorism*. – Wash. D.C.: Office of the Coordinator for Counterterrorism, U.S. State Dep., 2000 - 2006.
64. Pelletiere S. C. *Terrorism: national security policy and the home front*. Editor Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks. May 15, 1995.
65. Peters R. *Islam and Colonialism: The Doctrine of Jihad in Modern Islam*, The Hague, Netherlands: Mouton, 1979.

66. Polk D. & Wardwell, Defining Terrorism: The Evolution of Terrorism as a Legal Concept in International Law and its Influence on Definitions in Domestic Legislation, New York, Boston College International & Comparative Law Review, HeinOnline -- 29 B. C. Int'l & Compo L. Rev. 23, 2006.
67. Rapoport D. C. Fear and Trembling: Terrorism in Three Religious Traditions, American Political Science Review, Vol. 78, No. 3, September 1984.
68. Reisman W. M. International Legal Responses to Terrorism, 22 Hous. J. Int'l L. 3, 9, 1999.
69. Robespierre M., Principes de morale politique, <http://membres.lycos.fr/discours/1794.htm>
70. Rostow E. V. in American Society of International Law, Proceedings of the 77th Annual Meeting, 14-16 April 1983, Washington, D.C.: 1985
71. Schachter J. M. The Eye of the Believer Psychological Influences on Counter-Terrorism Policy-Making, Rand, 2002.
72. Schamis G. J. War and Terrorism in international Affairs, New Brunswick, N.J.: Transaction Books, 1980.
73. Schmid A. P., Political Terrorism: A Research Guide to Concepts, Theories, Data Bases and Literature, Amsterdam: North-Holland Publishing Co., 1983
74. Scott A. M. The Revolution in Statecraft: informal Penetration .New York: Random House, 1969.
75. Senate, Committee on the Judiciary, Subcommittee on Security and Terrorism, Report on .State-Sponsored Terrorism,. 99th, Cong., 1st sess., June 1985, Senate print 25, 7.
76. Shafer, Michael D., Deadly Paradigms: The Failure of U.S. Counterinsurgency Policy, Princeton, N.J.: Princeton University Press, 1988.
77. Shultz G. P. Terrorism and the Modern World. Terrorism: An International Journal 7, №.4, 1985.
78. Sivan E. Radical Islam: Medieval Theology and Modern Politics. New Haven, Ct: Yale University Press, 1985; O. Roy, The Failure of Political Islam. Cambridge, Ma: Harvard University Press, 1994; .
79. Sloan S. Beating international Terrorism: An Action Strategy for Preemption and Punishment. Maxwell Afb, Ala.: Air University Press, December 1986.
80. Starke G. The Convention for the Prevention and Punishment of Terrorism, 19 Brit. Y.B. Intl. L. 214,215, 1938.

81. Sterling C. *The Terror Network: The Secret War of International Terrorism*, New York: Reader.s Digest Press, 1981.
82. *Terrorism: national security policy and the home front*. Pelletiere S. C. Editor Strategic Studies Institute, U.S. Army War College, Carlisle Barracks, May 15, 1995.
83. Testimony of Zarate J. C., Deputy Assistant Secretary, Terrorism and Violent Crime, U.S. Department of the Treasury, House Financial Subcommittee Oversight and Investigations, 12 February 2002.
84. *The Encyclopedia of Islam*, 2nd ed., Vol. 2, London: Luzae and Co., 1960
85. *U.S. Countermeasures Against International Terrorism* Simon J. D. Prepared for the Assistant Secretary of Defense for Command, Control, Communications and Intelligence. rand, March 1990.
86. *Untangling the Terror Web: Identifying and Counteracting the Phenomenon of Crossover Between Terrorist Groups*, Matthew Levitt SAIS Review vol. XXIV no. 1 (Winter–Spring 2004) project MUSE, <http://muse.jhu.edu>, 2004.
87. Vanderhoof D. J.W., *The Criminology of Terrorism*, The University of North Carolina at Pembroke, [www.uncp.edu](http://www.uncp.edu), 2001.
88. Vice President, *Public Report of the Vice President.s Task Force on Combatting Terrorism*, Washington, D.C., 1 February, 1986.
89. Wilkinson P. *Terrorism and the Liberal State*. New York: Wiley J. & Sons, Halstead Press, 1977
90. William O. *On Internal War: American and Soviet Approaches to Third World Clients and Insurgents*, Durham, N.C.: Duke University Press, 1992.
91. Williams P. and Woessner P. N. “Nuclear Material Trafficking: An Interim Assessment,” *Transnational Organized Crime*, Vol. 1, No. 2, Summer 1995;
92. Woessner P. N. “Recent Developments: Chronology of Nuclear Smuggling Incidents, July 1991–May 1995,” *Transnational Organized Crime*, Vol. 1, No. 2, Summer 1



93. Антонян Ю. М. *Терроризм. Криминологическое и уголовно-правовое исследование*. М., 2001.

94. Аклаев А. Р. Этно – Политическая конфликтология : Анализ и менеджмент. М., 2005.
95. Аппарат Козака предсказывает развал Дагестана//Объединенная газета. 2005.19 июля.№17 (73).
96. Асеевский А. И. Кто организует и направляет международный терроризм? Из послужного списка ЦРУ. М.: Политиздат, 1982.
97. Большаков В. В. Терроризм по-Американски. М. «Международные отношения» 1983
98. Бояр-Созонович Т. С. Международный терроризм: политико-правовые аспекты.; Одесса: Лыбидь, 1991.
99. Бояр-Созонович Т. С. Проблемы классификации современного терроризма. Университет дружбы народов имени Патриса Лумумбы Государственного комитета СССР по народному образованию. М., 1989.
100. Брокгауз Ф. А., Ефрон И. А.. Энциклопедический словарь. СПб., 1894. Т. 25.
101. Витюк В. В Социальная сущность и идеино-политические концепции современного левого терроризма. Автореф. дис. докт. философ. наук. М., 1985.
102. Волк С. С. Народная воля. 1879-1882. М., Наука, 1966.
103. Г. Э. Против терроризма. М., 1981.
104. Галенская Л. Н. Правовые проблемы сотрудничества государств в борьбе с преступностью. Л., ЛГУ, 1978.
105. Горовиц Д. Ирредентизм, сепаратизм и самоопределение // Национальная политика в Российской Федерации. М., 1993 г.
106. Даль В. Толковый словарь живого великорусского языка. Т. IV. М., 1980.
107. Ожегов С.И. Словарь русского языка. М., «Русский язык», 1968.
108. Денисов В. В. Социология насилия. М.,1975.
109. Добаев И. П., Мурклинская Г. А., Сухов А. В., Ханбабаев К. М.. Радикализация исламских движений в центральной Азии и на Северном Кавказе: Сравнительно-политологический анализ Ростов-на-дону, 2010.
110. Емельянов В. П. Терроризм и преступления с признаками терроризирования дис. на соискание ученой степени доктора юридических наук М., 2001 г.

111. Емельянов В. П. Проблемы ответственности за международный терроризм//Государство и право. №1, 2000.
112. Жаккар Р. Именем Усамы Вен Ладена. Москва, “Олма-пресс”, 2002.
113. Жаринов К. В. Терроризм и террористы (исторический справочник) Минск, 1999.
114. Закономерности преступности, стратегия борьбы и закон/ Под ред. проф. Долговой А. И. М., 2001.
115. Замкова В., Ильчков М. Терроризм-глобальная проблема современности, М., 1996.
116. Зарубежное законодательство в борьбе с терроризмом. Ответс. ред. Власов И. С. М., 2002.
117. Зорькин В. Д. Об угрозах конституционному строю в XXI веке и необходимости проведения правовой реформы в России// Журнал Российского права. Июнь, №6, 2004.
118. Идентичность и конфликт в постсоветских государствах. Под ред. Олкотт М., Тишкова В., Малашенко А. М. 1997.
119. История терроризма в Росси в документах, биографиях, исследованиях, Автор-составитель Будницкий О. В. Ростов н/д: Феникс, 1996.
120. Карпец И. И. Преступления международного характера. М., Юрид. лит., 1979.
121. Карпец И. И. Преступное общество. М.,1983.
122. Картунов А. В. О.А. Маруховская, Этнополитические конфликты: актуальность, определение, задачи// Материалы междунар. конгресса конфликтологов // Под ред. И. Степанова. М., 2001.
123. Кашников Б. Н. Чеченский Терроризм. Взлёт и Падение. Российский научный журнал, № 2, 2008.
124. Кожушко Е. Современный терроризм, анализ основных направлений. Минск, 2000.
125. Крамсков А. А. Терроризм и западное христианство. Терроризм и религия. М., 2005.
126. Криминология. Учебник для вузов. Под общей ред. Долговой Л. И. Изд. Норма М., 2002.



127. Кузьминов Я. И. и др. Отчуждение труда. История и современность. Монография. М., 1989.
128. Лозинский С. Г. История папства. 3-е изд. М., 1986.
129. Ляхов Е. Г. Терроризм и межгосударственные отношения. М., «Международные отношения», 1991.
130. Манойло А. В. Эффективность воздействия на современные конфликты, М., 2008.
131. Миньковский Г. М., Ревин В. П. Характеристика терроризма и некоторые направления повышения эффективности борьбы с ним. // Государство и право. № 8, 1997.
132. Могамедов М. Президенты в сравнении//Черновик. Общественно-политический еженедельник. 19 мая, №20, 2006.
133. Назаркин М. В., Криминологическая характеристика и предупреждение терроризма, Диссертация на соискание ученой степени кандидата юридических наук. М., 1998.
134. Нассис В., Колосов Л. Терроризм Без Маски, Издательство “Молодая гвардия”, 1983 .
135. Научно-практический комментарий к Конституции Российской Федерации/Отв. ред. Лазарев В.В. М., 2001.
136. Ожегов С. И., Шведова Н.Ю. «Толковый словарь русского языка». М., 1995.
137. Павлинов А. В. Антигосударственный экстремизм: уголовно – правовые и криминологические аспекты. М., 2008.
138. Приговор Ставропольского краевого суда от 11 июля 2002г. Дело № 2-28/2002
139. Ромашкин П. С. Преступления против мира и безопасности человечества. М., 1967.
140. Салимов К. Н. Современные проблемы терроризма (криминологическое исследование) Диссертация на соискание ученой степени доктора юр.наук. 2000.
141. Седов М. Г., Героический период революционного народничества. М., 1966.
142. Трайнин А. Н. Уголовная интервенция М., 1935.

143. Трайнин А. Н. Избранные произведения. Защита мира и уголовный закон. М., Наука, 1969.
144. Устинов В. В. Международный опыт борьбы с терроризмом, стандарты и практика. М., 2002.
145. Чурков Б. Г. Социально-философские аспекты современного терроризма. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата философских наук. М., Мпгу, 1993.
146. Чуфаровский Ю. В. Терроризм - глобальная проблема современности (методологический анализ) // Следователь, №5, 1998.
147. Шнайдер, Криминология, М., 1994.
148. Шуберт Т. Э. Национальная безопасность России: конституционно – правовые аспекты. Сравнительно – правовое исследование. М., 2001.
149. Эфиров С. А. Покушение на будущее. Логика и футурология «левого» экстремизма. М., Мол. гвардия, 1984.



150. Al-Qacda International. [www.fbi.gov/congress/congress01/carusol21801.htm](http://www.fbi.gov/congress/congress01/carusol21801.htm)
151. [www.ananuclear.org](http://www.ananuclear.org);
152. <http://crynews.ru/orgprint/89.html>)
153. <http://en.wikipedia.org>
154. <http://president.kremlin.ru/withflash/varPriorityFullTemplPriorId5748.shtml>
155. <http://president.kremlin.ru/withflash/varPriorityFullTemplPriorId5748.shtml>
156. <http://slovari.yandex.ru/dict/lanzov/991147>
157. [http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush\\_detention\\_order.pdf](http://toocan.com/lunog/media/blogs/misblog/pdfs/bush_detention_order.pdf)
158. <http://usinfo.state.gov/ruski/topics/terror/homepage.htm>
159. [http://www.annespeckhard.com/Chechen\\_suicide\\_terrorism.html](http://www.annespeckhard.com/Chechen_suicide_terrorism.html)
160. <http://www.constitution.org/cons/csa.txt>

161. <http://www.E.U.-peace.org>.
162. <http://www.justice.gov/archive/ll/highlights.htm>
163. [http://www.lib.ge/body\\_text.php?6527](http://www.lib.ge/body_text.php?6527)
164. <http://www.ng.ru//tag/ira/>
165. <http://www.nics.gov.uk/pubs/newbudgt.pdf>
166. <http://www.pravoslavie.ru/analit/warpeacechech1.htm>
167. <http://www.shemoqmedi.ge/Ivlisis%20Mixedvit%20Moxsenieba/19.htm>
168. [http://www.soldiering.ru/war/sri\\_lanka/sri\\_lanka.war-at-sea.php](http://www.soldiering.ru/war/sri_lanka/sri_lanka.war-at-sea.php)
169. <http://www.srji.org/chechnya/>
170. <http://www.un.org>
171. <http://www.varyag-stunts.narod.ru/irahistory-ira.html>
172. [http://xx.lipetsk.ru/txt/xx\\_04\\_33.shtml](http://xx.lipetsk.ru/txt/xx_04_33.shtml)
173. <http://www.sundaytimes.co.uk/printFriendly/0,,2-524-245592,00.html> .
174. S. P. Huntington, "The Clash of Civilizations?," Foreign Affairs, Summer 1993 [www.nytimes.com/2001/09/06/Opinion/06HARRI.html](http://www.nytimes.com/2001/09/06/Opinion/06HARRI.html);
175. "Sale of Explosive to Libya Detailed," Washington Post, March 23, 1990. 2003, [www.treas.gov/press/releases/js439.htm](http://www.treas.gov/press/releases/js439.htm).
176. The U.S. Department of State, State-Sponsored Terrorism. <http://www.state.gov/s/ct>
177. The U.S. Department of State, State-Sponsored Terrorism. <http://www.state.gov/s/ct>
178. N. Hassan, The New Yorker, 19 November 2001; [www.newyorker.com/fact/content/?011119fa\\_FACT1](http://www.newyorker.com/fact/content/?011119fa_FACT1).
179. "The United States and Italy Designate Twenty-Five New Financiers of Terror," Department of the Treasury Office of Public Affairs, PO-3380, 29 August 2002, [www.ustreas.gov/press/releases/po3380.htm](http://www.ustreas.gov/press/releases/po3380.htm)
180. [www.ict.org.il/arnclcs/palestinian\\_islamism.htm](http://www.ict.org.il/arnclcs/palestinian_islamism.htm); Ely Karmon. Hizballah and War with Terror J. B.

181. Taylor, "Statement from the US Department of the Treasury," 7 November 2001,
182. [www.treas.gov/press/releases/po771.htm](http://www.treas.gov/press/releases/po771.htm).
183. [www.terroristica.info](http://www.terroristica.info),2011
184. [www.basicint.org/pubs/Research/2001\\_diseasebydesign1](http://www.basicint.org/pubs/Research/2001_diseasebydesign1).
185. [www.zharinov.wallst.ru](http://www.zharinov.wallst.ru)
186. [www.almanar.com.lb](http://www.almanar.com.lb).
187. [www.armscontrol.ru](http://www.armscontrol.ru)
188. [www.bullatomsci.org](http://www.bullatomsci.org),
189. [www.hizbollah.org](http://www.hizbollah.org)
190. [www.kavkazcenter.com](http://www.kavkazcenter.com)
191. [www.moqawama.org](http://www.moqawama.org)
192. [www.nationalsecurity.ru/library/00016/00016ltte3.htm](http://www.nationalsecurity.ru/library/00016/00016ltte3.htm)
193. [www.state.gov/global/terrorism/1999report/html/The middle East Brief review](http://www.state.gov/global/terrorism/1999report/html/The_middle_East_Brief_review).
194. [www.washingtoninstitute.org](http://www.washingtoninstitute.org);
195. [www.washingtonpost.com/wp-dyn/articles/A53450-2001May20.html](http://www.washingtonpost.com/wp-dyn/articles/A53450-2001May20.html);
196. Льюренте Х. А. Критическая история испанской инквизиции. Том I [www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html](http://www.bookshelf.ath.cx/LIBRARY/CHI/contents.html)
197. Рахманова Р. Р. Инквизиция. [www.atheism.ru/library/Rahmanova\\_1.phtml](http://www.atheism.ru/library/Rahmanova_1.phtml)



198. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.
199. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 2011 წლის აპრილის მდგომარეობით.
200. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 2011 წლის აპრილის მდგომარეობით.

201. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მიერ 2002 წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიში.  
[www.sus.ge](http://www.sus.ge)
202. Конституция Российской Федерации, 1993 г.
203. USA Patriot Act (U.S. [H.R.](#) 3162, [Public Law](#) 107-56), 2001.
204. President Issues Military Order. 2001.
205. Code de procédure pénale, <http://www.legifrance.gouv.fr>. 2011
206. Code pénal, <http://www.legifrance.gouv.fr>. 2011.
207. რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება
208. 1999 წლის 1269-ე რეზოლუცია. S/Res/1269 (1999) [www.un.org](http://www.un.org)
209. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1970 წელი, რეზოლუცია № A/Res/39/159
210. International Convention for the Suppression of the Financing of Terrorism, Dec. 9, 1999, S. Treaty Doc. No. 106-49, G.A. Res. 54/109, V.N. Gaor, 54th Sess., Supp. No. 49, U.N. Doc. A/54/49
211. International Convention for the Suppression of Terrorist Bombings, Dec. 15, 1997, S. Treaty Doc. No. 106-6,37 I.L.M. 249 [hereinafter Bombings Convention];
212. Convention on the Marking of Plastic Explosives for the Purpose of Detection, Mar. 1, 1991, U.S. Treaty Doc. No. 103-8, 2122 U.N.T.S. 359 [hereinafter Plastic Explosives Convention];
213. Protocol for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Fixed Platforms Located on the Continental Shelf, Mar. 10, 1988, 27 I.L.M. 685 [hereinafter Fixed Platforms Convention];
214. Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Maritime Navigation, Mar. 10, 1988, S. Treaty Doc. No. 101-1, 27 I.L.M. 668 [hereinafter Maritime Convention];
215. Protocol for the Suppression of Unlawful Acts of Violence at Airports Serving International Civil Aviation [supplement to the Montreal Convention), Feb. 24, 1988, S. Treaty Doc. No. 100-19, 1589 U.N.T.S. 474 [hereinafter Montreal Airports Protocol];
216. Convention on the Physical Protection of Nuclear Material, Mar. 3, 1980, T.I.A.S. No. 11080, 1456 U.N.T.S. 101 [hereinafter Nuclear Materials Convention];

217. International Convention Against the Taking of Hostages, Dec. 17, 1979, T. I. A. S. No. 11081, 1316 *V.N.T.S.* 205 [hereinafter Hostages Convention];
218. Convention on the Prevention and Punishment of Crimes Against Internationally Protected Persons, Including Diplomatic Agents, Dec. 14, 1973, 28 U.S.T. 1975, 1035 U.N.T.S. 167 [hereinafter Internationally Protected Persons Convention];
219. Convention for the Suppression of Unlawful Acts Against the Safety of Civil Aviation, Sept. 23, 1971, 24 U.S.T. 5465, 974 U.N.T.S. 178 (Jan. 26, 1973) [hereinafter Montreal Convention];
220. Convention for the Suppression of Unlawful Seizure of Aircraft, Dec. 16, 1970, 22 U.S.T. 1641, 860
221. U.N.T.S. 105 [hereinafter The Hague Convention];
222. Convention on Offences and Certain Other Acts Committed on Board Aircraft, Sept. 14, 1963, 20 U.S.T. 2941, 704 U.N.T.S. 219 [hereinafter Tokyo Convention].
223. S.C. Res. 1373, U.N. Doc. S/Res/1373, Sept. 28, 2001.
224. S.C. Res. 1377, Annex, U.N. Doc. S/res/1377, Nov. 12, 2001.

ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და ვაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

გიორგი გორაშვილი